



აგზა

არ გამობრჩეთ!

**უაღდები ნომრიდან
გორჩა მანველიქის
ახალი დავაქტივი**

„ქმეპი“

№36(482) 3/IX-9/IX

ფასი 1 ლარი

ზაფხული ბათუმში

**„ერთად კარგად
ვგრძნობთ
თავს“**

**ვაგრძობთ უფრო წაყვანს
საყვარელი ადამიანი აკრიტიკებს**


**ვარსკვლავური
გაგიჟება და
თავგადასვენება**

ოპოზიციური ტანიმ-აუბი



**„არც ქვეყნიდან გავექცეულვარ
და არც დამისვენია“**

„მირაზი მისხრე სავა“



**პოპარსკვლავის
სინარული მიჯი**

რა ჯდება სასკოლად გავუვის მოგზალება

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

ME DI EST
მადონასტატიკის
კლინიკათა
ჯგუფი

ოსკარი

DELFOS

Sandora

WELEDA
ველედა

„მის თინეიჯერი“



ზაფხულის სეზონი



ქაიხილი თბილისში



**ტურისტული
კომპანია
„ჩემოდანი“**
მის.: ლესელიძის 53
ტელ.: 72 01 10

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, იხილეთ ფოტოები ჟურნალ „ოსკარში“, SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8886. კონკურსანტთა შეფასება ასევე შეგიძლიათ ინტერნეტპორტალზე:

WWW.AMBEBI.GE

პორტალზე შემოსული ხმების მიხედვით, „მის ონლაინი“ გამოვლინდება.

„მის თინეიჯერის“ ზაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „ჩემოდანისაგან“ გადაეცემა:

ორკაციანი საბზური ევოპტეში, შარმელში, 5 პარსკვლავიან სასტუმროში

ბრილიანტის სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფოსიდან“ კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან, სასაჩუქრე ბარათი სავედიცილო და ესთეტიკურ ცენტრ „მედისაგან“ და სამახსოვრო საჩუქრები კონკურსის სპონსორებისაგან

**დაეხარე უნს
რჩეულ მასთან
ზაფხულის სეზონის
გამარჯვებულ!**

+ 20 ნომინაცია



„მის თინეიჯერი“
17-19 წლის ბავშვთა
გვარჯიშის კატეგორია

**ხმის მიცემა
10 სექტემბერს
უწყდება!**



SMS-ის ღირებულება 1 ლარი

დანვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი“.

ქვეყანა



მისო, წადი „შკოლაში“...

მიხეილ სააკაშვილი ყველაზე კარგად გრძნობს თავს! ბავშვებსაც აშკარად მოსწონთ მასთან ურთიერთობა... ჰოდა, წადი, რა, „შკოლაში“, ინგლისური ასწავლე, ფრანგული ასწავლე, ესპანური ასწავლე, უკრაინული ასწავლე... დაისვენებს ყველა, ქვეყანასაც არგებ... ეეჰჰჰ, ფანტაზიებმა გამოიტაცა...

5

მსოვრება

როგორ უნდა უთხრა არასასურველ მამაკაცს სექსზე უარი



მაგალითად, როგორ შეიძლება იცოს გაგებული შენ მიერ ნათქვამი ასეთი ფრაზა — „ჩვერი არ გაქვს გაბარსული“? ეს ნიშნავს — „ჩემი შესაფერისი არ ხარ“ ან, სხვანაირად რომ ვთქვათ — „არ მინდისარ“ და ამის მიზეზი ისაა, რომ არ მოგწონს.

39

სახე



ნინო კონენიკა დედამთილთან ქმარზე ჭორაობს

მე და მამა — მეორე მხარეს ჩემი ძმა კარგად სწავლობდა, მებრამ მე მუსიკაში ვიყავი ნარჩინებული და ასე ვთქვათ, „პარადი“ მიმყავდა თუმცა, დიდი სელშეწყობა არ მქონია, გზა ჩემით გავიკვალე...

19



№37 (483)
10 - 16 სექტემბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

- **მინიატიურები**
- მისო, წადი „შკოლაში“... 5
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **რეპორტაჟი**
- შაღბა თუ არა ანგარიში? 7
- **პრობლემა**
- ფსიქოლოგის თვალთ დანახული სკოლის პრობლემები 9
- **მეორე**
- შვილის თავდადება და მამის სიმნარა 12
- **პოლიტიკა**
- დიდი ეპროკა, დიდი რუსეთი და იპონიისაპით დამბარული სეპარტიველო... 14
- **ალბრება**
- „აფხაზებს ვუთხარი — თქვენი ეთნოსის გადარჩენა მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ-მეთქი“ 17
- **ფსიქოპრობრები**
- ნინო კონენიკა დედამთილთან ქმარზე ჭორაობს 19
- **არდადეგები**
- „სილაშხის წყაროზე“ 25-ჯერ მიხს ვიყავი, მებრამ მიხს ვერ გავლამაზდი“ 21
- ქსტრიმის მოყვარული ანანო მჟავია შემოდგომის გზის უფისხება 22
- „მსაბრძულ ფილმს უორნობრაფიული ელემენტი სჭირდება“ 23
- **ნარმატება**
- პოპულარული ქართველი მოსკოვი 25
- **პარსკვლავები**
- პოლიველი და პლაჟის სეზონი 28
- „სამოღალო ბიზნესიდან წასვლას არ ვაპირებ“ 30
- **თქვენთის ქალბატონები**
- ორთბრქოლა დამჯანსაღით დასრულდა! 31
- **ნეთისოფელი**
- საკუთარი სელით მომხადაბული გუითევი 33
- **სასარგებლო ინფორმაცია**
- რა პეპსი სეპრთო ბიქინის და აბომერ აუთიქებას?.. ??
- **ორნი**
- ანა შორეული და ანა ანლოპელი (მებრქაქლება) 36
- **კონსულტაცია**
- როგორ უნდა უთხრა არასასურველ მამაკაცს სექსზე უარი 39
- **ბანსადელი**
- ორამიჩრის მინაში ჩასახული ოქრო 41

მშენილები



თავისუფალი თემა

ასლობელს ოსებთან ჩხუბი მოუვიდა და საქმის გასარჩევად და ოსურის გადასათარგმნად ბიძაშვილი წაიყვანა. ოსებმა დაუწყეს მისთვის გაუგებარ ენაზე ლამარაკი, ბიძაშვილი კი უკუღმა უთარგმნდა.

83

■ მოღა ყველაზე უბრალო საშობის ქი შეიქმნა ელვანგურად ვაქსიოტ“	43
■ ავტორი ■ საკითხავი ქალბატონის ღამაში ნაშნაგები როგორ გქონდათ როგორ მოვაროთ თმას სივი ავიღოთ	46 47 48
■ ანტილაკონსანტი ■ მოზაიკა ადგილი, სადაც ხსოვრება შეუქმნა უჩვეულო პროფესიები	48 49
ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არსებული რელიგიური მიმდინარეობები	50
■ ჯანმრთელობა როგორ ვაქაოთ რა დინამიკა ქაქს	52 53
■ ოსტატი „12 მოსიქულა 12 თვის ბანავლობაში ვევაოგლი“	56
■ ქვალი ფირსმანის ბელი „უხეარულვაო ნიქალსთვის“	57
■ გზა ბაქაბელი „ბავშვობიდან არ მოქონდა საუქალაბა, ღვთის სიხყვას ვხიარბოდი“...	59
■ უმიჯრობის არქივიდან ურაგზა მიგბული მიტროპოლიტი და ექლანიის ქართსხვას შენიქალი სუთი სისოსხლა	62
■ თინიქარული პონტატი უსიყვარული ქორსინება	64
■ მინირომანი როგორს მიწდა	67
■ ნამღვილი აგბავი „პიარშიქი“ ხანუგა	69
■ ქართული ღებაქივი გოგა ბაველიქა. ქებები (დასახყისი)	70
■ რეალური ეშაქის მოსიქული (ბაგრქელაბა)	74
■ სასიყვარული რომანი სვება ქვარასხელია, ნითელი ფხსახმელი (დასახრული)	76
■ ლოქმენგური პროზა შხევედრა სბალინთან (ბაგრქელაბა)	80
■ გზავნილები თავისუფალი თემა	83
■ ყველა ერთისთვის „ან მარტო ღარჩები, ან სივი, უხეში აღამიანის სოლი განღები“	88
■ მარტივი რჩევები რა არის „ქარჩევა“?	90
■ მოგილიჩასია ■ გონიერი მკითხველი ■ არულიტი „ბავშვობაში ნიგნახს ქალღებანებით მაქითხაბღენ“	91 95 96
■ ბასართობი ■ ბაბახევა მწვანე საგყაროს მარტონელა ბინადარი	98 100
■ ღანქალისი „ამ სავებქალში რაღახ ფორმით მეღეა ისეღ ღარჩევა“...	102
■ ასტროლოგია ■ სქანეორღი ■ საფირმო ქროსქორღი	104 105 106

**საქოგადომებრივ-პოლიტიქური
ქურნალი „გზა“**
ბამოდის კვირახში მრთხელ, სუთხაბათობით
გაზმით „კვირის პალიტრის“ ღამაბაბა

ქურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიქა ქეჯია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

ღიზანინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
ლუქა ჟორჟოლიანი

მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. №49**
ტელ: **38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**
რეკლამა „გზაში“: **37-78-07; 38-78-70.**

აღამიანი „სტოპ, ცოდვა!“



უნდა ვიძახოთ — „სტოპ, ცოდვა!“ უნდა განვეშოროთ ცოდვებს და ღმერთი არა მარტო შეაჩერებს რუსეთის მთავრობის აგრესიას, არამედ აფხაზეთსა და სამაჩაბლოსაც დაგვიბრუნებს!

59

ბიბლუსი ქებები



სად გაქრა ის ხალხი, ვინც დაჭრილები საავადმყოფოში მოიყვანა?! — ხმას აუწია რამაზმა.

გოგას უმაღლესი თვალწინ დაუდგა მიმღებ განყოფილებაში შემოჭრილი სამი ახალგაზრდა. ისინი ყვირილით მობრბოდნენ დერეფანში და გაფითრებულები ექიმს ითხოვდნენ.

70

სამყარო „ყველაზე უბრალო საშობის ქი შეიქმნა ელვანგურად ვაქსიოტ“



სექტემბერ-ოქტომბერში ნამდვილად ბევრი ქორწილია. ეს დღე ყველა პატარძლისთვის განსაკუთრებულია. წლეულს თეთრ საქორწილო კაბებს იშვიათად ვკერავთ

43

ბანი-აუტი მწვანე სამყაროს მარტონელა ბინადარი



არ დაიფერებო, მაგრამ ჩინური ვარდი თავისი ბუნებით ლამაზ ქალს მაგონებს, ყველაფერი საუკეთესო უნდა, იმისათვის, რომ ერთი ცალი „ღიმილი (ყვავილი) გაჩუქოს“, სულ უნდა ევოფინო.

100

სერჟი(!!!), სკოლა და ამთავრე?!



შესავლის ნაცვლად

ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ფაქტია — ჩემი პროგნოზი სწორად მართლდება. თუმცა სატრაბახო რა არის? — უმეტეს შემთხვევაში კარგს არაფერს „ფინანსწარმეტყველებ“; წინა „პროგნოზი“, თუ გახსოვთ, ტალიავინის კომისიის საჯარო დასკვნაზე გამოვთქვი შიში; ისე აუხდეს ვოვა პუტინს ყველაფერი ცუდი — გამოხტა ვიღაც გერმანელი ექსპერტი, აღნიშნული კომისიის ერთ-ერთი წევრი და ისეთები ილაპარაკა, ჩოჩიევის მამიდაშვილი გეგონებოდა! ეს გერმანელები გამაგიჟებენ — რამ შეაყვარათ ამ ბოლო დროს რუსები და თან ასე ძალიან, ვერ გამოვიტყვი — ძალი და ძალიანშვილიო თუ მგელი და კრავიო... ერთად ძოვენო... მოკლედ, როგორც არის...

...კარბიურატორიანი ავტომობილები ცოტადა დარჩა თბილისში, მაგრამ რაც დარჩა, პატრონებს სერჟიკასთან მიჰყავდათ ხოლმე გასაკეთებლად. მთელ ქალაქში ოცი ლარი რომ ღირს ხელობა, სერჟიკა ორმოცს იღებს (უფრო სწორად — იღებდა), „მარკას ინვედა“ ვითომ, სინამდვილეში კი უბრალოდ თავხედი იყო! ჰოდა, ზის ახლა თავის „ბოქსში“ უსაქმოდა... მაგრამ ეს თავხედობა რა მოსატანია „მთავარი სერჟიკას“ თავხედობასთან?!

დრები მთელმა მსოფლიომ ნახა და არც ერაყული ტელემედის საჯაროობა მინდა, ჩვენსაზე მაღლა იდგეს — ყველა ქართულმა ტელეკომპანიამ გადაიღო ეს კადრები და ყველამ დამალა! ალბათ, „გაუტყდათ“, ბებერმა ბუშმა კოსტად რომ აიცილა ნასროლი „ჭურვი“ და ჩვენმა ახალგაზრდა და სპორტულმა პრეზიდენტმა — ვერა.

ისე, ამ უსიამოვნო ინციდენტის გარდა, იმ დღეს ყველაფერი კარგად იყო: სააკაშვილმა საქართველოში მორიგი(!) „ევროპაში საუკეთესო კურორტი“ აღმოაჩინა! ეტყობა, წელს აღარ აპირებს აჭარაში წასვლას — რა ქობულეთი და რის კვარიათიო! ანაკლიასა და განმუხურს რომ ნახავს კაცი, რაღა უნდა მონაკოსა და აკაპულკოშიო!!! (არ „ვპროგნოზატორობ“, მონაკო მართლა თქვა).

ტელევიზიებზე გამასენდა: ვიცი, არ არის ლამაზი კოლეგებზე აუგის თქმა, მაგრამ საიდუმლოს ხომ არ ვამუღავნებ, ისედაც ყველა ხედავს — ეტყობა, იმ ზნეფერშეცვლილი ხარისა არ იყოს, ესენიც ერთად არიან „დაბმულები“: პირველ სექტემბერს თბილისის 200 სკოლიდან ყველა „სამთავრობო“ (ისე, ბრჭყალები რა საჭიროა?) ტელევიზიამ ერთი და იგივე სკოლიდან(!) გადმოსცა რეპორთაჟი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ და ინტერვიუც იმ სკოლის 80 მასწავლებლიდან სამივემ ერთი და იგივე — ფიზიკის პედაგოგისგან აიღო!.. შემთხვევით, რასაკვირველია... გახსოვთ,



ეს „პროგნოზი“ რედაქციაში მიტანამდე მეგობარს ნავაკითხე და მისაყვედურა: — რა გაანწყალე გული, წინა ნომერშიც და იმის წინაშიც სომხები გყავს ნახსენები; ვინმეს ნაცისტი ეგონები, სომეხი ძმაცაცების მაინც არ გრცხვენიაო?!



იქნებ მართალიც იყოს და, ღმერთი-რჯული, აღარაფრის თქმას ვაპირებდი დღეს, მაგრამ „მომე პრეზიდენტმა“ სერჟი(კ) სარქისიანმა კიდევ ერთი „ძმური რჩევა“ მოგვცა (უფასოდ!) და როგორ არ ვახსენო?! რაო, და — სომხური ენა ოფიციალურ რეგიონულ ენად გამოაცხადეთ ჯავახეთში (კიდევ კარგი, ავღაბარშიც არ უნდა) და სომხური ეკლესიის საქართველოს ეპარქიაც ოფიციალურად დაარეგისტრირეთო! არა, მოხარებული ნაბლი არ მინდაო... რა ბრძანეთ? არა, არც ბებიაჩემისაო...



„პირველი არხი“, „იმედი“ და „რუსთავი 2“ შემთხვევით სვდებიან ერთმანეთს სიუჟეტების კეთებისას და არიან „შეუღურტულელები“...

კარგი, მოვრჩი, სერჟიკას მოვეშვით და ახლა ჩვენსა მივხედოთ. არადა, არ არის მისახედი, თუ რა?! — „მავანმა მოქალაქემ“ გააქანა და ბატონ პრეზიდენტს „ზედ შიგ პირდაპირ“ შუბლის ცენტრში რაღაც იაფფასიანი ფეხსაცმელი სთხლინა! უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ძალიან, ძალიან ცუდია, მაგრამ ათჯერ უფრო ცუდი ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ის „მსროლელი“ პრეზიდენტის დაცვამ დაიჭირა, უღმერთოდ სცემა და სადღაც წაიყვანა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ დაადგინა! და საერთოდ, არანაირი სურვილი არ მაქვს, ერაყი და ერაყული დემოკრატია ჩვენსაზე უკეთესი იყოს: იქაც ესროლა ვიღაცამ პრეზიდენტ ბუშს ფეხსაცმელი, მაგრამ კი არ „გადაკარგეს“ — ცივილიზებულად გაასამართლეს. სხვათა შორის, ის კა-

P.S. მოდი „სასკოლო“ და თანაც „სომხური“ ანეკდოტი გავიხსენოთ, მით უმეტეს, რომ მიუხედავად პირველი სექტემბრის „ალარ-არსებობისა“, ქართულ ტელევიზიებს „შემთხვევით“, ერთდროულად შეეშალათ და ამ დღეს გაუშვეს სასკოლო სიუჟეტები...
სომეხს ეკითხებიან:
— სერჟი(!!!), სკოლა დაამთავრე?
— არა, ბრატ-ჯან, „პაბელკა“-ლა დამრჩა...

პრომოკატორი

ბერმანულ კომპანიას გარდასვლილი უკრაინელების ორგანოებით უკანონო ვაჭრობაში აღსაზრდელები

ბავარიული ფარმაცევტული კომპანია — Tutogen — უკრაინაში გარდაცვლილი ადამიანების ორგანოების შექმნით იყო დაკავებული. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი მესვეურები გარდაცვლილთა ორგანოების მომზადებასა და შემდეგ, გაყიდვას მათი ნათესავეების თანხმობისა და ნებართვის გარეშე ახდენდნენ, — იუწყება გაზეთი „შპიგელი“. გამოცემა ეყრდნობა Tutogen-ის დოკუმენტაციას, რომელიც ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში. მათი მონაცემების მიხედვით, 2000-2001 წლებში აღნიშნული მიზნით, კომპანიაში 1152 ადამიანის გვამი გამოიყენეს. კომპანიის „შიდა“ პრაის-ლისტი აღნიშნულია, რომ 2002 წელს Tutogen უკრაინელ მომწოდებლებს მხრის ძვალსა და აგრეთვე, ბარძაყის ძვალში 42.90 ევროს უხდიდა.



აშშ-ის ეკონომიკა სოსხლდება



აშშ-ში საქმიანი აქტივობის ინდექსი, რომელიც ჩიკაგოს მენჯერთა ასოციაციამ დაადგინა, 2009 წლის აგვისტოში, ივლისის მაჩვენებელთან შედარებით, 6,6 პუნქტით გაიზარდა და 50 პუნქტს მიაღწია. ამის შესახებ ასოციაციის მიერ 31 აგვისტოს გამოქვეყნებულ ანგარიშშია ნათქვამი. ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ არსებული მაჩვენებელი აგვისტოში 48 პუნქტს არ გადააჭარბებდა, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. აღნიშნული ინდექსი მენჯერთა გამოკითხვის შედეგს წარმოადგენს; ის საწარმოო შეკვეთების რაოდენობის, წარმოებული პროდუქციის ფასების, საწყობებში შენახული ნაწარმის რაოდენობისა და ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის მიხედვით დგინდება. 45-50 ან უფრო ნაკლები პუნქტის მქონე ინდექსი ეკონომიკის განვითარების ტემპების შენელების ინდიკატორად მიიჩნევა.

ჩინელმა ქალბატონმა საკუთარი ნაწნავით 8 ავტომობილი გადააადგილა

„52 წლის ჩინელმა ქალბატონმა, ჩჟან ტინტინმა საკუთარ ნაწნავზე ზონრებით მიბმული 8 ავტომობილი, 30 მ მანძილზე გადააადგილა“, — იუწყება სააგენტო „როიტერი“.

მსგავსი რამ ჩინელ ქალბატონს პირველად არ გაუკეთებია, მაგრამ ეს მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა — გამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ მან თავი გადაიპარსა და ბუდისტი მონაზონი გახდა.

„თმა არ დამნაწნავია, პირიქით — გახარებული ვარ, მე გავთავისუფლდი მისგან. ნაწნავის მოჭრა ყოველთვის მსურდა, მაგრამ ამას ვერ ვახერხებდი“, — განაცხადა ჩინელმა ქალბატონმა. აღსანიშნავია, რომ ის ასევე, კუნგფუსს ოსტატია.

მომავალი წლისთვის ჩჟანი საკუთარი ნაწნავით თვითმფრინავის გადაადგილებას აპირებდა, რათა გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილიყო. ჩინელი ქალბატონი ხელიდან გაშვებულ ამ შანსსაც არ ნანობს.



ამერიკელ კინომსახიობებს უკრძალავენ...

ამერიკელ კინომსახიობთა გილდიამ, რომელიც ამ პროფესიის წარმომადგენელთა უმსხვილეს პროფკავშირს წარმოადგენს, თავის წევრებს აუკრძალა მონაწილეობა დოკუმენტურ ფილმში — This is it, რომელშიც ჯექსონის უკანასკნელი რეპეტიციის ჩანაწერები შევა. აკრძალვის მიზეზი გილდიასა და კომპანია AEG Live-ის პრომოუტერებს შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობა გახდა, რომლის თანახმადაც, მსახიობების გასამრჯელო და შრომის პირობები რეგლამენტირებული იყო. შეგახსენებთ, რომ კომპანია AEG Live ლონდონში მაიკლ ჯექსონის გამოსვლების — This is it — ორგანიზატორი გახდათ, რომელიც ივლისში 50 კონცერტის ჩატარებას აპირებდა. ამ ტურის მომზადებისას, დაახლოებით 100-საათიანი ვიდეომასალა გადაიღეს. უკანასკნელი ჩანაწერი 23 ივნისის რეპეტიციაზე — მომღერლის მოულოდ-



ნელ გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე გაკეთდა. ჯექსონის შესახებ დოკუმენტური ფილმი კინოგაქირავებაში 2009 წლის 30 ოქტომბერს გამოვა.



გეკლულობა საზღვარზე

საქართველოს შს სამინისტროს ცნობით, 2 სექტემბერს დილით ადიგენის რაიონის ერთ-ერთ სასაზღვრო საგუშაგოზე 3 ქართველი მესაზღვრე მოკლული იპოვეს. ამ საგუშაგოზე სულ 4 მესაზღვრე იმყოფებოდა. არსებული ინფორმაციით, დაღუპულთაგან ერთი — ადიგენის რაიონის, მეორე — ქარელის, ხოლო მესამე — ახალციხის რაიონის მკვიდრი იყო. მომხდართან დაკავშირებით, მხოლოდ კრიმინალური ინციდენტის ვერსია განიხილება, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. მისი თქმით, ცნობილია გარკვეული დეტალები და საქმე ძალიან მალე გაიხსნება. ამასთანავე, მინისტრმა საზღვარსაღმოსაფრთხილობის განყოფილებაში აღნიშნა, რომ არანაირი სხვა ვერსია აღნიშნულ



ფაქტთან დაკავშირებით არ განიხილება. ინფორმაცია, თითქოს საქართველო-სომხეთის საზღვარზე სროლა იყო, არის კლინიკური იდიოტიზმი, — დასძინა მინისტრმა. „მსგავსი ინფორმაცია სერიოზულ ზიანს აყენებს საქართველო-სომხეთის ურთიერთობას“, — აღნიშნა ვაშაძემ.

ქვეყანა

„მთავრსარდალმა“ ბაღაფუბა ბრძანება გასცა...

სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ქართული გემების განადგურების ბრძანება გასცა. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, ბაღაფუბა სეპარატისტული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვრო ფლოტს იმ ქართული გემების განადგურება უბრძანა, რომლებიც „აფხაზეთის აკვაციორიას“ დაარღვევენ. „სამხედრო-საზღვრო ძალებს ვუბრძანე, გაანადგურონ ქართული გემები, რომლებიც აფხაზეთის საზღვრო საზღვრებს დაარღვევენ. ეს ნაბიჯი საქართველოს მხრიდან დაუსრულებელი მეკობრული ქმედებით არის ნაკარნახევი“, — აღნიშნა ბაღაფუბა. მისივე მტკიცებით, ლაპარაკია მხოლოდ აფხაზეთის სამხედრო-საზღვრო ფლოტზე და ამ საკითხების გადაწყვეტაში რუსეთის სამხედრო-საზღვრო ძალები არ ჩაერთვებიან. „სამწუხაროდ, დღეს ქართველ მეკობრეებზე ისევე შეიძლება საუბარი, როგორც სომალელ მეკობრეებზე. ასეთ ქმედებებს ადეკვატური პასუხი უნდა გავცეთ“, — დასძინა „მთავრსარდალმა“.



„საკანი №5“ პალე ბანახლდება და ახალი ოფისიდან გავა ეთერში



როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტელეკომპანია „მეესტროს“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ლლონტმა განუცხადა, გადაცემა, რომელსაც კვლავ გაა გაჩენილადე (უცნობი) წაიყვანს, 23:00 საათზე დაიწყება და დროებით, ძველი ფორმატით იმუშავებს. ოქტომბრის შუა რიცხვებიდან კი „საკანი №5“ ეთერში განახლებული ფორმატით გააგრძელებს მუშაობას. „გადაცემის მსვლელობისას გავა საგამოძიებო ფილმები და სიუჟეტები, რის შემდეგაც, სტუდიაში მიწვეული სტუმრები დასმულ პრობლემებზე ისაუბრებენ“, — განაცხადა ლლონტმა. არა მხოლოდ გადაცემა „საკანი №5“, არამედ მთლიანად ტელეკომპანია „მეესტროს“ სექტემბრის მეორე ნახევრიდან ახალი ფორმატით მაუწყებლობის გაგრძელებას გეგმავს. როგორც არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნათია მიქიაშვილმა სააგენტოს აცნობა, კომპანია აპირებს 24-საათიან საინფორმაციო მაუწყებლობას, სადაც საქართველოს ამბებთან ერთად, დიდი ადგილი უცხოეთის სიახლეებსაც დაეთმობა. მისივე თქმით, საინფორმაციო გამოშვება ეთერში საათში ერთხელ გავა. „მეესტროს“ ახალი ფორმატით მაუწყებლობას ახალი ოფისიდან შეუდგება. ტელეკომპანია ნუცუბიძის ქუჩაზე გადადის, სადაც უფრო დიდი ფართობი და სტუდიები იქნება.

ჭიდილი კუნძულისთვის

დედამიწაზე უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი მზადაა, იყიდოს პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული ადგილი — კუნძული, სადაც აშშ-ის ექსპირველმა ლედიმ — ჟაკლინ კენედიმ 1968 წელს ბერძენ მაგნატ არისტოტელე ონასისზე იქორწინა. მაგრამ ხმელეთის ეს „ნაგლეჯი“ საეჭვოა, გეიტსს უბრძოლველად შეხვდეს: ამ ელიტური უძრავი ქონების შესაძენად ჭიდილს პოპმუსიკის დედოფალი მადონაც აპირებს. ონასისის გარდაცვალების შემდეგ კუნძული მისი ქალიშვილის — ქრისტინას მფლობელობაში გადავიდა, შემდეგ კი შვილიშვილის — ათინა რუსელის საკუთრება გახდა. არისტოტელე ონასისის ერთადერთი პირდაპირი

მემკვიდრე 2,5 მლრდ ევროს ოდენობის კაპიტალს ფლობს, რომელიც ჩადებულა: უძრავ ქონებაში, სხვადასხვა სფეროში მოქმედი კომპანიების აქციებში, ხელოვნების ნიმუშებსა და კერძო

თვითმფრინავებში. აღსანიშნავია, რომ კუნძულ სკორპიოზე არისტოტელეს შვილები — ქრისტინა და ალექსანდრე არიან დაკრძალული. კუნძულზე მდებარეობს სახლი სახელწოდებით Pink House, რომელიც ჟაკლინ კენედი-ონასისს განსაკუთრებით უყვარდა. საოცრად ლამაზი ბაღების გარდა, კუნძულზე ჩოგბურთის კორტიცაა... სკორპიოს ახლანდელი დიასახლისი იქ ძალზე იშვიათად ჩნდება. საბერძნეთის მთავრობასთან უთანხმოების შემდეგ, როცა მის მეუღლეს, ბრანზილიელ ალვარო დე მირანდას მოქალაქეობაზე უარი უთხრეს, მემკვიდრეს თავის სამშობლოზე საერთოდ აუცრუვდა გული. ათინა კუნძულს 120 მლნ ევროდ აფასებს. ■



ფაქტი და კომენტარი

„ხელისუფლებას თბილისი უნდა წავართვათ“

პოლიტიკოსები, ექსპერტები, ხელოვნების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები ფიქრობენ, რომ წელს შემოდგომა განსაკუთრებულად საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება. ვინ როგორ ემზადება შემოდგომისთვის და რას ელის უახლოეს მომავალში?..

სათუნა ბახტურიძე

ინგა ბრიგოლია, ჟურნალისტი:

— ამ შემოდგომისთვის ძალიან საინტერესო პოლიტიკური პროცესების განვითარებას ველი. სხვათა შორის, კარგად ვარ დასვენებული, დიდი ენერჯის მოზღვავებასაც გვრძნობ და როგორც არასოდეს, ისე ველოდები სამუშაო სეზონის დაწყებას.

— მაყურებელს რაიმე სიურპრიზს სომ არ უმზადებთ?

— ჯერ ძნელია ამის თქმა, წინასწარ ახალს არაფერს ვგეგმავ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბრძოლა მომინევს.

ლევან ვიზსვაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

— ვფიქრობ, რომ წინ ძალიან რთული შემოდგომა გველის. გარდა იმისა, რომ ბევრი სამუშაო გვაქვს (უნდა დავასრულოთ ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა, თან ახალი საარჩევნო კანონი და თვითმმართველობის არჩევნების რეფორმაც მოსამზადებელია), შესაძლოა, ქვეყანაში სიტუაციაც დაიძაბოს. ბოლო დროს ხალხის სოციალური მდგომარეობა სერიოზულად გაუ-

„ამდენ განახლებულ მშენებლობას რომ ვხედავ, იმედი მიჩნდება“

არესდა. ალბათ ხალხი ამჯერად, მხოლოდ პოლიტიკური კი არა, სოციალური მოთხოვნებითაც გამოვა ქუჩაში.

ია ანთაძე, ჟურნალისტი:

— ეს შემოდგომა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი იქნება. ჩემი აზრით, შემოდგომის პირველ ნახევარში ბევრ რამეს ნათელი მოეფინება. განსაკუთრებული ინტერესით სამთავრობო ცვლილებებს ველოდები; უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, მაინტერესებს, შეიცვლება თუ არა პრემიერ-მინისტრი და კონკრეტულად, ვინ იქნება მისი შემცვლელი.

— კონკრეტულად ამ საკითხით რატომ დაინტერესდით?

— ბოლო პერიოდში — 2009 წლის დასაწყისიდან დაიწყო ვანო მერაბიშვილის გავლენის ზრდის პროცესი, რომელმაც მოიცვა სკოლა, ჯარი და ტელევიზია. როგორც ჩანს, ეკონომიკური ბერკეტებიც მის ხელშია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნიკა გილაურიც მისი გუნდის წევრია. ამიტომ, ძალიან მაინტერესებს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ისევ მისი კადრი დაინიშნება თუ სხვა ვინმე.

დაჩი ცაგური, მოძრაობა „7 ნოემბრის“ აქტივისტი:

— დიდი ენთუზიაზმით ველოდები

ახალ საპროტესტო ტალღას. მე და ჩემი თანამოაზრეები დიდი ბრძოლისთვის ვემზადებით. ჯერ სასამართლო პროცესებზე დავრბივარ: ალბათ იცით, რომ ჩემი მეგობრების უმრავლესობა დღეს პოლიტპატიმარია.

— პოლიტპატიმარი ცოტა ხნის წინ თქვენც იყავით; ამ ფაქტმა რა გავლენა იქონია თქვენზე?

— უფრო მეტად შევედი ბრძოლის აზარტში. ახლა, ჩემს მეგობრებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოსაგებად თავდაუზოგავად ვიბრძობ. ხელისუფლებას თბილისი უნდა წავართვათ. იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს, საერთო საქმისთვის ოპოზიციური პარტიები პირად ამბიციებს გვერდზე გადადებენ და საერთო კანდიდატზე შეთანხმდებიან.

თიარ კაპულია, მომღერალი:

— შემოდგომას არაჩვეულებრივი განწყობილებით და იმედით ვხვდები, ზეადმატებულ ხასიათზე ვარ. ჩემი აზრით, შემოდგომა წლის ყველაზე ბარაქიანი დროა. ამიტომ მინდა, ჩემი შემოქმედებითი საღამო ამ სეზონზე ჩავატარო და ჩემს საყვარელ ხალხს მოვხვედრო. გარდა ამისა, 29 ნოემბერს ჩემი დაბადების დღეა და მინდა, განსაკუთრებულად აღვნიშნო.



— რამდენი წლის ხდებით?

— მაგას ვერ გეტყვი, ჩემს ასაკთან დაკავშირებით, იმდენი ტყუილი მაქვს ნათქვამი, რომ სინამდვილეში რამდენი წლის ვარ, აღარც კი მახსოვს.

— ადრე ამბობდით, რომ 102 წლამდე უნდა გცოცხლათ. ახლაც ასე ფიქრობთ?

— კი, აბა, რა! ძალიან გთხოვთ, 102 წლის რომ გავხდები, მოდით და ჩემთან ინტერვიუ ჩაწერეთ.

ნანა ფარუაშვილი:

— ჯერჯერობით ისევ ვისვენებ, გონიოში ვარ და მზის სხივებზე ვნებივრობ. ჯერ შემოდგომაზე არ მიფიქრია, ზაფხულს ვერ ვეღვი.

ბასა ფოცხიშვილი:

— საშემოდგომოდ, დიდ საპროტესტო აქციებს ველოდები. მგონია, რომ მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

ნათია ბაზაძე, დიასახლისი:

— ძალიან შეშინებული ვარ. ზაფხულში რუსების აგრესიის მეშინოდა, ახლა კი სამოქალაქო ომის მეშინია. ცალკე ოპოზიცია იმუქრება, ცალკე ხელისუფლება. კაცმა არ იცის, რა მოხდება.

გაფუა ტალახაძე, ექიმი:

— შემოდგომას დიდი ინტერესით ველი — მაინტერესებს, რას აპირებს ოპოზიცია. სულ იმას ამბობენ, შემოდგომიდან ახალი პროცესი დაიწყებაო. სხვათა შორის, ხელისუფლების გეგმებიც ძალიან მაინტერესებს. იმედი მაქვს, ახალი ეკონომიკის მინისტრი ახალი სამუშაო ადგილების გაჩენაზე იზრუნებს, თორემ ძალიან ცუდად იქნება საქმე. თუ ხალხი დაუსაქმებელი დარჩა, მერე ნებისმიერ პროვოკაციას ადვილად წამოეგება. მზიერი კაცი ყველაფერზე წამსვლელია.

თაყნა გარუაშვილი, სტუდენტი:

— ვფიქრობ, მალე ძალიან საინტერესო მოვლენების ეპიცენტრში მოხვდებით. ვხვდები, რომ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები ერთმანეთს დაერივნენ. ალბათ ეს პროცესი გაგრძელდება. ცალკე ოპოზიცია იმუქრება... ისე, დალაგებული ურთიერთობები არც მათ შორისაა. ერთი სიტყვით, მალე ალბათ ამ ქვეყანაში ისეთი ამბავი დატრიალდება, დედა შეიღს ვეღარ იცნობს.

კახა გარუაშვილი, არქიტექტორი:

— შემოდგომას იმედინად ვხვდები. ერთი პერიოდი სამუშაო ადგილების შემცირებამ ძალიან შემაშფოთა, მაგრამ ახლა

ამდენ განახლებულ მშენებლობას რომ ვხედავ, იმედი მიჩნდება. დარწმუნებული ვარ, მალე სხვა კუთხითაც მოგვარდება პრობლემები.

მოსალოდნელი პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ კომენტარის გაკეთება ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, **პიპ ხუბაშვილს** ვთხოვეთ.

— ბატონო გა, რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ საზოგადოების მოლოდინი, რომ შემოდგომისთვის ქვეყანაში ვითარება დაიძაბება?

— ჩემი აზრით, ეს მოსაზრება სრულიად საფუძვლიანია. ეკონომიკური ვარდნა ისევ გრძელდება, სამუშაო ადგილები მცირდება და ფასები იმატებს, შესაბამისად, სოციალური რისკებიც იზრდება. ეს კი საპროტესტო მუხტის გაზრდას უწყობს ხელს.

— განახლებული მშენებლობები სამუშაო ადგილების ზრდას ხელს ვერ შეუწყობს?

— მშენებლობები დღეს ძირითადად, ბათუმში მიმდინარეობს. ეს კარგია, მაგრამ დასაქმების პრობლემას ვერ ხსნის. თუ ამ მშენებლობებზე ათასი სამუშაო ადგილი იქმნება, ამის პარალელურად, ეკონომიკური ვარდნის გამო, სხვადასხვა სექტორში ათიათასობით ადგილი იკარგება.

— ეი. შესაძლებელია, საპროტესტო აქციები ამჯერად, სოციალურ ნადავზე დაიწყოს?

— ქართველებისთვის, სოციალურ ნადავზე პროტესტის გამოხატვა დამახასიათებელი არ არის. სოციალური პრობლემა მხოლოდ დამატებითი ფაქტორია, რომელიც მძიმე პოლიტიკურ ფონზე, საპროტესტო განწყობილებას აძლიერებს.

— რამდენად შესაძლებელია, ახალდანიშნულმა ეკონომიკის მინისტრმა სოციალური პრობლემების მეტნაკლებად მოგვარება შეძლოს?

— შეუძლებელია, იმიტომ, რომ ეკონომიკაში არსებული პრობლემების მიზეზი ლაშა ჟვანია არ იყო. არსებული სიტუაციის შესაცვლელად, მინისტრის კი არა, მთლიანი სისტემის შეცვ-

ლაა საჭირო.

— კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს?

— უნდა შეიქმნას ბიზნესგარემო და შემცირდეს პოლიტიკური რისკები. ეს ხელისუფლება კი საპირისპიროდ მოქმედებს და პოლიტიკურ რისკებს კიდევ უფრო ზრდის.

— როგორ ფიქრობთ — საკადრო ცვლილებები კიდევ გაგრძელდება?

— ჩვენს ქვეყანაში საკადრო ცვლილება სისტემის შეცვლის მიზნით კი არა, სიტუაციის განმუხტვის მიზნით ხორციელდება. ახლა „ბარტყების გადაგდების“ პროცესია დაწყებული. თუ სიტუაცია კიდევ გამწვავდა, ეს პროცესიც გაგრძელდება. არ არის გამორიცხული, შემოდგომაზე მინისტრთა კაბინეტი მთლიანად გადადგეს. ჯერჯერობით ისეთ „ბარტყებს ყრიან“, რომლებიც ადვილად ემეტებათ; უფრო მსხვილებს ალბათ სექტემბრის ბოლოსთვის გადმოყრიან.

— რამდენად მართებულად მიიჩნევთ მოსაზრებას, რომ საკადრო ცვლილებები ვანო მერაბიშვილის გავლენით ხორციელდება?

— მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ დღეს ხელისუფლებაში ბალანსი აღარ არსებობს და აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთი ადამიანი განაგებს.

— ვის გულისხმობთ?

— მერაბიშვილს.

— მისი გავლენის გაძლიერება სააკაშვილისთვის საზიფათო არ არის?

— თუ ხელისუფლებაში გარკვეული მანევრები არ ჩატარდა და ძალაუფლება სხვადასხვა გუნდს შორის არ განაწილდა, სააკაშვილი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. სულ ცოტა, ერთ წელიწადში მერაბიშვილი იმ ტექნიკურ პრობლემებსაც მოაგვარებს, რომლის გამოც სააკაშვილს ჯერჯერობით ვერ იშორებს თავიდან.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ოპოზიციამ, სახელისუფლებო ძალთა შორის არსებული დაპირისპირება ახალი საბრძოლო სტრატეგიის ჩამოყალიბებისას გამოიყენოს?

— რა სტრატეგიას გულისხმობთ?! პოლიტიკოსები ბევრს ლაპარაკობენ რალაც სტრატეგიებზე, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის. რეალურად, ქვეყანას ახალი სტრატეგიები კი არა, პოლიტიკური პროცესის სჭირდება, რომელიც არ მიმდინარეობს. ქალაქებში ვის რა უნერია, საზოგადოებას არ აინტერესებს, ის რეალურ ქმედებებს ელის. ასე რომ, მხოლოდ ხელისუფლება კი არა, ზოგადად, პოლიტიკური ელიტა იმსახურებს კრიტიკას. ■



ბაღ-ვენახიდან — ბაზრის დასლაგდა, დასლიდან — სასკოლო ბაზრობაზე...



სასწავლო წლის დაწყება ბავშვებისთვის პირველ რიგში, მონატრებულ მეგობრებთან შეხვედრას ნიშნავს, მშობლებისთვის კი — დამატებითი საზრუნავია. ის, რომ პირველ დღეს მოსწავლე განსაკუთრებულად უნდა გამოიყურებოდეს, უკვე ტრადიციად ქცეული ჩვეულებაა, მაგრამ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის ამ ტრადიციის ერთგულება მძიმე ტვირთია. შეეცადეთ გაგვეჩვენოთ, რა ვადაა დღეს ბავშვის სასკოლოდ მომზადება და ვინ როგორ ართმევს თავს ამ არცთუ იოლ ამოცანას.

ივა ტუნიავილი

6 წლის ნუციკო ნიჟარაძე 14 სექტემბერს პირველად შეაღებს სკოლის კარს და მისი ასაკისთვის უჩვეულოდ ღელავს. უნდა, რომ ამ დღეს განსაკუთრებულად ლამაზი იყოს და დედას სთხოვს, ვარცხნილობის გასაკეთებლად, სილამაზის სალონში წაიყვანოს. ნუციკოს სასკოლო სამზადისში მთელი ოჯახი მონაწილეობს: ბებომ თეთრი პერანგი და შავი ქვედაბოლო უყიდა, ბაბუამ — სამოსის შესაფერისი ფეხსაცმელი, მამიდამ — ჩანთა, მშობლებმა კი პირველკლასელისთვის აუცილებელი ყველა საკანცელარო ნივთი.

ლელა ნარიშანიძე, ნუციკოს დედა:

— უამრავი რამ ვიყიდეთ: რვეულები, ავტოკალმები, ფანქრები, ფლომასტერები, ფერადი ქაღალდები, ანბანი და კიდევ ათასი წვრილმანი. ეს დღე მთელი ცხოვრების განმავლობაში გახსოვს, ამიტომ გვირდა, ჩვენი შვილი ამ დღეს განსაკუთრებული იყოს. მართალია, სახელმძღვანელოები საყიდელი არა გვაქვს, რადგან განათლების სამინისტრო ყველა პირველკლასელს ჩანთითა და სახელმძღვანელოების სრული კომპლექტით ასაჩუქრებს, მაგრამ ბავშვის სკოლისთვის მომზადება მაინც საკმაო ხარჯს მოითხოვს. მე და ჩემს მეუღლეს გაგვიმართლა, რადგან ამ სამზადისში ოჯახის სხვა წევრებიც გვეხმარებიან, მაგრამ მაინც, საამისოდ ფულის დაზოგვა ზაფხულის დასაწყისიდანვე დაიწყეთ. ამის გამო, წელს ზღვაზე დასასვენებლად წასვლაზეც უარი ვთქვით. ბავშვი სკოლაში კვირაში ხუთ დღეს ატარებს და ყოველდღე ერთი და იმავე სამოსით ხომ არ ივლის?! თანამედროვე და ხარისხიანი სამოსი კი საკმაოდ ძვირი

ღირს. რა თქმა უნდა, ბავშვთან ერთად საყიდლებზე სიარული მაღაზიებში უფრო მოსახერხებელია, ვიდრე თუნდაც ხალხმრავალ ბაზრობებზე, მაგრამ მაღაზიებში კატასტროფული ფასები. მაგალითად, ბევრგან ერთი ხელი სამოსის ფასი 50-დან იწყება და 300 ლარსაც კი აღწევს. შედარებით დაბალი ფასებია ბაზრობებზე, მაგრამ „სპეკულაციური“ ფაქტორი იქაც იჩენს თავს. მოვაჭრეები პროდუქციის სიძვირეს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორით ხსნიან, თუმცა მეტწილად საქონელს მხოლოდ იმის გათვალისწინებით აძვირებენ, რომ ამ დროს მოთხოვნა დიდია. ყველაფერ ამის შედეგად, იმისათვის, რომ ბავშვი სასკოლოდ გამოაწყო, სულ ცოტა 300 ლარი გჭირდება. ოჯახების უმეტესობას კი ამხელა ყოველთვიური ჯამაგირი არა აქვს. არადა, იმის გამო, რომ სასკოლაში ფორმები არ აცვიათ, ბავშვები ერთმანეთის ჩაცმულობას დიდ ყურადღებას აქცევენ, განსაკუთრებით — გოგონები. სამწუხაროდ, ხშირად მეგობრებსაც ამის მიხედვით ირჩევენ — ანუ, ვისაც კარგად აცვია, სწორედ ის ხდება მისაღები. ჩემი დისშვილი მეექვსე კლასში სწავლობს და მისგან ვიცი, რომ მოსწავლეები მასწავლებლების ჩაცმულობასაც დიდ ყურადღებას აქცევენ და ხშირად ამის გამო, ან აკრიტიკებენ, ან, პირიქით, ქათინაურებით ამკობენ... დარწმუნებული ვარ, მატერიალური თვალსაზრისით, წინ მძიმე სასწავლო წელი გველის. მე და ჩემს მეუღლეს ალბათ ბევრ რამეზე მოგვინევს უარის თქმა იმისთვის, რომ ნუციკოს ყველაფერი ჰქონდეს და თანატოლებთან თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს...
შარშანდელი წლის განმავლობაში პოლიგრაფიული ქაღალდის ფასი 10%-ით გაიზარდა — სწორედ ამ არგუმენტს იშველიებენ სასკოლო სახელმძღ-

ვანელოებით მოვაჭრენი, როდესაც უკმაყოფილო მომხმარებლის პრეტენზიებს ისმენენ. წელს, სახელმძღვანელოების ფასი 5 ლარიდან იწყება და 25 ლარს აღწევს; ყველაზე ძვირი — უფროსკლასელთათვის განკუთვნილი პაკეტიკა.
ნატა ენუძიძე, ფილოლოგი:
— ჩემი ვაჟი XII კლასში გადავიდა. წლების განმავლობაში სხვისი ნაქონი წიგნებით ვსარგებლობდით. მეგობრები, ნათესავები მათი შვილების ნაქონ სახელმძღვანელოებს გეჭუქნიდნენ, რაც ჩვენითვის დიდი შეღავათი იყო. ბოლო 2 წელი კი მათაც გაუჭირდათ და იმისათვის, რომ ახალი სახელმძღვანელოები შეიძინონ, ძველ წიგნებს ყიდნან. ბაზრობებზე რამდენიმე დახლია, სადაც მეორად სახელმძღვანელოებს იბარებენ და შემდეგ, უფრო ძვირად ყიდიან. მეთორმეტეკლასელებს დაახლოებით 10 წიგნი სჭირდებათ. შარშან, მხოლოდ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში 15 ლარი გადავიხადე, წელს კი ალბათ მეტი ელირება. ერთ წიგნში ამდენს რომ გადაიხდი, მთელი კომპლექტი რა დაგიჯდება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ამას დაუმატეთ სხვა ხარჯებიც — მაგალითად, სამოსი და გაითვალისწინეთ, რომ 17 წლის ვაჟს ზრდასრული მამაკაცის ფეხსაცმელი და ტანსაცმელი სჭირდება. გამომართლა, რომ ჩემს შვილს სამოსსა და ჩანთებს უცხოეთში მცხოვრები ჩემი მეგობრები უგზავნიან. ასე რომ არ იყოს, სასექტემბრო სამზადისი ჩემი ხელფასით ვერც შევწვდებოდი. ახლა, სისტემატური ხარჯებიც გავიხსენოთ. მართალია, მშობლისთვის დიდი შეღავათია ის, რომ მოსწავლეები საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობენ, მაგრამ ბავშვი რომ მთელი დღე სახლიდან გასულია, სადილობა ხომ უნდა?! მხოლოდ იმისთვის, რომ შიმშილის

გრძნობა მოიკლა, სულ ცოტა, 5 ლარი გჭირდება... მოსწავლეთა უმეტესობა სხვადასხვა წრეზე დადის, რაც მშობლებისთვის დამატებითი ხარჯია. მასსოვს, ჩემს დროს სახელმძღვანელოებს უფასოდ გვირიგებდნენ; ფორმა მალაზიაში 14 მანეთი ღირდა; 20 კაპიკად სკოლის სასადილოში დანაყრდებოდი: მაგალითად, 5 კაპიკი ღირდა ლავაშის მეოთხედი, ხილის ჯემით; ანდა რა გემრიელი იყო 20-კაპიკიანი კატლეტი... ალბათ ჩემი თაობის ბევრ ადამიანს ასსოვს...

თუ თბილისელებს უჭირთ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად პრობლემურია შვილების სასკოლოდ მომზადება სოფლის მკვიდრთათვის. ზაფხულში ხშირად ჩავდივარ ჩემს მშობლიურ რაიონში, სადაც მოსახლეობის ერთადერთი შემოსავალი — სამომდგომოდ მონეული მოსავალია. კასპის სოფლებში ახლა სწორედ მოსავლის აღების დროა; გაყიდული პროდუქტის დიდი ნაწილი გლეხებს შვილების სასკოლო სამზადისის დროს ეხარჯებათ.

ლია ოძროპრიძე:

— 3 შვილი მყავს და სამივე — სკოლის მოსწავლეა. სოფელში ბავშვები უფრო მეტად, ერთმანეთის გამონაცვალსამოსში იზრდებიან, მაგრამ სასკოლოდ ერთი ხელი ახალი სამოსი ხომ უნდა ვუყიდოთ! წლის სხვა დროს ჩვენს პატარებს საყიდლებზე წასვლის ბედნიერება ფაქტობრივად, არა აქვთ. მაშინ, როდესაც ქალაქში მცხოვრები მათი თანატოლები აგარაკზე ისვენებენ, სოფლის ბავშვები მშობლების მხარდამხარ, ბაღებსა და მიწებებში შრომობენ. გარიჟრაჟზე სოფლის სავარგულებს თუ გახედავთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ახლა ხახვის, პომიდვრისა და კარტოფილის აღების დროა. რაც ოჯახს სჭირდება, ზამთრისთვის ვინახავთ, დანარჩენი კი გასაყიდად ბაზარში მიგვაქვს. ყოველ დღით, 5 საათზე ჩვენი სოფლიდან თბილისამდე ავტობუსი გადის და თუ ჩვენთან ერთად იმგზავრებით, დარწმუნდებით, რომ მგზავრთა უმეტესობა ბავშვია. წინააღმდეგ მშობლებს ბაზრისთვის პროდუქტების მომზადებაში ეხმარებიან, შემდეგ, გამოუძინებლები, ბაზარში მათთან ერთად ნობათს ყიდიან, იქიდან კი ბაზრობაზე მიდიან, რომ სკოლისთვის სამოსი, ჩანთა და წიგნები შეიძინონ. ოფლით მონეულ მოსავალს „კაპიკებში“ ვყიდით, სამოსსა და სკოლისთვის საჭირო ნივთებს კი ოქროს ფასი ადევს. სამივე შვილს ყველა სახელმძღვანელო რომ ვუყიდო, დაახლოებით 300 ლარი მჭირდება; ამას თითო ხელი სამოსიც რომ დავუმატოთ, სულ მცირე, 500 ლარია საჭირო. მიწაზე მომუშავე ადამიანი იოლად მიხვდება, რამდენი უნდა ვიშრომო, რომ ამხელა თანხის საფასური მოსავალი მოვიყვანო; სულ მცირე, ათჯერ მაინც უნდა გავიტანო პროდუქტები ბაზარში. ვინც ქართველი გლეხების ყოფას იცნობს, დამეთანხმება, რომ ჩვენი შვილებისთვის

სასკოლო სახელმძღვანელოებზე მაინც უნდა არსებობდეს გარკვეული შეღავათი, რათა წიგნების ყიდვა ჩვენც შევძლოთ და ზოგადი განათლება ჩვენს შვილებსაც მივცეთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც წიგნს საზიაროდ ვყიდულობთ და ერთი სახელმძღვანელოთი მთელი უბანი სწავლობს.


მალაზიებსა და ბაზრობებზე, სადაც უნდა გაიხედო, ყველგან სასკოლო ჩანთებით, საკანცელარიო ნივთებითა და თეთრი პერანგებით ვაჭრობენ. კრიზისის მიუხედავად, მოვაჭრეებს მუშტარაც ბევრი ჰყავთ, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, მომხმარებლის სიმცირეს მაინც უჩივიან.

ბაია დავითულიანი, მოვაჭრე:

— ამ დროს ბავშვთა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ჩანთები კარგად იყიდება, ამიტომ მათაც, ვინც მანამდე სხვა საქონლით ვაჭრობდნენ, სასექტემბროდ, სასკოლო საქონელი მოაქვთ. მართალია, გასულ თვეებთან შედარებით, მყიდველთა რიცხვი აშკარად გაზარდილია, მაგრამ ბოლო წლებს თუ შევა-

დარებთ, გაყიდვებმა მნიშვნელოვნად იკლო. ხელისუფლებაში უარობენ, მაგრამ აშკარაა, რომ ეკონომიკური კრიზისი ჩვენს მოსახლეობასაც დაეტყო. ჩვენი ვაჭრობა მოსახლეობის შემოსავალზეა დამოკიდებული, ამიტომ, ხალხის გაჭირვებასა და კეთილდღეობას კარგად ვგრძნობთ. ახლა ხალხს ძალიან უჭირს. ბევრს შემოსავალი შეუმცირდა, ზოგმა კი სამსახური დაკარგა. ვინც ადრე ბავშვებისთვის სასკოლოდ, 2-3 ხელტანსაცმელს ყიდულობდა, ახლა ერთს სჯერდება. მომხმარებლები გასაყვედურობენ იმის გამო, რომ ამ გაჭირვებისას პროდუქცია კიდევ ძვირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი, ბოლო დროს საქართველოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ადმინისტრირების გამკაცრებაა. მაგალითად, თურქეთიდან საქონლის შემოტანა ახლა ორჯერ უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე თუნდაც შარშან და გასაყიდ ფასსაც შესაბამისს ვადებთ. მეც მშობელი ვარ, სახლში ორი მოსწავლე მყავს და სასწავლო წლის დასაწყისი ჩემთვისაც მძიმე ტვირთია. ■

ბიბლუსი
წიგნის მაღაზიათა ქსელი



უნდა ვთქვათ, უნდა ვაჩვენოთ, თუ სად ჩხედავთ, წიგნით და მხოლოდ წიგნით.

საქართველო

საქონლე წიგნებს - უყვარსე იქნება!

თბილისი: აღმაშენებლის №121; იოსებძის №49; რუსთაველის 40/1	სენაქი: რუსთაველის №241 ფოთი: ფარნავაზ მეფის №12 სამგურული: სააკაძის №6
ხათუმი: შ. აბაშიძის №62	ხაშური: რუსთაველის №39
ზუგდიდი: რუსთაველის №92	ფეშთი: რუსთაველის №11

თბილისი რუსთაველი მეგობრობის გამზ. №12
[კინორთავარი რუსთაველის წინ]



ჰინ როგორ შოულობს ფულს და შეხმ თუ არა ეკონომიკური კრიზისი გეგვებს

ცნობილი გამონათქვამია — ბედნიერება ფულს არ მოაქვსო, — მაგრამ ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ უფულოდ ცხოვრება ძალზე ძნელია და თუ მაინც ტირი, უმჯობესია, „მერსედესში“ იტრო, ვიდრე — ავტობუსში. ჰოდა, გინდა თუ არა, იძულებული ხარ, დღე და ღამე ფულისა და ლუკმაპურის შოვნაში გაატარო და უკეთეს მომავალზე იზრუნო.

მარი ჯაფარიძე

იყო დრო, როდესაც ჩემი ხელფასი თვეში 60 ლარს შეადგენდა. მაშინ ვფიქრობდი: ახლა 200 ლარი რომ მქონდეს, აღარ დავინუნუნებდი, ყველაფერში მეყოფოდა-მეთქი. შემდეგ, როდესაც ჩემი ხელფასი 200 ლარი (და ცოტა მეტიც) გახდა, ვფიქრობდი: 500-ლარიანი ხელფასი დამხატავდა-მეთქი; მერე 800 ლარზე ვოცნებობდი... ახლა უკვე 2 ათასზე ვოცნებობ... აქედან დასკვნა: იზრდება შემოსავალი, იზრდება — მოთხოვნილება... იმ ადამიანების საქმიანობას, ვინც ჩემი რესპონდენტები გახდნენ, „წვირილ ბიზნესს“ ვერ დავარქმევთ, მაგრამ საინტერესოა, ვინ როგორ შოულობს ფულს და ვის ჯიბებს შეეხო ყველაზე მეტად კრიზისი?


დათუნა, 14 წლის:

— მამა არ მყავს, დედა მალაზიაში მუშაობს, გამყიდველია და ოჯახს ის არჩენს. იმდენი ხელფასი არა აქვს, რომ ხელგაშლილად ვიცხოვროთ. მე უკვე დიდი ბიჭი ვარ, შეყვარებულიც მყავს და მისთვის ნაყინის ან შვხეშუმბირის საყიდელ ფულს დედას რომ არ ვთხოვ?! მას ისედაც ბევრი პრობლემა აქვს და არ მინდა, ზედმეტად დავტვირთო. გადავწყვიტე, მეშუშავა. 12 წლის ვიყავი, თონეში რომ დავინწყე მუშაობა. საცხობი დღე და ღამე ღია იყო და უფრო ხშირად, ღამით მიწევდა მუშაობა. თვეში 150 ლარი მქონდა ხელფასი და მყოფნიდა. დედას ტანისამოსის ფულსაც აღარ ვთხოვდი. მერე ის თონე დაიხურა და უმუშევარი დავრჩი. ახლა კი „ავტო-პროფილაქტიკაში“ ვმუშაობ. თან ხელობას ვსწავლობ, თან ხელოსანს ვეხმარები და დღეში 10 ლარს მიხდის. როცა ხელობას დავუფლები, მერე დამოუკიდებლად ვიმუშავებ და უფრო დიდი გასამრჯელო მიქნება.

დიდი ოჯახი გაქვთ?

— არა, მხოლოდ მე და დედა ვცხოვრობთ ერთად. ისე, ბებიამ მყავს, ცალკე ცხოვრობს; უკვე მოხუცია და ვეხმარები ხოლმე; ხან ფულს ვაძლევ, ხან პროდუქტით ვამარაგებ.

— კრიზისმა შეწვდეს ხომ არ იმოქმედა?



— არა, მე კრიზისი არ შემხებია. პირიქით, ახლა უფრო მეტი ხელფასი მაქვს.

— სკოლასა და სამსახურს როგორ შეათავსებ?

— მოვახერხებ როგორმე. ჯერ ზაფხულია და მთელი დღე ვმუშაობ, მერე კი ალბათ, ხან გაკვეთილებს გავაცდენ, ხან — სამსახურს.

იღუარდი, 36 წლის:

— უკვე აღარც კი მახსოვს, როდის დავინწყე „მარშრუტკაზე“ მუშაობა. როცა სამსახურს ვერ შოულობ, ყველაზე კარგი გამოსავალი — მძღოლობაა. ხომ ხედავთ, „მარშრუტკებს“ და ტაქსებს მიაქვს ქალაქი. წინათ უფრო მეტი ხალხი მოძრაობდა სამარშრუტო ტაქსით. მერე, როცა ყვითელი ავტობუსები შემოიყვანეს და მისი ფასი 20 თეთრი იყო, ხალხი შემცირდა. მაშინ ძალიან გამიჭირდა ხაზისა და მანქანის შენარჩუნება. მერე ავტობუსით მგზავრობის ფასი გაიზარდა და ისევ მოგვემატნენ მგზავრები.

— დღის განმავლობაში თქვენი შემოსავლის რამდენს შეადგენს?

— სეზონს გააჩნია: ზაფხულში — უფრო ცოტაა, რადგან ხალხი დასასვენებლადაა წასული, დანარჩენ დროს — უფრო მეტი. ზაფხულში 10-15 ლარი მრჩება, სხვა სეზონზე — 20-25. სანავი ხომ უნდა ჩავასხა! დღეში 60 ლარის მარტო ბენზინი მჭირდება; მერე, ხაზის ქირა უნდა გადავიხადო, დღეში 15 ლარი, მანქანაც ჩემი არ არის, ნაქირავეები მყავს და დღეში 45 ლარს პატრონს ვუხდი. ჰოდა, მეტი რაღა უნდა ქნას ამ ერთმა მანქანამ?!

— კრიზისი თუ შეგებოთ?

— არა, აბა, კრიზისს ჩემთან რა უნდა?! მე ხალხზე ვარ დამოკიდებული, ამ ხალხს კიდევ, უნდა თუ არა, მაინც უნდა იმგზავროს; სამსახურში ხომ უნდა წავიდნენ?! ჰოდა, მაინც 50 თეთრი უნდა გადაიხადონ. ისე, ამას წინათ ერთი ქალი ჩავიდა და 30 თეთრი მომცა. ქალბატონო, 50 ლირს-მეთქი, — ვუთხარი. კი, მაგრამ შენ

არ გაგიგია, კრიზისი რომაა? ეგერ, ობამასა და პუტინს გაუჭირდათ და მე რომ გამიჭირდეს, რა გიკვირსო?! რა უნდა მეთქვა? ხმა ვერ ამოვიღე.

ქალაქარეთ, ცენტრალურ ტრასაზე საზამთროთი მოვაჭრეები არიან ჩამწკრივებული. ერთ-ერთი მათგანი მეტისმეტად ახალგაზრდაა. მას საზამთროს გროვის უკან სანოლიც უდგას და ფაქტობრივად, იქ ცხოვრობს.

პანა, 23 წლის:

— უკვე მესამე წელია, რაც ზაფხულობით საზამთროს ვყიდი. წინა წლებში სხვადასხვა ადგილას ვყიდდი ხოლმე, წელს კი აქ მოვედი და ყველაზე სარფიანი ეს აღმოჩნდა. სანამ ცოლს მოვიყვანდი, მანამდე მშობლების იმედად ვიყავი, მაგრამ ოჯახმა მაიძულა, მეშუშავა. კახელი ვარ, საზამთრო ბლომად მოდის ჩვენკენ.

— შენს მოყვანილ მოსავალს ყიდი?

— არა, კაცო, იქვე ვყიდულობ, ჩვენთან, სოფელში და მერე აქ ვყიდი.

— დღეში რამდენ კილოგრამს ყიდი დაახლოებით?

— ბლომად ვყიდი, ხანდახან, თუ ცხელია, 2 ტონამდეც კი ავიღებ.

— მოგება რამდენი გრჩება?

— ახლა ბიზნესის საიდუმლოს კი ნუ გამამტყუებ... ეგა, გენაცვალე, „ლიჩნი“ ინფორმაციაა. სულ მცირე, 30 ლარს ვშოულობ დღეში, ხან — მეტსაც. საზამთროს რომ არ ვჭრიდეთ, მაშინ მეტს ვიშოვიდი, მაგრამ რომ გავჭრი და ცუდი შემხვდება, ეგ ხომ ზარალია?!

— ღამე აქვე გძინავს?

— კი, მამ, რა ვქნა?! აბე, ყველას მანქანები ჰყავთ და მანქანებში ჩააბარებენ რამე საქონელს და იქვე იძინებენ; მე კი მანქანა არ მყავს და საზამთროს ტრასაზე ხომ ვერ მივატოვებ! ამიტომ, აქვე ვიძინებ, სუფთა ჰაერზეც ვარ და ღამით გრილა კიდევ. ეგე, როგორი „კრაოტი“ მაქვს! გაიხარე „პრუჟინან კრაოტშიო!“ — რომ

იტყვიან ხოლმე, ზუსტად ისეთია. ერთი ეგაა, რომ ამ ზაფხულს სულ წვიმდა და საწოლის თავზე ცელოფანს გადავჭიმავდი ხოლმე. ისე, რომანტიკაა ნამდვილი: ნევზ-არ ტრასაზე, მანქანები მიდი-მოდიან, შენ კი გძინავს და წვიმის წვეთები ცელოფანზე წკაპუნობენ.

ვისაც დიდუბის ავტოსადგურთან შეხება ჰქონია, ალბათ უნახავს კიდევ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც სიმინდის ბურბუშელას ყიდის და მგზავრებს თხოვნით გულს უწყალებს: „იყიდე, რაა, იყიდე, რაა!.. კარგი, რაა, რა მოგივიდა, იყიდე, რაა!“ — და სანამ არ აყიდვინებს, არ მოეშვება. ჩემთვის სახელის გამხელა არაფრის დიდებით არ მოინდომა.

— ეტყობა, კარგად ვაჭრობ, არა?

— ჰო, კარგად ვვაჭრობ, ბევრს ვყიდი.
— დღეში რამდენ ბურბუშელას ყიდი?

— თუ დილით ადრე გამოვდი, 150 ცალიც გამიყიდა.

— მოგება რამდენ გრჩება?

— 5-7 ლარი მაქვს ყოველდღე.
— გყოფნის?

— საბანი სადამდეც გაგწვდება, ისე უნდა დაიხურო.

— კრიზისის შესახებ თუ გსმენა რამე?

— კი, როგორ არა?! კრიზისმა ჩემს ბიზნესზეც იმოქმედა. ადრე უფრო მეტს ვყიდდი. ახლა ხალხს „მარშრუტკის“ ბილეთის ფულიც კი ნასესხები აქვს და ჩემი ბურბუშელასთვის ფულს ვეღარ იმეტებს.

— შენ თუ გიყვარს ბურბუშელა?

— არა, არ მიყვარს. ადრე გავსინჯე და არაფრის გემო არა აქვს. პირში ჩაიდებ თუ არა, ქრება. მაგრამ ამას კლიენტებს კი არ ვუბნებ; იმათ ისე შევუქებ ხოლმე, რომ სჯერათ, მართლა გემრიელია.

აპრილი, 42 წლის:

— თქვენს პროფესიას „კრიკუნ“ ჰქვია, არა?

— ჰო, ასე ეძახიან. ჩემი მოვალეობაა, „მარშრუტკებისკენ“ მოვიზიდო ხალხი. უკვე დიდი ხანია, რაც ლილოში ვმუშაობ. ვდაგავარ „მარშრუტკასთან“ და ვყვირი — „აბა, დიდუბე, აბა, ვაგზალი, აბა, ისანი.. აქეთ, ისანი, აქეთ!“

— ეს ცნობილი ფრაზაც, — „2 კაცი და გადვიფარ!“ — თქვენი მოგონილია ალბათ.

— ჰო, მამ! ჩემი თუ არა, რომელიმე ჩემი კოლეგის მოგონილი იქნება...

— დღეში რამდენს გამოიმუშავებ?

— „მარშრუტკის“ მძღოლები მიხდინან; „სტაფკა“ — ლარია, მაგრამ ზოგი მეტს მამლევის, ზოგი — ნაკლებს. მთლიანობაში 10-15 ლარი გამომდის.

— გყოფნით?

— ვის ეყოფა?! მაგრამ აბა, რა ვქნა? მარტოხელა კაცი ვარ, ცოლს დიდი ხანია, გავცილდი და ჩემს თავს კი ვინახავ. ბევრს არ ვხარჯავ, ყოველდღე ცოტ-ცოტას კი „შავი დღისთვის“ გადავდებ ხოლმე; რა იცი, რაში დამჭირდება?..

ჩემს ეზოში თითქმის ყოველდღე შემოვივლის ძველი „მოსკვიჩი“, რომელშიც ასე, 40-ოდე წლის მამაკაცი და ახალგაზრდა გოგონა სხედან. კაცი მანქანიდან თავს გამოყოფს და დაიძახებს: „აბა, მოძრავი ბაზარი, საზამთრო, კიტრი, პომიდორი, ხილი, ბადრიჯანი!“ მერე, პირელი კლიენტის გამოჩენისთანავე, მანქანიდან გადმოვია, შვილს დაიხმარს, პროდუქტს კოხტად ჩაალაგებენ ცელოფანის პარკში და აწონიან.

— მამა-შვილი ხართ?

— დიახ.
— დიდი ხანია, ასე ვაჭრობთ?

— უკვე 7 წელია. წინათ კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, თავმჯდომარე ვიყავი. მერე ცხოვრება გაჭირდა და ოჯახის სარჩენად, ეს გზა მოვძებნე. პროდუქტს მარნულში ვყიდულობ და ასე ჩამოვატარებ ეზო-ეზო. ზაფხულობით გოგოც მესმარება. ახლა მალე სკოლა დაწყება და მერე უნდა ისწავლოს. კარგად სწავლობს; წიგნებიდან თავს ვერ ააღებინებ, სანამ ყველაფერს არ ისწავლის. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნასწავლი გოგო გამოვიდეს და ჩემსავეთ არ ინვალოს. ახლა თან იმიტომ დამყავს, რომ შრომის ფასი გაიგოს. თვითონაც 1-2 „კაპიკს“ აკეთებს და ახლა სასკოლოდ, ტანისამოსსა და წიგნებს შეიძენს.

— თვითონ როგორ აკეთებს 1-2 „კაპიკს“?

— როგორ და მოლაპარაკებელი ვართ, რომ მაგალითად, კარტოფილი, ბადრიჯანი და კომპოსტო მაგის საქონელია და მოგებაც მისია. ასე რომ, თავისი ფული აქვს და თავსაც ინახავს.

— მოგება რამდენი გრჩება?

— რა ვიცი, ხან როგორ, ხან — როგორ. ამას წინათ 40 ლარიც კი გვაკე-

თეთ. საშუალოდ, 15-20 ლარი რჩება. ბევრი არ არის, მაგრამ პროდუქტიც გვრჩება.

— კრიზისი თუ შეგეზობ?

— კი-ი, როგორ არა?! წინათ უფრო კარგად ვყიდდით ყველაფერს, უფრო მეტს და მოგებაც მეტი გვრჩებოდა. ხალხს ფული აღარ აქვს და რა ქნას?!

ბოლო რესპონდენტი უძველესი პროფესიის წარმომადგენელია. ის პეკინზე დგას და კლიენტებს ელის. სიმართლე რომ გითხრათ, კარგა ხანს ვყოყმანობდი, ვიდრე მასთან გასაუბრებას გადავწყვეტიდი (არ უყვართ უურნალისტები და ინტერვიუები), მაგრამ ბოლოს მაინც მიუუახლოვდი.

— გამარჯობა.

— რა გინდა?

— რალაც მინდა, გკითხო.

— რა შეკითხვები აგიტყდა, რა გინდა?

— მაინტერესებს, ეს მსოფლიო კრიზისი თუ შეგებო შენს „ბიზნესს“?

— ჰმ, რა უცნაური ხარ... უურნალისტი ხარ თუ სოციოლოგიურ გამოკითხვას აწარმოებ?

— უფრო — უურნალისტი.

— ჰოოო, კარგი, მაშინ გეტყვი, რომ კრიზისი ალბათ ყველაზე მეტად, ჩვენს სფეროს შეეხო. აღარ უნდათ ფულის გადახდა. მუდმივი კლიენტებიც კი წუნუნებენ. ადრე თუ 20 ლარს იხდიდნენ, ახლა 10-საც ხელის კანკალით მაძლევენ. მევაჭრებიან და არის ერთი ამბავი. ვუბნები: კაცო, კრიზისი თუა, მაშინ სექსშიც კრიზისია და აქეთ არც გამოიხედოთ-მეთქი. არ ესმით! სექსი უნდათ, ფულის გადახდა — არა... თუ კრიზისი გაქვს, გაგიჭირდა და ფულს ვეღარ შოულობ, რა გცინებია?! დაჯექი, რა, სახლში და ცოლი მოგცემს უფასოდ. ადრე ხანდახან ერთდროულად 3-4 მანქანა ჩერდებოდა, ახლა კი იშვიათად თუ „ნაგიტორმუხებს“ ვინძე.

— ეი. შემოსავალიც შეგიმცირდა...

— კი. თუ ადრე 100-150 ლარს ვშოულობდი, ახლა 30-40 ლარიც აღარ გამოდის დღეში.

— იქნებ რაიმე სამსახური გეშოვა?..

— ნადი, ახლა, ნადი, არ დამიწყო მორალის კითხვა! სად ნახავ შენ ისეთ სამსახურს, 20 ლარზე მეტს რომ შოულობდე?! მოვლენ აქ, ჭკვიანები, ჩაცმულ-დახურულები, მანქანებით და დაგინყებენ ჭკუის დარიგებას! მე რომ შენსავით, ნამუსზე ხელი ამელო, განა შენზე ნაკლები უურნალისტი გამოვიდოდი?! აღარაფერს ვრიდებით, ყველაფერზე მიდინართ, ოღონდ კი რაიმე სტატია დაწეროთ და „გრომები“ გამოიმუშაოთ...



ვლადიმირ პუტინის ურყევი კალაუფლება

რუსეთის ამჟამინდელი პრემიერი ვლადიმირ პუტინი სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ენერგიული, გაბედული ხელმძღვანელის იმიჯსა და ხისტ პოლიტიკურ სტრატეგიას იყენებს, ზოგიერთი ანალიტიკოსის ვარაუდით კი ის მალე პრეზიდენტის პოსტზეც დაბრუნდება.

ჩია ტანისა და იდუმალი ღიმილის მქონე, კა-გე-ბეს ყოფილი ოფიცრის — ვლადიმირ პუტინის რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე პირველი გამოჩენიდან 10 წელი გავიდა. ბიუროკრატიული სიბნელიდან გამომობილი, ეს, ფაქტობრივად, ყველასთვის უცნობი ადამიანი წელიწადსა და რამდენიმე თვეში ქვეყნის მესხეთე პრემიერ-მინისტრი გახდა. პუტინი ამ პოსტზე იმ დროისთვის უკვე საფუძვლიანად ჯანმრთელ ბაშერყეულმა ბორის ელცინმა დანიშნა, რომელიც სიტუაციას ველარ ფლობდა და კორუფციისგან გამოსრული მისი რეჟიმიც, თითქოს, დღეებს ითვლიდა.

ელცინის გადაწყვეტილებით გაოცებული პრესა იმხანად ლამის, მხოლოდ ამ „ბოლო შეცდომის“ გან-



ორი წარმატებული საპრეზიდენტო ვადის ამონაშრვის შემდეგ, ვლადიმირ პუტინი პრემიერ-მინისტრის სავარძელში მოკალათდა და დღემდე რუსეთის პირველ კაცად, შეუცვლელ ლიდერად რჩება. პუტინის პოპულარობის რეიტინგი, რომელ-

გენის საქმისადმი პატრიოტული ერთგულება და აგრეთვე, უცილობლად გამორჩეული პირადი თვისებები წარმოადგენს.

ხელისუფლებაში მოსულმა პუტინმა თან კარგი ჯანმრთელობა, სიფხიზლე და ცხოვრების აქტიური წესი (ის ძიუდოს შავი ქამრის მფლობელია) მოიყოლა, რაც ნაკლებსაზრიანი და ხშირად, სრულიად არათანამიმდევრული ელცინისთვის დადლილი რუსეთის მოქალაქეებისთვის ერთგვარ მატონიზებელ საშუალებად იქცა. ქმედითი ადამიანის იმიჯი პუტინს დღემდე კარგ სამსახურს უწევს. ცოტა ხნის წინ რუსულმა გაზეთებმა დასასვენებლად მყოფი პრემიერის ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც ის ციმბირის ბობოქარ მდინარეში წელს ზემოთ შიშველი თევზაობს, მთის ვიწრო ბილიკზე ცხენს დააგვევებს და ბაიკალის ტბის ფსკერზე „1 ბმ 2“-ით ჩასაყვინთავად ემზადება.

პუტინის ისიც სრულიად მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი, თუ საით უნდა წავიდეს რუსეთი. კრემლში გამოჩენის პირველ ეტაპზე, საკუთარი მიზნების შესახებ ინტერნეტით გაკეთებულ განცხადებაში, პუტინმა აღნიშნა: მე ვარ ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც რუსეთის მოდერნიზაციისკენ მიისწრაფვის და ამას რუსეთის ეროვნული ტრადიციების ევროპის დემოკრატიულ ფასეულობებთან შეხამების გზით მივალწევო. ექსპერტების თქმით, მას შემდეგ მის დაპირებებში მრავალრიცხოვანი ხარვეზი გაჩნდა.

„პუტინის ძლიერი და ერთიანი რუსული სახელმწიფოს შექმნა სურდა, მაგრამ ამის გაკეთებას ერთგული ადამიანებით დაკომპლექტებული ხელისუფლების მკაცრი, ცენტრალიზებული სისტემის შექმნით აპირებდა, — აცხადებს პოლიტექნოლოგიების

ელცინის გადაწყვეტილებით გაოცებული პრესა იმასაც სწირ-სწირად უსვამდა ხაზს, რომ პრეზიდენტის მიერ დანიშნული „ახალი კაცი“ სავარძელს ორ თვესაც ვერ შეინარჩუნებდა


ქიქებით იყო დაკავებული და იმასაც სწირ-სწირად უსვამდა ხაზს, რომ პრეზიდენტის მიერ დანიშნული „ახალი კაცი“ სავარძელს ორ თვესაც ვერ შეინარჩუნებდა. „ყველა ფიქრობდა, რომ პუტინს პრაქტიკულად, არ ჰქონდა შანსი, — იხსენებს ლიბერალური განუთე Èii ãññi-ის მიომხილველი სერგეი სტროკანი. — ელცინის რეჟიმს ჩაძირვის პროცესში მყოფ გემს უწოდებდნენ, რომელიც ყველამ დატოვა, ვისაც კი მოძრაობა შეეძლო“.


წარსულს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩინებთ, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ქვეყანაში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. 1999 წლის დამდეგს, ბორის ელცინი მოულოდნელად გადადგა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, ფაქტობრივად, სრულიად უცნობი ვლადიმირ პუტინი დანიშნა, რომელმაც რამდენიმე თვის შემდეგ გამართულ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა და მას შემდეგ უკან აღარც მიუხედავს.

იც ბოლო 10 წლის განმავლობაში საშუალოდ, „ზეციურ“ 74%-ს შეადგენს, მისი საგულდაგულოდ შერჩეული მემკვიდრის — პრეზიდენტ დმირტრი მედვედევის რეიტინგს მუდმივად უსწრებს. ბევრი ექსპერტის აზრით, რუსეთს სინამდვილეში, ახლაც პუტინი მართავს, ხოლო შარშან, რუსეთის პარლამენტის მიერ სასწრაფო წესით მიღებული საკონსტიტუციო შესწორებების წყალობით, 2012 წელს მას ბევრად ხანგრძლივი ვადითაც შეეძლება პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნება.

ქალიან საყვარელი „კაბაბუშნიკი“

რუსული პრესის რეტროსპექტიული გადახედვა გვიჩვენებს, რომ პუტინის წარმატების საიდუმლოს მისივე ხისტი ქცევის მანერა, კაგე-ბეს სტილში ლაპარაკი, რუსეთის ძლიერი ხელისუფლების აღდ-





სიგუაციას ველარ ფლობდა და კორუფციისგან გამორჩეული მისი რეჟიმის, თითქოს, დღეებს ითვლიდა

დამოუკიდებელი მოსკოვური ცენტრის დირექტორი ალექსეი მუხინი. — რუსული ტრადიციების შესატყვისად მოქმედი პუტინი, საზოგადოებრივ ცნობიერებაში, „კარგი მეფის“ სახელით დამკვიდრებას შეეცადა და ეს კარგადაც გამოუვიდა. სამაგიეროდ, ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფის მისეული მიზნის რეალიზება, შემოთავაზებულისგან სრულიად განსხვავებული მიმართულებით მოხდა“.

Ей и мѣжд-ის მიმომხილველი სტროკანი იმასაც დასძენს, რომ პუტინი „ცხენზე ამხედრებულ იმ ლეგენდარულ მხედარს“ მოგაგონებდათ, რომელიც „ხელისუფლებაში სუფთა ხელებითა და მტკიცე გულით მოდიოდა, რაც ადამიანებს ძალიან მოსწონდათ. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ყველაფერი მხოლოდ პიაროპერაცია იყო. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მან მასობრივი ინფორმაციის ძირითადი საშუალებები საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა, რათა ამ მეთოდის მის წინააღმდეგ გამოყენება ველარავის მოეხერხებინა“.

რამდენიმე წლის შემდეგ, კრემლი უკვე აკონტროლებდა ყველა ნაციონალურ ტელეარხს, ხოლო იმ რამდენიმე სატელევიზიო სადგურის მფლობელები (ბორის ბერეზოვსკისა და ვლადიმირ გუსინსკის ტიპის მაგნატები), რომლებმაც პუტინის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედეს, ქვეყნიდან უბრალოდ, გააქციეს.

მართალია, პუტინის დროს განსხვავებული აზრის საჯაროდ გამოხატვისთვის საჭირო სივრცე საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ, კიდევ უფრო საგრძნობლად და სწრაფად განვითარდა ქვეყნის ეკონომიკა, რაც ძირითადად, ნავთობზე ფასების ელვისებური ზრდით იყო გამოწვეული. ყოველივე ამის შედეგად, კეთილდღეობა ბევრს ეწვია და ცხოვრების დონის

სწრაფი ზრდის საფასურად, პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნის დროებით დავინწყებას რუსეთის ბევრი მოქალაქე ნებაყოფლობით დათანხმდა.

ბასრასილი პოლიტიკური ოპონენტები

პუტინის ხელმძღვანელობას ყველა ვარდისფერი სათვალთ როდი უყურებდა. მისი ხელისუფლებაში ყოფნის წლები ომებითა და ტერაქტებით იყო დახუნძლული, რაც მან პოლიტიკური ოპონენტების დათრგუნვისა და კრემლის კონტროლის გასამკაცრებლად გამოიყენა.

პუტინის პირველი გაპრემიერებიდან სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, რუსეთში საცხოვრებელ სახლებს დღემდე აუხსენელმა აფეთქებების ტალღამ გადაუარა, რომლის შედეგადაც 300 ადამიანი დაიღუპა. ქვეყანა პანიკამ მოიცვა, რასაც კრემლმა სეპა-

სამსახურებიდან მოიყვანა, რადგან მიაჩნდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მათი ნდობა შეიძლებოდა, — ამბობს უშიშროების სამსახურის საქმიანობისადმი მიძღვნილ ვებსაიტ Agentura.ru-ს რედაქტორი, ანდრეი სოლდატოვი, — მაგრამ სინამდვილეში, პუტინის მიერ შექმნილ სახელმწიფოში, მსხვილი ბიზნესისა და სახელმწიფო ხელისუფლების დაახლოება მოხდა და სპეცსამსახურები ქვეყნის ინტერესებზე მეტად, კორპორაციულ ინტერესებს ემსახურებიან“.

თუმცა, რადგანაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ნავთობის მოპოვებაზე დაფუძნებული რუსეთის კეთილდღეობა თანდათან ქრება, მაშა ლიპმანი არც იმას გამორიცხავს, რომ პუტინი მის მიერვე შექმნილი სისტემის ხაფანგში აღმოჩნდეს. „მართალია, მან პრეზიდენტის პოსტი შარშან დატოვა, მაგრამ პრემიერად

პუტინმა კრემლი კა-გე-ბეს ვეტერანებით დააკომპლექტა, დააპატიმრა რუსეთის უმდიდრესი ადამიანი — ნავთობის მაგნატი მისაილ ხოდორკოვსკი

რატისტულ ჩეჩნეთში ამბოხებულების წინააღმდეგ ახალი ომის წამოწყებით უპასუხა. ასეთ ვითარებაში, 1999 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში, ამომრჩეველმა პუტინის პარტიის მხარდაჭერა აღარ დააყოვნა.

„პუტინის ყოველ კრიზისს საკუთარი კონტროლის გაძლიერებით პასუხობდა, — აცხადებს კარნეგის მოსკოვის ცენტრის მიერ გამოცემული ჟურნალ Pro et Contra-ს რედაქტორი მაშა ლიპმანი. — დღევანდელი რუსეთის საჯარო პოლიტიკა სრული 100%-ით, ზემოდან კონტროლდება. კრემლის დასტურის გარეშე, ვერც ერთი პოლიტიკური ფიგურა ვერანაირ პოლიტიკურ ამბლუაში ვერ გამოჩნდება“.

პუტინმა კრემლი კა-გე-ბეს ვეტერანებით დააკომპლექტა, დააპატიმრა რუსეთის უმდიდრესი ადამიანი — ნავთობის მაგნატი მისაილ ხოდორკოვსკი, რომელიც თალითობაში, გადასახადებისთვის თავის არიდებასა და ფულადი სახსრების დატაცებაში დაადანაშაულეს. კრიტიკოსების თქმით, პუტინის მიერ „ქვეყნის კორუფციისგან განმუხდის“ მიზნით სპეცსამსახურებიდან მოყვანილმა „ახალმა ადამიანებმა“, სინამდვილეში, მანამდე არნახული კორუფცია შეეს. „პუტინმა ეს ადამიანები სპეც-

მანც დარჩა, რადგან ნასვლა არ შეუძლია, — აცხადებს იგი. — ხელისუფლებაში პუტინის ყოფნა სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია. მისი გაქრობის შემთხვევაში, სისტემა უმალ, არასტაბილური გახდება“.

ფრედ უიერი
Cristian science Monitor, აშშ



„ცარ-პუშკა“ — აგრესიული პოლიტიკის სიმბოლო

ომის უმადგომი აფხაზეთის ახალგაზრდა მემატინა

სოხუმის უდადგამო გავშთა სახლის ბინადარი



ჩემი რესპონდენტი ომის შემდგომი აფხაზეთის მემატინად შეიძლება მივიჩნიოთ; 22 წლის ლევანი 5 წლის იყო, როცა ქართულ-აფხაზური ომი დაიწყო და ნაომარი სოხუმის ქუჩებში, მასავით უდადგამო მოზარდებთან ერთად, უპატრონოდ გაიზარდა. ბავშვის დედა მის მშობიარობას გადააჰყვა, რის გამოც მამამ და დედის ნათესავეებმა პატარის აღზრდაზე უარი თქვეს, — რატომღაც გადაწყვიტეს, რომ დედის სოკვილში ბრალი ახალდაბადებულს მიუძღოდა(?), ამიტომაც ჩველი სამშობიაროდანაც აღარ გამოიყვანეს. პატარა ბიჭის აღზრდა გაუთხოვარმა, ავადმყოფმა მამიდამ იკისრა, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო, მალე იძულებული გახდა, სოხუმის უპატრონო ბავშვთა სახლში ჩაებარებინა...

ლალი პაპასკირი

— პატარა ვიყავი, მაგრამ ქართულ-აფხაზური ომი მაინც მახსოვს. იმ წლებში ჩვენს ბავშვთა სახლში უპრეცედენტო რაოდენობის აფხაზი და ქართველი ბავშვები მიიყვანეს, რამდენიმეს მშობლები დაკარგული ჰყავდა, უმეტესობას კი ომის დროს დაეხოცა... მაშინ სულ რაღაც 5-6 წლის ვიყავი, მაგრამ მახსოვს, რომ მთელი დღეების განმავლობაში მხოლოდ პურსა და უშაქრო ჩაიზე ვიყავით. შენობაში შეიარაღებული ადამიანები გვიცვივებოდნენ; ჩვენ არაფერს გვერჩოდნენ, მაგრამ ყველაფერს ეზიდებოდნენ, ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს ამტყვევებდნენ. იმ წლებში ბავშვთა სახლიდან რამდენიმე მოზარდი გაიპარა. მაშინ პატარა ვიყავი, თორემ ალბათ მეც გავიქცეოდი... ომის დასრულების შემდეგ, მახსოვს გამუდმებული შიმშილი და სიცივე. ბავშვები საკვების მოპოვებას დამოუკიდებლად ვცდილობდით.

— ალბათ თქვენი სამიზნე ქართველების მიტოვებული სახლები იყო...

— ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ იქაურობა უკვე „მოსუფთავებული“ იყო, ამიტომაც არც საფაქრო ობიექტებსა და სურსათის მალაზიებს ვინდობდით. ყველანაირი პროდუქტის „მოპოვება“ შეგვეძლო პურის გარდა. არ ვიცი, არასწორი და არაჯანსაღი კვების ბრალი იყო თუ არა, მაგრამ ჩემი თაობის ბავშვებს ჯანმრთელობა შეგვერყა: მოგვიანებით „ნითელი ჯვრის“ მედიკოსებმა გაგვანჯეს და დიაბეტი დაგვიდგინეს, რომელიც დღემდე მანუხებს... ბავშვთა სახლში გათბობის სისტემა მოშლილი იყო და იქ დაბრუნებულეებს აუტანელი სიცივე გვხვდებოდა, ამიტომ, გამოზარეული ბავშვები ქართველების მიტოვებულ სახლებსა და ბინებში დარჩენას ვცდილობდით, მაგრამ ადგილობრივები არ გვაჩერებდნენ და რამდენიმე ჩემი მეგობარი შემოაკვდათ კიდეც.

— რატომ? რას ერწოდნენ?

— როცა ისინი შემოდიოდნენ, ვიმალებოდი; შეიძლება, ეგონათ, რომ ქართველები იყვნენ და ესროლეს...

— ლევან, როგორც ვიცო, დედა ქართველი გყავდა, მამა — აფხაზი; ამაზეც გვიამბე...

— დიახ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, დედაჩემის ნათესავეებთან ურთიერთობა ომის შემდგომ წლებში აღვადგილე. როგორც გითხარით, ჩემთან ერთად, ომამდე და ომის შემდეგ მოყვანილი ქართველი ბავშვები ცხოვრობდნენ. ქართული მათგან ვისწავლე. როგორც ჩანს, გენი მაინც ბევრს ნიშნავს და ამ ენის სწავლა არ გამჭირვებია. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჰუმანიტარული მისიით, ბავშვთა სახლში ხშირად მოდიოდნენ. რამდენიმე ბავშვი უცხოელებს ძალიან შევეჩვიეთ და მათთან ერთად, აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში დავდიოდით... თავიდან ისე, უბრალოდ, გვიხაროდა მათთან ურთიერთობა, ბავშვთა სახლის კედლებს მიღმა გასვლა ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი იყო, მათ კი სკოლებსა და ბაღებში დავეყავით, ჰუმანიტარული დახმარების ჩამოტვირთვასა და დარიგებაში ვესმარებოდით; ასე ვთქვათ, მუქთა მუშახელი ვიყავით... რუსული კარგად ვიცოდი, მერე კი მათთან ურთიერთობისას, ინგლისურიც „შემომესწავლა“, თუმცა მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს უცხო ენა ასეთი მნიშვნელოვანი იყო...

— დედის ნათესავეები როგორ იბოვე?

— დედაჩემის გვარი გამზრდელი მამიდისგან ვიცოდი. როცა მამიდას ბავშვთა სახლში დაჩაგრულ ქართველ მოზარდებზე ვუყვებოდი, მავთონილებდა, — შენ იგივე არასდროს გააკეთო, დედაშენი ქართველი იყოო. მეც მაინტერესებდა და დედის წარმომავლობაზე ხშირად ვკითხებოდი; მერე ისიც წამოსცდა, რომ დედა ჩემზე მშობიარობას გადააჰყვა და ამიტომ

დამკარგეს მისმა ნათესავეებმა... მიკვირდა, — რა შუაში ვარ? რატომ მომიძულეს ასე ან რა წვლილი თუ ბრალი მიმიძლოდა მის სოკვილში-მეთქი? — მაგრამ მამიდას ამაზე პასუხი არ ჰქონდა. მისი თქმით, ოთხ ძმას ერთადერთი და ჰყავდა და როცა ადამიანი საყვარელ ადამიანს კარგავს, ამ ტკივილის ვილაცაზე გადმოტანა უნდა, ამიტომ ნუ გაამტყუნებო... მისგანვე გავიგე, თუ სად ცხოვრობდნენ დედაჩემის ნათესავეები და ერთხელაც, როცა გაეროს თანამშრომლები ენგურს გადმოიღმა გადმოვიდნენ, მეც გადმოვვიყვი. დიდი წვალბით მივაგენი იმერეთის ერთ-ერთი რაიონის სოფლის სკოლას, სადაც დედაჩემის მშობლები და ძმები იყვნენ შესახლებული...

— როგორ შეგხვდნენ?

— მათ გაეროს თანამშრომელი ვეგონე, რადგან თითქმის სულ რუსულად და უცხო ენაზე ვსაუბრობდი, თუმცა, როცა ბები-აჩემს მოკვარი თვალი, ჩემი თამამიც იქ დამთავრდა: ის საოცრად ჰგავდა ფოტოზე მამაჩემის გვერდით გამოსახულ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც უფრო ადრეულ ბავშვობაში, როცა ძალიან ავიწყებდი და არც ერთ აღმზრდელს არ ვუჯერებდი, მამიდა მანახებდა; მაშინ მათ სულელებს მაფიცებდა და პირობას მადებინებდა, რომ კარგად მოვიქცეოდი და მისი თქმით, „უბნის გაფუჭებულ“ ბიჭებს არ აყვებოდ... მოხუცთან მივედი და სახელი და გვარი ქართულად ვკითხე. როცა დედაჩემის გვარი გავიგონე, ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი: გამარჯობა, ბებო, მე შენი შვილიშვილი ვარ-მეთქი... მან დიდხანს მიყურა და რომ დაფუხუსტე, ვინც ვიყავი, მუხლებმოკვეთილი იქვე ჩაიკეცა. მაშინვე ვილაც გოგო-ბიჭები შემომქვივნენ, მაგრამ იქაურობას გავერიდე და მანქანაში ჩავეყვი... აფხაზეთში ემოციებით დატვირთული დავბრუნდი, ერთი სული მქონდა, ეს ყველაფერი მამიდისთვის მომეყოლა, მაგრამ ბავშვთა სახლში მიბრუნებულს, ჩემმა აღმზრდელმა მითხრა: ვილაცამ დაგირეკა, მამიდაშენი ცუდად გახდარაო... მას ცოცხალს ვეღარ მივუსწარი. ერთადერთი ახ-



ლობელი ადამიანიც დავკარგე, თუმცა მისი სიკვდილი ერთგვარი ბიძგი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ დედის ნათესავეები მომეძებნა.

— ბავშვთა სახლში თუ იცოდნენ შენი საიდუმლო ვიზიტების შესახებ?

— ერთადერთმა აღმზრდელმა ქალმა იცოდა; მისი და ზუგდიდში ცხოვრობდა და მათ შორის ერთგვარი, დამაკავშირებელი საშუალება ვიყავი. ასე რომ, მისივე ინტერესებში შედიოდა ჩემი „ვიზიტების“ გასაიდუმლოება. მეორე ვიზიტისას თვითონ გამინია რეკომენდაცია ბავშვთა სახლის ხელმძღვანელობასთან, რათა ხელახლა ჩავესვი ჰუმანიტარული მისიის დამხმარე გვუფში. მოგესვენებათ, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში მოქმედი, გაეროს წარმომადგენლობის თანამშრომლებს ერთმანეთთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ და იმერეთში ჩასვლა ისევე გაგებდნენ ჩემი ნათესავეები უკვე გაფრთხილებული იყვნენ ამის შესახებ, საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლებს ელოდნენ და თადარიგიც დაჭერილი ჰქონდათ... ჩემი ცხოვრების დეტალების მოყოლა არ მიყვარს, მაგრამ ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა გზის გამოვლა მოუწევდა ნაომარ აფხაზეთში, ბავშვთა სახლში მცხოვრებ მოზარდს, რომელსაც ერთადერთი ნუგეში — ინვალიდი მამიდა ჰყავდა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ძალიან იშვიათად, უფრო სწორად — თითქმის არასდროს მიტოვრია. იმ დღეს კი თავის შეკავება გამიჭირდა. ყველაზე მეტად, ბებია და ბაბუა შემებრალებენ, რომლებიც თავიანთ საქციელს ნანობდნენ. მითხრეს: აფხაზეთში ყველაზე ძვირფასი — დედაშენის საფლავი დაგვრჩიაო. — მე ვუვლი-მეთქი, — ვუპასუხე... მხეტი არაფერი უკითხავთ, არც თავიანთ სახლზე და არც მამაჩემის საცხოვრებელზე.

— მამაზე არაფერი მოგიყოლია. მის შესახებ არაფერი იცი?

— კი, როგორ არა?! მამა აფხაზეტს მოუკლავთ, როგორც მამიდამ მითხრა, — არ იბრძოდა და იმიტომ... ის არასდროს მინახავს. თუ სამართლიანი ვიქნებო, ორივე მხარის ნათესავეების მიმართ მაქვს პრეტენზია — მათ გამწირეს: როცა აფხაზეთი ცეცხლში იყო გახვეული, დედაჩემის დეენილ ნათესავეებს არც გაეხსენებიათ, არ იცოდნენ, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი; მე და ჩემი თანატოლები გადამწვარ აფხაზეთში, ქართველების მიტოვებულ სახლებში შენახული ზამთრის მარაგით ვირჩენდით თავს... ჩემს უკუღმართ ცხოვრებას არავის ვაყვედრი, უბრალოდ, მეც ადამიანი ვარ, რალაცების გულში ჩაბრუნებ მიჭირს და ამის შესახებ, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ვყვები.

— მამის ნათესავეებს მაინც რალა დაუშავე?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით... მამაჩემი ისე მოკვდა, არც ერთხელ არ მოუუკითხივარ, თუმცა მამიდაჩემის ხელით რალაცებს მიგ-

ბავნიდა... იცით, როცა ბავშვი უპატრონოთა სახლში იზრდება და მშობლების არსებობაზე არაფერი სმენია, მას არც ანუხებს ამაზე ფიქრი; მაგრამ როცა იცი, რომ მამა გყავს, რომელიც იმავე ქალაქში ცხოვრობს და შენი არსებობა არც კი აინტერესებს, იმაზე ფიქრი მოსვენებას არ გაძლევს; გოცებს — რატომ არ სჭირდებათ არც ერთ ნათესავს, უახლოესსაც კი... და დამიჯერეთ, ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. როცა დედაჩემის ნათესავეები მეფერებთან, სადაც, გულის სიღრმეში ეჭვის ჭია მღრღინის: თუ ასეთი ძვირფასი ვიყავი მათთვის, ერთხელ მაინც ხომ შეიძლება, დაინტერესებულყვნენ — სად ვიყავი მამინ, როცა ისინი აფხაზეთიდან გამოიბრუნდნენ?! ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი?! თუმცა ეს არ ეხებათ ჩემს ბიძაშვილებს — მათ ჩემი არსებობის შესახებ ომის შემდეგ გაიგეს...

— მამის ნათესავეებთანაც აღადგინე ურთიერთობა?

— კი, ოღონდ მამას დედ-მამა არ ჰყავდა; მამიდაც გარდაიცვალა და მის ბიძაშვილ-მამიდაშვილებს დიდად არ ანუხებთ ჩემი ბედი. ერთ-ერთმა ისიც კი თქვა, — რამხელა მნიშვნელობა აქვს, დედა ქართველი რომ ჰყავს; აფხაზეტმა უპატრონო ბავშვთა სახლში სამადლოდ გაზარდეს, დღემდე აფხაზეთში ცხოვრობს და მაინც ქართველობსო!..

— ქართველ ნათესავეებს არ შემოუთავაზებიათ აქ დარჩენა?

— კი, როგორ არა, მაგრამ იქ ორი სახლი მაქვს — მამაჩემის სახლი და მამიდაჩემის ბინა; მათ ვერ დავტოვებ. მართალია, ქუჩაში გავიზარდე, მაგრამ ის სახლი მამიდისთვის ძალიან ძვირფასი იყო და ვერ მივატოვებ. სანამ ცოცხალი იყო, ის პპატრონობდა, მერე მეც ნამოვიზარდე და დავიკანონე. მამიდაჩემის წყალობით, საბუთები წესრიგში მქონდა და საკუთარი სახელისა და გვარის გამოკვლევა არ დამჭირვებია...

— რამდენადაც ვიცი, ბავშვთა სახლში რჩები. რატომ?

— ვშუშაობ... კანონმდებლობის თანახმად, 18 წლის შემდეგ, უპატრონო ბავშვთა სახლის ბინადარი უკვე ვალდებულია, დამოუკიდებლად იზრუნოს საკუთარ მომავალზე; მანამდე მას გარკვეულ განათლებას აძლევენ, რითაც თავის რჩენა უნდა შეძლოს... როცა ჩემი დათხოვნის დრო დადგა, რამდენიმე არასამთავრობო ორგა-

ნიზაციის დახმარებით, გრძელვადიანი პროექტი მოვაზადე, რომლის საშუალებითაც, უპატრონო ბავშვებს ფსიქოლოგიურ დახმარებას ვუწვევ. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უცხოელების მიერ დაფინანსებული, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სამთვინი კურსები გავიარე და სერტიფიკატიც ავიღე, მაინც თვითნასწავლი ფსიქოლოგი ვარ, თუმცა აქ გაზრდილი ბავშვების ხასიათი და ბუნება საკმაოდ კარგად ვიცი... ერთ განსაკუთრებულ თვისებაზე მინდა გითხრა: ერთ ბავშვთა სახლში მყოფ ალსაზრდელს ერთმანეთი არასდროს შეუყვარდებიან, ერთმანეთს, როგორც ვაჟა და გოგონას, ვერ აღიქვამენ; არადა, სკოლაში ეს — ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს შექმნილი კომპლექსია, რომელიც მოზარდებთან ერთად იზრდება და მათ ხასიათში ჯდება... ჩვენი ხალხი ომის შემდეგ ძალიან ჩაკეტილი გახდა და ასეთ ადამიანებთან უპატრონოდ გაზრდილ ბავშვებს საერთო ენის გამოხატვა ძალიან უჭირთ. თუ გავითვალისწინებთ ტოტალურ უშუშევრობას, 18 წლის შემდეგ და უფრო ადრეც, ისინი პირდაპირ კრიმინალების წრეში ხვდებიან, გოგონები კი მძეაობის გზას ირჩევენ.

— ლევან, დღევანდელ აფხაზეთზეც მოგიყვებ...

— დღევანდელ აფხაზეთში მხოლოდ რამდენიმე ადგილია, სადაც შედარებით ნორმალური ცხოვრებაა: ბიჭვინთში, გაგრასა და სოხუმში; სამივე ქალაქში რამდენიმე ცენტრალური ქუჩა გაალამაზეს და იქაურობა შედარებით გამოცოცხლდა. ადრე უფრო უჭირდათ, თუმცა უსაფრთხოების მეტი გარანტია ჰქონდათ; მას შემდეგ, რაც რუსებმა მართვის სადავების ხელში ალება გადანაცვით, აფხაზეტის უკმაყოფილება გაიზარდა, მაგრამ ვეღარც აპროტესტებენ. ხელისუფლება ხალხზე ზრუნავს, მაგრამ წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებს, ამისთვის საკმარისი ფინანსები არა აქვს და ამიტომაც ეყრდნობა რუსეთს ასე ბრმად. თავის მხრივ, რუსებიც ეშმაკობენ და ხალხთან მისასვლელ გზებს ეძებენ... ომის შემდეგ, ყოველი წლის პირველ სექტემბერს, აფხაზეტის ყველა სკოლაში, გალის რაიონის ჩათვლით, პირველკლასელებს მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი საკუთარი ხელმოწერით დამწვენივლ სახელმძღვანელოებს, ჩანთასა და 50-მდე ლარის ეკვივალენტურ თანხას ჩუქნის. წიგნებზე წარწერაა — რომ მოსკოვის

მერი ბავშვს წარმატებულ სასწავლო წელს უსურვებს... ეს პიარია, თუმცა ფაქტია — სწორად გათვლილი. მართალია, აფხაზეთში განსორციელებულ რუსეთის პოლიტიკას მონინალმდეგეებიც ჰყავს, მაგრამ არიან მომხრეებიც, რომლებიც ამბობენ: შემოვიდნენ და იცხოვრონ ჩვენთან ერთად, ოღონდ კანონი დაიცვენ და ჩვენს ხალხს პატივი სცენო. აფხაზეთში კი კანონს ჯერჯერობით არც აფხაზი იცავს, ხოლო რუსი — მით უმეტეს...



„ჯოზია, თურქეთში გურჯი მერქვას, ვიდრე თქვენ თურქი დამძახოთ“



სათუნა გახვრიკა

— მურად, ქართული საიდან იცი?

— როგორ თუ საიდან? მართალია, თურქეთში ვცოცხლობ, მაგრამ ქართველი ვარ. სტამბოლში ძალიან ბევრი გურჯი ცოცხლობს. ერთმანეთს რომ დევნახავთ, მაშინათვე ქართულად ვლაპარაკობთ. ჩემი გვარი ძალიან ძველია.

— საქართველოში თუ ხარ ნამყოფი?

— კი, მაგრამ მე აღარ მახსოვს. ხუთი წლის წყოფილვარ დედ-მამას ბათუმში რომ მიუყვანიათ ჩემი თავი. თქვენ თუ ხართ თურქეთში ნამყოფი?

— არა.

— აქაურობა ძალიან ლამაზია, მაგრამ საქართველოსთანა მანაც ვერ არის.

— თუ საქართველოში ნამყოფი არ ხარ, რა იცი, როგორია?

— დედ-მამისგანაც ვიცი და სიზმარშიც ხშირად ვხედავ.

— სიზმარში საქართველოს ხედავ?

— უჰ, ძალიან ხშირად.

— ჩამოსვლას არ აპირებ?

— არა.

— რატომ?

— ჯობია თურქეთში გურჯი მერქვას, ვიდრე თქვენ თურქი დემძახოთ. გურჯს რომ მიძახიან, მიხარია, თქვენ გინდა, თურქი დიგიძახიან, გინდა, დედა შეგიგინებიათ. მწარეა ძალიან. ისე კი მაინტერესებს საქართველოს ამბები. ტელევიზორთან რომ ვზივარ, სულ „რუსთავი 2“-სა და „ჯორჯიან ტელეს“ ვუყურებ. თქვენს ამბებს აქედან ვსერივარ, მაგრამ ზოგჯერ აზრის გაგებას ვერ ვახსრებ, ძალიან ჩქარა ლაპარაკობენ. როცა ტელევიზორში ბერები და მღვდლები გამოდიან, მიხარია იმიტომ, რომ ისინი უფრო ნელა ლაპარაკობენ. ახლა, შენს ნაუბარსაც კარგად ვიგნებ. კარგია „სკაიპი“, ქართველებს გამოველაპარაკები და ჩემი წინაპრების ენას უფრო კარგად გვეიგნებ.

— „სკაიპს“ მეშვეობით ბევრი

„თუ მართლა ქართველი ხარ, გთხოვ დამელაპარაკე“ — ეს შეტყობინება მას შემდეგ მივიღე, რაც „სკაიპში“ საკუთარი სურათის ნაცვლად საქართველოს ეროვნული დროშა გამოვფინე და გვერდით, აგვისტოს ომის შემდეგ ყველაზე პოპულარული ფრაზა — „მე ქართველი ვარ“ მივუწერე. შეტყობინების ავტორმა თავისი სახელი და გვარი გამიმხილა თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ თურქეთში გადასახლებული გურჯების შთამომავალი იყო და საკუთარი სისხლისა და მოდგმის ხალხთან ლაპარაკი სურდა. მართალიც აღმოჩნდი. მურად ჯეზაიროლი ნარმოშობით აჭარელი ჯეზაიშვილია. როგორც თავად მითხრა, ქართული სიტყვის გაგონებაზე გული სიხარულით უტყვს, ქართული დროშის დანახვაზე თვალები ცრემლებით ევსება, ქართული სიმღერის მოსმენისას კი თავს ვერ იკავებს და გულამოსკვნილი ტირის. გადავწყვიტე, მასთან ნალაპარაკები „გზის“ მეითხველისთვის დაცული სტილით გადმოემცა.



ქართველი მეგობარი შეიძინე?

— არა, შენც თუ უარს არ იტყვი ჩემთან მეგობრობაზე, სულ სამი ქართველი მეგობარი მეყოლება — ორი გოგო და ერთი ბიჭი.

— მეგობრობაზე უარს ხშირად გუბუნებია?

— კი, თურქი ჰგონიათ ჩემი თავი და აღარ მელაპარაკებიათ. ისინი გუნებაში ცუდ რასმეს ფიქრობენ, მე კიდე ქართული ლაპარაკი მინდა, მეტი არაფერი. იცი, რაფერ გიმისარდა შენ რომ დემელაპარაკე?

— წერა თუ იცი?

— არა, წერა არ ვიცი. პატარა რომ ვიყავი, დედ-მამა ქართულად მელაპარაკებოდნენ, მშობლიური ენა არ დაავიწყდესო. წერა იმათაც არ იცოდნენ და ვერ მასწავლეს.

— გინდა, ანბანი გამოგიგზავნო?

— გამომიგზავნე, მაგრამ რაფერ გვეიგნებ, არ ვიცი. თხოვნა მაქვს ერთი. შეიძლება, გითხრა?

— კი, ბატონო.

— ვიდუო ჩამირთე, დიგინახო, რანაირი ხარ. ცუდი რაცხა არ იფიქრო, ქართველები და-მმანსავით მიყვარან.

— თქვენზე ცუდს არაფერს ვფიქრობ, ამიტომ კამერასაც ჩაგირთავ.

— მადლობა, გიმისარდა შენი დანახვა დედ-მამასთან ცოცხლობ?

— კი. მურად, დედამიშვილები თუ გყავს?

— კი, უფროსი და-ძმა მყავს, მე პანაი ვარ. ჩემი ძმა დასახლებულია, დაც გათხოვებულია. მე ჯერ მარტო ვარ, მაგრამ მალე ვაპირებ დასახლებას, უკვე 30 წლის ვარ.

— საცოლე არჩეული გყავს?

— ჯერ არა, ველოდები, რომ ვინმე

შემიყვარდეს.

— ბიძაშვილებს შორის ქორწინება თქვენთვის მისაღებია?

— არა, თურქებს ბიძაშვილები იმიტომ მოჰყვათ ცოლებად, რომ ქალმა მზითვი და ფული სხვა ოჯახში არ წეილოს. გურჯებს ეგ წესი არ მოგვწონს, ბიძაშვილებს ცუდი ბაღენები გამოსდით. ისე, შორეული ნათესავის ქალები კი მოგვყავს ცოლებად; აბა, რა ვწნათ? ქართული სისხლის ქალი გვინდა. ჩვენ კიდე აქ სულ ერთი კუთხიდან ვართ გადმოსახლებულნი და ყველა ჩვენი ნათესავია.

— რას საქმიანობ?

— ჩემი მალაზია მაქვს. შენ რას საქმობ?

— მე ფურნალისტი ვარ.

— ტელევიზიაში საქმობ?

— არა, პრესაში.

— შენ გეიხარე, რა ლამაზად გუფერდისხარ დედას. აქ ქართველი ქალები რომ ჩამოდიან, გულს ძალიან მტკვენენ.

— რატომ?

— რაფერ გითხრა (ფიქრობს), ფულზე იყიდებიან. გზად რომ შემომეყრებიან, არ ველაპარაკები. რად კადრულობენ ამას? დედა მიყვებოდა: ქართველ ქალს თურქის ცოლობა რომ არ უნდოდა, კლდიდან ხტებოდა ან ზღვაში იღრჩობდა თავსო. ახლა კიდე თავის ფეხით მოდიან და ფულზე იყიდებიან. რა დეემართათ? ასე ცუდად რად ირჯებიან? რუსები ხომ არიან?

— რუსები რა შუაში არიან?

— მაგათი ქალები არ არიან ლამაზად გაზრდილები. ეგ ყველამ იცის. ახლა ქართველებიც მაგათ ემსგავსებიან?

— არც მასეა საქმე, ცუდი და კარგი ყველგან არის.

— არა, ქართველი ქალი ადრე სხვანაირი იყო. ჩემს სიზმარში დანახული ქართველი ქალიც სხვანაირია.

— მანაც როგორია?

— ლამაზად გაზრდილი და უღალატო.

— ასეთი ქალის პოვნას და დიდ სიყვარულს გისურვებ.

— მადლობა, კიდე ხომ დემელაპარაკები?

— მეც დაგელაპარაკები და სხვებსაც ვთხოვ, რომ ნუ დიზარებენ იმ გურჯებთან რამდენიმე ნუთით საუბარს, რომლებსაც ქართული სიტყვა სულსა და გულს უთბობს. ■



სასნე

პარსკვლავური ზაფხული ბათუმში

„ზღვაზე დიასახლისებთან ერთად სიარული საინტერესოა“

დასვენებას ჰოლანდიაში აპირებდა, მაგრამ სანამ ჩემოდნებს ჩაალაგებდა, საცხოვრებელ ბინაში რემონტი წამოიწყო და ხელოსნებმა ბათუმში წასვლა ურჩიეს... „კომედი-შოუს“ ვარსკვლავი მიშა ანდლულაძე წელს ბათუმის ზღვის ტალღებში ნებივრობს, წვიმისას დიასახლისს ეჩხუბება, დარში კი „ტენდენციური მთავრობის“ მიერ აშენებულ ზღვისპირა ქალაქს აკვირდება, მაგრამ არდადეგების ყველაზე მეტ დროს მაინც ძილში ატარებს. მან იუმორში დახარჯული ძალები ახლა უნდა აღიდგინოს — შემოდგომიდან ხომ ისევ გვინდა გულიანად სიცოლი?!

— განმარტოებით ვისვენებ, ეუღლად; მხოლოდ მეუღლე მახლავს... ჰოლანდიაში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ბინაში რემონტი წამოვიწყე და როცა ხელოსნებმა დამიანგარიშეს სამუშაოს ხარჯები, მირჩიეს, ბათუმში წამოვსულიყავი, — ჰოლანდია ძალიან შორსაა, მიშა, ბათუმში თუ წახვალ, ესეც დიდი საქმე იქნებაო... ჰოდა, მეც ჩავალაგე ჩემოდანი და ბათუმისკენ გამოვეშურე. აქაურობა ძალიან მომწონს, ვგიჟდები ბათუმელებზე. უცნობ კაცს ვთხოვე, იაფად ბინა მამოვინიე-მეთქი და სანამ არ ვიმოვეთ, ის კაცი გვერდიდან არ მომცილებია... ახლა, სადაც ახალი ბულვარი გაიხსნა, აი, იქ ვისვენებ. ისეთ მშვიდ ადგილას მოვკალათდი, სიმინდისა და მზესუმზირის გამყიდველთა საინტერესო შეძახილებიც არ მესმის... ძალიან კარგი სამუშაოლო მყავს. უნდა გენახათ, როგორი ჟრიამულით შემხვდნენ



„ეს მიშას ადგილია, შეხება აკრძალულია!“

ბავშვები! სადაც ჩემს მანქანას ვაპირებ, ის ადგილი ცარციტ შემოსაზღეს და შიგ დიდი ასობით ჩანერეს — „ეს მიშას ადგილია, შეხება აკრძალულია!“ ამას თბილისში ვინ გაგიკეთებს?!

— ზღვაზე სიარულის გარდა, კიდევ რით ერთობი?

— ცურვა ძალიან მიყვარს. წყალში თუ არ შემცივდა, როდის უნდა გამოვიდე, ვერ ვხვდები. დილაადრიან ვიღვიძებ და ზღვაზე გავდივარ, გარუჯვასაც დიდ ყურადღებას ვუთმობ. პასიურად ვისვენებ: დავდივარ ზღვაზე, ჩემი „ტენდენციური მთავრობის“ მიერ აყვავებული ქალაქის ქუჩებში და ფოტოებს ვიღებ იმ

ადამიანებთან, რომლებიც ჩემს შემოქმედებას აფასებენ. პლაჟზე სალამობითაც გავდივარ. ამ დროს აქაური დიასახლისები დადიან ზღვაზე და მათთან ერთად სიარული საინტერესოა, რა ვიცი... — წვიმის დროს სევდა ხომ გეძალბა?

— მაგ დროს ოთახში ვიკეტები, მძინავს, ვნუხვარ ან დიასახლისს „ვეჭამ“, — რა ტყუილად გიხდი ფულს-მეთქი! ნანვიმარ ქალაქში ხანდახან მანქანით ვსერირობთ... ახლა ბათუმის თითქმის ყველა ქუჩაზე რაღაცას აკეთებენ. პირადად მე უკვე სამჯერ გამოვიძახე სანტექნიკოსი, ონკანის მილში კენჭი გაიჭედა... ამასობაში სანტექნიკოსობას ისე კარგად დავეუფლე, რომ შესაძლოა, ამ ქალაქის მშენებლებსაც დავეხმარო.

— ბათუმს ხშირად საყვედურობენ, ღიმილი აკლიაო... კმაყოფილი ხარ მომსახურების სფეროთი?

— არ იღიმიან, მაგრამ არც იჯლანებიან! თუ კარგად იხდი ფულს, მშვენივრად გემსახურებინ, მარტივი ლოგიკაა... ძალიან მიწადა, ბათუმში ზაფხულობით საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალები ტარდებოდა. ეს ჩემი ოცნებაა და იმედია, ამასაც ამიხდენს ჩვენი „ტენდენციური მთავრობა“.

— ზღვის პირას იუმორისტული წარმოდგენების გამართვას ხომ არ აპირებ?

— კი, „კომედი-შოუს“ კონცერტის ჩანერა კლუბ „ტარაბუაში“ გაიმართება; კინოთეატრ „თბილისში“ იუმორისტულ შოუპროგრამას გავმართავთ. თქვენი ჟურნალის საშუალებით ვიტყვი იმ სიხალის შესახებაც, რომ სექტემბრიდან ჩვენი იუმორისტული გადაცემები სატელევიზიო ეთერში განახლებული ფორმატით გავა. ■

„ღამის ბათუმში არაერთხელ მოგვიწყვია სხელდახელ „ქონცარბი“

წარმოშობით ბათუმელი, ანი კამკაზა ზაფხულს, რა თქმა უნდა, ბათუმში ატარებს. ის ბათუმსა თუ ქობულეთში გამართულ კონცერტებში (მათ შორის, საქველმოქმედო) მონაწილეობდა. ამბობს, რომ მუსიკას ყველგან ეძებს და მღერის: სცენაზე, ზღვაში, ზღვასთან თუ ქუჩაში... თავარა მზეში თავს ტალღებს მიანდობს და საყვარელ ზღვას ჩურჩულით უმღერის — „ბათუმს ქათქათას“. ანის საოცრად უყვარს გარუჯვა და ბათუმური წვიმაც...

— არ მიყვარს ერთფეროვანი ცხოვრება, არც ასეთივე გართობა. უნდა შეგეძლოს, რაიმე საინტერესოს გამოგონება... ბათუმის კლუბებში არ დავდივარ, მაგრამ მშობლიურ ქალაქში მაინც აქტიურად ვისვენებ. მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად, პლაჟზე დავდივარ, მერე, წყლიდან ჩემი ამოყვანა თუ მოახერხეს, ვირუჯები; იოლად ვშავდები; დარჩენილ დროს კი ვმღერი და ვმღერი... თბილისში დავიბადე, მაგრამ ვგრძნობ, რომ სულით ბათუმელი ვარ. თბილისში ხანდახან ისე იღლები, სახლების, მანქანებისა და დაღვრემილი ადამიანების გარდა, ვერაფერს ხედავ... ბათუმში კი სევდის გასაქრობად, ზღვაც საკმარისია. ბათუმში წვიმაც თბილი იცის...

— თბილისში დაბრუნება ხომ



ბათუმში ჩემში მხოლოდ სიყვარულთან ასოცირდება

არ გადაიფიქრე?

— ბათუმში ჩემში მხოლოდ სიყვარულთან ასოცირდება, მაგრამ თბილისს მაინც უნდა დაფიქრებდე... მომღერალი ქალი ბიზნესსკოლაში ვსწავლობ და საქმეს უნდა მივხედო (იცი-ნის). ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს. ამიტომ ზღვაზე დასვენება — უებარი ნამალია.

— როგორ მოანდომებდი უცხ-

ოელს ბათუმში დასვენებას?

— ვეტყვი, რომ არსებობს ქალაქი, სადაც შეგიძლია, წვიმაშიც ისეირნო... სშირად მესმის წუწუნი, — რა სშირად წვიმსო! მე კი მაგ დროს უსაზღვროდ მიხარია. დავდივარ ლამაზი ქალაქის პანაწინა ქუჩებში, ჩემთვის ვლიინებ და ვხვდები, ასე სხვა ქალაქის წვიმას ხომ ვერ მივანდობდი თავს?! ძალიან მინდა, შუა ზღვაში არსებობდეს კუნძული, სადაც ბევრი საინტერესო საკურორტო დაწესებულება იქნება, სადაც ოცნებითა და გემრიელი მუსიკის მოსმენითაც დაიღლებოდნენ.

— ალბათ ზღვის სანაპიროზე სშირად გთხოვენ, რომ იმღერო...

— კი, მამღერებენ... ზოგჯერ ოთახშიც ისე ავმღერებ, რომ ქვედა სართულებიდან მეზობლების ტაში მესმის... ხანდახან, მე და ჩემს მეგობრებს სეირნობისას სიცილე გვემართება: მე სიმღერას ვინყებ, მეგობრები ცეკვავენ, გამვლელები — ტაშს გვიკრავენ... ამას წინათ ბათუმელმა მეგობარმა ბიჭმა მთხოვა: — ჩემს შეყვარებულს სარკმელთან უმღერეო. გვიან ღამით, დავდექი მასთან ერთად, საცხოვრებელი კორპუსის (სადაც ის დამსვენებელი გოგო ცხოვრობდა) ეზოში და სიმღერა დავიწყე: „გოგო, გოგო, შვეთვალავ...“ ვმღერი გაუთავებლად, მაგრამ სარკმელს არავინ აღებს, დაიხოცა ყველა სიცილით... ბოლოს, სერენადების „ადრესატმა“ ტელეფონით მოგვწერა, — შინ არ გახლავართო... ახლაც ღამეა, ბათუმის ქუჩებში ნახეთ, რა ლამაზად ლიცლიცებენ ლამპიონები, ნავედი!..

„ისა ვიგიჟა, არც მახსოვს, საწოლაზე როგორ მივალწია“...

მომღერალი დიტო ლაბვილაშვილი ბათუმს „ჩქარი რიტმების ქალაქად“ მიიჩნევს. ის ქობულეთსა თუ ბათუმში, მეუღლესთან ერთად ისვენებს და სხვადასხვა კლუბის მიწვევით, იქ კონცერტებსაც მართავს. ცდილობს, დასვენებით ისე დაიღლოს, რომ გამთენიისას, დასაძინებლად საწოლაზე ძლივს მიაღწიოს...

— დასვენებისთვის დადგენილი წესები არა მაქვს, მას ხასიათის შესაბამისად ვგეგმავ. საერთოდ, ბათუმში და ზღვა უსაზღვროდ მიყვარს. მგონია, რომ ამ ქალაქში ძალიან მუსიკალური და აქტიურული ცხოვრების რიტმია. ხალხი ქუჩაშიც ისე

დადის, თითქოს ცეკვავსო... სშირად ზღვის მუსიკას ყურს ვუდებ, ვმღერი და მუდმივად მინდებია, ისე დავიღალო „დასვენებით“, რომ საწოლაზე ძლივს მივალწიო. თურმე ამას წინათ ისე მიგიჟია, ღამით ზღვაში ნასვამს მიცურავია და პლაჟზე გადარეულს მიცეკვია, მეგობრებს ვიდეომტკიცებულება რომ არ ეჩვენებინათ, ამ ამბავს არც დავიჯერებდი.

— როგორ ფიქრობ — რა აკლია ჩვენს ზღვისპირეთს?

— მინდა, ბათუმში კლუბების ქალაქი იყოს. სმაურიანი და გასართობი ადგილების სშირი სტუმარი ვარ. მჯერა, ამ ქალაქში ყველაფერი უკეთესობიკენ შეიცვლება, იცვლება კიდევ... საერთოდ, საქართველოში მომსახურების სერვისის კულტურა ვერაა კარგად განვითარებული. ერთ-



მეუღლესთან ერთად

ელ სახინკლეში ვიკითხე, მალე მოვა ხინკალი-მეთქი? ოფიციალტმა ქალმა იცით, რა მიპასუხა? — მეც მინდა,

მალე მოვიდეს, მალე ჩახეთქავთ და წახვალთო. იმედია, მსგავს პასუხს მომავალში ვერსად მოვისმენთ. ჩვენს ზღვისპირეთში წვიმიან ამინდში გასართობი ადგილების მისამართებიც უნდა იყოს. მაგალითად, მე, აქტიური დიტო ლაგვილავა წვიმისას საოცრად მოწყენილი და ზარმაცია ვხდები. ამ დროს მხოლოდ მანქანით

თუ გავსეირნებ წვიმიან ქალაქში.
— დასვენებას ყოველთვის ზღვაზე ამჯობინებ?
— კი, ზღვა დადებითი ენერჯით მთლიანად მავსებს. მთაში საერთოდ არ ვარ ნამყოფი, არც მიყვარს... რა ჯობს, ზღვის ტალღებში ჩანოლას, კლუბური მუსიკის მოსმენას და გათიშვამდე განტვირთვისა?..

ქართული პოპარსკლავი ბაბუა გახდა

„მერაბი სიხარულისგან
მეცხრე ცაზეა“...

გასულ კვირას, მომღერალ მერაბ სეფაშვილის ოჯახს დიდი სიხარული ეწვია. მისი უფროსი ვაჟი — ნიკუშა — ქალიშვილის მამა გახდა. თავად მერაბი გოგონას დაბადების დღეს, 25 აგვისტოს ბათუმში გახლდათ, კონცერტში („აფხაზეთი ჩემია“) მონაწილეობდა. თბილისში მომღერლის დაბრუნების შემდეგ მაინც ვერ მოხერხდა მასთან შეხვედრა. სამაგიეროდ, გულთბილად მიგვიღო და ჩვენს კითხვებს სიამოვნებით უპასუხა მისმა მეუღლემ.

ლალი ფასია

— ნინო, დაუფერებელია, რომ ასეთი ახალგაზრდა ქალბატონი უკვე ბებია გახდით...

— ისეთი გახარებული და ბედნიერი ვარ, მეტი არ შეიძლება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ბებიობა ჯერ ნორმალურად არც მაქვს გაცნობიერებული. სანამ ხელში არ ავიყვან, გულში არ ჩავიხუტებ და გარკვეულ ამავს არ გავწევ პატარაზე, მანამ ვერ დავიჯერებ, რომ ბებია ვარ (იციინს)...

— აბა, გვითხარით, როგორი გოგონაა?

— ძალიან კარგი. დაიბადა 53 სანტიმეტრი, 3 და 760 გრამი — კარგი გოგონაა... ასე რომ, 25 აგვისტოს, ჩვენს ოჯახს ძალიან დიდი სიხარული ეწვია. ჯერ იმის გამო, რომ ახალი წევრი შეგვემატა, მერე — ძალიან გვინდოდა გოგონა და ეს სურვილიც აგვისდა. ორი ვაჟის დედა ვარ და განსაკუთრებულად მინდოდა, რომ შვილიშვილი მაინც მყოლოდა გოგონა.

— ვის ჰგავს პატარა?

— თავის დედიკოს. თუმცა ჯერ ძალიან პატარაა და კიდევ არაერთხელ შეიცვლება. ახალშობილი ნიკუშა — მამამისი ასეთი არ ყოფილა... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვის ჰგავს?! მთავარია, ცხოვრებაში კარგი ბედილბალი ჰქონდეს. ჩემს შვილიშვილს

„ზღვას თავისი ჰანგები აქვს... ჩემი სიმღერაც მისი ნაწილია!“



მღვამე დილაობით ერთად დავდივართ მე და ქეთევანი

მშობლიური ბათუმის ქუჩებში მომღერალი სოფო სხალვაშიც დიდი სიყვარულით დადის... ზღვის სუნს და შხაპუნა წვიმა ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ამბობს, რომ არსად არის ისეთი თავისუფალი, როგორც ზღვის ტალღების პირსპირ. ყურადღებით უგდებს ზღვის მუსიკას ყურს, ილიმება და ამბობს — ზღვას თავისი ჰანგები აქვს, ჩემი სიმღერაც მისი ნაწილიაო...

თხელ გაათბო შენმა სიმღერებმა...

— მიხარია, თუ ასეა... სოლო კონცერტი არ გამიმართავს, თუმცა ამის დროც ალბათ, მალე მოვა. სხვადასხვა კონცერტში აქტიურად ვმონაწილეობ და ეს ჩემს დასვენებას კიდევ უფრო ალაამაზებს. ბათუმში სიმღერა დიდი სიამოვნებაა... იცით, როცა ზღვას გაყვურებ, მუხაც ბევრჯერ მოსულა ჩემთან. ან როგორ შეიძლება, ზღვაში მზის ჩაგორებას გაჰყურებდე და გული საგულეს დაატიო?! ზაფხულში კი არა, თოვლიანი სანაპიროც ბევრჯერ მომიწახულებია და სილამაზით დავმთვრალვარ. იმასაც გეტყვით, რომ მეცადინეობა ბათუმში ყველაზე კარგად გამოძის. ქალაქში კარგი აურაა, ესეც უთუოდ, ზღვის ბრალი უნდა იყოს...

— რას პირდები მსმენელს და როგორი ბათუმი გინდა, რომ დაგხვდეს გაისად?

— ჯერჯერობით ვერაფერს დაგპირდებით. გეგმები, მართალია, მაქვს, მაგრამ როცა მათზე ხმამაღლა ვლაპარაკობ, ვლარ ვასრულებ ხოლმე მინდა, ბათუმი სიყვარულის ქალაქი იყოს, კიდევ უფრო მეტი მუსიკალური საღამო გაიმართოს და აქედან წასული სტუმარი შთამბეჭდავმა მოგონებებმა მალე მოაბრუნოს უკან... ბათუმში ზაფხულობით სიმშვიდის დაცვა რთულია: ყველაფერი აჩქარებული რიტმით მიდის. შემოდგომიდან ყველაფერი ძალიან წყნარდება და მეც სწორედ ასეთი ზღვისპირეთის გახალისება მინდა... ასეთ ბათუმს, შხაპუნა წვიმის წვეთებით, ძალიან კარგად ვიცნობ...

— ზღვისპირას, მშობლიურ ქალაქში ყველაზე შთამბეჭდავად ვისვენებ. ბათუმურ წვიმაში ძილი არაერთხელ მომნატრებიდა... ბავშვობაში სულ ვმეცადინებოდი, თავგადასავლებისთვის ნაკლებად მეცალა, მაგრამ ზღვა ყოველთვის ჩემი მეგობარი იყო და არის: თუ მიხაროდა, ზღვასთან მიმქონდა სათქმელი, ვწუხდი და ისევ ზღვა იყო ჩემი უსიტყვო მშველელი... ბათუმის შხაპუნა წვიმაშიც ბევრჯერ მოხვედრივარ, განუწული მივსულვარ სახლში, მაგრამ ახლა, როგორც ამბობენ, პოპულარობისას, ხშირად უსაშინლესად მომნატრები იმავე შხაპუნა წვიმის გემო... ახლა ზღვაზე დილაობით ერთად დავდივართ მე და ქეთევანი (საკუთარ ულამაზეს ქალიშვილზე მიანიშნებს), მეუღლე აქ სექტემბერში ჩამოვა. ქუჩაში ყველა შემხვედრი მცნობს, მილიმიან, მეფერებიან, სულში სიტბოს „მილაგებენ“.

— პოპულარობა ყოველთვის სიამოვნებაა?

— ზოგჯერ მართლაც, გლლის ზედმეტი ყურადღება, მაგრამ ჩემი აზრით, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ვარსკვლავობა არ გამოდის. ხალხს თუ გულით უყვარხარ, უყვარხარ და — მორჩა, მათ სიყვარულს ვერსად გაეცევი.
— ნელს ზღვისპირეთი არაერთ



ისეთი გახარებული და ბედნიერი ვარ, მეტი არ შეიძლება

ამას ვუსურვებ!

— რა დაარქვეს მშობლებმა გოგონას?

— ნინა.

— თქვენს პატივსაცემად?

— მეორე ბებიაც ნინო ჰყავს. ისე გამოვიდა, რომ სახელი ზოგადად, ბებიების პატივსაცემად დაერქვა (ისე, სახელი მეც ბებიის პატივსაცემად დამარქვეს).

— რას შერება ვარსკვლავი ბაბუა — მერაბი?

— უზომოდ გახარებულია. მართლა, მეცხრე ცაზე... ნინა რომ დაიბადა, ბათუმში იყო; იქიდან ყოველ წუთს მირეკავდა და მეუბნებოდა: არ ნახვდი და ბავშვი არ ნახეო?!

— თქვენს რძალზე რას გვეტყვი?

— ანა მეტრეველი ორი წელია, რაც ჩვენი რძალია. ნიკუშას არჩევანით ძალიან კმაყოფილი ვარ. ანა ცნობილი ჩოგბურთელის — ალექსანდრე მეტრეველის შვილიშვილია. მას მეორე ბაბუაც (დედის მამა) ღირსეული პიროვნება ჰყავს. თენგიზ გელიევილი აკადემიკოსი გახლავთ. ადრეულ წლებში, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იყო. ამით იმის თქმა მსურს, რომ ანა კარგ ოჯახშია გაზრდილი. მძახლებსაც კარგი ურთიერთობა გვაქვს. რაც მთავარია, თვითონ ბავშვებს ძალიან უყვართ ერთმანეთი.

— ნიკუშა და ანა თქვენთან ცხოვრობენ?

— არა, ისინი ცალკე ცხოვრობენ. რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერში ხელს ვუწყობთ, ვეხმარებით; მთავარია, თვითონ იყვნენ კარგად.

— როგორც ვიცო, ნიკუშა საკმაოდ ადრე, 21 წლის ასაკში დაოჯახდა. როგორ შეხვდით ამას?

— ეს პერიოდი ყველას გამოცდილი აქვს და მეც გარკვეულ ეტაპზე მივხვდი, რომ ნიკუშა ამ გოგონაზე სერიოზულად ფიქ-

რობდა. თუმცა თავიდან მეგონა, რომ ეს გატაცება იყო. მაგრამ ანასთან ერთწლიანი ურთიერთობის შემდეგ ნიკუშა საკუთარ გრძობაში დარწმუნდა. მეც მივიჩინე, რომ მისთვის ხელი არ უნდა შეემშალა. სხვათა შორის, ჩემი შვილის იმედი ნამდვილად მქონდა; ხმაბალა იმის თქმა არ მერიდება, რომ ის ბავშვობიდან კაცი იყო! დაუფერებელია, მაგრამ ძალიან პატარას ჰქონდა კაცური თვისებები. ამასთან, ზედმეტად დამოუკიდებელიც გახლდათ, რისიც ძალიან გვეშინოდა და ვცდილობდით, შეგვეზღუდა. ამ მხრივ განსაკუთრებით, მერაბი აქტიურობდა, დიდ სიფრთხილეს იჩენდა. მეტისმეტად ზღუდავდა...

— ახალბედა მამა — ნიკუშა ალბათ დამოუკიდებლად უძღვება თავისი ოჯახის საქმეებს, არა?

— კი, ასეა. ახლაც, ყველაფერს თავი ისე მოაბა, რომ ჩვენი ჩარევა საჭირო აღარც იყო. ყველაფერი თვითონ შეუძინა შვილს. ნიკუშას ასაკში ზოგს არც კი აინტერესებს ასეთი საკითხები. ვიმეორებ, მისი იმედი რომ მქონდა, დაოჯახებაში ხელი ამიტომაც არ შევეშალე. ასე რომ, ჯერ საკუთარი შვილის იმედი უნდა გქონდეს, რომ მერე სხვისგან რაიმე მოითხოვო.

— ანაც დამოუკიდებელია?

— ისიც დამოუკიდებელია, საოცრად მოწესრიგებული გოგონაა. მართლაც, შესაფერისი წყვილია. თავიანთ ოჯახურ საქმეებს დამოუკიდებლად წარმართავენ. ჩვენ კი მათ ასაკში მშობლებზე ვიყავით დამოკიდებულები.

— ანა ვინ არის პროფესიით?

— მას „იესეში“ აქვს დამთავრებული, საბანკო პროფილით.

— რადგან ნიკუშაზე ვსაუბრობთ, გამახსენდა, რომ მან თავიდან, ასევე ძალიან პატარამ, ბანკში დაიწყო მუშაობა და საკმაოდ მკაცრი რეჟიმიც ჰქონდა.

— კი, ასე იყო... მეორე კურსიდან უკვე მუშაობდა და მას მერე უკვე წლებია, იცის, რომ დილას 9 საათზე სამსახურში უნდა იყოს. უდიდესი პა-



მართლაც, შესაფერისი წყვილია

სუსიმგებლობა ადევს. სკოლაშიც ასეთი იყო. ძნელია შვილის ქება, მაგრამ ნამდვილად არ ვაჭარბებ. ვინც ამას ნაიკითხავს და ნიკუშას იცნობს, არავის გაეცინება.

— მერაბის შვილებმა სცენაზე სიმღერა არ მოინდომეს. პატარა ნინამ სიმღერა რომ დააპიროს და ბაბუის კვალს გაჰყვეს, რას იზამთ?

— რა თქმა უნდა, მივესალმებით. დღეს სიმღერა საქართველოში აღარავის უყვირს. ჩემი შვილები არაჩვეულებრივად მღერიან, მაგრამ სცენაზე არც ერთი არ დგას. ობიექტური უნდა იყო ადამიანი. სანდროს მაინც, ძალიან ლამაზი ხმის ტემბრი აქვს, მაგრამ გარდატეხის ასაკშია და აღარ მღერის...

— გარდა იმისა, რომ სეფაშვილების ოჯახში ასეთი სიახლეა, ისიც მოგვიყვით, ამ ზაფხულს როგორ დაისვენეთ? მერაბმა სად დაისვენა?

— უკვე რამდენი წელია, რაც მერაბს არ დაუსვენია, ფაქტობრივად, შეუსვენებლად მუშაობს. რაც მას ვიცნობ, მხოლოდ რამდენჯერმე თუ ყოფილა წამოსული ერთი კვირით ჩვენთან ერთად, სადმე აგარაკზე.

— როგორ, უცხოეთის კურორტებზე არ დადის?

— არა, მაგრამ მას ხშირად უწევს გასტროლებზე უცხოეთში გამგზავრება, ბევრს მოგზაურობს და როგორც ჩანს, ამით ინაზღაურებს ყველაფერს... ამ ზაფხულს მე და სანდრომ კი დავისვენეთ, ორი კვირით შეკვეთილში ვიყავით წასულები. სანამ ბავშვები პატარები მყავდნენ, პასიური დასვენება არ გამომდიოდა, რადგანაც გამუდმებით აგარაკზე დავდიოდით. ისე, ყველაზე კარგად მაინც ზღვაზე ვისვენებ. ზღვა და პლაჟი მაცოცხლებს. მაგრამ ბავშვები პატარები რომ მყავდნენ, ვერსად ვახერხებდი ნორმალურად დასვენებას. ბოლო წლებია, რაც ცოტათი მოვაგვარე ეს საკითხი, რადგანაც ჩემი შვილები უკვე დიდები არიან.

— რას გვეტყვით მერაბის შემოქმედებით საქმიანობაზე?

— ახლა ისეთი პერიოდი, მოგესხენებათ, მუშაობა ცოტათი შეჩერებულია. მერაბს, რა თქმა უნდა, რალაც ახალი პროექტები აქვს, მაგრამ იქნებ სიტუაცია დაწყნარდეს, რომ მუშაობისთვის შესაფერისი პირობები შეექმნას და სიახლეებიც თავისთავად იქნება.

— კიდევ ერთხელ გილოცავთ შვილიშვილის შექმნას, ბედნიერი გოგონა ყოფილიყო!

— მთავარი მართლაც ეს არის, დიდი მადლობა!

„არს ძველიდან გაქცევას ვაპირებ და არს სადმე დაიხსენია...“

ოპოზიციური ზაფხული

ოპოზიციონერი ლიდერები ჯერ კიდევ გაზაფხულის მინურულს ირწმუნებოდნენ, რომ პოლიტიკურ საქმიანობას მთელი ზაფხულის განმავლობაში არ შეწყვეტდნენ და შემოდგომისთვის საზოგადოებას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ სტრატეგიას შესთავაზებდნენ. გადავწყვიტე, მათ ზაფხულის მინურულს შევხიანებოდი და გამერკვია, საზოგადოებისთვის მიცემულ პირობას ასრულებდნენ თუ საკურორტო სეზონს დასვენებისა და ძაღვების მოსაკრებლად იყენებდნენ. ლიდერთა ერთ ნაწილთან დაკავშირება საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა, მეორე საუბრის განწყობილებაზე არ იყო, მესამე კი „ანგარიში“ გულახდილად ჩამაბარა...



ამ ზაფხულის, არამედ ბოლო 6 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა...

— რას გულისხმობთ?

— ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის ფაქტს. ეს იყო ყველაზე ცინიკური და სამარცხვინო დანიშვნა, რომელიც სააკაშვილს თავისი მმართველობის მანძილზე განუხორციელებია. მისი ეს ნაბიჯი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყანა საერთოდ დაკარგავს თავდაცვისუნარიანობას და ცხოვრება გამუდმებული საფრთხის პირობებში მოგვიწევს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი პრეზიდენტი ნატოში განუვრებაზე საერთოდ აღარ ფიქრობს. ახალაია ძალიან ბევრ შავნულ საქმეს უკავშირდება, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ძალიან კარგად იციან. ისინი ჯერ კიდევ იმის გამო გამოხატავდნენ უკ-

სათუნა ბახტურიძე

წინო პარჯანაძე:

— მე და ჩემმა თანაგუნდელებმა მთელი ზაფხული ვიმუშავეთ. ერთადერთი შეღავათი ის გვექონდა, რომ სამუშაო საათები ცოტა მოგვიანებით გვეწყებოდა. მართალია, აგვისტო დასასვენებელი სეზონია, მაგრამ საქართველოში ეს თვე ტრადიციულად, ყველაზე რთული პოლიტიკური პროცესებით არის დატვირთული. ამიტომ დასვენებაზე არც მიფიქრია.

— თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ დასასვენებლად უცხოეთში იყავით წასული.

— ბოლო დროს ჩემ შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ზოგმა ისიც კი თქვა, რომ საქართველოდან გავიქეცი და უცხოეთში პოლიტიკური თავშესაფარი მოვიხიბოვე. სინამდვილეში, არც ქვეყნიდან გაქცევას ვაპირებ და არც სადმე დაიხსენია. უბრალოდ, კიევში საქმიანი ვიზიტით გახლდით. დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია ოპოზიციონერ პოლიტიკოსს დასვენების საშუალებას ნამდვილად არ აძლევს.

— პოლიტიკური პროცესებით დატვირთულ აგვისტოში თქვენ რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგით?

— ჩვენ ძირითადად, პარტიული სტრუქტურის დახვეწაზე ვიმუშავეთ. იცით, რომ ჩვენმა ახალჩამოყალი-

ბებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხელისუფლების მხრიდან სერიოზული დარტყმები მიიღო. ამიტომ სამუშაოც ბევრი გვაქვს.

— თქვენი პარტიის წევრებმა ხელისუფლების ზენოლას რამდენად გაუძლეს?

— ხელისუფლების ზენოლას პარტიის ყველა წევრმა გაუძლო, არც ერთი მათგანი არ შეშინებულა, არც გარიგებაზე წასულა ვინმე. ამით ძალიან ვამაყობ. ამ ეტაპზე პარტიის პროგრამის დახვეწაზე ვმუშაობთ. სააკაშვილის გუნდისგან განსხვავებით, ხალხმა უნდა იცოდეს, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რას გავაკეთებთ. სხვათა შორის, ზაფხულის განმავლობაში არც საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობა შევინწყვეტია.

თინა ხიდაშელი:

— ზაფხულის მოსვლა არც კი მიგრძნია. მთელი 3 თვე თბილისში ვავატარე და სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა პროექტზე ვიმუშავე.

— კონკრეტულად რომელ პროექტზე იმუშავეთ?

— პირადად მე, თემატურ საკითხებზე ვმუშაობდი. ჩვენი ალიანსის მუშაობის შედეგებს საზოგადოებას შემოდგომიდან გავაცნობთ.

— თქვენი აზრით, ამ ზაფხულის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა რა იყო?

— შემიძლია გითხრათ, არა მარტო



მაყოფილებას, რომ ახალაია მინისტრის მოადგილე იყო. ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნებოდა მათი რეაქცია?

დავით საბანელიძე:

— რა დამასვენებს, როდესაც ქვეყანაში ასეთი რთული პოლიტიკური ვითარება და ეკონომიკური კრიზისია?! ამ ზაფხულს რაჭა, აჭარა შემოვიარე და რაიონულ ორგანიზაციებში გარკვეული ცვლილებები განვახორციელე. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, რამ-



დენიშე დღე მართლაც დავისვენე.

— სად დაისვენეთ?

— როდესაც აჭარაში მოძრაობ, შეუძლებელია, ზღვის სანაპიროზე რამდენიმე დღე მინც არ გაჩერდე. სხვათა შორის, საქმეებთან დაკავშირებით, უცხოეთშიც მომინა წასვლამ. ჩემთვის ესეც თავისებური დასვენება იყო.

— რომელ ქვეყანაში იყავით?

— მომიტევეთ, მაგრამ ახლა ვერ დავაკონკრეტებ, სად და რატომ ვიყავი წასული. პირადი საქმეები მოვაგვარე, საინტერესო არაფერია...

— აჭარასა და რაჭაში მოგზაურობის დროს, ადგილობრივ მცხოვრებთ თუ შეხვედით?

— აბა, რა! ეს ჩემი მოგზაურობის ერთ-ერთ უმთავრესი მიზანი იყო. სადაც ჩავედი, ყველგან ერთნაირად გაუსაძლისი მდგომარეობა დამხვდა.

— სოციალურ პრობლემებს გულისხმობთ?

— არა მარტო სოციალურ პრობლემებს. რაიონებში ჩვენი თანამოაზრეები გაუსაძლის პირობებში არიან, ზოგი გატაცებულია, ზოგი — დაჭერილი, ზოგიც — დატერორებული და დაშინებული. მათ გამო აქეთიქით სირბილი მიწვედა. კიდევ კარგი, ეს ზაფხული გრილი იყო, სიცხეში საქმის კეთება ძალიან მიჭირს.

ბიორგი გუგაშვილი:

— ლეიბორისტები ზაფხულში არ ისვენებენ! სააკაშვილი პოლიტიკურად არააქტიურ პერიოდს შავი და ბინძური საქმეების განსახორციელებლად იყენებს; ამიტომ ჩვენ ზაფხულში, გაათმაგებული ძალებით ვიბრძვით პოლიტიკურ ასპარეზზე. მინდა, ერთი საინტერესო დეტალი გითხრა: მას შემდეგ, რაც შალვა ნათელაშვილი აქტიურ პოლიტიკაში ჩაება, ერთი ზაფხულიც არ დაუსვენია.

— თქვენ?

— (ფიქრობს) არც მე ვინ მაძლევს დასვენების საშუალებას?! მხოლოდ რამდენიმე დღით ჩავედი ჩემს სოფელში და მოხუც დედ-მამას დავეხდე. ახლა ისევ ვაგრძელებ შრომას და

ბრძოლას, იმ უბედურების წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა.

— თქვენი აზრით, ამ ზაფხულს რა უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას?

— ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნა ჩვენი ქვეყნისთვის დიდი უბედურების მაუწყებელია! ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი ქართულ არმიას პირად დაცვად გადააქცევს და მხოლოდ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენებს. სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ტრაგიკული თარიღი აგვისტოსთანაა დაკავშირებული. ძალიან უცნაურად მეჩვენება, რომ ამ ტრაგიკულ თარიღებს სააკაშვილი ზეიმით აღნიშნავს. შეგახსენებთ, რომ მან 26 აგვისტო — ჩვენი სახელმწიფოებრივი სივრცის 3 ნაწილად გაყოფის დღე კონცერტით აღნიშნა.

დავით ზურაბიშვილი:

— ამ ზაფხულის განმავლობაში ჩვენმა ალიანსმა საკმაოდ ინტენსიური მოლაპარაკებები წარმართა და მნიშვნელოვანი გეგმებიც დასახა, მაგრამ ამ ყველაფერს ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ. შემოდგომაზე ყველაფერს ნათელი მოეფინება.

მკბ ბესალია:

— ეს ზაფხული ბათუმის იზოლაციაში გაგატარე. ხელისუფლებამ ჩემს ძმას და შვილს მიზანმიმართული პროვოკაცია მოუწყო. მათ მხოლოდ იმისთვის დააბრალეს ხულიგნობა, რომ იზოლაციიდან სასამართლოში მერბინა და ენერჯია სხვა მიმართულებით დამეხარჯა, მაგრამ მე ადამიანთა იმ კატეგორიას მივეუთვნები, რომელსაც სიძნელეები და წინააღმდეგობები კი არ აბნევენ ან თრგუნავენ, არამედ აძლიერებს და ბრძოლის სურვილს უღვივებს. მთელი ზაფხული ორ ფრონტზე ვიბრძოლე.

— თქვენს ძმასთან და შვილთან



ან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება მოახერხეთ?

— ჯერ ვერა. ახლა ორივეს ბრალდება აქვს წაყენებული. ჩემი შვილი გირაოთი გამოვიყვანე ციხიდან, ძმა



კი ისევ პატიმრობაშია. ის ხელისუფლებამ მძევლად დაიტოვა.

— პოლიტიკურ ფრონტზე თუ მიადნით რაიმე წარმატებას?

— სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, საკმაოდ სერიოზულად ვიმუშავე და ძალიან მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებები მივიღეთ. შემოდგომას მომზადებულები ვსვდებით.

— მინც რა გადამწყვეტილებები მიიღეთ?

— ამის გამხელა ნაადრევია იმიტომ, რომ სტრატეგია ჯერ ბოლომდე არ ჩამოგვიყალიბებია.

— შეიძლება ითქვას, რომ ამ ზაფხულს ოპოზიციამ გაერთიანება მოახერხა?

— ეს პროცესი ჯერჯერობით მიმდინარეობს. ახლა ლუსტრაციის მეორე ეტაპია. პოლიტიკოსები ღიად ირჩევენ გზას — ხელისუფლებისკენ ან ხელისუფლების წინააღმდეგ.

მანანა ნაჭყვიაძე:

— მთელი ზაფხულის განმავლობაში 5 დღე ბათუმში ვიყავი, 10 დღე ჩემს აგარაკზე — თეთრიწყაროს რაიონში, დანარჩენი დრო — თბილისში გახლდით და პოლიტიკურ მოღვაწეობას ვწეოდი. სხვათა შორის, ბათუმში ჩვენი პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს შევხვდი და რაღაცები დავგეგმეთ. უკან დაბრუნებისას, გურიაშიც გამოვიარე და საქმიანი შეხვედრები გავმართე. ერთი სიტყვით, დრო უქმად არ დამიკარგავს...

— განახლებული ბათუმი როგორ მოგეწონათ?

— ამ ბოლო დროს ბათუმი მართ-



ლა ძალიან გალამაზდა. რაც გაკეთდა, ყველაფერი ლამაზია; ვისურვებდი, რომ ხარისხიანიც იყოს. ამას დრო გამოაჩენს. განახლებული ბულვარიც მომეწონა, მაგრამ კარგი იქნებოდა, ჯერ მისი მშენებლობა დასრულებულიყო და გახსნის ცერემონია მერე ჩატარებულიყო. როგორც ვიცი, ბულვარის ბოლომდე მონყობას კიდევ 2 წელი სჭირდება. სააკაშვილი ბათუმელების გულის მოგებას ცდილობს, მაგრამ მათ ნდობას მაინც ვერ იმსახურებს. თურმე მათთვის უთქვამს, — რადგან თბილისელებს არ ვუნდივარ, ბათუმელებისა და ქუთაისელებისთვის ბევრ საქმეს გავაკეთებო. მხოლოდ ქალაქის გალამაზება მოსახლეობას სოციალურ პრობლემებს ვერ მოუგვარებს.

— თუ განახლებულ ბათუმში მეტი დამსვენებელი ჩავა, ამით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პრობლემები არ მოგვარდება?

— არც ასეა საქმე. ერთი თვის განმავლობაში იმდენ თანხას ნამდვილად ვერ მოაგროვებენ, რომ მერე მთელი წელი უზრუნველად იცხოვრონ.

— ქალბატონო მანანა, ოპოზიციონერ ლიდერთა უმრავლესობა ამბობს, რომ პარტიებში უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მუშობდნენ, მაგრამ კონკრეტულად არაფერს ამბულენ. იქნებ თქვენ მაინც გვითხრათ, რა ხდება?

— სამწუხაროდ, ვერც მე გეტყვით, იმიტომ, რომ ჩვენ ისეთი ხელისუფლება გვყავს, ყველაფრის ჩაშლა შეუძლია.

ზია ცაგარაიშვილი:

— წელს დასვენება არ გამომივიდა. საამისოდ, არც ხალისი მქონდა და არც — საშუალება. მხოლოდ ერთი კვირით გახლდით იმერეთში. იქ 91 წლის ბებია მოვინახულე; დანარჩენი დრო სულ თბილისში გავატარე.

— თბილისში რაიმე ღირებულის გაკეთება თუ შეძელით?

— ალბათ იცით, რომ საქართველოს პარლამენტში დავბრუნდი და ჩემი სამუშაო ოთახი ხალხს დავუთმე. მთელი ივლისი პრესკონფერენ-



ციებს ვატარებდი და ხალხს საკუთარ პრობლემებზე საუბრის საშუალებას ვაძლევდი.

— პარლამენტში დაბრუნებას არ ნანობთ?

— არა. მიმაჩნია, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც თავიანთ მანდატებზე უარი თქვეს, ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვეს. ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, შესაძლოა, საქართველოში დღეს სხვაგვარი პოლიტიკური სურათი ყოფილიყო. საკუთარ თავს პარლამენტში ვხედავ.


— თუ ასეა, 9 აპრილის აქციების დროს პარლამენტი რატომ დატოვეთ და საკანში რატომ ჩაჯექით?

— სხვაგვარად არ შემეძლო და იმიტომ. თავიანთი ნაბიჯები იმ პოლიტიკოსებს აქვთ ასახსნელი, ვინც მაშინ ხალხის გვერდით არ დადგა. სადაც ჩემი ამომრჩეველი დამიძახებს, იქ დავდგები. ყველა საშუალებას გამოვიყენებ იმისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმის უარყოფითი მხარეები ვამხილო.



გაპოვიდა! სექტემბრის ნომერი

თქვენ სოც გაპოვნებიანი კითხვები გრჩანდავით...



რაჭაზე შეყვარებული ვინი

„რაჭის თავადი“ ზაალ წულუკიძე, იგივე — ვინი ზაფხულობით „სანულუკიძეოს“ სტუმრობს, სოფელ კაჩეთში „ფესვებს იდგამს“ და ბუნების სილამაზეს „უერთდება“... „იმედის დილის“ ამინდის პროგნოზის წამყვანისთვის ამინდს მნიშვნელობა არა აქვს — ნოსლიან რაჭაშიც მშვიდად სეირნობს და იქაურობით ტკებუბა. კაჩეთელეებთან ერთად, ვინიმ წლების წინ, მინისძვრის დროს დანგრეული ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო და მადლიანი საქმის მონაწილეებმა, XI საუკუნით დათარიღებული ტაძარი აღმოაჩინეს...



თავისი პლაჟი იპოვოს და ყველამ თავისი „სტრინგი“ წახოს, რომლის სიმსაც ჩამოჰკრავს (იციინის). საკურორტო რომანების გარეშე დასვენებას რა აზრი აქვს? თუკი აპირებ, ზღვაზე აქტიურად დაისვენო, ამ აქტიურობაში მხოლოდ დისკოთეკაზე სიარული არ შედის: იქ ვილაც მოგწონება, ვილაცას მოგწონები და ურთიერთობაც აენწყობა.

— საზღვარგარეთ დასასვენებლად თუ ყოფილხარ?

— მასსოვს, ქართული კულტურის დღეები იყო და ანსამბლ „დარიალიდან“ ამერიკაში გავემგზავრეთ. მაშინ 14 წლის გახლდით. 2 კვირა ატლანტისა და ნიუ-იორკში ვიყავით. კარგი დრო ვატარეთ. 1-ელი პატარა რომანი სწორედ მაშინ მქონდა, იმ ოჯახის წევრ გოგონასთან, სადაც ვცხოვრობდი. მართალია, ჩემზე 1 წლით უფროსი იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მისგან ვისწავლე (იციინის).

— მერე, როგორ განვითარდა შენი რომანი?

— იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში არეული სიტუაცია იყო და ვის ესყვარულეობდა? მთელი საქართველო ბადრიჯან-ლობიოზე, „კერასინკაზე“ გადავიდა და ამერიკაში, ლედერსების ოჯახთან დასაყვამირებლად მეც არ „მცხელოდა“...

— ვინი, უცხოეთის რომელ კურორტზე ისურვებდი დასვენებას?

— ეს ცხოვრება მაგაზე ფიქრის დროს არ გვიტოვებს. ხალხს ჰგონია, ყველა ცნობილ ადამიანს კარგი მატერიალური შესაძლებლობა აქვს — ნურას უკაცრავად, არც ასეა საქმე: საზღვარგარეთ დასვენების უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ... ისე, წყნარ, ზღვისპირა კურორტს ავირჩევდი: რომელიმე პატარა კუნძულზე, ზღვის პირას — კოტეჯში ვიცხოვრებდი და ქოქოსის წვენი ვისამოვნებდი.

— ზაფხულობით ძირითადად, სად ისვენებ ხოლმე?

— რაჭაში პატარა სახლი გვაქვს. ბებია-ბაბუა ცოცხლები აღარ არიან და იმ სახლშიც არავინ ცხოვრობს. ადრინა გაზაფხულზე მშობლები იქაურობის მოსაწესრიგებლად მიდიან. სამწუხაროდ, სამივე ძმა შვებულების ერთდროულად აღებას და ერთად დასვენებას ვერ ვახერხებთ. თუმცა, შარშან, ომის პერიოდში მე, ჩემი უმცროსი ძმა და დედა რაჭაში ერთად ვიყავით და იქ ჩავრჩით მანამ, ვიდრე გზები არ გაიხსნა — დიდი შვე-

და კაჩათელეების მიერ აღმოჩენილი XI საუკუნის ეკლესია

ეთო უორღანაშვილი

— როცა დასასვენებლად მივდივარ, ყველა იმ ძირითადი მოქმედებისგან ვისვენებ, რითიც ჩვეულებისამებრ, მთელი წლის განმავლობაში ვარ დაკავებული (გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას ვგულისხმობ). ჩემთვის დასვენება ისეთ ადგილას წასვლაა, სადაც იგივე ხალხი არ დამხვდება, ვისაც მთელი წლის განმავლობაში ვხვდავდი. ხმაური, აურზაური არ უნდა იყოს, სიმშვიდე მსიამოვნებს...

— და ბათუმში ან ქობულეთში გამგზავრებისგან თავს ამიტომაც იკავებ?

— ზღვისპირა — კი, მაგრამ ხმაურიანი ქალაქები არ მომწონს. მაგალითად, ქობულეთის პლაჟზე წემს ვერ ჩააგდებ — ვილაცას აუცილებლად, დუნდულაზე მოხვდება (იციინის). პლა-

ჟზე ყოფნისას, დროის ძირითად ნაწილს ხალხთან მისალმებაში ვატარებ, რადგან თითქმის მთელი საქართველო იქაა: „ვა, შენც აქ ხარ?“ „როგორ მოენწყვე?“ და ა.შ.

— თვალების დახუჭვა და მზის გულზე ნებებობა არ გიცდია?

— ახლახან „კავენეშჩიკებთან“ ერთად, ბათუმში ვიყავი, იქიდან კი სარფში წავედი, რადგან ვიცოდი, სარფში გაცილებით ნაკლები ნაცნობი და შესაბამისად, ნაკლები „გამარჯობა“ იქნებოდა. თან, სხვა ზღვისპირა ქალაქებისგან განსხვავებით, იქ სუფთა წყალია. წყალი ძალიან მიყვარს — ბავშვობაში ცურვაზე, წყალბურთზე დავდიოდი. მოკლედ, სარფში ყოფნისას ზღვაში შევცურე და გამოვცურე, სიმინდიც მივირთვი, მერე კი მე და ჩემმა მეგობრებმა დიდი ქოლგა შევინაშეთ, წამოვიღეთ და შეზღონგის შუაში ჩავარჩვეთ. დაახლოებით, 1 საათი სარფს ჩემი ხვრინვა ანუხებდა, მაგრამ ძალიან კარგად მეძინა.

— ეი, ძილში ხვრინავ?

— ზოგს სიამოვნებს ჩემი ხვრინვა (იციინის)...

— საკურორტო რომანებიც გეკრება მოსაყოლი...

— ასეთი რაღაცები ადრე უფრო ხდებოდა, როცა ზღვაზე აქტიურად დავდიოდი. რა მოგიყვებ — ზღვაზე როგორ „ვაბამ“ ქალებს (იციინის)?

— თუნდაც... კარგი იქნება, თუ საკუთარ გამოცდილებას სხვა მაკავცებსაც გაუზიარებ.

— არა, არა! ყველამ



ბულება გამოგვივიდა, დიდი ნერვიულობის ფასად: ყუმბარების აფეთქების ექო ჩვენამდე აღწევდა... მაინც დავისვენე: რაჭაში უბრალოდ, უნდა ისუთქო, სიმშვიდით დატკბე, „ფესვები“ გაიდგა და ბუნების სილამაზეს შეუერთდე. დასვენებისას, ჩემთვის ამინდს მნიშვნელობა არა აქვს: ნისლიც მშვენივრად ვსვირობ და სულიერადაც განვიმუხტები.

— დასვენების დროს, კითხვათუ გიყვარს?

— ზოგჯერ მიყვარს, ზოგჯერ — არა, რადგან კითხვისას გონება მაინც აქტიურად მუშაობს. სხვათა შორის, სწორედ რაჭაში წავიკითხე ჩემი საყვარელი ზღაპარი — „ბეჭდების მბრძანებელი“ (პოპულარული რომანების კითხვით დიდად დაკავებული არ ვარ). მხოლოდ სახლის ეზოში კი არ ვკითხულობდი, გარეთ გავდიოდი და სადმე ბუნებაში ჩამოვჯდებოდი ხოლმე, რადგან ზღაპარში იმ ტერიტორიის თითოეული ხე და ბუჩქია აღწერილი, რომელსაც გმირები გადიან.

— ნიგნში აღწერილი პეიზაჟების შესაბამის ადგილებს რაჭაში ეძებდი?

— კი და ბევრი საერთოც ვიპოვე რაჭასა და ხობიტანის შორის: პატარა ქედები, მწვანედ დაფარული ტყეები, რომლებიც ფერს იცვლის... ჩემს სოფელთან საერთოს რევაზ ინანიშვილის მოთხრობებშიც ვპოულობ: მაგალითად, ნისლი, შემოდგომის ფერები, ღუმლიდან ამომავალი კვამლი...

— ქართულ პრესას თუ ეცნობი ხოლმე?

— რას ამბობ? როცა ვისვენებ, ტელევიზორსაც არ ვრთავ. საღამოს ვილაცას ვკითხავ: ქვეყანაში მნიშვნელოვანი ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი? ისე, თუ ჩემზე ან ჩემს ახლობლებზე არ წერია რამე, პრესას არც ვეცნობი, მაგრამ თუ ჟურნალი ავიღე ხელში, მაშინ აუცილებლად, თავიდან ბოლომდე ვკითხულობ.


— ამ ზაფხულს დასვენება მოასწარ?

— ცოტათი. თან, წელს ჩვენს სოფელში — კაჩეთში (ამბროლაურის რაიონი) ძალიან კარგი საქმე — მთავარანგელოზის ეკლესიის აღდგენა დაიწყო. ეკლესია XIX საუკუნის გახლდათ და 90-იან წლებში, რაჭაში მომხდარი მიწისძვრის დროს დაინგრა. შარშან, ომიანობისას, ნიკორწმინდის წინამძღვართან — მამა გაბრიელთან საუბრისას ეკლესიის აღდგენის სურვილი გამოთქვით, მან კი გვითხრა: თუკი ტაძრის მშენებლობას დაიწყებთ, არ უნდა გაჩერდეთ, რადგან ამაზე დიდი ცოდვა არ არსებობს. ღვთის რწმენით, სოფლის ახალგაზრდებმა და „ძველგაზრდებმა“ სამუშაოს პირველი ეტაპი დაიწყეთ,

რაც კედლების ჩამოშლას, ადგილის გასუფთავებასა და მშენებლობისთვის მომზადებას გულისხმობს. მოხდა სასწაული: როცა კედლების ძირითადი ნაწილი ჩამოშალეს, სამარხები იპოვეს. გათხრები გაგრძელდა და უფრო ძველი ეკლესიის კედლები გამოჩნდა, ასევე — ფრესკების ნაწილი. ეს უკანასკნელი შესაძლოა, უბრალოდ მოხატულობა იყოს ბიბლიურ თემაზე, მაგრამ რაც მთავარია, მინაში რამდენიმე საუკუნე გაატარა. სამუშაოები გავაჩერეთ. არქეოლოგები და ამ საკითხში გათვითცნობიერებული ადამიანები მივიწვიეთ, რომლებმაც დაასკვნეს, რომ ეკლესია XI საუკუნისაა ანუ — იმ პერიოდში შენდებოდა, როცა ნიკორწმინდის ტაძარი აშენდა. ალბათ, იმ ტერიტორიას გადაფარავენ, რათა ზამთარმა არ დაზიანოს, გაზაფხულზე კი მუშაობა გაგრძელდება. პარალელურად, გრძელდება მთავარანგელოზის ეკლესიის აღდგენა. მინდა, ყველას დიდი მოკითხვა შევუთვალო, ვინც ამ საქმეში მონაწილეობს.



ეკლესია XIX საუკუნის გახლდათ და 90-იან წლებში, რაჭაში მომხდარი მიწისძვრის დროს დაინგრა



დაასკვნეს, რომ ეკლესია XI საუკუნისაა

**სოფელ კაჩეთის მთავარანგელოზის სახელობის
ქალაქის აღდგენის საბანაო ანგარიში**

სახალხო ბანკი

ფილიალის დასახელება	ნაძალადევის ფილიალი
მფო	220101476
ანგარიშის №	2728752530
ფიზიკური პირი	პეტრიაშვილი ლაგერენტი
საიდენტიფიკაციო კოდი	1019006328
ბანკის მისამართი	დ. გურამიშვილის 64
ტელეფონი	618301

ახალი პრესა ყველა სოფელს!

ყურადღება!

იუ საქართველოს მოსახლეს რეგულარულად ან სოფელში გაქცეულ სოფელში იმედი (პრეცედი ან სხვა) და გაქცეულ სურვილი, შეწყვიტეთ თქვენს იმედიებს ყურნალ-გამეფების სარეაქტივით სტენდი, დაეკავებოდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315. ჩააწერინეთ თქვენს თქვენი ვინაობა და საკონტაქტო გეგმეფონა.

გადასაგეგმვა და შეგეგმვა: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

გადასაგეგმვა და შეგეგმვა: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

„ქალაქი“

„სირსხვილის კორიდორში“ ააყად გავდიოდი“

შოუს — „მე მიყვარს საქართველო“ წამყვანმა მაკა ცინცაძემ ჯერ არ იცის, ახალი სეზონიდან გავა თუ არა ეთერში მისი გადაცემა. „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ სომ ბოლო რამდენიმე წელია, სულ რეფორმები მიმდინარეობს. დიდი ალბათობაა, რომ აღნიშნული პროექტი ეთერში აღარ გავიდეს, რაზეც, როგორც მაკა ამბობს, სულაც არ იდარდება, რადგანაც მას რამდენიმე ახალი გადაცემის იდეა აქვს.



აპრილოვანი შოუს წამყვანის პრობლემები

მერი კობიაშვილი

— მაკა, როგორ გგონია, შენს გადაცემას რა ბედი ელის?

— „მე მიყვარს საქართველო“ ნაყიდი პროექტია. ანალოგიური გადაცემა რამდენიმე ქვეყანაში გადის. ჩვენ ის ოდნავ შეეცვალეთ და წინა წლის დეკემბრიდან ეთერში გავედით. სამწუხაროდ, ჯერ საბოლოო პასუხი არ მიგვიღია. გვეუბნებიან, რომ შემდეგ სეზონზე გადაცემა შეჩერდება, რაც იმას ნიშნავს, რომ

უმუშევარი ვრჩები (იცინის). თუმცა პირადად მე, გაჩერებას არ ვაპირებ.

— ისევ გასართობი გადაცემის წამყვანა გინდა?

— ამას ჯერჯერობით ვერ გეტყვი.

— ყველა კითხვაზე, რასაც მოწვეულ სტუმრებს ეკითხები, თავადვე იცი სოლმე პასუხი?

— არა, ხო თქმა უნდა...

— „ჩაწყობა“ არ მოდის თქვენთან?

— კი, რამდენჯერმე მთხოვეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. წინასწარ რომ ვუთხრა პასუხები, მაშინ თამაში აღარ გამოვა.

— შენს მეგობრებს შოუსი თუ ნაუგიათ?

— ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე იყო. მერე გადაცემის ჩანაწერის ყურებისას დამიფიქსირებია, როგორ მეტყობოდა, ვისაც ვგულშემატკივრობდი. ამის მიუხედავად, პასუხები მაინც არავისთვის მიმიცია წინასწარ.

— გადაცემაში შენს იმიჯზე ვინ ზრუნავს? თუ ყოფილა შემთხვევა, რომ კაბა, რომელიც გცმია, არ მოგწონდა, დისკომფორტს გიქმნიდა?

— გადაცემის ჩანაწერისას ისეთი კაბა არ მცმია, რომ დისკომფორტი შემქმნოდა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა რეალურად სხვაგვარად მქონია კაბა და ეკრანზე სხვაგვარად გამოჩენილა; რაც შეეხება იმიჯს, მასზე ეკა იახტინიშვილი ზრუნავდა, რომელიც ჩემი უსაყვარლესი ადამიანია. მან ზუსტად იცის, როდის რა მჭირდება.

— ცხოვრებაში რამდენად ჰგავხარ იმ მაკას, რომელიც ეკრანზე ჩანს?

— ჯერ შენი აზრი მაინტერესებს — როგორ ფიქრობ, როგორია ის მაკა, რომელიც ეკრანზე ჩანს?

— ლამაზი და მხიარული...

— გმადლობ. ვგავარ თუ არა იმ მაკას, რომელსაც მაყურებელი იცნობს, ალბათ ჩემს მეგობრებს უნდა ჰკითხო. სულ მხიარული როგორ ვიქნები?! ხან კარგ ხასიათზე ვარ, ხან — ცუდზე.

— თავისუფლად და ლაღად თავს როგორ ჩაცმულობაში გრძნობ?

— აბსოლუტურად ყველანაირ სამოსს ვირგებ და ვიხდენ: კედებით დაწყებული, საღამოს კაბით დამთავრებული, გააჩნია, სად მივდივარ.

— გადაცემიდან დათუნა გოცირიძე რატომ წავიდა?

— ეს მისი პირადი საქმე იყო. მისმა წასვლამ გული მართლა დამწყვიტა. თუმცა მის გადამწყვეტილებას პატივს ვცემ.

— შენ რადიო „უცნობშიც“ მუშაობ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი ხარ?

— რადიო „უცნობში“ მუშაობა, არც ამას ნიშნავს და არც იმას, რომ ხელისუფლების მომხრე ვარ. საერთოდ, ვფიქრობ, ჟურნალისტმა თავისი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, საჯაროდ არ უნდა დააფიქსიროს; არის ნიუანსები, რაშიც ოპოზიციის შეხედულებას არ ვიზიარებ და არის საკითხები, რომლებშიც ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ვეთანხმები.

— „სირსხვილის კორიდორში“ გავლა გინევდა ხოლმე?

— აბა, რა?! მიუხედავად იმისა, რომ შემოვლითი გზები კარგად



გადაცემის ჩაწერისას ისეთი კაბა არ მცმია, რომ დისკომფორტი შემქმნოდა

ვიცოდი... „სირცხვილის კორიდორში“ ამაყად გავდიოდი. ამით იმ შემთხვევაში პროტესტს გამოვხატავდი!..

— **კარგი გარეგნობა გაქვს. ტელევიზიაში მუშაობის დაწყებამდე მსახიობობაზე არ გიფიქრია?**

— არასდროს მქონია არც მსახიობობის და შენ წარმოიდგინე, არც ჟურნალისტობის სურვილი. უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, როცა „პირველ რადიოში“ (FM 106.4) დავიწყე მუშაობა, მაშინ პატარა ვიყავი. იმ რადიოში ბევრი რამ მასწავლეს, ფაქტობრივად, იქ გავიზარდე. ძალიან ბევრ ადამიანთან მქონდა კონტაქტი. ამ რადიო ძალიან შემცვალა და მაშინ მივხვდი, რომ ჩემი საქმე ჟურნალისტობა იყო. ფილმში როლი არავის

ალარ გრჩება, არა?

— რადიოში მუსიკალურ ნამყვანებს, პაუზის დროს, წიგნით ხელში ხშირად ნახავთ. ამის დრო ყოველთვის რჩება დიჯეის. ხშირად გამიგია — XXI საუკუნეში წიგნს კომპიუტერი ჩაენაცვლაო; მე ამ აზრს არ ვეთანხმები.

— **ბოლოს რა ნაიკითხე?**

— ძალიან მიყვარს გურამ დოჩანაშვილი. რამდენიმე დღის წინ „ლოდი ნასაყდრალის“ კითხვა დავამთავრე. ალარც კი მახსოვს, ეს წიგნი მერამდენედ გადავიკითხე. ამჯერად, უკვე მერამდენედ, არც ეს მახსოვს, ბასა ჯანიკაშვილის პიესების კრებულს ვკითხულობ და ძალიან მომწონს...

— **უპირატესობას რომელ ბედურ გამოცემას ანიჭებ?**

— ყველაფერს ვკითხულობ. რაც მომეწონება, მერე იმ ჟურნალზე ვაკეთებ არჩევანს.

— **ალბათ, „მე მიყვარს საქართველოს“ ეთერში გასვლის შემდეგ ბევრი თაყვანისმცემელი გაგიჩნდა...**

— კი, ასეა, მაგრამ მე მეუღლე მყავს, რომელიც ძალიან მიყვარს და მასაც ძალიან ვუყვარვარ. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ, რომ დაინერება.

— **მეუღლე არ ეჭვიანობს შენს თაყვანისმცემლებზე?**

— არა, იმიტომ რომ კარგად მიცნობს. თან ერთად კარგად ვგრძნობთ თავს. ღმერთმა ნუ ქნას და თუ ჩვენს ურთიერთობაში რამე შეიცვალა, არც ამას დავუშვალავთ ერთმანეთს. ამ ეტაპზე საბედნიეროდ, ეს არ გვემუქრება და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდება!

— **ვინაა შენი მეუღლე?**

— ნოდინო ლამბაშიძე გახლავთ... მეტს ვერაფერს გეტყვით, არ უყვარს, როცა მის შესახებ ჟურნალში იწერება.

— **დიდი ხანია, რაც ერთად ხართ?**

— ორი წელია.

— **როგორ მოიგო მან შენი გული?**

— მაქსიმუმი გააკეთა, ერთად რომ ვყოფილიყავით და მგონი, მეც

ვუფასებ...

— **შენი გულის მოსაგებად ჩადენილ მის საქციელს ხომ ვერ გაიხსენებ?**

— არა, ეს მხოლოდ ჩვენია და არ მინდა, ამის შესახებ სხვამაც გაიგოს. ხომ ამბობენ, გათხოვების მერე ცოლ-ქმრის ურთიერთობა იცვლებაო. ჩვენს შემთხვევაში ასე არ მომხდარა.

— **მოსწონს შენი გადაცემა?**

— ხშირად მაკრიტიკებს... ის ჩემი საუკეთესო მეგობარია. პირველად რჩევას მას ვეკითხები და მის რჩევებს ვითვალისწინებ.

— **თაყვანისმცემლები სუვენირებს არ გიგზავნიან?**

— ვალიარებ, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, მაგრამ ყველა არასერიოზულად მიმიღია. საჩუქრებს არ ვიღებ. ყვავილებზე კი არ ვამბობ უარს, რადგანაც ქალი ვარ!

— **რომელია შენთვის საყვარელი ფერი?**

— ლალი ფერები მიყვარს...

— **დასვენება სად უფრო გიყვარს — მთაში თუ ზღვაზე?**

— ზღვაზე ვვიყვები. სანაპიროზე ყოფნა დილიდან საღამომდე არ მბეზრდება. სიცხე საერთოდ არ მანუხებს. კარგად მახსენდება წინა წლის ზაფხული...

— **ცურვა იცი?**

— კი, კარგად (იღიმება).

— **რატომ გელიმება?**

— ძლივს ვისწავლე ცურვა, კინალამ დამახრჩვეს. ახლა კი ძალიან კარგი მოცურავის სახელი მაქვს...



მთელი დღის განმავლობაში ძირითადად მუსიკას ვუსმენ

შემოუთავაზებია, თორემ სიამოვნებით დავთანხმდებოდი.

— **კარგად მღერი?**

— მეგობრებთან ერთად კი, მაგრამ სცენაზე გასვლის ამბიცია არა მაქვს. მუსიკა ძალიან მიყვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადიოში ვერ ვიმუშავებდი.

— **რა სტილის მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?**

— ბევრი მიმდინარეობა მომწონს. მთელი დღის განმავლობაში ძირითადად მუსიკას ვუსმენ.

— **თავს როგორ გარემოში გრძნობ კარგად?**

— ჩემს სახლში აუცილებლად უნდა იყოს ნათელი ფერები და ცოტა ავეჯი. ყველაფერში ზომიერება მიყვარს.

— **დატივრთული გრაფიკი გაქვს. ალბათ წიგნის კითხვისთვის დრო**



სანაპიროზე ყოფნა დილიდან საღამომდე არ მბეზრდება

მაიკლ ჯექსონის გარდაცვალების მიზეზი ტკვილგამაყუჩებელი პრეპარატის გადაჭარბებული დოზა აღმოჩნდა



ლოს-ანჯელესის სასამართლო ექსპერტიზამ ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის წინასწარი დასკვნა გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, პოპ-მუსიკის მეფეს, მაიკლ ჯექსონს 25 ივნისს, გარდაცვალების მომენტში ტკვილგამაყუჩებელ პრეპარატ „პროპოფოლის“ სასიკვდილო დოზა ჰქონდა მიღებული. სასამართლოს მთავარი პათოლოგანატომი ექიმი სატიავაგისვარანი ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის წინასწარი დასკვნის შესწავლის საფუძველზე, ფიქრობს, რომ მომღერლის გარდაცვალება პრეპარატ „პროპოფოლის“ სასიკვდილო დოზის მიღებამ გამოიწვია. ლოს-ანჯელესის (კალიფორნიის შტატი) პოლიცია ჯექსონის უდროოდ გარ-

დაცვალების ფაქტს „არანინასნარ-განზრახული მკვლელობის“ კვალიფიკაციას აძლევს, რომელიც ძლიერმოქმედი პრეპარატის ინიექციას შეეძლო გამოეწვია. საავადმყოფოებში პრეპარატ „პროპოფოლს“ („დიპრივანი“) ქირურგიული ოპერაციის წინ, პაციენტის უგონო მდგომარეობაში გადასაყვანად იყენებენ და ამგვარი ნარკოზის გაკეთებას მხოლოდ გამოცდილ ანესთეზიოლოგებს ანდობენ. ჯექსონის პირადი ექიმის მიურეის ადვოკატმა — ედვარდ ჩერნოვმა არაერთხელ განაცხადა, რომ მის კლიენტს ჯექსონისთვის ისეთი არაფერი გამოუწერია და გაუკეთებია, რასაც სიკვდილის გამოწვევა შეეძლო, მაგრამ პოლიციამ დაადგინა, რომ ექიმმა საშიში პრეპარატი ლას-ვეგასის გარეუბანში მდებარე ფარმაცევტულ ფირმაში შეიძინა.

კარდიოლოგმა მიურეიმ პოპმუსიკის მეფე 2006 წელს ლას-ვეგასში გაიცნო, როდესაც ჯექსონის სამი შვილიდან ერთ-ერთს, სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. ვარაუდობენ, რომ ქრონიკულ უძილობასთან და ტკვილის სინდრომთან გასამკლავებლად, რომელიც მომღერალს მრავალი ტრავმისა და პლასტიკური ოპერაციის შემდგომ განუვითარდა, იგი ძლიერმოქმედ პრეპარატებს იღებდა.

მაიკლ ჯექსონის პორტრეტი 1 მილიონ დოლარად გაიყიდა

ენდი უორპოლის მიერ შექმნილი მაიკლ ჯექსონის პორტრეტი ნიუ-იორკის აუქციონზე 1 მილიონ დოლარად გაიყიდა. ყიდვა-გაყიდვის დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ აუქციონის ორგანიზატორთა მტკიცებით, პორტრეტში გადახდილი თანხის რაოდენობა ექვსწულიანი ციფრით გამოისახება. ნახატი, რომლის ზომებია — 66X76, საკულტო მხატვარმა 1984 წელს ჯექსონის ცნობილი კლიბის — „ტრილერი“ პოპულარობის ტალღაზე შექმნა. პოპარტის შედეგის ახალმა მფლობელმა საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა. აუქციონზე გატანამდე ნახატი ლონდონის საკონცერტო დარბაზში O2 Arena იყო გამოფენილი, სადაც ამ ზაფხულს საკონცერტო ტურის This Is It ფარ-



გლებში მაიკლ ჯექსონის კონცერტი უნდა გამართულიყო.

ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის ოჯახი იზრდება



ამჟამად ვარსკვლავური ოჯახი სამხრეთ საფრანგეთში მდებარე საკუთარ მამულში ისვენებს. რამდენიმე დღის წინ ცოლ-ქმარმა ოჯახს ახალი წევრები შესძინეს. პროვანსში ჩასვლის შემდეგ ანჯელინამ და ბრედმა 8 წლის მედოკსთან და 5 წლის პაკსთან ერთად, მალაზიებში გაისეირნეს. ბავშვებმა შინაური ცხოველების სექციას გვერდი გულგრილად ვერ აუარეს... და სახლში რამდენიმე მექვიშასა და ოქროს თევზთან ერთად დაბრუნდნენ. მექვიშები — ძალზე ენერგიული და ცნობისმოყვარე მღრღნელები არიან, ისინი ადამიანებისადმი კეთილგანწყობილებით გამოირჩევიან და იშვიათად, ისიც მხოლოდ მაშინ იკბინებიან, როდესაც უხეშად ექცევიან. შინაურ ცხოველებზე ზრუნვის გარდა ანჯელინა და ბრედი სახლის მოწყობითაც არიან დაკავებული. როგორც ამბობენ, ვარსკვლავურმა წყვილმა გასულ წელს მამულის შექმნამდე უამრავი ვარიანტი განიხილა და საბოლოოდ არჩევანი 45 მილიონ გირვანქა სტერლინგად ღირებულ ძველ ციხე-დარბაზ Miravalზე შეაჩერა. ახალმა მფლობელებმა მამულის კეთილმოწყობაზე საბოლოოდ კიდევ 10 მილიონი დოლარი დახარჯეს და ახლა ანტიკვარული ავეჯით განყოფილ სახლს ორთქლის აბანო, ჯაკუზი, სპა და ახალი სატრენაჟორო დარბაზი შეემატა. სახლის განახლების სამუშაოებს თავად ბრედ პიტი ხელმძღვანელობდა და როგორც ამბობენ, დიზაინერის როლი ძალზე მოეწონა... უზარმაზარ სახლში 25 საძინებელი ოთახია. მამულს საკუთარი ვენახი, თხრილი, ტბა, საცურაო აუზი, შადრევნები და იალალები ამშვენებს, სადაც ბავშვების პონები დაჯირითობენ. ციხე-დარბაზისა და მამულის გარშემო უღრანი ტყეა გაშენებული, რომლის წყალობით ოჯახი პაპარაცებისგან თავს დაცულად გრძნობს, მით უმეტეს, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას საკმაოდ მკაცრად იცავს. დაბოლოს, იდილიას შესანიშნავი მეზობლები ავსებენ. ანჯელინასა და ბრედის მეზობლად ცხოვრობენ: ბონო, ჯონი დევი, ვანესა პარადი და ბექჰემები.

სქელი და მიშველი ნიკოლ კიდმანი

მთელი მსოფლიოს პაპარაცები გამაოგნებელი კადრების მოლოდინში არიან: ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და არისტოკრატიული ლამაზმანი, 40 წლის ნიკოლ კიდმანი ხელოვნებისთვის, უფრო სწორად კი როლისთვის, მსხვერპლს გაიღებს და ცოტა ხანში საზამთროსავით გაიბერება. ცნობილი გახდა, რომ ნიკოლ კიდმანი და რალფ ფაინსი დრამაში The Reader მთავარ როლებს შესრულებენ. გერმანელი მწერლის ბერნარდ შლინკის ბესტსელერის ეკრანიზაციაში მოქმედება ომის შემდგომ გერმანიაში ვითარდება. მთავარი გმირი მეორე მსოფლიო ომის დროს მასზე უფროს ქალთან სასიყვარულო ისტორიას იხსენებს. ნიკოლ კიდმანის მეგობრები ამბობენ, რომ მსახიობი ამ როლს გამოწვევად მიიჩნევს.



„იგი ბუნებრივად ძალზე გამხდარია, თანაც სირბილითა და ცურვით არის გატაცებული და შესანიშნავ ფორმაშია“, — ამბობს მისი ერთ-ერთი მეგობარი. ახლა კი ნიკოლს ნონაში სერიოზულად მომატება მოუწევს, რათა ასაკოვანი ქალის როლი ითამაშოს. ამასთან, ფილმში თამაში სცენაზე ზოლმად იქნება! მხოლოდ ძალზე გულად მსახიობ ქალს თუ შეუძლია, რომ მილიონობით

თაყვანისმცემლის წინაშე სქელი და მიშველი წარდგეს! თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ნიკოლ კიდმანი კილოგრამებს ბუტაფორიის მეშვეობით მოუმატებდნენ, მაგრამ მსახიობმა ხელოვნებაში რეალიზმის დასაცავად გაიბრძოლა და ბრიჯიტ ჯონსის სახელობის დიეტაზე გადავიდა. ახლა იგი მაკარონს პურთან ერთად მიირთმევს, სადილს აუცილებლად დესერტს აყოლებს და პროტეინების კოკტეილებს სვამს. ვარსკვლავმა პირველი 4 კილოგრამის მომატება პუდინგისა და შოკოლადის დარტყმითი დოზით აღნიშნა. ნიკოლი ახლო მომავალში მინიმუმ 4 კილოგრამის მომატებას გეგმავს. „მას შემრგვალებული მკერდი მოსწონს კიდევ, მაგრამ ყველაფერს ღორმუცელობით გამოწვეული მძინარობა აფუჭებს“, — ამბობს კიდმანის გულახდილი მეგობარი. უნდა ითქვას, რომ ბოლოდროინდელ ფოტოსურათებში ნიკოლ კიდმანს მომრგვალებული, თუმცა საესტეტიკო ქალური მუცელი უკვე ემჩნევა... მსახიობი იძულებულია, სასწრაფოდ დიდი ზომის ტანსაცმელი შეიძინოს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ბრიჯიტ ჯონსის როლის შესასრულებლად რენე ზელვეგერმა 13 კილოგრამი მოიმატა და მთელი გარდერობი 6 ზომიდან 14 ზომამდე შეცვალა, შემდეგ კი პირიქით!

მილა იოვოვიჩი გათხოვდა

მსახიობი მილა იოვოვიჩი და რეჟისორი პოლ ანდერსონი დაქორწინდნენ. საქორწინო ცერემონია მსახიობის ბევრლი ჰილზზე მდებარე სახლში ჩატარდა და როგორც ამბობენ, ძალზე ოჯახურ ხასიათს ატარებდა. 33 წლის პატარძალს 60-იანი წლების სტილში შეკერილი მოკლე კაბა ემოსა. სახლი ესპანურ სტილში — თეთრი და ნივთი ყვავილებით იყო მორთული. მეუღლეებმა ჰოლივუდში ძალზე პოპულარული იუველიერის, ნილ ლეინის ნახელავი 18-კარატიანი ოქროს ბეჭდები გაცვალეს. აღსანიშნავია, რომ ლეინის მუდმივი კლიენტები არიან: ანჯელინა ჯოლი, შარლიზ ტერონი, მადონა, დემი მური, ჯენიფერ ლოპესი და სხვები. იუველიერი საქორწინო ცერემონიასაც დაესწრო და ახალგაზრდებს მარადიული ბედნიერება და სიყვარული უსურვა. „ეს სუპერწყვილი ერთმანეთს ნამდვილად აღმერთებს“, — განუცხადა ნილ ლეინმა ჟურნალ PEOPLE-ს კორესპონდენტს.



ოთხსართულიანი საქორწინო ტორტი მიირთვეს.

ბრიტანელი პოლ ანდერსონი და მილა იოვოვიჩი უკვე ექვსი წელია, რაც ერთად ცხოვრობენ. 2007 წელს ისინი მილას იტალიელი მეგობრის ციხესიმაგრეში დაქორწინებას აპირებდნენ, მაგრამ ქორწილი გადაიდო. ვარსკვლავურმა წყვილმა საკურთხეველთან მისვლა მხოლოდ ახალა გაბედა. „ჰოლივუდის ბორცვებზე მდებარე ჩვენს სახლში, კლასიკურ პატარა ქორწილს გადავიხდით, ჩანგლისიდან პოლის ნათესავები იმყოფენ“, — განაცხადა მილამ ჯვრისწერამდე ცოტა ხნით ადრე. მსახიობს იმედი აქვს, რომ ოჯახურ ბედნიერებას მესამე ქორწინებაში მაინც მოიპოვებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ მილა იოვოვიჩი უკვე ორჯერ იყო გათხოვილი. იგი 16 წლის ასაკში მსახიობ შონ ენდრიუსს გაჰყვა ცოლად, შემდეგ კი მასზე 16 წლით უფროს ფრანკ რეჟისორ ლიუკ ბესონთან იქორწინა.

სელინ დიონ ფეხმძიმედაა

ბოლო დროს ინტერვიუებში სელინ დიონი ხშირად ამბობდა, რომ მუსიკალური კარიერის დროებით შეწყვეტას და ოჯახის მიხედვას აპირებდა. ცნობილია, რომ მომღ-



ერალს ბავშვის გაჩენა სურდა, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უმნიშვნელო პრობლემების გამო, 6 წლის მანძილზე ვერ ორსულდებოდა. ამ დღეებში სელინ დიონის მეგობრებმა სასიხარულო ცნობა გაავრცელეს იმის შესახებ, რომ ვარსკვლავი ფეხმძიმედაა და მეორე შვილს ელოდება. როგორც ცნობილია, სელინისა და მისი მეუღლის, რენე ანჯელიის ოჯახში 8 წლის ვაჟიშვილი რენე-ჩარლზი იზრდება. მომღერალმა ეს ამბავი ინტერვიუშიც დაადასტურა. როგორც ამბობენ, სელინ დიონი უშვილობის გამო ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდა. რაც შეეხება რენე ანჯელილს, წინა ქორწინებებში შექმნილი სამი შვილი ჰყავს.

„არბი“ კახელაბისთვის...

ცოტა ხნის წინ კახეთს ვსტუმრობდი, გავიგე, მარჯანიშვილის თეატრის დასი ჩამოდის და სპექტაკლ „არტ-ხელოვნებას“ ითამაშებენო. საქველმოქმედო სპექტაკლის ბილეთები სრულიად უფასოდ დარიგდა ყვერელში, მაგრამ მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, ბილეთი მაინც არ შემიზღდა. გადავწყვიტე, თავად მსახიობები სთვის დამერეკა და დახმარება მეთხოვა... დარბაზში სპექტაკლის დაწყებამდე შევალნიე და შთაბეჭდილებებისა და ემოციების გაზიარება ჯერ მიშა გომიაშვილს ვთხოვე. დარბაზი უმაღ შეივსო და ჩემი მოლოდინი — რომ მოსაწვევები მხოლოდ ზრდასრული ადამიანების სთვის იყო დარგებული, გაქარწყლდა. მაყურებელთა შორის თინეიჯერების დანახვაც დიდად გამიხარდა...



ქალაქი ბასილია

მიშა გომიაშვილი:

— კახელები ძალიან მიყვარს და ბევრი რამ მაკავშირებს ამ კუთხესთან. ჩემი დიდი პაპა — არჩილი ახმეტაში დიდი ხნის განმავლობაში ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ... სიმართლე გითხრათ, ცოტა ველეა, აქ არასოდეს მითამაშია, არ ვიცი, კახელები როგორ მიიღებენ ჩვენს სპექტაკლს, იმედია, მოეწონებათ. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს სახლში ვიყო... მით უმეტეს, რომ ყვარელი კოტე მარჯანიშვილის მშობლიური ქალაქია და შესაბამისად, პასუხისმგებლობის გრძობაც უფრო გამაფრებელი გაქვს.

— უკვე 11 წელია, რაც ეს სპექტაკლი დაიდგა, ოდესმე სხვა რეგიონში თუ გითამაშიათ?

— კი, წარმოდგენა ქუთაისში, გორში, ბორჯომში გვერნდა წაღებულ... ნიუ-იორკშიც ვითამაშეთ. აი, ყვარელში კი პირველად ვართ. ამერიკაში სულ 3 კაცი წავედით, ეს სპექტაკლი კარგი ამითაა. სასცენო კოსტიუმები ჩვენ არ გვჭირდება, სპექტაკლში არც დეკორაციაა და არც — განათება! 3 კაცი რაღაც სისულელეზე ლაპარაკობს, რომელიც საბოლოო ჯამში, ძალიან სერიოზული თემაა.

— ძალბატონი მთიანში, მარჯანიშვილის თეატრის დასის გამგე:

— გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის საჩუქარი გაგვეკეთებინა. უკვე ვიყავით — საჩხერეში, ჭიათურაში; სპექტაკლი გვინდა, რომ ზუგდიდშიც ვითამაშოთ...

მიშა:

— ბოლო დროს ისეთი გეზი გაქვს აღებული, რომ იმედია, ამ სპექტაკლს სექტემბერში სოსუმშიც ვითამაშებთ!

— ე.ი. „არტ-ხელოვნებამ“ მთელი საქართველო უნდა მოიაროს?..

— აბა, რა?! და არა მარტო „არტ-ხელოვნებამ“. გვინდა, მარჯანიშვილის თეატრის ბევრი სპექტაკლი გაგაცნოთ მთელ საქართველოს.

მთიანში:

— გეტანხმები, მიშა, საჩხერეში „ზაფხულის ღამის სიზმარი ვითამაშეთ“, ზუგდიდში „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ წაღება გვინდა... სხვათა შორის, ყვარელში ბოლო 10 წელია, რაც დრამატული სპექტაკლი არ გამართულა და სეზონს ჩვენი დასი გახსნის. არაჩვეულებრივი თეატრია, დარბაზიც შესანიშნავია, მაგრამ სამწუხაროა, რომ სცენა

ბასტროლი კოტე მარჯანიშვილის საგოგოო

ტექნიკურად გაუმართავია. აქ ძალიან ძნელი იქნება სხვა სპექტაკლების თამაში, რომელთაც უფრო რთული განათება სჭირდებათ.

ნანული სოლოვაჟილი:

— მე ვერიკო ანჯაფარიძის დროინდელი თანამშრომელი ვარ, მარჯანიშვილის თეატრში დღემდე ჩამცემლად ვმუშაობ. ადრე გასტროლებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხშირად დავდიოდით; მასსოვს, კაკო დვალაშვილი, რომელიც მაშინ კულტურის მინისტრი იყო, სპექტაკლი „ძველი ვოდევილები“ სტადიონზე გამართა. სპექტაკლისათვის სულაც არაა კარგი დარბაზი საჭირო! მთავარია, ხალხმა ნახოს და ეზიაროს იმ ბედნიერებას, რომელსაც თეატრი ჰქვია. ძალიან მიხარია, რომ საშუალება მოგვეცა, ეს სპექტაკლი რაიონში ჩამოგვეტანა. დარწმუნებული ვარ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩება!

სპექტაკლის შემდეგ, მაყურებელთა არმია ძლივს გავარდევით, ისინი საყვარელ მსახიობებს ავტოგრაფებისა და სურათების გადასაღებად ელოდნენ. ემოციებისაგან დაცლილი მსახიობები საკმაოდ მხნედ დამზდნენ და დაუზარებლად მესაუბრნენ.

ზურა ჭიჭვიძე:

— კახეთს ბავშვობიდანვე ჩემი ბევრი მოგონება უკავშირდება; ჯერ მარტო თელავის თეატრში რამდენი სპექტაკლი მაქვს ნანახი. რაც მე დედაჩემთან და ვასო გომიაშვილთან ერთად მიმოგზაურია აქეთ... ბავშვი ვიყავი და დღემდე მახსოვს, თუ როგორ სვადებოდნენ მსახიობებს...

— დღევანდელ შთაბეჭდილებებზე რას იტყვი?

— რთულად აღსაქმელი სპექტაკლია, ძნელია განსაზღვრო, თუ როგორ მიიღებს მას მაყურებელი. მთელი სპექტაკლის განმავლობაში მუსიკა არ ისმის და დასრულებისას ირთვება. წარმოდგენაში ქალი პერსონაჟიც არ გვყავს! 3 კაცი, 3 სკამი და ერთი თეთრი ტილოა. როცა პირველად დაიდგა ეს სპექტაკლი და ბილეთების დევ-

იცტი იყო, მაშინ ჩემი ძმაკაცი მიმყავდა თეატრში და გზაში მეკითხება: მიდი, რა, მომიყვი, რა ხდებაო?... — რა უნდა მოგიყვი?! მიხვალ და ნახავ-მეთქი... არ მომეშვა და მეც ვუთხარი: — ფარდა არ არის, განათება, დეკორაცია არ იცვლება, ქალი არ გვყავს... — აბა, რაა არისო? — გაიკვირვა. სპექტაკლიდან რომ გამოვიდა, თქვა: — არა, ტო, მაგარი სტრანჯი კია, მაგრამ მაგარი პონტიაო (იკინის)... სხვათა შორის, გამიხარდა, რომ დღეს დარბაზში ბევრი ბავშვი იყო. მართალია, საბავშვო სპექტაკლი არ არის, მაგრამ მაინც დიდი ყურადღებით უყურეს. ნახევარი დარბაზი თუ მაინც გავა ემოციით სავსე, მოხარული ვიქნები... ხშირად ხდება, რომ სპექტაკლი „ბერდება“ და იშლება კიდევ. ჩვენ ჯერჯერობით ეს არ გვიგრძნია...

ალექს მასაროელიშვილი:

— თავად კახელი გახლავართ და ვამაყობ ამით! აი, ყვარელში კი სულ მეორედ ვარ. ამას წინათ, კოტე მარჯანიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებს ვილდოები გადმოგვეცა, მშენიერი საღამო იყო, შესაბამისი კახური პატივისცემით დაგვირგვინებული და მჯერა, მესამე შესვედრა ყვარელთან კიდევ უფრო მაგარი იქნება!

— რას გრძნობთ, როდესაც კოტე მარჯანიშვილის მშობლიურ ქალაქში თამაშობთ?

— ყოველგვარი პრანჭვის გარეშე ვიტყვი, რომ დიდ პასუხისმგებლობასა და სიამაყეს ვგრძნობ!

— ბატონო ალექო, დარბაზში ძალიან ბევრი ბავშვი იყო. როგორ ფიქრობთ, თუ გაიგეს მათ სპექტაკლის შინაარსი?

— ოოოო, ვერ გეტყვი... ეს საბავშვო სპექტაკლი არ არის. ალბათ მაყურებელი გაოცებული დარჩა, რადგან ეგონა, რაიმე კომედიური ჟანრის სპექტაკლს ჩამოვიტანდით. ეს კი სერიოზულობითა და ნაღველით აღსავსე წარმოდგენაა. თუმცა მთავარია, რომ მათ სპექტაკლს ბოლომდე უყურეს... ■



სსოპრებსა

განქორწინება, ოჯახის დანგრევა თავისთავად, უსიამოვნო და შეიძლება ითქვას, დრამატული ამბავია, მაგრამ როდესაც გათხოვილი ქალი ქმრის ოჯახიდან სხვას მიჰყვება, დამეთანხმეთ, რომ დრამასთან ერთად, სულ ცოტა, უცნაურიც კი არის. გაგიკვირდებათ და სწორად სასიყვარულო თავგადასავალი მამაკაცსა და სხვის ცოლს შორის, ინტერნეტ-ნაცნობობით იწყება, ხოლო რით მთავრდება, ამას უკვე ჩემი რეჟონდენტების ნაამბობიდან შეიტყობთ.

ნაა ტუნიავილი

ნანა, 35 წლის:

— მე და ნიკა ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, როდესაც დაქორწინება გადავწყვიტეთ. თეატრალური ინსტიტუტის პირველკურსელი გახლდით, ისიც სტუდენტი იყო და ჯერ 19 წელიც არ შესრულებოდა. არ გავპარულვართ, მშობლები ვაიძულეთ, ჩვენს ნებას დაჰყოლოდნენ და ზღაპრული ქორნილიც გადაგვიხადეს. ყველაფერი მქონდა, რაზეც ბევრი ქალი ოცნებობს და ტყუილი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ოჯახი ტვირთად მექცა. მე და ნიკა ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ მისი მშობლები არაფერს გვაკლებდნენ. უმადური უნდა ვიყო, ეს რომ დავივინყო. ნუციკო რომ შემეძინა, ნიკას დედა სამუშაოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა, იქიდან კი ფულთან ერთად, სამოსსა და ათას რამეს გვიგზავნიდა. ხელის განძრევაც არ გვჭირდებოდა და სამსახური არც მე მიძებნია და არც ნიკას. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვენს სახლში კომპიუტერი გაჩნდა და პირველი უთანხმოება ჩვენ შორის სწორედ ამის გამო დაიწყო. ნიკა მთელ ღამეს კომპიუტერთან ატარებდა. როდესაც ამის შესახებ ჩემს დედამთილთან დავიჩივე, მარტივი გამოსავალი მოძებნა და მეორე კომპიუტერის საყიდლად ფული გამომიგზავნა. ასე გაჩნდა ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი ფანჯარა ვირტუალურ სივრცეში. მანამდე თუ ნიკას ღამების თევა მიკვირდა, ახლა უკვე მე მიჭირდა

ძირს ქმარი! გაუმარჯოს ქმარს!



გადიოდა, სულ უფრო ხშირად ვურთიერთობდით, „სკაიპში“ მშობლებიც კი გამაცნო, მე კი ჩემი ქალიშვილი გავაცანი. დღესაც არ ვიცი, როდის გაჩნდა ჩვენ შორის გრძნობა. მივხვდი, რომ სწორედ ისე მიყვარდა, როგორც ნლების წინ ნიკა და მის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო. ძალიან ვიტანჯებოდი, მაგრამ გამბედაობა არ მეოფნიდა, რომ ნიკასთვის ეს ყველაფერი მეთქვა. ან რა უნდა მეთქვა? რომ ინტერნეტით პატარა ბიჭი შემეყვარდა და მის გამო 11 წლის ოჯახს ვანგრევდი?

კომპიუტერთან განშორება. ეკრანს მიღმა სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი, სხვა სამყარო მქონდა და იქაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი მყავდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემს ვირტუალურ სამყაროში გიორგი გამოჩნდა. ჩათმი ერთმანეთის შესახებ მოკლე ინფორმაციები გავცვალეთ. აღმოჩნდა, რომ გიორგი მშობლებთან ერთად ამერიკაში ცხოვრობდა. მისთვის არ დამიმაღლეს, რომ გათხოვილი ვიყავი და 10 წლის ქალიშვილი მყავდა. გიორგი ჩემზე თითქმის 8 წლით უმცროსია და მასთან კვლევულობა არც მიფიქრია. რაც დრო

ამას ალბათ ვერასდროს გავუბედავდი, რომ არა თავს დამტყდარი მოულოდნელობა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი სახლის კარზე ზარი დარეკეს, სახლში მხოლოდ მე და ნუციკო ვიყავით. კარი რომ გავაღე, განცვიფრებისაგან ადგილზე გავქევედი, რადგან ზღურბლთან გიორგი და დედამისი იდგნენ. მისმა მოულოდნელმა ჩამოსვლამ გამაოცა და შემაშინა კიდევ. შემობრძანდით-მეთქი, ვუთხარი. ის, რაც შემდეგი რამდენიმე საათის განმავლობაში ჩემს თავს ხდებოდა, ბუნდოვნად მახსოვს. არც ის მახსოვს, როდის დაბრუნდა სახლში ნიკა,

მაგრამ მასსოვს მისი განცვიფრებული თვალეზი, როდესაც გიორგის უსმენდა... მოგატყუებთ, თუ ვიტყვი, რომ მასშინ მივიღე გადანყვებილება, გიორგის ნაყოლოდი და ნიკა მიმეტოვებინა. ამაზე ფიქრში ბევრი ლამე გამითუნებია. ამიტომ ის გავაკეთე, რასაც ვიკარნახობდა. რამდენიმე აუცილებელი ნივთი ჩავალაგე, ნუციკოს გადავვხვიე და მოულოდნელ სტუმრებთან ერთად კარი გამოვიხურე. ამ ნაბიჯს არ ვნახობ. ბედნიერი ქალი ვარ. ახლა გიორგისთან და მის მშობლებთან ერთად ამერიკაში ვცხოვრობ და ინტერნეტით ჩემს გოგონას ყოველდღე ველაპარაკები. რამდენჯერმე მე და ნიკამაც ვისაუბრეთ, რადგან განქორწინებასთან დაკავშირებული დეტალები გვაქვს მოსაგვარებელი. ნუციკოს ნაყვანაც მინდა ამერიკაში, რამდენიმე ხნით მინც. არც ამაზე უთქვამს ნიკას უარი. დოკუმენტების მომზადებას გარკვეული დრო სჭირდება და ახლა იმის მოლოდინით ვცხოვრობ, რომ რამდენიმე თვეში შვილს შევხვდები. თანაც, მისთვის ერთი კარგი ამბავი მაქვს — მალე ძამიკო ეყოლება.

ინაბა, 42 წლის:

— სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როდესაც მშობლებმა გარიგებით გამათხოვეს. ქმრად ჩვენი რაიონის პოლიციის უფროსის ვაჟი შემირჩიეს. მეც არაფერი მქონდა დასანუნთი. ამიტომ, მშობლებმა მოინადინეს თუ

მასშინ კიდევ ერთხელ გამიჩნდა პროტესტის გრძნობა, მაგრამ ხმაშალა ვერც ამის თქმა გაზედე. საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, სხვისი მითითებებითა და დირექტივებით ვცხოვრობდი. ეს „სხვა“ კი მეტწილად ჩემი დედაშთილი იყო. ჩემი ვაჟი რომ წამოიზარდა, დაიჟინა: ძმას და უნდაო და მეც მეორე შვილი გავაჩინე. მართლაც ქალიშვილი შემეძინა და აქაც უჩემოდ მიიღეს გადაწყვეტილება — გოგონას ჩემი დედაშთილის სახელი, ნარგიზა დაარქვეს. ამან კი საბოლოოდ დამაკარგვინა მოთმინება და საშობიაროდან გამოსვლისთანავე სახლში სკანდალი მოვანყვე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ისინი ჩემგან მორჩილებას იყვნენ მიჩვეული და ჩემი პროტესტი სასაცილოდაც არ ეყოთ. რამდენიმე ხანში ჩემი მამაშთილი სამსახურში ქრთამის აღებისთვის დააკავეს და ციხის გზას გაუყენეს. დედაშთილმა წლების განმავლობაში დაგროვილი ქონება გაყიდა და ქმარი ციხიდან დაიხსნა, მაგრამ მამაშთილი ნერვიულობისგან ინსულტი დაემართა და დღემდე სანოლს არის მიჯაჭვული. ოჯახის რჩენა ჩემს ქმარს მოუხდა. ფუფუნებაში ჰყავდათ გაზრდილი, მანამდე თითი თითზე არ დაუკარებია, ამიტომ შრომასა და გარჯას შეუჩვეველს, სამსახურის შოვნა ძალიან გაუჭირდა. ისევ ჩემმა დედაშთილმა იმარჯვა. მანამდე თუ მანქანის გარეშე მეზობელთანაც არ გადადიოდა, კალოშები

მან ჩემ შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა, მე კი ფაქტობრივად — არაფერი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც მანქანის ტერესებდა, რადგან 38 წლის ასაკში პირველად მენვია სიყვარული და მის დაკარგვას არ ვაპირებდი. როდესაც დათოს დახმარებით ესპანეთში მივფრინავდი, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ საშუაოდ კი არ მივდიოდი, არამედ ჩემს სიყვარულთან შესახვედრად. შემეძლო, ყველაფერი გულწრფელად მეთქვა ჩემი მეუღლისთვის, დედაშთილისთვის, მაგრამ არაფერი ვუთხარი. აეროპორტში ჩემმა ქმარმა გამაცილა და ამის გამო სინდისსაც არ შევეუნებებოვარ... დათოსთან კიდევ ერთი ქალიშვილი შემეძინა და უბედნიერესი ქალი ვარ. ერთადერთი, რაც გულს მიკლავს, ჩემი შვილების მონატრებაა. ჩემი ყოფილი ქმარი მათთან ურთიერთობის უფლებას არ მაძლევს და ალბათ უამრავ სისაძაგლეს უყვება ჩემზე. არადა, საერთო ნაცნობებისგან გავიგე, რომ ეს ოდესაც უღმერთო კაცი, ახლა ეკლესიაში სტიქაროსანი ყოფილია. იმედი მომეცა, რადგან თუ საკუთარი სულიერების ამაღლებაზე ფიქრობს, იოლად მიხვდება, რისი გადატანა მომიხდა.

საზია, 32 წლის:

— პირველი და ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი, წრფელი სიყვარული სკოლაში მენვია. შეიძლება, დაუფერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე და გოგიტას ერთმანეთი მეორე კლასიდან გვიყვარდა. ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველამ იცოდა — კლასელებმა, მასწავლებლებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა და მშობლებმაც კი. სკოლა ისე დავამთავრე, რომ სხვა ბიჭზე არც მიფიქრია. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მე და გოგიტა ოჯახს შევემნიდით და ცხოვრების ბოლომდე ერთად ვიქნებოდით. სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. ძალიან რთული დრო იყო, თითქმის ყველას უჭირდა, მათ შორის გოგიტას ოჯახსაც. ამიტომ გადაწყვიტა, საშუაოდ საზღვარგარეთ წასულიყო. წლები კი არა, სამარის კარამდე დაველოდებოდი მის ჩამოსვლას, მაგრამ ძალიან მენყინა, როდესაც გავიგე, რომ გოგიტა ისე წავიდა, არც კი დამემშვიდობა. დღესაც ვერ ხსნის ბოლომდე, რატომ მოიქცა ასე. გადავწყვიტე, მისთვის სამაგიერო გადამეხადა და პირველივე თაყვანისმცემელს ცოლად გავყვი. ჩემს ყველა ახლობელს მასზე საუბარი აუფერძალე. სამაგიეროს გადახდა მართლაც გამომივიდა, მაგრამ უგუნურებით ამ სამაგიეროს მსხვერპლი ისევ მე ვაგხდი. მხოლოდ წლების შემდეგ გავიგე, რომ გოგიტა საქართველოში ერთ წელიწადში დაბრუნებულა და მეგობრისთვის უთხოვია, ჩემს სანახავად წამოჰყოლოდა. სწორედ მისგან გაუგია, რომ უკვე გათხოვილი ვიყავი. ამის შემდეგ

არც ის მასსოვს, როდის დაბრუნდა სახლში ნიკა, მაგრამ მასსოვს მისი განცვიფრებული თვალეზი, როდესაც გიორგის უსმენდა...

არა, ქორწილიც მალევე გაიმართა. გათხოვებამდე სერიოზული გრძნობა არავის მიმართ მქონია და მშობლების ნებას იოლად დავყვი. თანაც, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და მისაროდა კიდევ, როდესაც დედაშთილ-მამაშთილმა კაბის კალთა ოქროს სამკაულებით ამივსეს, სამოსის საყიდლად კი სურამში, ებრაველ გადამყიდველებთან წამიყვანეს. თავიდან მე და ჩემი ქმარი უცხოებრივით ვექცეოდით ერთმანეთს. ასეც იყო — ქორწინებამდე რიგინად არც კი ვიცნობდი მას. მოკლედ, ასე, გაცნობაც ცნობაში შეგვეძინა პირველი შვილი. დიდად არ მესიამოვნა, როდესაც დედაშთილმა და ქმარმა მიიღეს გადაწყვეტილება და პატარას ჯეშალი დაარქვეს, მაგრამ ისე ვიყავი აღზრდილი, რომ ქმრის ნებას ვერ შევეწინააღმდეგებოდი. ბავშვის აღზრდის ინიციატივა ჩემმა დედაშთილმა აიღო, თანაც ისე, რომ ჩემთვის არაფერი უკითხავს.

ჩაიცვა და თავისი ხელით მონეულ მოსავალს ბაზარში ყიდდა. ბავშვები უკვე წამოიზარდნენ და უამრავი რამ სჭირდებოდათ, ამიტომ საზღვარგარეთ საშუაოდ წასვლა გადავწყვიტე. მირჩიეს, ესპანეთში მცხოვრებ ქართველ კაცს დავაკავშირებოდი ტელეფონით, რომელსაც გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, ქართველები ესპანეთში საშუაოდ მიჰყავდა. მართლაც, დაფურევე დათოს და დახმარება ვთხოვე. მომისმინა და მითხრა: რამდენჯერმე ინტერნეტით გავსაუბრებოდი, რადგან მინდა დავრწმუნდე, რომ შენი წდობა შეიძლებაო. საგონებელში ჩავყარედი, არც კომპიუტერის გამოყენება ვიცოდი და მით უფრო, არც ინტერნეტით მისარგებლია მანამდე. მანვე მირჩია, რომ ინტერნეტკაფედან დავკონტაქტებოდი. მოკლედ, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ დაფიქრებისთვის დროც არ მქონია. როდესაც ჩვენ შორის გრძნობა გაჩნდა,

საქართველოში ერთ თვესაც არ გაჩერებულა და უკან დაბრუნებულა. წლების განმავლობაში გოგიტასგან არაფერი ისმოდა. ერთ დღეს კი „ოდნოვლასნიკებში“ დავრეგისტრირდი და თანაკლასელებს შორის გოგიტას ფოტოც აღმოვაჩინე. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მინდოდა, ამდენი წლის შემდეგ მენახა, როგორი იყო, მაგრამ მის „ინფოში“ შესვლა ვერ გავბედე. მეორე დღეს კი საიტზე მისი გზავნილი დამხვდა: რა ლამაზი შვილები გყოლიაო. ამდენი წლის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა „ოდნოვლასნიკებში“ აღდგა. ერთმანეთს ყოველდღე ვწერდით, ვისხენებდით ბავშვობას, მაგრამ პირად ცხოვრებაზე საუბარს ვერიდებოდით. რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ოჯახი არ ჰყავდა. მწერდა, რომ საზღვარგარეთ ცხოვრებას იმდენად შეეჩვია, საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებას არც აპირებდა. უნდა გამოგიტყდეთ, არც მე ვიყავი მასთან გულწრფელი და მეგობრად, სწორად ვიქცეოდი, როდესაც ვწერდი, რომ ბედნიერი ვიყავი ჩემს ქმარ-შვილთან. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი სასწაული მოხდა. დილით სამსახურში მივიჩქაროდი, როდესაც ზურგიდან ნაცნობი ხმა მომესმა. ჩემ წინ გოგიტა იდგა. თმა შეთხლებოდა, ნაკვთებიც გაუხეშებოდა, მაგრამ მისი თვალები ისევ ისე მიცინოდნენ, როგორც სკოლაში, მრავალი წლის წინ. გადავხვიეთ ერთმანეთს და ბავშვებით ავქვითინდით. ამ შეხვედრის შემდეგ არაფერი დაგვიგეგმავს. უბრალოდ, ის გავაკეთე, რასაც გული მკარნახობდა — ჩავალაგე ჩემი ნივთები, ქმარს გამოვეთხოვე და საცხოვრებლად გოგიტასთან გადავედი. გოგიტას ძალიან უყვარს ჩემი შვილები, მათთან ბევრ დროს ატარებს და იმ დღეზე

ოცნებობს, როდესაც ამ ქვეყანას ჩვენი სიყვარულის ნაყოფი მოევლინება.

ინალი, 56 წლის:

— ნამდვილი სიყვარული ბრმა არის და ხშირად სხვადასხვა გარემოებას ან-გარიშს არ უწევს. ამის დასტურად ერთი ამბავი მინდა მოგიყვებო, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში მოხდა, მაგრამ ხალხს დღემდე ახსოვს. ქეთევანი უნაკლო ქალი ყოფილა, მაგრამ ღარიბი

გრძნობას რომ ვერ სძლიეს, ბაქოში გაქცევა გადაუწყვეტია შეყვარებულ წყვილს. ქალს რამდენიმე ხელი სამოსი თავსაფარში გამოუკრავს, მძინარე შვილები დაუკოცნია და სოფლის ორლობით შარაზე გასულა, სადაც გოგია ელოდა. ალბათ ვილაცამ იცოდა მათი გეგმების შესახებ და ქეთევანის ქმარი წინასწარ გააფრთხილა. გზაზე დამგდარ შეყვარებულებს რამდენიმე კაცთან ერთად დახ-

სამაგიეროს გადახდა მართლაც გამომივიდა, მაგრამ უგუნურებით ამ სამაგიეროს მსხვერპლი ისევ მე გავხდი

გლეხის შვილი, ამიტომ თავისი ნების წინააღმდეგ და მაჭანკლის გამრჯეობით, მასზე 10 წლით უფროს, ქვრივ კაცს გაჰყოლია ცოლად. ახალგაზრდა ქალმა შალიკოს ოთხი ვაჟი გაუჩინა, ქმარსა და შვილებს მზრუნველობას არ აკლებდა, თავად კი უხეში ქმრისგან სიტბოსა და აღერსს მოკლებული იყო. გლეხის ქალის კვალბაზე ძალიან ლამაზი იყო თურმე დალოცვილი, გრძელი, ნაბლისფერი ნაწნავი თქოძმდე სწვდებოდა, ტანი კი ქალწულივით უნაკლო და მოხდენილი ჰქონდა. ქეთევანი ასეთი მხოლოდ მის საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ ფოტოზე შემორჩა... ერთ დღეს, მეზობელ ცოლ-ქმარს ფრონტიდან დაკარგული ვაჟი დაუბრუნდა, ქეთევანის თანატოლი გოგია, რომელიც მშობლებს უკვე გამოტირებულიც კი ჰყავდათ. დანახვისთანავე შეუყვარდათ თურმე ერთმანეთი გოგიას და ქეთევანს, რაც სოფლის ჭორიკანა დედაკაცებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. საკუთარ

ვედრია. ქეთევანისთვის ნაწნავში ნაუფლია ხელი და ასე უთრევია სახლამდე, გოგიასთვის კი მის თანხლებებს ლამის სული ამოუხდიათ ცემით. იმ დღის შემდეგ გოგია აღარავის უნახავს, ამბობდნენ, სამუდამოდ ბაქოში გადაიხვეწაო. შალიკომ კი მძინარე ბავშვები საწოლიდან წამოყარა, ყველაფერი უამბო, შვილების თვალწინ ქეთევანს კუნძზე თავი დაადებინა და ის-ის იყო, ცულით უნდა მოეკვეტა, რომ ბავშვების ტირილით გაღვიძებული მეზობლები მიცვენილან დასახმარებლად. საცოდავ ქეთევანს, ალბათ, განცდილი შიშის გამო, ვერაგი სენი შეეყარა და მძიმე ავადმყოფი, ერთ წელიწადში გარდაიცვალა. ამბობენ, ლოგინად ჩავარდნილ ქეთევანს შვილები უვლიდნენო, შალიკომ კი ავადმყოფი ცოლი ერთხელაც არ ინახულა. უფრო მეტიც, მის სიცოცხლეშივე, ერთი ახალგაზრდა ქალი შეურთავს ცოლად.

მარინა ბაბუნაშვილი

აბაჯი პირველი

ის, რაც ოჯახმა არ იცოდა

ამონარიდი წერილიდან:

„ნინის ის კარგა ხანს გაუბედავი თავყვანისმცემელი ეგონა. გოგო როგორც კი თვალს მოჰკრავდა, მეგობრებს მაშინვე მისკენ გაახედებდა, ბიჭი — უთვალთვალებდა...“

გავიდა რამდენიმე თვე და ამ უცნაურ თვალთვალს ფარდა აეხა-

შუჩისძიებამ დედის გაცდომის გამო

რატომ ბოროტდება მოზარდი? რის გამო შეიძლება ჩაიდინოს მან დანაშაული და არც კი ინანოს?... ორი წლის წინ რედაქციაში მოვიდა 22 წლის გოგონა, რომელმაც თავისი ნახევარძმის საქციელზე მიაშრო („არაფერს ვნანობ, მთავარია, სამაგიერო გადავუხადე“, „ვიკრის პალიტრა“, 5 ნოემბერი, 2007 წ.).

და. „თავყვანისმცემელი“, ნინის ნახევარძმა აღმოჩნდა. გოგონამ კარგა ხანს ითრია ფეხი, ეთქვა თუ არა დედისთვის ამ გამოგნებელი მოულოდნელობის შესახებ, ბოლოს ძალა მოიკრიბა და... ნუნუ სახტად დარჩა. ყურს არ უჯერებდა. მას და ლევანს სიყვარულით არ შეუქმნი-

ათ ოჯახი, ნათესავმა გააცნო ქალ-ვაჟი ერთმანეთს, მაგრამ მერე მოვიდა დიდი სიყვარული და პატივისცემა. ნუნუმ 38 წლის ასაკში იმშობიარა და კინაღამ გადაყვა მას. გაჩნდა ნინიკო. ლევანმა ცოლს უთხრა: ბედნიერებისთვის შენნაირი ცოლი და ერთი შვილი სრული-

ად საკმარისი და მართლაც, მათი ცხოვრება ლამაზ ზღაპარს ჰგავდა... მერე ლევანს ინფარქტი მოუვიდა და მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. ოჯახმაც და ნათესავებმაც ძალიან განიცადეს ლევანის სიკვდილი. ნინი ისეთი თავზარდაცემული იყო, რომ ნუნუმ თავი ხელში აიყვანა და შვილს შეუძახა: ცხოვრება გრძელდება, ჩვენ რომ გაუთავებელ დარდსა და გლოვას მივეცეთ, მამაშენი იმ ქვეყნად ძალიან შენუხდებაო... ახალი ამბის გაგების შემდეგ ნუნუმ ქმრის ძმაცაცებს უხმო თავისთან. მას გულწრფელად აინტერესებდა, როდის მოახერხა მისმა საყვარელმა და ერთგულმა ლევანმა ოჯახს მიღმა მეორე ცოლ-შვილის ყოლა.

მიჯაჭვული. მას მხოლოდ ორი მეგობარი არ ივიწყებდა. ოჯახმა და კუდაბზიკა ნათესავებმა ახალგაზრდა ქალი იმის გამო გარიყეს, რომ მან თავისი ბედი ასაკოვან და ცოლშვილიან კაცს დაუკავშირა. ერთი წლის შემდეგ ლელა გარდაიცვალა. კახა გაბოროტებული თვალებით შესქცეროდა მანამდე უცნობ დედის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მათ მკვდარილა გაიხსენეს და ნათესაური მოვალეობაც სამგლოვიარო დღეებში შეასრულეს. ნუნუს შეეცოდა უპატრონოდ დარჩენილი ბიჭი. იგი ნინიზე მხოლოდ 3 წლით უმცროსი იყო. კეთილმა ქალმა ალაღად შესთავაზა: ჩვენ დიდი სახლი გვაქვს, აქ შენი ოთახი გექნება, გვარსაც

კეთა ესო! მინა კი გამოძიებლებმა „გახეთქეს“, მძარცველებს ერთ უცნობ ბინაში მიაკვლიეს და ყველაფერი დააფქვეინეს — „საქმე“ კახამ მოგვცაო... სასამართლოზე კახას უკან არ დაუხვია, განაცხადა: მთელი ბავშვობა არ ვიცოდი, ვინ იყო მამაჩემი, სიმართლე მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გავიგე; მერე დედაც დავეკარგე და ჩემს გულში ბოლმამ დაისადგურა. ჩემს დას ყველაფერი ჰქონდა მამის სიკვდილის მერეც, მე კი საკუთარი გვარიც არ გამაჩნდა... — არა... არაფერს ვნანობ, ასეთად ახლობლებმა მაქციესო.

აზავი მეორე რომ სცოდნოდა...

ნინი:

— თავდაპირველად საშინლად ვიყავი განრისხებული. არ ვიცი, რას ვიზამდი, დედაჩემს რამე რომ მოსვლოდა. კარგა ხანს დასჭირდა მკურნალობა. ხან მე, ხან მამაჩემის მეგობრებს მიგვყავდა ექიმებთან. კიდევ კარგი, კვალი არ დარჩენია, თუმცა ფსიქოლოგიურად დიდი სტრესი გადაიტანა; მაინც, იმდენად კეთილია, კახაზე იცრემლებოდა. ახლაც იმას ამბობს, იგი თავისმა ბედმა გააბოროტა, თორემ დარწმუნებული ვარ, ლევანის შვილი ცუდი ადამიანი არ დადგებოდაო. ეჭვი არც იმაში მეპარება, რომ კახას ასეთ ადამიანად ჩამოყალიბებაში ლომის წილი დედამისის ახლობლებს მიუძღვით. კარგი, ვთქვათ, შეცდა ლელა, მაგრამ სიყვარულის გამო დაშვებული შეცდომა როგორ არ უნდა ევატიებიანათ მშობლებს, ძმას ან ნათესავეებს? ისე, ამის გამო მამასაც ვამტყუნებ. იგი ისეთი გულის ადამიანი იყო, რომ უსათუოდ ძალიან ეყვარებოდა ლელა, მით უფრო — საკუთარი შვილი. არამც და არამც არ უნდა დამაღლა სიმართლე. კახა რომ წამოიზარდა, მამა დედამისის საყვარელი ეგონა და მიუხედავად საჩუქრებისა, მისი დანახვაც არ უნდოდა. კახას რომ სცოდნოდა, „ბიძია“ მამამისი იყო, მისდამი ადრინდელი სიმპათია სიყვარულით შეეცვლებოდა... ახლა მას პატიმრობის კიდევ 7 წელი აქვს მოსახდელი. აქედანვე ვგეგმავ — გამოვა თუ არა, ხელს მოვიკიდებ და ჩემს მოძღვართან წავიყვან, სწორ გზაზე მის დასაყენებლად ყველაფერს გავაკეთებ. კახა ხომ ჩემი სისხლი და ხორცია.



ამონარიდი წერილიდან:

„ნუნუმ ლევანის მეგობრებისგან შეიტყო ქმრის დამალული წარსულის შესახებ. ერთ-ერთი საზეიმო შეხვედრის დროს ლევანმა 19 წლის ლელა გაიცნო. კაცს კი მოეწონა გოგო, მაგრამ მასზე სერიოზულად არც უფიქრია, ცოლ-შვილზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. სამაგიეროდ, ლელამ ამქვეყნად ყველა და ყველაფერი დაივიწყა, ლევანის გარდა... მერე ისიც უთხრა: შენგან ბავშვს ველოდები, არ მითხრა, მოიშორე, თორემ თავს მოვიკლავ. მე ხომ სიყვარულის გარდა, არაფერს გთხოვ, ნურც გვარს მისცემ, ნურც იმას გაუმხელ, რომ მამამისი ხარ, ოღონდ ხელს ნუ მკრავო. ასე გაჩნდა კახა“.

მერე ნუნუმ კახას ნახვაც მოისურვა და თვალს ვერ წყვეტდა ბიჭს, ისე ჰგავდა მამამისს.

ლელა ლევანის გარდაცვალების შემდეგ უკუბრუნებული სენით დაავადდა. ერთი წელი სანოლს იყო

მოგცემთ და ოჯახურ სიტბოსა და სიმყუდროვეს გაგრძობინებთო. ბიჭმა სიხარულით მიიღო ნუნუს წინადადება. ნინი სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო. ეამაყებოდა, რომ ძმა ჰყავდა, თანაც ასეთი კარგი, ლევანის ალი-კვალი.

ერთხელაც, როცა კახა მეგობრებთან ერთად სვანეთში იმყოფებოდა, ნინი კი — ლექციაზე, ბანდიტები შეიჭრნენ მათ ბინაში, ნუნუ გავარვარებული უთოთი აწამეს და ისე ათქმეინეს, სად ჰქონდა ოქრო-ვერცხლი გადამაღული. რაც კი ფული და ანტიკვარული ნივთი გააჩნდა, ყველაფერი თან წაიღეს. გამოძიება დაიწყო. ნუნუს გვერდიდან არ სცნადებოდნენ ქმრის მეგობრები. სვანეთიდან შინ დაბრუნებულ კახას „ელდა ეცა“. იგი ბობოქრობდა: მინას გახვთქავ და გავიგებ, ვინ გაა-

ქურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com



ასა ჰორიზონტი და ასა ხედობადი

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-35

მარი ჯაფარიძე

მერაბი: ანა, ნავედი, მალე მოვალ.

მერაბი: მოვედი, სად ხარ?

მერაბი: ე.ი. ჩასაფრებულია ჩემი შეძენილი სიყვარული... სად ხარ, რას მემალეები? თუ ნევროზები ჩაგერთო?

მერაბი: ნავედი მაშინ.

ანა: ვაიი... აქ ხარ? ხალხი მყავდა, სიხარულოო!

მერაბი: აბა, რას გამაგიჟე? ამდენი ხანი რით ვერ მოიცალე?

ანა: ზუსტად 7 წუთი... მე მთელი ღამე მათენებინებ და სხვებს ებაასები და 7 წუთს არ მპატიობ? ჰააა?

მერაბი: 7 წუთს კი არა, 1 წუთსაც არ გაპატიებ, იცოდე. შენ ვინ „გადაგებლართა“, ჯერ კიდევ არ იცი. რაც შეეხება სხვებთან საუბარს, შვილებს გეფიცები, მართო შენ ხარ ჩემი საუბრის და ურთიერთობის არეალი. ეგ კარგად დაიმახსოვრე. მე შენი მჯერა და შენც დაიჯერე, ანააააა.

ანა: ბიჭოოო... თავი არ მომაკვლევინოო!

ანა: აი, „შენ ვინ გადაგებლართა, არ იცი“-ა სწორედ, რომ დამაბა ყურებით... აბააა?!

მერაბი: აბა, შენს ჭკუაზე გატარებ, ხომ იცი. მე კაცი ვარ და ამის ძალა შემწევს. ჯერჯერობით მაგრათა ვდგავარ. :)

მერაბი: ახლა მაგარ ხასიათზე ვარ და მაგრად ჩაგისუტებდი. ასეთ გუნებაზე ძაან იშვიათად ვარ.

ანა: მე ასეთი მომწონხარ... ველური და ჯიუტი... და იმედია, სექსის გიგანტიც...

ანა: იმედია, ასეთ ხასიათზე იქნები მაშინაც, შენკენ რომ წამოვალ... რა მაინტერესებს, იცი? რომ შემხვდები, უნდა დათვრე?

მერაბი: აუ, როგორ მინდა, რომ სიურპრიზი გაგიკეთო და ისე ოპერატიულად მოგეპარო და გაგაგიჟო, მაგრამ ვერ ჩამოვდივარ, რა ვქნა, ანი? ცოტას დავლევ ალბათ, „ლაითად“. შენ დალევ?

ანა: არა უშავს... მირჩევნია კიდევ, რომ მე ჩამოვიდე... კარგა ხანია, არ დამისვენია და 1 დღე ჩემი ოცნების მამაკაცის გვერდით საუკეთესო დასვენება იქნება... მანდ უფრო მშვი-

დად ვიქნები, ნაცნობებისგან შორს... შენს საყვარელ გარემოში...

მერაბი: წინადადება შემომაქვს, რომ ერთმანეთს ქუთაისში არ შევხვდეთ.

ანა: აბა, სად?

მერაბი: სადმე, ზღვისპირეთში.

ანა: მაინც?

მერაბი: მაგალითად, ბათუმში. შენ ქუთაისამდე ჩამოდი, აქედან კი ერთად ნავიდეთ.

ანა: ეგეც შეიძლება.

მერაბი: შეიძლება კი არა, ასე უფრო მაგარი იქნება.

ანა: კარგი, ასე იყოს.

მერაბი: ახლა ჩემი ძმაცატი მირეკავს, გამიშვებ?

ანა: არა, არ გიშვებ... კარგი, რააა...

მერაბი: ცოტა ხნით გავალ, ანა, უხერხულია.

მერაბი: რომელ რესტორანში ნავიდეთ ბათუმში?

ანა: მე არ ვიცნობ ბათუმის რესტორნებს... შენ თუ იცნობ, გენდობი... კარგი, ნადი, დაგელოდები.

ანა: ნახვედი უკვე?

ანა: ჩემი სიცოცხლე ვინააა? მინდა, რომ დღეს 19 მაისი იყოს... ხვალ შენთან მოვდიოდე... წარმომიდგენია, რამდენს ვინერვიულებ ამ დღეს... მაგრამ სასიამოვნო ნერვიულობა იქნება...

მერაბი: ნეტავი დღეს იყოს ეგ რიცხვი. მაგარი პასუხისმგებლობით ვეკიდები ამ დღეს. ახლა მინდა, შენთან ერთად, დაუნახავო სილამაზეც.

ანა: მოხვედი, ოცნება? მეც მინდა, შენთან ერთად...

მერაბი: ისე, მართლა მაგრად მაინტერესებს შენთან შეხვედრა.

ანა: ის არ იფიქრო, რომ უშნო ვარ... მაგარ „ვიდზე“ ვარ... ოლონდ, დარწმუნებული ვარ, მოგეწონები... და ჭკუიდან გადაგიყვან.

მერაბი: რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული, ვიცი? შენ ხომ არ იცი ჩემი გემოვნება, გოგოოო?

ანა: მართალია, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ არ არსებობს, ვინმეს არ ეთქვას, ლამაზი, ეშხიანი ქალიაო... 10 ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ვერ გაძლები ჩემი მოფერებით...

ანა: სად იკარგები? „რაზვოდს“ ხომ არ მაძლევ?

მერაბი: მე ჯერ შენი სულიერი სილამაზე მხიბლავს და რაც შეეხება გარეგნულ სილამაზეს, ეგეც მაინტერესებს. აბა, ცუდი გარეგნობის რად მინდა? გული მიგრძნობს, ისეთი ჩამოხვალ, რომ გამაგიჟო. ვიცი, სიურპრიზს მიმზადებ.

ანა: ისე, ჯობია, რომ ცუდი იფიქრო... შენ თუ მზეთუნახავად წარმომიდგენ, მერე იმედი გაგიტრუვდება... სიურპრიზი რამდენად გამოივა, არ ვიცი... ვეცდები... კაბა ჩავიცვა? თუ შარვალი? რომელი უფრო მოგეწონება?

ანა: ბიჭოოო!

ანა: რა ვქნა, რა ვუყო თავსაო, ამ ჩემს პატარა კაცსაო, მეც მიბნევეს გონებასა და არც სხვას ანებებს თავსაო...

მერაბი: შენ რაც გინდა, ის ჩაიცვი, მე კომპლექსი არ მქვს. იქ ჩემი ძმაცატიც იქნებიან რესტორანში, გოგოო!

ანა: უი, გაგიჟდი? ნუ, მაშინ ისეთ ვიდზე უნდა ვიყო, შემურდეთ შენი... თვალები რომ დაუწყენო და გულზე გასკდნენ...

მერაბი: ჰო, აბა, მასე. ჩემები გაგიჟებულები არიან, ვინ არის ასეთი, ჭკუაზე რომ არ ხარო?! ჩემგან არ ელოდნენ ასეთ სიტუაციას, მე სხვანაირს მიცნობენ აქ... არც ისეთი პატარა ბიჭი ვარ, შენ რომ გგონივარ, სიხარულო.

ანა: შემრცხვება, ბიჭო, ყველას ეცოდინება, მერე რა მოხდება?... ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრაააა! რას იტყვიან? ამხელა გზაზე ქალი რისთვის ჩამოვიდაო? რამე ისეთი რომ შევნიშნო, ირონია, ან დაცინვა, ან უხამსი, მაშინვე წამოვალ... ეგ გასაგებია, რაც მომწერე, მაგრამ მაგათ რა იციან, რომ შეყვარებული ხარ? მომეწონა, რაც ნავიკითხე... თუ სხვებიც გატყობენ, ე.ი. მართლა გიყვარვარ... ან მაგრად გაინტერესებ მაინც...

მერაბი: შენ ვერა ხარ? რა, ასეთი პიროვნებები კი არ არიან, სერიოზული ხალხია, ჩემი ბავშვობის ძმაცალები, რომლებსაც ჩემზე მზე და მთვარე ამოსდით.

ანა: ნუ მიბრაზდები... რალაც-ნაირად, შემეშინდა. უკვე ვიცი, როგორი ადამიანი ხარ. სწორად იგებ ჩემს სურვილებსა და გრძნობებს... ისინი როგორ გაიგებენ, იმან შემეშინა... შენი მეგობრები ცუდები არ იქნებიან, დარწმუნებული ვარ...

არ ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში... ჯერ ის, რომ უნდა გნახო... მერე ის, რომ შენთან უნდა დავრჩე... მერე ის, რომ შენი მეგობრები უნდა გავიცნო, რომლებსაც ზუსტად ეცოდ-



ინებათ, რესტორნიდან მე და შენ სად წავალთ და რისთვის... შენ გამო გადავლახავ, ნუ გეშინია... ვიცი, რომ არც შენ დაჩაგვრინებ ვინმეს ჩემს თავს...

მერაბი: რაზეა საუბარი, გოგოოო!
ანა: ისე, ვაპირებდი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩამეცვა, მაგრამ შენზე მაღალი ვიქნები მერე... ამიტომ „დაბლებს“ ჩავიცვამ.

მერაბი: მე ჩემს ძმაკაცებს იმიტომ გაცნობ, რომ გაჩვენო რა წრეში ვარ, თორემ მართო თუ გინდა, მე და შენ ვიყოთ, გადაწყვეტილი კი არ არის. მაგათ იციან, რომ შენ 20-ში ჩამოდიხარ.

ანა: ვერ გავიგე, იციან? თუ არ იციან?

მერაბი: ერთი ვნახავ, რა ხარ ასეთი. გინდ „მაღალი“ ჩაიცვი, გინდ — „დაბალი“. ერთი აქამდე ჩამოაღწიე, თუ გინდ, ფეხშიშველმა.

მერაბი: არ იციან, როდის ჩამოხვალ.

ანა: რა ვარ და სიყვარული ბრმაა, გენაცვლე... ცოტა კოჭლი ვარ, ცოტა ელამი, ცოტა ქალიშვილიც არ ვარ, მაგრამ რა მერე???? ერთ ღამეს ხომ არ დამამადლი? :)))

მერაბი: ე.ი. 20-ში გელოდები, ანუშკი.

ანა: კი, ეგ გადაწყვეტილია...

მერაბი: აუ, რა გიჟქალა მყავს, საიდან? ჩემზე უარესი ვინ გამომიგზავნააააა?

მერაბი: ცოტა ქალიშვილი არ ხარ, რას ნიშავს? დეტალებში მაინტერესებს. კოჭლისთვის კი მადლია, ხომ იცი. :)))

ანა: შენ გამოუგზავნე შენს თავს... კიდევ კარგი, მე არ დაგიკავშირდი პირველად... ისე, მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასე გაგრძელდებოდა სიტუაცია... რას ვსტერვობდი... ახლა მეცინება, რომ მახსენდება, მაგრამ მაინც მომამტვრიე რქები...

მერაბი: აბა, რა გეგონა? ვის ებლატავებოდი, გოგოოო?

ანა: აღარ გებლატავები, ხომ ხედავ... სიყვარულმა როგორ მომათვინიერა... ალქაჯიდან ქალად გადამაქცია და ვეფხვიდან — კატად... :)))

მერაბი: ნავედი, დღეს რომელ საათამდე ხარ აქ? მე ვიცი, რომ ჩემი იმედი გაქვს და ვცდები, ეგ იმედი არ გაგიცრუო, თუ დამიჯერებ, ანა.

ანა: დღეს გვიანობამდე ვარ, მოხვალ კიდევ?

ანა: კოცნა სადაა?

მერაბი: გკოცნი და კიდევ შემოვალ.

ანა: კარგი, გელოდები, სიხარულოოო!

ანა: აქ იყავი და არაფერი მომ-

წერე? შენ ძალიან გაფუჭდი ამ ბოლო დროს... ნუ გგონია, თავი ქუდში გაქვს... ჰმ...

9 მაისი, 09:54

მერაბი: არა მგონია, სიხარულო, გუშინ გირეკე და გათიშული გქონდა, დღეს ჩემი თანამშრომლის ქორნილია, თან მორიგე ვარ. თუ გამიშვეს, ალბათ წავალ, თუ არა და, აქ, შენთან ვიქნები. გუშინ სტუმრები მყავდნენ და პერიოდულად იმიტომ შემოვდიოდი. ანა, ნუ წერვიულობ, ყველაფერი კარგად არის. ხომ იცი, როგორი სამსახური მაქვს და როგორი კაცი გყავს? ხან აქ ვარ, ხან — იმში, ხან ბოროტმოქმედებთან ბრძოლაში. შენთან ვარ ახლა...

მერაბი: რა არის, გაათენე ნუხელი აქ? რატომ არ მიკავშირდები?

ანა: აქ ვააარ!

მერაბი: დილა მშვიდობისა.

ანა: გამარჯობა, სიხარულო.

მერაბი: რა ხდება შენკენ, ანა?

ანა: არაფერი... მენატრები... ძალიან მომენონა — „ხომ იცი, როგორი კაცი გყავს“... შენ ჩემი კაცი ხარ? :)))

მერაბი: აბა, ეგრეა, შენ უკვე ბევრი პასუხისმგებლობა გეკისრება. ასეთი ადვილი კი არ არის ჩემთან ურთიერთობა. ვიცი, ანალოგიურს მეტყვი.

ანა: მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას და ისე ვიქცევი, შენ რომ მოგეწონება... სულ ველარ ვძლებ უშენოდ.

მერაბი: ჰო, შენც გაინტერესებს, როგორი ვარ, როგორი ხასიათი მაქვს და ყველაფერი ჩემ შესახებ, არა? იმიტომაა ასეთი დაინტერესება შენგან.

ანა: ჩემთან ურთიერთობა შენთვის უკვე ადვილია. იცი, როგორ მდგომარეობაში ვარ? გაუხედნავ ცხენს რომ დაუპირებენ გახედნას და ერთ ამბავში რომ არის... მხედარს რომ აგდებს და თელავს ფეხებით... ძლიერი და გამოცდილი მხედარი რომ იმარჯვებს და დაიმორჩილებს და მერე მისი ერთგული და მორჩილი რომ ხდება... აი, ასე ვგრძნობ თავს და ჩემს თავზე ვბრაზობ კიდევ, ხანდახან.

მერაბი: დღეს შეიძლება, ნავიდე ქორნილში.

მერაბი: რატომ ბრაზობ, ასეთი მხედარი რომ გყავს?

ანა: იმიტომ, რომ მეგონა, ძლიერი ვარ, ვერავინ ჩამაგდებს ისეთ დღეში, რომ თავი დამაკარგვინოს-მეთქი... საკუთარი სისუსტე ვაღიარე, შენთან... და ეს არ მომწონს... არ ვიცი, შეიძლება, ეს სისუსტე სულაც არაა, მაგრამ ახლა ასე მგონია.

ანა: მხედარი მომწონს...

მერაბი: სისუსტე კი არა, ცხოვრების მეორე ნაწილში სიყვარული გენვია და არ გინდა, ალიარო, ამაყი ხარ და იმიტომ. შენით რომ ქაჩავდი ყველაფერს, ფუნქციები დარღვეული გქონდა ქალური და მე გავალვიძე და დაგაბრუნე იქ, საიდანაც მოდიოდი.

ანა: სწორად მიხვდი... ალბათ ეგაა... მაგრამ იქ აღარ მინდა, საიდანაც მოვდიოდი... შენ მოგწონს ის, რასაც შენ მიმართ ვგრძნობ და გეუბნები?

მერაბი: კი, რომ არ მომწონდე, უარის თქმას რა უნდა?

ანა: ეტყობა, შინაგანად მინდოდა, რომ ოდესღაც ასე მომხდარიყო... დავინახე ერთ კაცში ბევრი ის თვისება, რომელიც მე მომწონს და თავით გადავეში ამ მორევში... თმაც კი ისე გაქვს შეჭრილი, მე რომ მომწონს და შენს სურათს რომ ვუყურებ, სურვილი მაქვს, საფეთქელთან თითები შეგიცურო და ისე მოგეფერო...

მერაბი: ვაიმე, მიშველეთ!

მერაბი: ქორნილში მიშვებ?

ანა: არა, არავითარ შემთხვევაში! დღეს ველოდი, რომ ჩემთან იქნებოდი და... მიდინარ?

მერაბი: დღეს დავბრუნდები და ისევ მოვალ, შენთან.

ანა: ძალიან გინდა წასვლა, ვიცი... ნადი, იმ პირობით, რომ როცა დაბრუნდები, ჩემთან მოხვალ... უფროსი გიშვებს?

მერაბი: ახლა ისე მოგეფერებოდი...

ანა: ნუ მაგიჟებ... თავგზას ნუ მირევ.

მერაბი: არ არის ჯერ გადანყვეტილი ჩემი წასვლა. 2 საათამდე ოპერაციას ვატარებთ და მერე გადაწყდება. თუ წავალ, გეტყვი.

ანა: ნეტავ, ვერ ნახვიდე...

მერაბი: ძაან თუ გინდა, არ წავალ.

მერაბი: ახლა სად ხარ?

ანა: მინდა, ჩემთან იყო, მაგრამ არ მინდა, რამეში ხელი შეგიშალო... შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი... ახლა სამსახურში ვარ.

მერაბი: მეც მინდა შენთან. მე მგონი, იქით მიდის საქმე, რომ ვერავინ წავალთ ქორნილში.

მერაბი: რომ შევხვდებით, მერე რა უნდა ქნა?

ანა: რომ შევხვდებით, მერე არ ვიცი... ახლა ყველაფერს ინტერესიც ემატება... მერე მარტო მონატრება დარჩება და იმედი, რომ ოდესღაც გნახავ... შეიძლება მერე უფრო გამიჭირდეს...

მერაბი: ვნახოთ, ვნახოთ, ჯერ შევხვდეთ და შემდეგ ვილაპარაკოთ მაგაზე. ახლა მეძახიან, გავედი.

ანა: გკოცნი და გელოდები.

მერაბი: მეც მაგრად, მაგრად, უზომოდ.

ანა: მოვიდაა! ჯერ არ გელოდი და ძალიან გამახერხე!

მერაბი: სულ საიტზე რომ ხარ, ვეჭვიანობ.

ანა: ვიტირებ!

ანა: სად ხარ? სად დაცუნცულე, ბიჭო... ან საიდან შემოსვდი ასე უცებ, 2 წუთით?

ანა: სამსახურის საქმეზე რომ გადისხარ, ისე ვნერვიულობ ხოლმე, გეგონება, ვალდებული ვიყო... მოდი, სიხარულო და გამახარე...

ანა: რატომ დაიგვიანე ასე, სიხარულო?

მერაბი: ახლა მოვედი, ამწუთას. ისეთი დაღლილი და მშვიერი ვარ, ვიბრძობი. ვერ მოგაქციე ყურადღება.

ანა: არა უშავს, სიხარულო... ჭამე მიდი, მე მოვიცდი...

მერაბი: არა, არ მაქვს სურვილი, მერე, გვიან წავალ, ვჭამ და მოვალ. ჯერ ვისაუბროთ. რაც შეეხება ეჭვიანობას, მართლა კი არ ვეჭვიანობ. მჯერა, რომ მართლმე მესაუბრები. ვიცი, ვგრძნობ.

ანა: ახლა შენს თავს ჩავისუტებდი და დაგასვენებდი... თმაზე მოგეფერებოდი და დაგაძინებდი, ასეთი დაღლილი რომ ხარ, დაისვენებდი, ჩემთან ჩახუტებული...

მერაბი: ჰო, მაგარი იქნებოდა. დღეს რას აპირებ?

ანა: ხომ იცი, რომ ჩემი გრაფიკი შენსას მოვარგე? როცა აქ ხარ და იმის შანსი მაქვს, გელაპარაკო, სად წავალ? შენი ვააარ!

მერაბი: დღეს შენც მორიგე ხარ?

ანა: ჰო, არ გინდა, რომ მორიგე ვიყო?

მერაბი: მინდა, მინდა... როგორ გნერ, იცი? თვალეები მესუჭება, ისე დავილაღე. ჩვენს საქმეში იცი, როგორაა? როცა ელოდები ობიექტს, რთულია, ან არ გაგეცეს, ან არ დაგასწროს სროლა და ასე შემდეგ... ნერვიულობ მაგრად იმაზე, თუ როგორ დამთავრდება და როცა დადებითად მთავრდება, ეშვები და მთელი ენერგია გეცლება. მანამდე მაგრად დგახარ.

ანა: დაისვენე, თუ გინდა... არ მენწყინება, ცოდვა ხარ, მართლა... მე სასიკვდილოდ კი არ მემეტები,

ჩემთვის მინდისხარ, ჯანმრთელი და კარგად მყოფი...

მერაბი: აარა, მაგიტომ კი არ მითქვამს, უბრალოდ, აგისხენი, რამხელა ენერგია მეხარჯება ოპერაციის დროს და ეს გრძელდება ბევრი წელი.

ანა: შემოგვევლიე... ვიცი, რომ რთული სამსახური გაქვს... ილღები... კაცი ხარ, მაგრამ შიში ხომ მაინც გაქვს? წელანაც თქვი, სროლა არ დაგასწროსო... ათას ვიგინდარასთან გაქვს საქმე... ვინ იცის, სიკვდილს რამდენჯერ ჩახედე თვალეებში... მიკვირს, ნერვები საერთოდ რომ გაქვს შერჩენილი... ისე,



რა „ზვანი“ გაქვს?

მერაბი: პოლკოვნიკი. შენ ახლა ოფისში ხარ?

ანა: ჰო, ოფისში ვარ, ბატონო პოლკოვნიკო.

მერაბი: ახლა კიდევ მეძახიან. გადავიყვან დაკავებულს ციხეზე და 1 საათში აქ ვარ. კარგი? თან რალაცებს ვიყიდი.

ანა: მიდი, სიხარულო, ჭამე, ისე არ დაბრუნდე.

მერაბი: კარგი, ჯერ საქმე და მერე 1 საათში მოვალ.

მერაბი: მოვედი, სად ხარ, ანა?

ანა: დამიბრუნდი, სიხარულო?

მერაბი: აჰ, შემოვარდა მგელი მერათან. :))

ანა: ჭამე? ჩამაბარე ანგარიში აბა...

მერაბი: რალაცები მოვიტანე აქ, კაბინეტში და თან ვჭამ და თან გელაპარაკები.

ანა: შემოგვევლე... მე დესერტად დამაყოლებ? :))

მერაბი: ჰო, ისე, კარგი იქნებოდა, გიჟოოოო...

ანა: შენ რომ მითხარი, ტკბილი არ მიყვარსო?

მერაბი: შენნაირი ტკბილი მიყვარს. ახლა დაგადებდი თავს მკერდზე.

ანა: :)))

მერაბი: აგისრულე ამ ყველაფერს...

ანა: აქ დაამთავრე... გაგრძელება კი შენი ფანტაზიისთვის მომინდვია... მე ნუ მეტყვი. ყველაზე საინტერესო ხომ გაგრძელებაა? ჰოდა, ეგ დავტოვოთ... ერთად გავაგრძელოთ, როცა გნახავ...

მერაბი: კარგი. გამაგიჟე ახლა...

ანა: გაჩერდი-მეთქი.

მერაბი: ჰო, ჯობია, თორემ ცუდადაა საქმე.

ანა: გამიბრაზდი?

მერაბი: არა, რატომ უნდა გაგბრაზებოდი? ღმერთმა ნუ ქნას, სიხარულოოო. რა არის, რაეებს მეუბნები, გოგო?

ანა: მეგონა, ნერვები მოგიშალე. მაშინ, დღეს გამიმართლა და ეგაა.

მერაბი: შენ ყოველთვის გაგიმართლებს, ისეთი კაცის გვერდით ხარ.

ანა: ჩემი ცუნცულა კაცის?

მერაბი: ვინ არის, გოგოოო, ცუნცულა, ააა? თითქოს პატარა ბიჭი ვიყო, შენი.

ანა: არ ხარ ჩემი ცუნცულა? ნუ, ახლა, სამსახურში კი ხარ მკაცრი და მაგარი და ჩემთვის ცუნცულა რომ იყო, რა უჭირს? არავის ვეტყვი... მართლა გწყინს? აღარ გეტყვი, თუ გწყინს...

მერაბი: ცუნცულა რა პონტია? რალაც, ცუდად ჟღერს, მგონი. შენ როგორ გგონია? გადამითარგმნე მაშინ.

ანა: კარგი, აღარ დაგიძახებ... ცუნცულა კი იმას ნიშნავს, სულ აქეთ-იქით რომ დადიხარ, საქმეს აკეთებ, დაცუნცულე და მერე ჩემთან მოცუნცულე... :))

მერაბი: არა, რა, შენი გამოსწორება არ იქნება. ისე მაპარებ რალაცებს, წინააღმდეგობასაც ვერ გინევ უკვე.

ანა: მერე, დამნებდი... შენც ხომ ეგ გინდა?

მერაბი: ვერ დაგნებდები, ვერაააა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბრაფი თარხანი

მატყუარა ადამიანი განსხვავებულად აზროვნებს, ვიდრე მართლის მთქმელი. მისი გონება გაცილებით სწრაფად მუშაობს. გაუგებარია, რატომ, მაგრამ რაც უფრო ხშირად იტყუებიან ადამიანები, მით მეტია მათში შემოქმედებითი და აზრობრივი შესაძლებლობები. მეცნიერებმა გამოიკვლიეს სკოლამდელი ასაკის 8500 ბავშვი და დაადგინეს, რომ ბავშვი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს ამბობს, თავის ტოლს გონებრივად ჩამორჩება, ხოლო ფანტაზიორები და გამომგონებლები მეცადინეობის დროს არაერთხელ სირთულეს არ აწყდებიან. თუმცა, თუ მატყუარებს ახალგაზრდობაში სხარტი გონება აქვთ, მოხუცებულობის უამს ხშირად უმტყუნებთ ხოლმე. ეს კი იმის ბრალია, რომ არ შეიძლება, მთელი ცხოვრება ერთს ფიქრობდე, სხვას ამბობდე და სულ სხვას აკეთებდე. რეალობასთან ასეთ ურთიერთობას გონება უმოქმედობამდე მიჰყავს და სიმართლისა და გამოგონილის გარჩევის უნარს აკარგავინებს. სტატისტიკის მიხედვით, დღესდღეობით მოხუცები 7 წლით უფრო ადრე ხვდებიან ალცჰაიმერის დაავადების მსხვერპლნი.

მატყუარა ადამიანების ტვინის უფრო მეტი უჯრედი მუშაობს, ვიდრე სიმართლის მთქმელის. ამიტომ, მატყუარები ცბიერები არიან, მიუხედავად ამისა, ყველაზე პროფესიონალი მატყუარას ამოცნობაც კი შესაძლებელია. თუ ლაპარაკის დროს ხელები მკერდის წინ გადაჯვარედინებული აქვს, მუშტს კრავს, თითებს ათამაშებს და წარბებს ქმუხნის, იცოდე, რომ გატყუებს. მისი ნათქვამი მუუაზე უნდა გაყო და მხოლოდ ერთი ნაწილი დაიჯერო. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ გადაჭარბებული მოტორიზმი (შიმიკა, ფესტიკულაცია, სხეულის მოძრაობა) იმაზე მიგვანიშნებს, რომ ორგანიზმი იმ დაძაბულობის მოხსნას ცდილობს, რომელსაც ტვინი ტყუილის თქმის დროს განიცდის.

პროფესიონალი მატყუარა თავის მზერას ყოველთვის აკონტროლებს. ლაპარაკის დროს ის მზერას არ გარიდებს და კედელს არ ათვალერებს. შენ წინაშე თავისსავე თავში დაჯერებული ადამი-

ტყუილი — სივილიზაციის კულტურული მიღწევა

ადამიანი ბუნებით რომ მატყუარაა, ეს უდავოა. ყველამ იცის, რომ ტყუილი ცუდია, სიმართლე — კარგი. უსსოვარი დროიდან, მოაზროვნები და განმანათლებლები ადამიანებს სიმართლისკენ მოუწოდებენ, მაგრამ სიცრუე დღემდე ადამიანის დამახასიათებელი, ერთ-ერთი მთავარი თვისებაა (მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა). თუმცა, თუ წარმოიდგენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ადამიანი მხოლოდ სიმართლეს ილაპარაკებს და გულახდილად იტყვის იმას, რასაც ფიქრობს, მიხედვით, რომ დედამიწაზე კოშმარი გარდაუვალია. თუ დაფიქრდები, მიხედვით, რომ არც ისე დიდი სურვილი გაქვს, გაიგო რას ფიქრობენ შენზე ოჯახის წევრები, მეგობრები და უზრალოდ, გამვლელები, პრეზიდენტი და ოპოზიცია, გამყიდველები და კოლეგები, ექმები და ბავშვები. ასეთ სიტუაციაში ადამიანი ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს, ამას წყალი არ გაუფა. ასე რომ, ტყუილი ეს არის ცივილიზაციის კულტურული მიღწევა.



ანი და დამაჯერებლად იტყუება. ეცადე, გამოცდა მოუწყო. გვერდზე გაიხედე ან კბილებით ფანქრის ღრღნას შეუდექი, დაინტერესდი, რა ნახა სიზმარში. თუ მისი მზერა კვლავ, უშფოთველი დარჩა, მაშინ უნდა იცოდე, რომ ეს მზერა თავიდანვე ყალბი იყო. ბევრი მატყუარა, იმისათვის, რომ დამაჯერებლად ილაპარაკოს, სათქმელს წინასწარ, ზეპირად სწავლობს. მაგალითად, ადვოკატები, რომლებიც კლიენტს ჩვენების მისაცემად ამზადებენ, ცდილობენ, რომ მსმენელს წინასწარ დაზუპირებული ტექსტის შთაბეჭდილება არ დარჩეს.

საუბრის დროს გამოყენებული — „მართლა“, „პატიოსან სიტყვას გაძლევ“, „არ ვიტყუები“, „გეფიცები“ — ნებისმიერი მატყუარას „პარაზიტი“ სიტყვებია, რომლებიც სიმართლის თქმის დროს იშვიათად გამოიყენება.

ფსიქოლოგიაში არსებობს სპეციალური, ნეიროლინგვისტიკური განხრა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სიმართლეს ამბობს, მარცხნივ იყურება. თუ რამის წარმოდგენას ცდილობს, — მარჯვნივ. თუ ვიზუალურად ცდილობს რაიმეს წარმოდგენას, მზერა ზევით გაურბის, თუ ბევრების წარმოსახვას ცდილობს, — პირდაპირ.

არსებობს ჯიბის სიცრუის დეტექტორი. ის „ექვმიტანილს“ ხმის ტემპით ცნობს. თავდაპირველად ეკრანზე მთელი ვაშლი გამოისახება ხოლმე. თუ მოსაუბრე იტყუება, ვაშლი ნელ-ნელა ქრება. არსებობს ასევე კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც მატყუარას ამოცნობა 95%-იანი სიზუსტით შეუძლია. თერმოსკანერს შეუძლია, მატყუარა თვალის გარშემო გაჩენილი, მონითალო ლაქებით გამოავლინოს, რომელიც ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება. ამ მოწყობილობას აეროპორტში, ტერორისტების გამოსაველენად იყენებენ.



ქომწინება გმძელი
ღიალოვია, მძიმესაც
ჭეშოღყოლად ყაძაიი
აშოვეჯს ხოლოქ

„გრაფო, მინდა, ჩემი სიტუაცია გაგაცნოთ. ჩემი ქმარი ისეთი აგრესიულია, რომ საღამოს, როცა მისი შინ დაბრუნების დრო მოდის, გაქცევის სურვილი მიჩნდება. შემოსვლისთანავე იწყებს მწარე სიტყვების სროლას. „რა იყო, ქალო, არ მელოდი?“ „რა გვაქვს ვახშამად?“ „დროზე მოიტანე!“ „დროზე მეთქი, არ გესმის?“ და მთელი საღამო ასე გრძელდება. დილით უხეშად მაღვიძებს, ხელს მთელი ძალით გამკრავს და მეტყვის: „ადექი, ქალო, ჩაი დამალევი...“ სექსის დროსაც კი აგრესიულია. მეც აგრესიით ვპასუხობ და მერე საშინლად ვჩხუბობთ. დღეს კი „მარშრუტით“ მგზავრობისას, გაჩერებას რომ მივუახლოვდი, ფეხზე მდგომ ქალბატონს ვკითხე, ხომ არ ჩადისხართ-მეთქი? ისეთი თვალებით შემომხედა, ლამის ადგილზე გამაქვავა. მერე მოჰყვა ლექციას იმის შესახებ, რომ ქვეყანა სავსეა არაფრის მაქნისი ადამიანებით, რომლებსაც უაზრო კითხვების დასმის მეტი არაფერი ეხერხებათ და ა.შ. ამას მხოლოდ მე კი არა, სხვებიც ისმენდნენ. ვერ გავიგე, რა უნდოდა ამ ქალს ჩემგან? გრაფო, იქნებ ამისნათ და ისიც მასწავლოთ, როგორ მოვექცე ქმარს, რომ ასეთი აგრესიული აღარ იყოს. პატივისცემით, ნანა“.

ნანა, პირველ რიგში გეტყვით, რომ იმ ქალს თქვენგან არაფერი უნდოდა. უბრალოდ, მასში ბოლმა იყო დაგროვილი და მისი გადმონთხევა სურდა. როგორც კი ვილაც გამოელაპარაკა, მაშინვე ის თქვა, რაზეც ფიქრობდა.

რა შეიძლება იყოს აგრესიის მიზეზი?

1. რომელიმე დაავადება.
2. ჰორმონალური დისბალანსი.
3. გარემო ფაქტორები, იგივე სოციუმი.

აგრესია საკმაოდ გავრცელებული, განსაკუთრებით დღევანდელ რეალობაში, რადგან ადამიანები ცდილობენ, ცხოვრების სწრაფი ტემპი შეინარჩუნონ და საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ტოვებენ. თუ აგრესიას თავად გამოავლენ, გრძნობ, თითქოს რაღაც ძალა გმართავს, რომელსაც ნეგატიური ემოციები მოაქვს.

მაგრამ ერთი საშიშროება არსებობს. თუ აგრესიას შენში ჩაახშობ, მაშინ ის რომელიმე დაავადებას გამოიწვევს და ისე გამოვლინდება, ხოლო თუ არ ჩაახშობ და გზას მისცემ, ამას შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყვეს.

თავდაპირველად იმის შესახებ ვიმსჯელოთ, თუ როგორ უნდა მოექცეთ, როცა აგრესიის მსხვერპლი ხდებით.

1. სწორედ იმ მომენტში, როცა ვილაც აგრესიის ობიექტად იქცევით, სურვილი გიჩნდებათ, თქვენც ისევე მოექცეთ. სარკესავით ირეკლავთ სხვის ნეგატიურ ემოციას. და რა გამოვა ამით? ოჯახში გატარებული, მშვიდი საღამოს ნაცვლად, განწყობილება გაგიფუჭდებათ და შინ გაჩერებაც არ მოგიხდებათ. ასეთ დროს, ეცადეთ, სიტუაციას გარედან, სხვა თვლით შეხედოთ, ობიექტურად შეაფასოთ და თუ ჩხუბისთვის საფუძველი არ არსებობს, აგრესორის იგნორირება მოახდინოთ.

2. ზოგიერთი ადამიანი ასეთ დროს ქვავდება, გული უჩერდება და ენა უვარდება. ასეთ დროს სასწრაფოდ აზრი უნდა მოიკრიბოთ და სიტუაციის შეფასება კვლავ გარედან, ობიექტურად მოახდინოთ, ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში. უნდა გახსოვდეთ, რომ აგრესიული ადამიანი თავს ძალზე ცუდად გრძნობს. აგრესიის გამოვლინება კი ერთგვარი ძახილია, რომლითაც შველას გთხოვთ. ის ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სამყაროში ყველა აგრესიულია, დეპრესიას და თავდაუჯერებლობას განიცდიან. ამიტომ, შესაძლებლობისთანავე ასეთ ადამიანს უნდა დაეხმაროთ.

ლის გამოშვება“ ოჯახის წევრებისა თუ ხელქვეითების ხარჯზე არ უნდა მოახდინოთ. საამისოდ რამდენიმე მეთოდი არსებობს.

ბ) ბევრ ოფისში აქვთ სახუმარო „ბრაზის ფურცელი“. მასზე გამოსახულია აგრესიული ცხოველი და აქვს წარწერა: „გაბრაზების შემთხვევაში დახიეთ!“ გამოიყენეთ ეს მეთოდი და გულზე მოგეშვებათ.

გ) კარგ შედეგს იძლევა ერთი მეთოდი, რომლის სახელწოდებაც თავად შეგიძლიათ მოიფიქროთ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც, ტყეში მარტო ნახვიდეთ და რაც ძალი და ღონე გაქვთ, მთელი ხმით იყვიროთ. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, სიტყვებს წარმოთქვამთ თუ ბგერებს გამოსცემთ. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ თუ ამ მეთოდს გამოიყენებთ, ჯანმრთელობას გაიუმჯობესებთ და გაახალგაზრდავებით კიდევ. როდესაც ყვირით, ასეთ დროს სიხარულის ჰორმონი და ნახშირორჟანი გამოიყოფა. ეს აიოლებს შინაგანი ორგანოების მოქმედებას და კუნთებიდან ფსიქოლოგიურ დაძაბულობას ხსნის. შესაძლოა, ეს მეთოდი სასაცილოდ და სულელურად მოგეჩვენოთ, მაგრამ აუცილებლად გიშველით.

დ) ეცადეთ, აგრესიას პოზიტიური მხარე მოუძებნოთ. ეს დაგეხმარებათ, რომ აგრესიის გამოვლენის



როგორ უნდა გაუმკლავდეთ ისეთ მდგომარეობას, თუ თავად ხართ აგრესიული?

ა) გავისყენოთ, რომ თუ თქვენს შიგნით „ყველაფერი დულს“, ეს „დულილი“ უნდა შეაჩეროთ და „ორთქლი გამოუშვათ“. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სერიოზულად დაავადდეთ. აგრესია, როგორც ემოცია, თქვენს მენტალურ სხეულს ანადგურებს. რა თქმა უნდა, „ორთქ-

ნის დროს სწორედ მის ამ მხარეზე იფიქროთ და ემოცია პოზიტიურ კალაპოტში გადაიყვანოთ.

„აგრესია“ ლათინური სიტყვაა და ასე ითარგმნება: „ა“ — ნაბიჯი; „გრეს“ — დაჩქარება. ის აჩქარებს შინაგან პროცესებს და ხანდახან მისი პოზიტიური მხარის გამოყენებაც შესაძლებელია.

შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად შეგიძლიათ, მედიტაციის მეთოდი

გამოიყენოთ ან რელაქსაციური ვარჯიში ჩაატაროთ. რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

— ჩართეთ წყნარი მელოდია (სასურველია, უცნობი, უსიტყვო მელოდია). რადიოს ნუ ჩართავთ, რადგან მუსიკას დიჯეის კომენტარები და რეკლამა მოჰყვება. იატაკზე დაჯექით და მოდუნდით. როგორც წესი, მოდუნების დროს ქვედა ყბა ზედაზე მიბჯენილი არ უნდა იყოს და პირი ოდნავ გაღებულია. თავიდან ყველა აზრი გამოყარეთ. თვალები დახუჭეთ და უბრალოდ, უყურეთ იმას, რასაც ამ დროს დაინახავთ. ყურადღებით იყავით, რომ უსიამოვნო აზრები არ მოგეძალოს. 5-10 წუთის შემდეგ საკუთარ თავს ბრძანება მიეცით: „ჩემი ორგანიზმი ძლიერია, მე საკუთარი თავი ძალიან მიყვარს, მე ყველაფერი შემძლია!“

მთავარია, ბრძანება მოკლე და მკაფიო იყოს და არ შეიცავდეს „არ“ ნაწილაკს. ერთი სენსის განმავლობაში 3 ბრძანება საკმარისია. დასასრულს, აუცილებლად გადაუხადეთ მადლობა საკუთარ თავსა და სხეულს და ამოსუნთქვისას თვალები გაახილეთ. მთელი სენსის ხანგრძლივობა 15-30 წუთი უნდა იყოს.

— შემდეგი მეთოდი სუნთქვითია. დაწეით და მოდუნდით, თვალები დახუჭეთ. წარმოიდგინეთ, რომ უწონადობის მდგომარეობაში ხართ და ამის შემდეგ 4-ჯერ გაუჩერებლივ, ჩვეულებრივად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. შემდეგ, ისევ პაუზის გარეშე — ერთი ღრმა შესუნთქვა და ამოსუნთქვა. ისევ პაუზის გარეშე 4-ჯერ ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ და ისევ ღრმა შესუნთქვა. ეს ვარჯიში 4-ჯერ უნდა გაიმეო-

როთ. ე.ი. სულ 20 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, რომელთაგან 4 ღრმაა, 16 კი ჩვეულებრივი. ეს ვარჯიში აგრესიას მოგიხსნით და შინაგანი ორგანოების მუშაობას გააუმჯობესებს. საკმარისია, ეს პროცედურა დღეში 2-ჯერ გაიმეოროთ, თავადაც შენიშნავთ, რომ სულ მოკლე ხანში თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ.

— კიდევ ერთი ვარჯიში, რომელიც აგრესიის, ბრზნისა და უძილობის დაძლევაში დაგეხმარებათ — ენა გამოყავით და კბილებს შორის მოაქციეთ, ტუჩები მოკუმეთ. ამის შემდეგ ჩაატარეთ სუნთქვითი ვარჯიშები, რომელიც წელან გასწავლეთ. ამ ვარჯიშის ჩატარება უპირიანი ძილის წინ და სიბრზის შემოტევისას.

თუ აგრესიას ხშირად გამოავლენთ, იქნებ დაფიქრდეთ და დაისვენოთ? შესაძლოა, ყოველდღიურმა ცხოვრებამ დაგაღალათ. ასეთ დროს ერთკვირიანი დასვენება არ განწყენდათ. თუ ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, მაშინ შეეცადეთ, შაბათ-კვირას მაინც გახვიდეთ ქალაქიდან ან უბრალოდ, საყვარელი საქმით დაკავდეთ. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი აგრესია გაქრება.

ხანდახან დაფიქრდით, რა ინვესტირებთ ამ გრძნობას და რა შედეგი მოაქვს მას. იქნებ შესაძლებელია გამლიზიანებლისგან თავი შორს დაიჭიროთ? ისეც ხდება, რომ ადამიანები ბუნებით არიან აგრესიულები და ამ გრძნობის გამოხატვა მათ სიამოვნებას ჰგვრის. ასეთებს არანაირი ბრძოლა და ვარჯიში არ სჭირდებათ. შესაძლოა, მეგობარმა თავისი გასაჭირი გაგანდოთ. ასეთ შემთხვევაში ცხოვრებას თქვენც „შავი სათვალით“ უყურებთ. თუ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდებით, მაშინვე გამოყარეთ ცუდი აზრები თავიდან და ეცადეთ, რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ. შეგიძლიათ, ის საკვები მიიღოთ, რომელიც ძალიან გიყვართ. ორგანიზმი მაშინვე სისხარულის ჰორმონის გამომუშავებას დაიწყებს. ამიტომაც, რომ დიეტაზე მყოფი ადამიანი დეპრესიაში ვარდება.

გიყვარდეს საკუთარი თავი და გახსოვდეს, რომ შენნაირი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ არსებობს!

როდის უნდა ერიდო გეგეგასთან ურთიერთობას

შეგვიძლია, რამდენიმე სასარგებლო რჩევა მოგაწოდოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში უნდა ერიდოთ მამაკაცთან ურთიერთობას. თუ ხშირად ხდება ისე, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებშია აღწერილი, მაშინ წინასწარ შეგუეთ იმ აზრს, რომ თქვენს ურთიერთობას სასიკეთოდ დასასრული არ ექნება. მაშ ასე, ერიდეთ მამაკაცთან ურთიერთობას, თუ...

- 1. გეუბნებით, რომ მის პირველ სიყვარულს აგონებთ.**
მას ან სძულს, ან ჯერ კიდევ ახსოვს ის: ორივე შემთხვევაში, წაგებულნი ხართ.
- 2. მეგობრები არასდროს არაფერს გეკითხებიან მის შესახებ.**
თუ თქვენს საუკეთესო მეგობარს არ აინტერესებს, თქვენი და თქვენი რჩეულის ურთიერთობის დეტალები, საკუთარ თავს ჰკითხეთ: რატომ? ეჭვიანობა?! — ნაკლებსარწმუნოა. ალბათ ეს უფრო იმით აიხსნება, რომ მეგობარი თქვენს ურთიერთობაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ უყვარხართ და გულს არ გტკენთ.
- 3. შინ ურეკავთ, მისი ოჯახის წევრები კი ცივად გაპასუხობენ.**
თუ თქვენი ზარი მისთვის მნიშვნელოვანია, მისი ახლობლები უხეშად არ დაგელაპარაკებიან.
- 4. ფიზიკური სიახლოვის შემდეგ, თქვენდამი ინტერესი დაკარგავთ; გახდება ცივი, უხეში, გულგრილი, ირონიული ან თავდაჯერებული.**
ეს ნიშნავს, რომ აჩქარებულხართ და ახლა ბედნიერება სხვაგან უნდა ექებოთ.
- 5. ავიწყდებათ თქვენი დაბადების დღე.**
- 6. ძალზე გულჩათსრობილია, იშვიათად გიზიარებთ განცდილს.**
თავიდან ეს თავშეკავებულობა მოგ-





წონდათ კიდევ, მაგრამ ახლა... ფხიზლად იყავით: თუ საყვარელი მამაკაცი კითხვებზე არ გასაუხობთ, უეჭველია, თქვენდამი გულწრფელი არ არის ან რალაცას საგანგებოდ გიმაღავთ.

7. პაემანს ყოველთვის კვირის ბოლოს ან რომელიმე, გარკვეულ დღეებში გინშნავთ.

თავიდან ამის სანაღამდეგო არაფერი გქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მისი ნახვის სურვილი სულ უფრო და უფრო ხშირად გეუფლებათ; გასურთ შეხვედეთ სამუშაო დღეებშიც ან თუნდაც — ორი დღე ზედიზედ. თუ ასე არასდროს ხდება, ე.ი. თქვენ მას არ უყვარხართ ისე, როგორ სიყვარულზეც ოცნებობდით.

8. მეორე შესვდროსას გეუბნებათ — „მიყვარხარ“.

ეს თითქოს არარეალურია. „მართლა ვუყვარვარ?“ — ეკითხებით საკუთარ თავს. შეიძლება, მართლაც უყვარდეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩვეულებრივი, ქალების მუსუსი გირევედეთ თავგზას.

9. თავს შეუძლოდ გრძნობთ, ის კი თქვენს ამბავს არც კითხულობს.

10. ავინყდება ყველაფერი, რაც თქვენ გიკავშირდებათ.

ის, რომ მას არ ახსოვს თქვენი საყვარელი ფერი, წვრილმანი როდია — მამაკაცს, რომელსაც ნამდვილად უყვარხართ, ასეთი წვრილმანები არასოდეს დაავინყდება.

11. არ გაცნობთ მშობლებს, დედამამიშვილებს, მეგობრებს.



12. ეუბნებით, რომ დასასვენებლად მიდხართ, ის კი ბედნერ მგზავრობას და სასიამოვნო დროს ტარებებს გისურვებთ.

თუ ოდნავ მაინც არ გაგრძობინათ, რომ მოენატრებით, არ გამოგიტყდათ, რომ ძალიან უნდა თქვენთან ერთად წამოსვლა, საკუთარ თავს ახალი მეგობარი უსურვებთ.

13. სრულიად არ ეჭვიანობს თქვენზე.

14. გადანყვებით ვერასდროს ვერაფერს გეუბნებათ.

თუ თქვენს წინადადებაზე — ერთად გაატაროთ უქმე დღეები, გასაუხობთ: „შეიძლება“ ანდა: „ვნახოთ, მოგვიანებით დაგირეკავ“ — ყველა საბაბი გაქვთ, იფიქროთ, რომ ის უფრო მაცდუნებელ წინადადებას ელის. თუ ნამდვილად უყვარხართ, სიხარულით, უყოყმანოდ მიიღებს თქვენს შეთავაზებას.

16. ის ჩინებულად გრძნობს თავს... უთქვენოდ.

თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უმეტესწილად უთქვენოდ სტუმრობს, არასდროს ახსენდებათ, როცა მეგობრებთან ერთად რესტორანში მიიღის, გონებამ უნდა გიკარნახოთ, რომ თქვენ მისი ოცნების ქალი არ ხართ.

17. ამბობს, რომ „სერიოზული კავშირებისთვის“ მზად არ არის.

თუკი ფიქრობთ, რომ თქვენნიარი ქალი ჯერ არ შესვდრია და არ იცის, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული, თავს იტყუებთ! გახსოვდეთ: მამაკაცი, ქალისგან განსხვავებით, ყოველთვის კმაყოფილია საკუთარი ცხოვრებით და ფრთხილობს, თუ მისგან ბევრს ითხოვენ.

18. და კიდევ ერთი: ყური მიუგდეთ შინაგან ხმას — ხანდახან მაინც...

როგორ მოვატყუოთ მადა

ზაფხულის დადგომისთანავე, ზედმეტი კილოგრამები ყველა ქალს გაცილებით მეტად აღელვებს. ამ დროს პირველ რიგში, დიეტა ახსენდებათ, მაგრამ დიეტის დაცვა არც ისე იოლია.

ყველას არ ჰყოფნის ძალა, რომ ის ბოლომდე მიიყვანოს. არსებობს მადის მოტყუების რამდენიმე ხერხი, რომლებსაც ახლა გააცნობთ:

1. დაბალანსებული საუზმე, სადილი და ვახშამი

საუზმეზე ბურღულის ფაფა მიირთვი. მის გადამუშავებას ორგანიზმი ბევრ დროს ანდომებს და შიმშილის შეგრძნება დიდი ხნის

განმავლობაში არ შეგანუხებს. თანაც, ბურღულის ნაწარმი ხელს უშლის ცხიმის დაგროვებასა და წყლის შეკავებას.

მთავარია, არასოდეს თქვა უარი საუზმეზე. სადილისთვის ყველაზე აუცილებელი კომპონენტი სალათა გახლავთ. ვიტამინებით მდიდარი ბოსტნეულის ასორტი ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას უწყობს ხელს.

ვასშმად კარგი იქნება, ბოსტნეულთან ერთად, ხორცი ან თევზი მიირთვა.

2. ვცირავ ულუფავი

უმჯობესია, ხშირად და ცოტა ჭამო. მაგალითად, დღეში სამჯერ,

დანაყრებამდე მირთმევას, ჯობს, ნაჯერ მიირთვა და სუფრიდან მშვიერი ადგე. ასეთ შემთხვევაში მუდმივად დანაყრებული იქნები. იმისათვის, რომ საკვების რაოდენობა აკონტროლო, უმჯობესია, მომცრო ზომის, ცისფერი ან ლურჯი თევზები შეიძინო და სუფრის კოვზის ნაცვლად, ჩაის კოვზით ისარგებლო. უნდა ჭამო ნელა და საკვები კარგად დალეყო. მისი მიღების პროცესი 20 წუთი მაინც უნდა გრძელდებოდეს, რადგან სწორედ ეს დროა საჭირო საიმისოდ, რათა ორგანიზმმა „გაიგოს“, რომ დანაყრებულია.

3. მხოლოდ მაშინ ჭამე, როცა გზია



თუ მხოლოდ მაშინ შეჭამ, როცა მოგვივდება, ამით ზედმეტი ცხიმის დაგროვებას შეუშლი ხელს. გარდა ამისა, გადაუჩვიე ტელევიზორის წინ ან კითხვის დროს ჭამას. ამ დროს ძნელია, საკვების რაოდენობა აკონტროლო.



4. პროდუქტი, რომელიც მადს აზვირავს

პირველ რიგში, ეს — ტკბილეულია, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით უნდა მიირთვა. იმისათვის, რომ შიმშილის გრძნობას თავი დააღწიო, 1 კარამელი ან შოკოლადის 2 ნატეხიც საკმარისია.

შიმშილის გრძნობას ასევე ახშობს 1 ჭიქა უცხიმო რძე. პროტეინების ასეთი რაოდენობა ჭამის გაგრძელების სურვილს გიკარგავს.

5. ხალხური საშუალებები

მადის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტერი ნიორი გახლავთ. გასრისე 3 კბილი ნიორი და დაასხი 1 ჭიქა ანადუღარი, ოთახის ტემპერატურამდე გაცივებული წყალი. ასეთი ნაყენი (1 ს/კ) ძილის წინ უნდა მიიღო. ასევე შეიძლება, 1 კბილი ნიორის მთლიანად, დაუღებავად გადაყლაპვა, მაგრამ ეს მეთოდი მხოლოდ მათ გამოადგებათ, ვისაც მონესრიგებული კუჭნაწლავის სისტემა აქვს.

6. ოხრახუში და პიტნა

1 სუფრის კოვზ ოხრახუშს ან რამდენიმე ლერ პიტნას 1 ჭიქა მდულარე წყალი დაასხი. ნაყენი შიმშილის გრძნობას 2-2,5 საათის განმავლობაში გააქრობს.

7. ლედვი და ქლიავი

ლედვისა და ქლიავის 500 გრამ ნაყოფს 3 ლიტრი წყალი დაასხი და ადულე მანამ, ვიდრე 0,5 ლიტრი წყ-

ალი არ აორთქლდება. 0,5 ჭიქა ასეთი ნაყენი ჭამის წინ უნდა მიიღო.

8. სუნელი

სუნელები და არომატიზატორები მადს აღვიძებს და შიმშილის გრძნობას აძლიერებს. ამიტომ, ისინი შეზღუდული რაოდენობით უნდა მიიღო. რაც უფრო მწარე საკვებს მიირთმევ, მით უფრო მალე მოგვივდება.

9. ტომატის წვენი

უშუალოდ ჭამის წინ მიიღე 1 ჭიქა ტომატის წვენი და უბრალო ან მინერალური წყალი. ამ ხერხით მადის დაქვეითებას შეუწყობ ხელს და 1/3-ით ნაკლებ საკვებს მიიღებ.

10. არომათერაპია

ამერიკელმა მეცნიერმა, ალან ხირშმა მადის დამთრგუნველი 10 სურნელი აღმოაჩინა. ეს გახლავთ: ვანილის, გრეიფრუტის, ანისის, წინაკის, კამის, ვაშლის, პიტნის, ბანანის, ვარდისა და ლავანდის სურნელი. თუ ამ მცენარეების არომატულ ზეთს ჭამის დროს გამოიყენებ, მადს დაგიქვეითდება.

11. ბავაჯანსალავალი აზრები

თუ საკვებზე ფიქრი არ გასვენებს, წარმოიდგინე მინც, როგორი იქნები რამდენიმე წლის შემდეგ, თუ ცდუნებას აჰყვები.

როგორ გავითავსოთ კბილები


ადამიანის განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული მისი კბილების მდგომარეობაზე. მოხუციც კი, თუ მას მაგარი, ჯანსაღი და თეთრი კბილები აქვს, თავს მხნედ და ახალგაზრდულად გრძნობს. დღეს უამრავი კბილის პასტა არსებობს, მაგრამ საინტერესოა, როგორ ისუფთავებდნენ მის გამოგონებამდე კბილებს?

კბილების გაწმენდის გავრცელებულ საშუალებას ძველ რუსეთში არყის ხის ნახშირის ფხვნილი წარმოადგენდა. ამ ფხვნილით კბილების გახევის შემდეგ, პირში წყალს საგულდაგულოდ ივლებდნენ;

სასარგებლოდ მიიჩნეოდა წინვოვანი მცენარეების — ფიჭვის, ნაძვისა და ა.შ. სალექი ფისი. ფისს შემოდგომაზე იმარაგებდნენ და

ქსოვილის ან ხის ქერქის კოლოფებში ინახავდნენ;


კბილების გასაწმენდად, წინვოვანი ხის ტოტიც გამოდგება; ტოტს კანს აცლიდნენ, შემდეგ ერთი მხრიდან მძიმე საგნით კარგად ჩეჩქავდნენ და ფუნჯს ამსგავსებდნენ (მისი დალეჭვაც შეიძლება). ასეთმა „ფუნჯმა“ თავისუფლად შეიძლება შეცვალოს ჯაგრისიც და პასტაც.



კბილების გასათეთრებლად, მრავალი სხვა ხერხიც არსებობდა. ბევრ ეთნოგრაფს აოცებდა აფრიკელი ტომის — ბერგამების — კბილების თვალისმომჭრელი სიქათათათე. როგორც აღმოჩნდა, ისინი გამუდმებით ლეჭავდნენ ტყავის პატარა ნაჭერს...

ქვემოთ ნახსენები ხერხი კი სუსტი ნერვების მქონეთ არ გამოადგებათ: ესპანელები პირის ღრუს გამოსარეცხად და კბილების გასაწმენდად, თურმე შარდს იყენებდნენ.

კბილებს ჩაიც ძალიან უხდება. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ეს სასამელი კბილის მინანქარს სხვადასხვა დაზიანებისგან იცავს. მსგავსი ქმედების უნარი აქვს ყურძნისა და ალუბლის წვესს, რძეს, ყავასა და სხვადასხვა სახის ყველს.



სამყარო

ქართული მოზაიკა და საარსებო წყაროდ ქცეული ჰობი



ელენე ბასილიძე

კინოს სახლის წინ გამოფენილ უამრავ ლამაზ ნაკეთობას, რომელსაც ქართველი ხელოვნები საარსებო წყაროს მოსაპოვებლად ყიდნიან, საკმაოდ ბევრი კლიენტი ჰყავს. „ჩვენი ნაკეთობები დიდი პოპულარობით სარგებლობს. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით, ხალხი ბიუჯეტურადაც უფრო ყიდულობს, ვიდრე ძვირად ღირებული ლითონისგან დამზადებულ სამკაულებს“, — მითხრა ბატონმა გიბ სურამუღალამ. ოსტატს საკუთარი ნამუშევრები მხოლოდ საღამოობით გამოაქვს გასაყიდად.

„ახლა ის სეზონია, როცა საქართველოდან საგაზაფხულო უცხოეთში ეზიდებიან“

— მოზაიკაზე 2 წელია, ვმუშაობ, მანამდე კი ხეზე ვკვეთდი, ჩუქურთმებს და პატარ-პატარა სამკაულებს, ძირითადად, ჯვრებს ვაკეთებდი. ხეზე ჭრა ბავშვობიდანვე მაინტერესებდა და ეს საქმე დამოუკიდებლად შევისწავლე. მას მერე 20 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ ხელობას ვერ შევეშვი.

— ეი, თვითნასწავლი ოსტატი ბრძანდებით, არა?

— ასე გამოდის. თავის დროზე ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მერე პატენტმცოდნეობის ინსტიტუტში, მაგრამ ბოლოს, ისე გამოვიდა, რომ ჩემი შობის გარდა, ვერაფერი გამოვიყენე, მხოლოდ ამ საქმის წყალობით ვმოულობდი და ვმოულობ „კაბიკებს“.

— ბატონო გია, მოზაიკით რატომ დაინტერესდით?

— ეგეც ცხოვრებამ მოიტანა (ილიმება). ახლა ხის ნაკეთობებით იშვიათად ინტერესდებიან, ძირითადად, მოთხოვნილება ლითონის სამკაულზეა და მეც, გადავწყვიტე, ისინი მოზაიკით გამელამაზებინა. სამკაულების დასამზადებლად ნატურალურ ქვებს, ლითონს, მელქიორსა და ვერცხლს ვიყენებ. ზოგიერთ კლიენტს ზოგჯერ მისხედვით ვურჩევ ქვას. თავდაპირველად, მონახავს ფურცელზე ვაკეთებ და ჩანაფიქრს მხოლოდ ამის შემდეგ ვასხამ ხორცს.

თავად მოზაიკა დამტვრეული, ფერად-ფერადი ქვებით კეთდება, რომელსაც მერე, წებოთი ვამაგრებ...

— ლითონი უფრო ძნელი დასა-

მუშავებელია თუ ხე?

— ორივეს გული უნდა დაუდო და ბევრი იმუშაო. ისე, ხეზე რაიმეს ამოკვეთას ბევრად მეტი დრო სჭირდება,



პირველად საქართველოში!

საინფორმაციო სააგენტოს მობილური ვერსია!

ინტერპრესინესა ეთავაზობს IPN სერვისს.

ამერიკიდან ინფორმაციის ძიება შეგიძლიათ მობილური ტელეფონის საშუალებითაც. სერვისით სარგებლობისთვის სჭირდება:

● მობილური ინტერნეტის გააქტიურება ამისათვის დაუკავშირდით თქვენს მობილურ ოპერატორს.

● გააქტიურების შემდეგ აკრიფეთ მისამართი mobil.ipn.ge ან wap.ipn.ge და გაეყვანით საინფორმაციო სააგენტო IPN-ის ახალ ამბებს.

IPN-ის მობილურ ვერსიაზე შესვლისას იხილავთ მთელ კვლავი ცხელ ნიუსს, შემდეგ კი ინფორმაციის მოძიებას კატეგორიების მიხედვით არის შესაძლებელი.



ვიდრე ლითონის დამუშავებას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ ორნამენტს ვაკეთებ. ხშირად, ხეს ვერცხლით ვაფორმებ, რადგან მას ეს ლითონი ძალიან უხდება.

— კლიენტებისაგან შეკვეთებს თუ იღებთ?

— წელიწადში ალბათ, 10-20 ისეთი კაცი თუ გამოიძებნება, რომელსაც შეკვეთის მოცემა სურს. ძირითადად, ნამუშევრებით გამვლელები ინტერესდებიან და თუ რაიმე მოეწონებათ, ყიდულობენ. ისეთ საქმეს ვემსახურები, რომ მუდმივი კლიენტი ვერ მეყოლება — ბოლოს და ბოლოს, ერთ ხელზე რამდენ ბეჭედს გაიკეთებენ (იკინის)?

— ნამუშევრების დიზაინიც თქვენ გკუთვნი?

— კი, ჩემი ფანტაზია ახალ-ახალი,

ორიგინალური სამკაულის დამზადებაში მესმარება. ამ მხრივ საკუთარ თავს ნამდვილად არ ვემდური. ბოლო დროს მინანქარი შემოვიდა მოდაში, მაგრამ კარგი ხარისხის მინანქრის დამზადებას უფრო მეტი შრომა და კარგი იარაღები ესაჭიროება, მოზაიკის დამუშავების დროს კი ძვირად ღირებული იარაღების ქონა არაა აუცილებელი... წელს თუ ერთი ფერია მოდაში, მომავალ წელს კლიენტებს სულ სხვა მოთხოვნილება უჩნდებათ, მაგრამ როგორც წესი, თეთრი და შავი ყოველთვის აქტუალურია და გიშრისგან დამზადებული სამკაულიც ძალიან მოსწონთ.

— რა ფასად შეუძლია მომარბეებს თქვენი ნაკეთობის შექნა?

— ოოო, გააჩნია, რამდენი ფერია მოზაიკაში, მის დასამზადებლად რამდენი დრო დამჭირდა და ა.შ. მოკლედ, ნაკეთობას ფასს მასზე მუშაობის სირთულის მიხედვით ვადებ. სამკაულების ფასი 5-დან 50 ლარამდე მერყეობს.

— თქვენთან რა კატეგორიის მყიდველები მოდიან?

— ბევრი ორიგინალურად ჩაცმული ახალგაზრდა მოდის და ისინი, რასაკვირველია, რაღაც ორიგინალურს ეძებენ. როგორც წესი, ასეთი მყიდველები „სტანდარტულ“ და „გაბაზრებულ“ სამკაულებს არ იყიდიან. ჩვენი ნამუშევრები ძალიან მოსწონთ უცხოელებს და თუ მის შექმნას არ აპირებენ, მაინც საკმაოდ დიდხანს და გულდასმით ათვალეერებენ ხოლმე (იკინის). ხშირად მიაქვთ სამკაულები საზღვარგარეთ. ახლა ზუსტად ის სეზონია, როცა საქართველოდან სამკაულებს უცხოეთში ეზიდებიან და შეკვეთებსაც კი მაძლევენ... ხშირად, აქ პრეტენზიული კლიენტიც მოდის. აი, ამწუთას გოგონას გულსაბნევის ფასი რომ ვუთხარი, გაბრაზდა: — დაგრეხილ რკინაში 10 ლარს როგორ გადავადგებო?! ავუსხენი, რომ რკინა კი არა, მელქიორია და თანაც, მის დაგრეხას საკმაოდ ბევრი დრო და ჯაფა სჭირდება-მეთქი. მუშაობისას შეიძლება, ოსტატმა ერთ უბრალო დეტალზე იმდენი ინვალოს, რაც ხუთი ან მეტი სამკაულის გაკეთებაზეც არ უწვალა.

— საკმაოდ ხალხმრავალ ადგილას დგახართ. აქ ვაჭრობას არ გიკრძალებენ?


— კი, სამართალდამცავები პრობლემას ნამდვილად გვიქმნიან. მე აქ ჯერ კიდევ იმ დროიდან ვდგავარ, რუსული ფული რომ იყო მიმოქცევაში (იკინის). ადრე ზალიკო სულაკაურიც აქ იდგა და თავის კარიკატურებსა და ნახატებს ყიდდა. ეჰ, რა დრო იყო (იკინის)!

— ბატონო გია, აქ ვინც დგას, ყველას თავისი ნამუშევრები გამოაქვს?

— არა, ზოგი ე.წ. გადამყიდველია (იკინის), მაგრამ ისინი ხელოვნებს მუშაობაში ეხმარებიან.

— ეგ როგორ?

— აბა, მთელი დღე აქ რომ დავდგე, სამკაულებს ვინლა გააკეთებს?! მოკლედ, ყველანი ერთმანეთს ვეხმარებით... კარგი ცხოვრება და მომავალი თავად უნდა შევექმნათ ქართველებმა. ყველა საზღვარგარეთ თუ გაიქცა, დაგვეცევა თავზე ქვეყანა და ეგ არის. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა დატოვა საქართველო, მე კი სამშობლოსგან შორს ვერაფრით ვიცხოვრებ!



ფაუსტინო ასპრილია – „რვაფხა“ ბეალოანი

ლუა თაბაკარი

ცოტა ხნის წინ, მედელინში ცნობილი კოლუმბიელი ფორვარდის, ფაუსტინო ასპრილიას გამოსათხოვარი მატჩი გაიმართა, რომელშიც რვაფხას (ასპრილიას მეტსახელი) ყველა საუკეთესო მეგობარი — კარლოს ვალდერამა, ადოლფო ვალენსია, ჰაროლდ ლოსანო, ოსკარ კორდობა, „ჩიჩო“ სერნა მონანილეობდნენ. მათ სრულიად სამართლიანად უწოდებდნენ კოლუმბიური ფეხბურთის ყველაზე ნიჭიერ თაობას, რომელმაც საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა ბოლომდე ვერ შეძლო. ასპრილია კი აღნიშნულ ჩამონათვალში მართლაც, ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მან ფეხბურთის თამაშს შარშან დაანება თავი, კოლუმბიელმა გულშემოტკივარმა „ატლენტიკო ნაციონალის“ სტადიონი ბოლომდე შეავსო და ამით თავის კერპს სავადრისი პატივი მიაგო.

ასპრილიას, რომელიც „პარმაში“ წარმატებული გამოსვლის შემდეგ „ნიუკასლში“ გადაბარგდა, ინგლისური ფეხბურთის ლეგენდას ნაკლებად თუ უწოდებს კაცი. უფრო მეტიც, ზოგიერთი გულშემოტკივარი და სპეციალისტი მას „კაჭკაჭების“ ისტორიაში ყველაზე წარუმატებელ შენაძენად მიიჩნევს. თუმცა, არსებობს ხალხის მეორე კატეგორია, რომელიც მიიჩნევს, რომ კოლუმბიელმა „ნიუკასლში“ წარუშლელი კვალი დატოვა.

ინგლისურმა კლუბმა ასპრილია მეტისმეტად საპასუხისმგებლო მომენტში შეიძინა. კერძოდ, 1996 წლის დასაწყისში „ნიუკასლი“, რომელსაც მაშინ კევინ კიგანი წვრთნიდა, საჩემპიონო ბრძოლაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ 12 ქულით უსწრებდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ „კაჭკაჭებს“ ოქროს მედლების მოსაპოვებლად შიდა რეზერვი და ფსიქოლოგიური მდგრადობა არ ჰყოფნიდათ. ამიტომ, ძვირად ღირებულ ახალწვეულს „პარმიდან“ („ტინოს“ შექენა ინგლისელებს 6,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ) გუნდის თამაში შეტევაში უნდა გაეძლიერებინა. მოგვიანებით, ბევრმა სპეციალისტმა ასპრილიას მიყვანა კიგანის ყველაზე დიდ შეცდომად მიიჩნია და „ნიუკასლელთა“ მიერ პრემიერლიგის ვერმოგება ლამის კოლუმბიელს დააბრალებს.

თუმცა, საქმე ასე ნამდვილად არ იყო — „ნიუკასლმა“ მაშინ თამაშს ისედაც უკლო და უფრო მაღალი კლასის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონკურენციას ვერ გაუძლო. იმ სეზონში „რვაფხამ“ 14 მატჩი ჩაატარა და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 3 გოლი გაიტანა, „კაჭკაჭების“ მიერ გამართულ ყოველ მეორე შეხვედრაში გუნდის საუკეთესო მოთამაშედ ასახელებდნენ. „ნიუკასლის“ ძირითადი პრობლემა დაცვის უსახური თამაში გახლდათ და ის ფაქტი, რომ გუნდში საყრდენი ნახევარმცველი დევიდ ბატი მხოლოდ გაზაფხულზე მიიყვანეს, ბევრს გაუჩინეს კითხვას — აბა, აქამდე როგორ თამაშობდნენ?

კიგანის მხრიდან ასპრილიას შექენა საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო. მწვრთნელმა კარგად იცოდა, რომ კოლუმბიელი სპორტული რეჟიმისგან საკმაოდ შორს იყო და „პარმაში“ მხოლოდ საუცხოო თამაშით კი არა, ლამის კლუბებისა და რესტორნების ხშირი სტუმრობით, ასევე, სასიყვარულო რომანებით გაითქვა სახელი. სხვათა შორის, „ნიუკასლთან“ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ასპრილიამ ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში ყველაზე ძვირად ღირებული ღვინო შეუკვეთა და კიგანს ამ ამბის აღნიშვნა შესთავაზა. მწვრთნელმა უთხრა: — „იმედია, ეს მხოლოდ დღეს მოხდება...“ და კოლუმბიელის შეთავაზება მიიღო... მაგრამ



ასპრილია გამოსწორებას არ აპირებდა. ის ვილაცის „დაკრულზე“ თამაშს მიჩვეული არ იყო და ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც სურდა. ერთდღერთი, თამაშის წინადადეს ალკოჰოლს არაფრით მიეკარებოდა. ზოგიერთის აზრით, სპორტული რეჟიმის დაცვის მხრივ, კოლუმბიელი სადღაც, ჯორჯ ბესტსა და პოლ გასკოინს შორის იდგა, საპირისპირო სქესისადმი სიყვარულის მხრივ კი ბესტსაც აჯობა.

ერთხელ, „პარმაში“ თამაშის დროს, ასპრილია თანაგუნდელებთან — ლუიჯი აპოლონისთან და ბელგიელ გრიუნთან ერთად სარდინიაზე, ჯანფრანკო ძოლასთან გაემგზავრა. მასპინძელმა გადაწყვიტა, სტუმრებისთვის თევზაობა ესწავლებინა. ასპრილიამ მას უთხრა: კოლუმბიამ იმდენი თევზი დამიჭერია, რომ თქვენ არც დაგსიზმრებიათო, — და ბადე წყალში გადააგდო. სინამდვილეში, ასპრილია არცთუ ისე კარგი მეთევზე აღმოჩნდა და საბოლოო ჯამში, მთელი საღამო დახლართული ბადის გახსნას მოანდომა, რამაც მისი თანაკლუბელები ერთობ გაამხიარულა.

კოლუმბიელთა უმრავლესობის მსგავსად, ასპრილიას ძალიან უყვარს ცეცხლსასროლი იარაღი და ამის გამო, პოლიციასთან უსიამოვნება არაერთხელ მოსვლია. მას მშობლიურ ტულუაში საკუთარი რანჩო აქვს, სადაც ცხენებიც ჰყავს და ექსფორვარდის ერთ-ერთი საყვარელი გართობა, ცხენზე ჯირითის დროს რომელიმე





სახეობის იარაღიდან ჰაერში სროლა ყოფილა. მიმდინარე წლის აპრილში მან „აინციტი“ და ჰაერში 29-ჯერ გაისროლა, რის გამოც, დააპატიმრეს და გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა, ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. ერთხელ, ჩილეს კლუბ „უნივერსიდად დე ჩილიში“ თამაშის დროს ასპრილია ვარჯიშზე პისტოლეტით მივიდა და ჟურნალისტების თვალწინ, იარაღის მუქარით, თანაგუნდელებისთვის „აღმზრდელობითი“ მუშაობის ჩატარებას მიჰყო ხელი. მართალია, ეს მხოლოდ ხუმრობა გახლდათ, მაგრამ საკმაოდ დიდი აურზაური გამოიწვია და კლუბის თანამშრომლები სანვრთნელი ბაზიდან კისრისტეხით გაიქცნენ. ამ საქციელის გამო კოლუმბიელი კიდევ ერთხელ მოხვდა გაზეთების პირველ ფურცლებზე.

საინტერესოა მიზეზი, რომლის გამოც, 1993 წელს ასპრილიამ „პარმის“ შემადგენლობაში ევროპის თასების თასის ფინალში ბელგიის „ანტვერ-



პენის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშა. მატჩამდე ის სამშობლოში იმყოფებოდა და ავტოკატასტროფაში მოყვა — მის მანქანას ავტობუსი შეეჯახა. ბუნებრივია, „რვაფხამ“ ეს ვერ მოითმინა და ავტობუსის მძღოლისთვის ანგარიშის გასწორება მოინდომა, მაგრამ მძღოლმა, თავდაცვის მიზნით, კარი დახურა და ასპრილიამ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ავტობუსის მინაფხით ჩაამსხვრია, რის შედეგადაც, ტრავმა მიიღო და სეზონის მთავარი მატჩი გამოტოვა.

სხვათა შორის, ასპრილია „ნიუკასლში“ რომ აღმოჩნდა, ამაში წვლილი ინგლისის ნაკრების ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს მიუძღვის. „პარმასთან“ წინასწარი კონტრაქტის გაფორმების დროს იტალიელმა სპეციალისტმა ტანცის ოჯახს, რომელიც კლუბის მამინდელი მფლობელი იყო, ერთ-ერთ მთავარ პირობად კოლუმბიელის გუნდიდან გაშვება წაუყენა. საბოლოოდ, ასპრილია „ნიუკასლს“ მი-

ჰყიდეს. მართალია, თავდაპირველად ტინოს ინგლისი არც ისე მოეწონა, მაგრამ ადაპტაციის პერიოდი მალე გაიარა და ნიუკასლში გატარებული 2 წლის განმავლობაში თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა.

„ნიუკასლში რომ ჩავედი, ამ ქალაქის შესახებ არაფერი ვიცოდი. იქ ყველაფერი იყო, რაც მიყვარს. ქალები ხომ ფანტასტიკურები ჰყავთ. არც მახსოვს, ნიუკასლში რამდენი მეგობარი გოგონა მყავდა. არადა, თავდაპირველად არც მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ... ერთადერთი, რაც ინგლისში არ მომწონდა, სამზარეულო გახლდათ, ამიტომ ყოველთვის იტალიურ ან ესპანურ რესტორანში დავდიოდი. „ნიუკასლის“ გულშემატკივრებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. ასეთი მხარდაჭერა არსად მიგრძნია. გული მწყდება, რომ გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში ვერ დავეხმარე“, — ამბობს ასპრილია.

„რვაფხას“ ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი დრო უცდებოდა და ამიტომ, ინგლისში ისეთი წარმატებით ვერ ირჯებოდა, როგორც „პარმასში“. თუმცა, მაინც შეძლო ისეთი მატჩის ჩატარება, რომელიც ადგილობრივ ქომაგებს დღემდე ახსოვთ. მაგალითად, ამ მხრივ აღსანიშნავია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ნიუკასლი“-„ბარსელონის“ დაპირისპირება, რომელიც ინგლისელებმა საკუთარ მოედანზე, 3:2 მოიგეს, ხოლო ასპრილიამ ჰეთ-ტრიკი შეასრულა.

„ნიუკასლიდან“ წასვლის შემდეგ, ასპრილია „პარმასში“ დაბრუნდა, მაგრამ იტალიაში ადრინდელივით ვეღარ გაიბრწყინა და შემდეგ, სამხრეთ ამერიკას მიაშურა, სადაც ბრაზილიის, ჩილესა და არგენტინის კლუბებში გამოდიოდა. 2008 წელს მას პერუს ერთ-ერთი გუნდი ინვევდა, მაგრამ 38 წლის კოლუმბიელმა ბუცების „ლურსმანზე დაკიდება“ ამჯობინა.

სანაკრებო დონეზე ასპრილიამ კოლუმბიელთა ღირსება 57 მატჩში დაიცვა და მეტოქის კარი 20-ჯერ აიღო. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, როდესაც კოლუმბიამ არგენტინასთან ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია (5:0), მან მეტოქის კარი ორჯერ აიღო. 1998 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ასპრილიამ 11 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა და კოლუმბიელთა მთავარ დამრტყმელ ძალად მიიჩნეოდა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე გუნდის თავკაც დარიო გომესთან კონფლიქტი მოუვიდა და ნაკრებიდან დაითხოვეს, მიუხედავად იმისა, რომ კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაცია ამის წინააღმდეგი იყო. ■



VOLKSWAGEN-ის ახალი პირბაქი

კომპანიამ — Volkswagen — ჰენზელის — Polo — ახალი თაობის სამკარიანი მოდიფიკაცია წარმოადგინა. ფართო საზოგადოებას მანქანას ფრანკფურტში, სექტემბრის მოტორშოუზე წარუდგინენ. სიახლის გაბარტული ზომები სუთკარა მოდიფიკაციის იდენტურია. ავტომობილის სიგრძე და სიგანე შესაბამისად, 3970 და 1682 მმ-ია, რაც 36 და 32 მმ-ით მეტია მის წინამორბედზე. ამასთან, Polo-ს საბარტულის მოცულობა, დაკეცილი უკანა სავარძლების შემთხვევაში, 952 ლიტრია. სუთკარიანი ვარიანტისგან სიახლე ერთადერთი უფრო ფართო წინა კარითა და სახურავის დინამიკური ფორმით განსხვავდება, რომელიც ავტომობილს კუპეს აისგავსებს. სამკარიან VW-ს კლიენტებს 7 ძრავით შესთავაზებენ. აგრეგატების გამაში შევა: 3 ბენზინის ატმოსფერული ძრავა — 1,2 და 1,4-ლიტრიანი, 60, 70 და 80 ცხ.დ. სიმძლავრით, აგრეთვე, 1,2-ლიტრიანი 105 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე ტურბომოტორი (ეს უკანასკნელი ძრავათა გამაში მოგვიანებით გამოჩნდება); მანქანას 75-დან 105 ცხ.დ. სიმძლავრის 3 დიზელის ძრავაც ექნება. სიახლის ტრანსმისიაში სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფი და DSG-ის 7-სიჩქარიანი „რობოტი“ შედის. აგრეთვე, მომავალი წლის დასაწყისში წარმოადგენილი იქნება Polo-ს ზეკონომიური ვერსია — BlueMotion — რომელიც 3-ცილინდრიანი, 1,2-ლიტრიანი დიზელით, სტარტ-სტოპის სისტემით და ძარას სპეციალური აეროდინამიკური ელემენტებით იქნება აღჭურვილი. VW-ს მონაცემებით, ასეთი ავტომობილი საშუალოდ, 100 კმ მანძილის გასავლელად 3,6 ლ ბენზინს დახარჯავს. ევროპა-



ში სამკარიან Polo-ზე ფასი 12.150 ევროდან დაიწყება, ხოლო Highline-ს ტოპვერსია მყიდველებს 15.900 ევრო დაუჯდებათ. ■



კომპანიამ — Mini — 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად კონცეპტ-ავტოს — Mini Coupe Concept — გამოუშვებს, რომელიც ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე სექტემბრის შუა პერიოდში იქნება წარდგენილი. ეს მანქანა კომპაქტური სპორტკუპეა, რომელიც Mini Cooper-ის ბაზაზეა აგებული. იგი ტრადიციული სამკარიანი ჰენზელისგან უფრო დაბალი (136 მმ-ით) ძარათი, აგრეთვე, მსუბუქად მოდერნიზებული წინა და უკანა ბამპერებით განსხვავდება.

ტექნიკური თვალსაზრისით, კონცეპტ-ავტო თითქმის სრულიად იმეორებს ტრადიციულ ჰენზელს — Mini Cooper S. სიახლეს 211 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე, ფორსირებული 1,6-ლიტრიანი ტურბომოტორი უყენია, რომელიც ასევე, Mini John Cooper Works-ზეა გამოყენებული. გარდა ამისა, მისი მასა, ჰენზელთან შედარებით, 100 კგ-ით შემცირდა. ჯერჯერობით უცნობია, გამოვა თუ არა ავტომობილი სერიულ გაყიდვაში. როგორც Mini-ს პრესრელიზშია ნათქვამი, „კონცეპტ-ავტომო უნდა მიგვანიშნოს, თუ რა მიმართულებით განვითარდება ბრენდი უახლოს მომავალში“. არც ისაა გამორიცხული, რომ კუპე Mini-ს სამოდელი რიგში რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდეს ანუ — მას მერე, რაც კონვერში კიდევ ერთი სიახლე, კომპაქტური კროსოვერი შევა. ■




ორთქლის მანქანის ახალი რეკორდი

ბრიტანელი ინჟინრების მიერ შემუშავებულმა ორთქლის ძრავას მქონე ბოლიდმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა და გააუმჯობესა მანამდე არსებული მიღწევა — 127,659 მილი საათში (204 კმ/სთ), რომელიც 100 წელზე მეტი ხნის წინ, Stanley Steamer-მა უჩვენა. ახალი ორთქლის ბოლიდის საშუალო მაქსიმალურმა სიჩქარემ ორი გარბენის ჯამში 139,843 მლ/სთ (223,748 კმ/სთ) შეადგინა. რეკორდი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დააფიქსირა. FIA-ს წესების მიხედვით, რეკორდის დასამყარებლად ავტომობილს ურთიერთსაინააღმდეგო ორი გარბენი უნდა განეხორციელებინა, ამასთან, მეორე გარბენისთვის საჭირო მოსამზადებელ დროს ერთი საათისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა. ორთქლის მანქანის შემქმნელმა სპეციალურ საიტზე გამოაქვეყნეს მონაცემები, რომლის თანახმადაც, პირველ გარბენზე მანქანამ 136,103 მლ/სთ (217,7 კმ/სთ), ხოლო მეორე გარბენზე — 151,085 მლ/სთ (241,7 კმ/სთ) განავითარა. ჯამში, მანქანამ 10,4 კმ მანძილი 12-ჯერ დაფარა (4 კმ გარბენისა და დამუხრუჭებისთვის, და კიდევ, დაახლოებით, 2 კმ მაქსიმალური სიჩქარის დასაფიქსირებლად). თანაც, პირველი გარბენისას, მანქანის მომზადებიდან რეკორდის დამყარებამდე 1 საათზე ნაკლები დრო გავიდა. ორთქ-

ლის ავტომობილი 12 ქვაბითაა აღჭურვილი, რომლებშიც წყალი ბუნებრივი გაზის წვის საშუალებით თბება. ქვაბებიდან წნევით გამოძვავილი ორთქლის სიჩქარე 2-ჯერ აჭარბებს ხმის სიჩქარეს. 1 წუთში 40 ლ წყალი ორთქლდება, ხოლო აგრეგატის საერთო სიმძლავრე 360 ცხ.დ. გახლავთ.

Stanley Steamer-ის მიერ დამყარებული რეკორდის მოხსნა პირველად 1985 წელს, ბობ ბარბერმა სცადა. მისი ორთქლის ავტომობილმა 231 კმ/სთ სიჩქარე განავითარა, მაგრამ რეკორდი არ დაფიქსირებულა, რადგან მანქანა პირველი გარბენის შემდეგ დაიწვა. აღსანიშნავია, რომ მიღწევის გაუმჯობესების შემდეგ მცდელობებიც წარუმატებლად დასრულდა. ■



ინფორმაციულ-ჟურნალისტური კოლაჟი


ეოსა დვალის უბის წიგნაკრები:

1. აბელი მწყემსი იყო, კენი — მინათმოქმედი.
2. მისტერ პიტკინს გიორგი ვიცინი ახმოვანებს.
3. ლუკმაურის მონატრულ ღარიბ-ღატაკს გულამბიურს ეძახიან.
4. „კონტაგოზური“ სამედიცინო ტერმინია და „გადამდებს“ ნიშნავს.
5. ამბობენ, რომ ყოველგვარ უბედურებას ორი წამალი აქვს — დრო და სიჩუმე.
6. გომიჯი ნალვერდალში გამომცხვარი უსაფუერო და უმარილო მრგვალი პური.
7. საჭმლის მოსაწვლად ზარმაცას ერთი თვე სჭირდება. ეს ცხოველი სიცოცხლის 80%-ს ძილში ატარებს.
8. კონსტანტინატი ბერძნული ფულის ერთეული იყო, რომელიც საქართველოშიც, XII-XIII საუკუნეებში იხმარებოდა.
9. „პაჩეუ ვ ეტოი სტრანე ვსე გადასტი დელიაუტ მუჟინი ა რაზლიობივაც ის პრიხოდიტსა უენშიინამ?!..“ — მხრებს იჩივდა რუსეთში მცხოვრები ერთი ებრაელი.
10. მიქელანჯელოს ერაფიკული ავტოპორტრეტი აქვს შექმნილი, სადაც მისი ყურიდან პენისი იზრდება.
11. ბიფოკალური სათვალე ბენჯამინ ფრანკლინის მოგონილია. მის თითოეულ ჩარჩოში ორი სხვადასხვა შუშა ჩასმული და გამოსადეგია როგორც ახლო, ისე — შორსმხედველთათვის.
12. პირველი ფოტოსურათი ფრანგმა მეცნიერმა, ჟოზეფ ნისეფორო ნეპსომ, 1826 წელს შექმნა. სურათი მოვერცხლილ ფირფიტაზე იქნა მიღებული, რომელიც ასფალტის თხელი ლაქით გახლდათ დაფარული.
13. „მე თქვენ მოგიტოვებოთ უილიამ უოლასის შესახებ. ინგლისელი ისტორიკოსები შემრისხავენ და სიცრუეს დამწამებენ, მაგრამ გასოვდეთ, ისტორიას ისინი წერენ, ვისაც გმირები სახრობელაზე აყვავთ“, — ამ სიტყვებით იწყება მხატვრული ფილმი „მამაცი გული“.
14. „ფხიზლად იყავით, მგლებო, ფხიზლად!“ — აფრთხილებდა საბჭოს კლდეზე წამოწოლილი სიონის მგელთა ხროვის წინამძღოლი აველა თანამომეფს.
15. მონტე-კარლოში გამართულ ჩარლი ჩაპლინის მიმბაძველთა კონკურსზე ინკოგნიტოდ თავად ჩარლი ჩაპლინიც მონაწილეობდა და მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.
16. კლარა ნოვიკოვა ჰყვებოდა: უმაღლეს სასწავლებელში ლექციებზე უფრო მოკლე კაბით რომ მევლო, ჩემს ფაკულტეტზე უმეცარი ბიჭების მთელი თაობა გაიზრდებოდაო.
17. ერთხელ როსინის მეგობარმა უამბო, რომ მისმა ნაცნობმა ყველა დროისა და ყველა ხალხის წამების იარაღთა კოლექცია შეაგროვა.



საინტერესო ფაქტები

1816 წელს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში საშინლად ციოდა, რისი მიზეზიც ერთი წლით ადრე, ინდონეზიის კუნძულ სუმბავაზე ვულკან ტამბორას ამოფრქვევა გახდა. „წელი ზაფხულის გარეშე“ — ასე შევიდა ეს პერიოდი ისტორიაში.



პარიზში გადასახლებული პიკასო ისეთ გაჭირვებაში ცხოვრობდა, რომ ხშირად, ოთახის გასათბობად საკუთარ სურათებს წვავდა.

1950 წელს ნებრასკის ერთ-ერთ ეკლესიაში გაზის გაფონვამ აფეთქება გამოიწვია. ამ დროს საეკლესიო გუნდს მეცადინეობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ 15-მა მოსწავლემ გაცვეთილზე დააგვიანა და სიკვდილს გადაურჩა.

ბალდადის უნივერსიტეტმა სადამ ჰუსეინის უფროს ვაჟს, რომელსაც საშუალო განათლებაც არა აქვს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიაკუთვნა. მისი დისერტაციის სათაური იყო „ამერიკული სიძლიერის დამარცხება 2016 წლისთვის“.

ამერიკის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი წუთში 2000 სიტყვას კითხულობდა.

2002 წლის დეკემბერში გერმანელმა არმინ მაივერსმა ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: ვექებ 18-დან 30 წლამდე მამაკაცს, რომელსაც სიამოვნებით მოკლავ და შევჭამ. განცხადებას ბერნდ ბრანდესი გამოეხმაურა. დანაპირების განხორციელების შემდეგ, მაივერსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ამ ფაქტზე RAMMSTEIN-მა სიმღერა — MEINTEIL დაწერა.



ნობელის პრემიის მფლობელი, ფიზიკოსი ნილ ბორი დანიის ნაკრების მეკარე გახლდათ. ადოლფ ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო.

სიყვარულის „მსხვერპლი“

ყველაზე მეტი შვილი — 548 ვაჟი და 340 გოგონა მაროკოელ სულთანს, მულა ისმაილს ჰყავს.

ცნობილი ესპანელი მომღერალი, გლორია ლასო 62 წლის ასაკში მეთერთმეტეჯერ გათხოვდა. პატარძალმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იმდენჯერ გათხოვდება, რამდენჯერაც სიყვარული ეწვევა.



გველების მომთვინიერებელი დაქინარაი, ქვენარმაველებისგან განსხვავებით, ცოლებს ვერ ათვინიერებს. ინდოელი 88-ჯერ იყო დაქორწინებული — 24 ცოლი გარდაეცვალა, 59 გაექცა, ხოლო დანარჩენთან ერთად ერთ ქვრქვემ, „მსიარულად“ ცხოვრობს.

ყველაზე ხანდაზმული სასიძო — 103 წლის ჰარის სტივენსი 84 წლის ტელმა ლუკაზე მოხუცებულთა თავშესაფარში დაქორწინდა.

სიცილიელ როზა პუგლიზს პირველი შვილი 19 წლისას ეყოლა. 83 წლის მოხუცი მეექვსე თაობას მოესწრო.

ყველაზე ხანდაზმული მამა ირანელი მალეკ არანია. მას 124 წლის ასაკში რიგით მეშვიდე ცოლმა, რომელიც მასზე ზუსტად, 100 წლით უმცროსია, ვაჟი გაუჩინა. ძეობაზე შვილები და 211 შვილიშვილი ეწვივნენ.

პორტუგალიელი მატუსი და მისი მეუღლე ერთსა და იმავე დღეს — 1801 წლის 1-ელ იანვარს დაიბადნენ. ისინი 20 წლის ასაკში დაქორწინდნენ, ერთად 80 ბედნიერი წელი გაატარეს და ერთსა და იმავე დღეს — 1899 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალნენ.

იტალიელი რენე ტრამონი 40 წელია, ერთ ქალზეა დაქორწინებული, მაგრამ მისი გაძლება ცოლს კი არა, მეზობლებსაც უჭირთ. რენე ძალიან სწრაფად ლაპარაკობს — წუთში 563 სიტყვას ამბობს, თანაც, გამუდმებით იგინება და ილანძვება.



ამოუცნობი ამბები

ცაცხლოვანი სფერო



1978 წლის 17 აგვისტოს, კავკასიონის მთებში დაბანაკებულ ალპინისტებს ცეცხლოვანი სფერო „დაესხა თავს“, რის შედეგადაც ერთი ადამიანი ადგილზევე გარდაიცვალა, ოთხმა კი დაამწვრობა მიიღო.

1977 წელს ორი ცეცხლოვანი სფერო ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში გამოჩნდა და ღია კინოთეატრში ორი ბავშვი იმსხვერპლა.

1980 წელს უჩვეულო ცეცხლოვანი სფერო კუალა-ლუმპურშიც (მალაიზია) გამოჩნდა. იგი ადამიანებს ტანისამოსს უწვავდა.

მეცნიერები ასეთ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარს ვერ აკეთებენ.

მავალი ბაბი



1986 წლის 21 აგვისტოს, ტბა ნიოსის (კამერუნი) მახლობლად 1700 ადამიანი გაიგუდა.

1984 წლის 15 აგვისტოს, ტბა მონოუნის (კამერუნი) მიმდებარე ტერიტორიაზე 37 ადამიანი დაიღუპა.

მეცნიერების აზრით, ტბებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში ნახშირორჟანგი გამოიყოფოდა, რაც ადამიანების სიკვდილის მიზეზი გახდა. ნიოსიდან ამოფრქვეული სანამლავი გაზი 25 კმ რადიუსზე გავრცელდა.

მსგავსი მკვლელი ტბები არსებობს აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

კოლექციონერები

საფრანგეთის ქალაქ რუბეში უთოების შემგროვებლებმა მუზეუმში დააარსეს, სადაც შეიტყობთ, რომ პირველი ნაკვეთჩხალზე „მომუშავე“ უთო XVIII საუკუნეში დაამზადეს, მანამდე კი ტანსაცმელს ცეცხლზე გამოთარი, ტაფისმაგვარი ინსტრუმენტით აუთოებდნენ. ელექტროუთო 1913 წელს დააპატენტეს.

ექიმი რობერტ კაუფმანი სიგარეტებს აგროვებდა. 1992 წელს მის კოლექციაში 173 ქვეყანაში დამზადებული 8390 სიგარეტი იყო. კოლექციის სიამაყეა 1885 წელს, აშშ-ში დამზადებული „ლოუნ ჯეიკი“; სიგარეტებს შორის ყველაზე მოკლეა — „ლილიუტი“ (3,17 სმ), ხოლო ყველაზე



გრძელი — „ჰეიდ პლეიზი“ (27,9 სმ). პრადელი ჰოკეის მსაჯი გაინი გულშემატკივრების მიერ ყინულზე ნასროლ ნივთებს აგროვებს. მის კოლექციაშია: ქუდები, გასაღებები, ვალიდოლის ფლაკონი და ცალ-ცალი ფეხსაცმელიც კი.

სტემფორდელი (კონექტიკუტის შტატი, აშშ) ჯონ რეზინოფი პოპულარული ადამიანების თმს აგროვებს და მისი კოლექცია 1 მლნ დოლარადაა დაზღვეული. ჯონის მფლობელობაშია 100-მდე ცნობილი ადამიანის თმა, მათ შორის: აბრაამ ლინკოლნის, ჯონ კენდის, მერილინ მონროს, ელვის პრესლის და ა.შ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მის კოლექციაში ნახავთ ნაპოლეონ I-ის დალალს, რომელშიც კოლექციონერმა 345 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, და 1.265 გირვანქა სტერლინგად შექმნილი ჰენრის IV-ის წვერის ნაწილს.



ინფორმაციულ-ჰეპატოლოგიური კოლაჟი

ეონი დვალის უბის ნიგნაკიან:

„ეტყობა, იმ თქვენს ნაცნობს ბავშვობაში მუსიკა არ უსწავლია, თორემ თავის კოლექციაში ფორტეპიანოსაც შეიტანდა“, — შენიშნა როსინი.

18. ერთხელ, ჯონ როკველერმა გადაწყვიტა, თავის ერთ-ერთ მამულში გველებისათვის მუსრი გეგლო და ყოველი მოკლული ქვეწარმავლისთვის საკმაოდ დიდი ჯილდო დაანესა. შედეგად, ადგილობრივმა მოსახლეობამ გველების მოშენებას მიჰყო ხელი, რათა მათი დახოცვით საკუთარი შემოსავალი გაეზარდა.



19. ერთხელ მსახიობი კარატიგინი სცენაზე უნდა „მოეკლათ“. დადგა მომენტი და პარტნიორმა ბუტაფორიული დამბაჩის სახელს გამოჰკრა თითი, მაგრამ დამბაჩა არ გავრდა; ისევე გამოჰკრა თითი — კვლავ უშედეგოდ. გამწარებულმა პარტნიორმა ნიხლი ჩააზილა კარატიგინს. — „ოო, ჩემმა მონამლულია!“ — შესახა კარატიგინმა, შეტორტმანდა და მინც „მოკვდა“.

20. ქუჩაში მიმავალ ბერნარდ შოუს ველოსიპედისტი დაეჯახა და ორივე უვნებლად გადარჩა. ველოსიპედისტი ბოდის იხდიდა. შოუმ გაანწყვინა: — „თქვენ არ გაგიმართლათ, სერ! უფრო ძლიერად რომ დაეჯახებოდით, სამარადუბოდ უკვდაყოფდით საკუთარ სახელს... როგორც ჩემი მკვლელი..“

21. ქართლის მეფე ვახტანგ V-ის სილამაზით განთქმული ძმისწული — თამარი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა უპრეცედენტო ცილობის საგანი შეიქნა. პირველად, იგი სამეგრელოს მთავარმა, ლევან დადიანმა შეირთო. 1663 წელს, იმერეთში გამეფებულმა ბაგრატ IV უსინათლო დაამარცხა ლევან III, ნართვა მას ცოლიც და თამარი თავად შეირთო; მანამდე კი ბაგრატი, თამარის დას, თათის გაყარა, ხოლო თავისი და, თინათინი ლევან III-ს შერთო ცოლად. 1678 წელს იმერეთში გამეფებულმა არჩილმა, ბაგრატს ტახტთან ერთად, ცოლიც ნართვა და თამარი თავის პირველ ქმარს, ლევან დადიანს დაუბრუნა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში საკუთარი დედინაცვლის, დარეჯან დედოფლის მიერ დაბრმავებული ბაგრატ IV იმერთა მეფე ვერც ერთ დანაკარგს ვერ შეეგუა და მეორე წელსვე, უსინათლო მეფე ვერ არჩილი გააძევა იმერეთიდან, ხოლო შემდეგ, ლევან დადიანს დაესხა თავს, კვლავ ნართვა მუხლზე და თამარი ხელმოკრედ შეირთო. 1681 წელს ბაგრატ IV გარდაიცვალა. იმერეთის სამეფო ტახტზე გიორგი გურიელი ავიდა, რომელსაც ბაგრატ IV-ისა და თამარის ასული, დარეჯანი ჰყავდა ცოლად. იმერეთში გამეფების შემდეგ, გიორგიმ დარეჯანი გაუშვა და საკუთარი სიდედრი, თამარი შეირთო ცოლად.



ინდივიდუალუბის ფენარჩუნება — თქვენი ცბრმბების ბბრბნტიბა...



თანამედროვე მამაკაცების გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მათი უმეტესობა უპირატესობას მხიარულ, კარგად მოვლილ, ამავე დროს უშუალო, გულღია ქალებს ანიჭებს. კიდევ უფრო მეტი პოპულარობით სარგე-

დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ ხდება, რომ თითქოსდა უნაკლო გარეგნული მონაცემების მქონე ლამაზმანის მიმართ მამაკაცი სწორად გულგრილი რჩება მაშინ, როცა ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ, უბრალო გარეგნობის ქალს თავანისმცემლებისგან მოსვენება არა აქვს?! სწორედ ეს გახლავთ ქალური შარმის საიდუმლო — ის, რასაც შესაძლებელია თავად ქალი ვერც კი აცნობიერებდეს, მამაკაცის ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩება.

ბლობენ სპორტული, მებრძოლი სულის, მატერიალურად ფეხზე მყარად მდგარი, ოპტიმისტი ქალბატონები, რომელთაც მამაკაცისთვის ღირსეული მეგობრობის განევა შეუძლიათ და მისგან გადამეტებულ ზრუნვას და ყურადღებას არ მოითხოვენ.

საინტერესოა, რომ გამოკითხვისას ერთი, კონკრეტული თმის ფერისა ან აღნაგობისთვის უპირატესობა არავის მიუნიჭებია. ზოგადად კი მამაკაცებს არ მოსწონთ გარეგნულად (განსაკუთრებით ვერ

იტანენ თმის ლაკს და „მრავალსართულიანი“, მოუხერხებელ ტანსაცმელს) თუ შინაგანად ხელოვნური, ანგარებიანი, ინფანტილური და მენვრილმანე ქალები.

ქალური მომხიბველუბა ძალზე ინდივიდუალურია და არანაირ სტანდარტს არ ექვემდებარება. გამოხედვა და შესტები, ღმილი და ხმის ტემბრი — მამაკაცი ამ ყველაფერს ერთიანობაში აღიქვამს და მისთვის სასურველი ქალიც სახეზეა. ალბათ ამიტომაც არის ასე ძნელი, იპოვო ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებული დარჩება შენი მცირედი უცნაურობებით და შენი პატარა ფიზიკური ნაკლიც კი ეყვარება.

ასე რომ, სიყვარული მხოლოდ ლამაზმანთა ხვედრი როდია. ნებისმიერ ქალს შეუძლია ვიღაც ერთისთვის იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე — სხვისთვის. ამიტომ, არ ღირს სრულყოფილებასთან მიახლოებულ, იდეალურ ქალთან მსგავსებაზე იოცნებით და ძირფესვიანად გარდაქმნათ საკუთარი ნატურა. ამგვარი გზით მიღწეული სრულყოფილება წარმატებას ნაკლებად მოგიტანთ, ის ხიბლი კი, რაც სწორედაც რომ თქვენს ინდივიდუალობაშია, შესაძლებელია სამუდამოდ გაქრეს.

ნუ უსაყვედურებთ მამაკაცს, თუ...

მასთან ნორმალურად ლაპარაკი შეუძლებელია

სხვათა შორის, მასაც უჭირს თქვენთან საუბარი, რადგან ქალების ტვინი ორ ნახევარსფეროს შორის ურთიერთობას უკეთ არეგულირებს. გარდა ამისა, ქალებს სპეციალური სამეტყველო ცენტრი გვაქვს. ჩვენ მამაკაცებზე სწრაფად ვსაუბრობთ, თან ერთდროულად — ყველაფერს შესახებ. მამაკაცის ტვინი უფრო მიზანმიმართულად მუშაობს, ვიდრე ჩვენი და ყოველთვის ცდილობს, შეთავაზებულ ინფორმაციაში რაციონალური სანყისი იპოვოს. მამაკაცი დუმილით ისმენს და პრაქტიკულად, სახის გამომეტყველებას არ იცვლის. ქალი კი ემოციას განუწყვეტილად სხვადასხვა მიმიკითა და კომენტარით გამოხატავს. ამიტომ მამაკაცის ინერტული სახის დანახვისას, ქალმა შეიძლება იფიქროს, რომ თანამოსაუბრე მისი მონათხრობის მიმართ ინდიფერენტულია და გაბრაზდეს. სინამდვილეში, როგორც ამას მამაკაცის ტვინის სკანირება მოწმობს, ის ყურადღებით ისმენს ყველაფერს და გულმოდგინედ ცდილობს(!), რაიმე გაიგოს.

განუწყვეტილად თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს

მართალია, მამაკაცს არა აქვს ცალკე სამეტყველო ცენტრი, მაგრამ მის ტვინში არსებობს სპეციალური სფერო, რომელიც სივრცეში ორიენტაციაზე პასუხისმგებელია. ამ ცენტრის შესაძლებლობების გამოყენება მამაკაცს განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ უყვარს მას ფეხბურთი, კომპიუტერული თამაშები და ნადირობა.

შეუძლია მშვიდად იძინოს, მამინაც კი, როცა ბავშვი ყურისნამებდად გაყვიის

თავს არ იკატუნებს — მართლა არ ესმის პატარის ტირილი. მისი ტვინი ამ ხმას ვერ აფიქსირებს, ვინაიდან მასში მამაკაცისთვის არავითარი საფრთხე არ იმალება. სამაგიეროდ, ქალმა შეიძლება ბავშვის ტირილის დანყებამდე ერთი საათით ადრეც კი გაიღვიძოს.

ვერ იმასხვრებს თქვენი ნათესავების სახელებს

ნათესაური ურთიერთობის მოგარება ყოველთვის ქალის პრეროგა-

ტივა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მამაკაცის ტვინის ის მხარე, რომელიც პიროვნებებს შორის კონტაქტებზე პასუხისმგებელია, საკმაოდ ცუდადაა განვითარებული. მაგალითად, გოგონებს 12 თვიდან შეუძლიათ სურათზე მშობლების სახეები უცხოებისგან გაარჩიონ, ბიჭებს — არა. ის კი არა და, მამაკაცს ყოველთვის არ ძალუძს საკუთარი შვილის ცნობა, თუ ორ მსგავს ჩვილს აჩვენებენ.

გეჩვენებათ, რომ ის თქვენ მიმართ სრულებით გულგრილია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალი თანამოსაუბრის მოსმენისას სახის გამომეტყველების შეცვლას სულ რაღაც 10 წამში, დაახლოებით ექვსჯერ ასწრებს — მაშინ, როცა მამაკაცებს ემოციების გადმოცემა უჭირს. ტვინის სკანირების მიხედვით, საუბრის მომენტში მამაკაცი არანაკლებ ემოციურია, ვიდრე ქალი. გარდა ამისა, ის მოკლებულია ქალისთვის დამახასიათებელ უნარს — გარშემო მყოფთა (მათ შორის, საკუთარი ცოლის) ქცევაში მცირედი ნიუანსი შეამჩნიოს. თუ გსურთ, მამაკაცმა გაგიგოთ, უფრო გარკვევით გამოთქვით თქვენი სურვილები და პრეტენზიები.

ბარუჯვის შემდგომ კანში ლაქები რომ არ დაბრჩეთ

აღბათ უკვე არაერთხელ გსმენათ, რომ გარეგნული სილამაზე ორგანიზმის შინაგან მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ხალხური მუდიცინა ორგანიზმის გაჯანსაღების მარტივ საშუალებებს გთავაზობთ:

მზის საჩუქარი

რაც შეეხება მზის აბაზანებს: გარუჯვა სასარგებლოა, მაგრამ — დოზირებულიად. მზის აბაზანების მიღებამდე აუცილებლად წაისვით დამცავი კრემი. იმ შემთხვევაში, თუ გარუჯვას სოლარიუმში აპირებთ, კურსი 5 სენსს არ უნდა აღემატებოდეს. გარუჯვის შემდეგ, სახეზე ჩნდება ლაქები, კანი იწყებს გამოშრობას, აქერცვლას. პრობლემას კი შეგიძლიათ შემდეგნაირად გაუმკლავდეთ:

თუ სახესა და ტანს ყოველდღიურად იბანთ, უმჯობესია, ტანისთვის სპეციალური გელი გამოიყენოთ. მოერიდეთ საპონს. ყოველი აბაზანის მიღების შემდეგ, როგორც სახეზე, ასევე სხეულზე, სპეციალური დამარბილებელი კრემი წაისვით.



საზაფხულო ნიღაბი

მნივე ბანანი დასრისეთ. წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მანონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

აიღეთ ყურძენი, კვიკი და პომიდორი, გახეხეთ,

შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახეზე დაიდეთ. თეთრი პურის ნატეხი დაასველეთ რძეში და სახეზე წაისვით.


თბილი კარტოფილის პიურე რძესთან ერთად, არაჩვეულებრივად ეფექტური ნიღაბია.

1 ს/კ შვრიას დაასხით ადუღებული წყალი. ფაფა დაიდეთ სახესა და ყელზე.

ყვავილოვანი

კომბოსტოს ჩახობილი

მარილწყალში ნახევრად მოხარშეთ 1 კგ ყვავილოვანი კომბოსტო, გადაიტანეთ თუშფალანგზე, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩაუმატეთ დაჭრილი 3-4 თავი ხახვი, ნახევარი ჩაის ჭიქა ტომატი ან ცოცხალი, დაჭყლეტილი პომიდორი, 100 გ მცენარეული ზეთი, დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და მარილი. ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში.



ყავა „ორლოვანური“

მასალად საჭიროა:

- 1 ფინჯანი ყავა
- 1 ფორთოხალი
- 5 ს/კ კონიაკი
- 5 ს/კ ლიქიორი
- 1 ჩ/კ შაქარი
- 3 ცალი მიხაკი

მომზადების წესი:

აიღეთ ფორთოხლის ცედრა და აურიეთ მასში მიხაკი. ჭიქაში ჩაყარეთ შაქარი და დაუმატეთ ცედრა და მიხაკი. ჯეზევში (ან რაიმე ლითონის ჭურჭელში) ერთად ჩაასხით კონიაკი და ლიქიორი, გააცხელეთ და ჩაასხით შაქრიან ჭიქაში. ჭიქა ყავით შეავსეთ და მიიტანეთ სუფრაზე განკუთვნილია 1 ულუფისათვის.

ძეხვის სალათა


მასალად საჭიროა:

- 250 გ შებოლილი ძეხვი;
- 300 გ კარტოფილი;
- 3 თავი მწვანე ხახვი;
- 1 ცალი ახალი კიტრი;
- თითო-თითო ს/კ ძმარი და მცენარეული ზეთი;

მარილი, მაიონეზი, შავი პილპილი, კამა, ოხრახუში — გემოვნებით.

მომზადების წესი:

დაჭერით ძეხვი წვრილად, მოხარშული კარტოფილი და კიტრი კი — კუბურებად. დაუმატეთ მარილი, ძმარი, ზეთი, მაიონეზი, კამა, ოხრახუში და კარგად აურიეთ. სალათა შეგიძლიათ მწვანე სალათის ფოთლებით გააფორმოთ.



აირჩიე და შეიძინე სასიძვან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

არასის და

წიგნების

პაპრეკალაჟის

სააგენტო

„ელვა.ჯი“

გამოცემის დასახელება	1კვ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИИ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00



ქ. თბილისი

თბილისის ქ. 7948

ტელ: 38-26-75; 38-26-74

ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნაბიძივრი სხვა გამოცემა

E-mail: elva@elvispa.ge

რუბრიკა მოამზადა
ქვა გუნთაიშვილმა



მათე მახარებელი

განვაგრძობთ საუბარს ეკლესიის ისტორიაზე. გვესაუბრება არქიმანდრიტი მამარი (აბჰსაძე).

შორენა მერკვილიაძე

— ქრისტიანობის პირველ საუკუნეში შეიქმნა „სახარება“, საერთოდ, „ახალი აღთქმის“ ნიგნთა კრებული. რას ნიშნავს სიტყვა „სახარება“ და ცნობილია თუ არა თითოეული „სახარების“ დაწერის ზუსტი თარიღი?

— „სახარება“ არის — მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერ დაწერილი ნიგნები, მათ მიერ აღწერილი, მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება. სიტყვა „სახარება“ — ხარებას, სასიხარულო ამბის უწყებას ნიშნავს. სიხარულს უკავშირდება — რაც ეხარათ და უნდა ეხაროთ ადამიანებს. და რა უნდა ეხაროთ მათ? ის, რომ განკაცებული უფლის მკვდრეთით აღდგომით, კაცობრიობა გამოხსნილია! ქრისტეს აღდგომის შესახებ მის მოწაფეებს უფლის ანგელოზისგან ეხარათ. მოციქულების პირველი ქადაგებაც ქრისტეს აღდგომის ხარებით დაიწყო. ვინც აღიარებს განკაცებულ მაცხოვარს და აღასრულებს იმას, რაც მაცხოვარმა ბრძანა, ისინიც გამოხსნილი იქნებიან. „სახარება“ გვსახარებს, რომ ადამიანებისთვის გაიხსნა გზა ცათა სასუფეველისა, სამოთხის კარი, რომელიც ადამის ცოდვის გამო ჩაკეტილი იყო. ეს ნიგნი, იმის მიუხედავად, რომ გვამცნობს, როგორ შეურაცხყვეს და აცვეს ჯვარს მაცხოვარი, უდიდესი სიხარულის მაუნეყნებელია. „სახარებაში“ მოთხრობილია მაცხოვრის გამომხსნელის მოღვაწეობის შესახებ. როგორც კვლევა გვიჩვენებს, პირველად მათეს — უფლის თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთის „სახარება“ ქრისტეს ზეცად ამალეებიდან დაახლოებით 8 წლის შემდეგ დაიწერა — მანამდე, ვიდრე მათე მოციქული იერუსალიმიდან საქადაგებლად გაემართებოდა. მარკოზისა

„სახარება“, მოციქულთაგან მიღებული ხელდასხმის მაღლი და ქრისტიანული მწერლობა

და ლუკას (მარკოზ და ლუკა მახარებლები უფლის სამოცდაათ მოციქულთაგანი გახლდნენ) „სახარებები“ მათეს „სახარების“ დაწერიდან მალევე უნდა დაწერილიყო, სავარაუდოდ — მოგზაურობათა დროს. არც იოანეს „სახარების“ დაწერის ზუსტი დრო და ადგილია ცნობილი (იოანე მახარებელი უფლის თორმეტ მოციქულთაგანია, ღვთისმეტყველად წოდებული). ვიცით, რომ იოანეს „სახარება“ ყველაზე გვიან — წინა სამის დაწერიდან 50-70 წლის შემდეგ გაჩნდა.

— რა განასხვავებს მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს „სახარებებს“ ერთმანეთისგან?

— მათეს, მარკოზის და ლუკას „სახარებები“ ერთმანეთის მსგავსია. თითქმის ერთი სტილითაა მოთხრობილი, დაწერილია, როგორც ვთქვით, ერთსა და იმავე დროსა და დაწერილი. მაცხოვარმა ერთი მიწიერი ცხოვრება განვლო და მახარებლებიც სხვადასხვა ამბავს ვერ მოგვითხრობდნენ. ამასთანავე, როდესაც მოციქულებმა მოღვაწეობა დაიწყეს, ისინი თავიანთ ნაქადაგებს ერთმანეთთან ამომებდნენ, დროდადრო იერუსალიმში იკრიბებოდნენ და ერთმანეთს მოუთხრობდნენ, რას ქადაგებდნენ...

იოანეს „სახარება“ განსხვავდება წინამორბედი სამისგან. მასში ის ამბებიცაა მოთხრობილი, რომლებიც სამმა მახარებელმა მოგვითხრო, მაგრამ ისეთი ფაქტიც მრავლად გვხვდება, რომელიც მხოლოდ მას აქვს აღწერილი. თანაც, იოანე მახარებელი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მაცხოვრის ღვთაებრიობაზე. ამას თავისი მიზეზი აქვს: როცა იოანეს „სახარება“ დაიწერა, ამ დროს მათეს, მარკოზისა და ლუკას „სახარებები“ უკვე ყველა ქრისტიანმა იცოდა. ამიტომ იოანე მახარებელმა იმაზე გააკეთა აქცენტი, რაც არც ერთ „სახარებაში“ არ იყო აღნიშნული. თავის „სახარებას“ ის შემდეგი სიტყვებით იწყებს: „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთათა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“ — პირდაპირ გვაუწყებს, რომ სიტყვა ანუ განკაცებული მაცხოვარი — ღმერთია. როდესაც ქრისტიანობის პირველ წლებში მოციქულები თუ ქრისტეს სხვა მიმდევრები მაცხოვრის სწავლებას ქადაგებდნენ, ისინი არ ამხვილებდნენ ყურადღებას მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებაზე, რათა ადამიანები ყოველმრევლს უფლებდნენ: სწავლება ყოველადწმინდა სამების მაცხოვრის ორბუნებრივობის შესახებ ცრუსწავლებებში,

მრავალმერთიანობაში არ არეოდათ; შესაძლო იყო, ვერ გაერკვიათ და ყოველადწმინდა სამება მ ღმერთად აღეკვიათ. მაგრამ როდესაც იოანე მახარებელი წერდა „სახარებას“, იმ დროს უკვე მტკიცე იყო ქრისტიანული ეკლესია, ქრისტიანთა კრებული, შემეცნებული და გააზრებული ჰქონდათ ის სწავლებები, რომლებსაც მოციქულები ქადაგებდნენ, თუმცა ჯერ წერილობით არ იყო გადმოცემული. თავად ქრისტიანებიც იმდენად იყვნენ ამალეებულნი ღვთისმეტყველებაში, რომ შეეძლოთ, მიეღოთ ამგვარი სახით ქრისტიანული სწავლება, ჭეშმარიტი სწავლება სიცრუით არ შევბილნათ.

— ქრისტიანული სწავლება, ეკლესიის მიერ დადგენილი წესები და კანონები ხომ „სახარებას“ ეფუძნება. ადამიანმა ცხოვრებისეულ გზაზე ყველაფერი სახარებისეულად უნდა გადაწყვიტოს...

— ცხადია. „ბიბლია“, რომელიც თავისთავად „სახარებასაც“ შეიცავს, სულიწმიდის მაღლითაა დაწერილი. ის, განსაკუთრებით კი სახარება, გვაუწყებს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ სული, როგორ დავიმკვიდროთ სასუფეველი, რისთვისაც ქმნის უფალი თითოეულ ადამიანს. უფალმა ადამიანი მარადიული ნეტარებისთვის, სასუფეველისთვის მოაველინა; მაგრამ როცა ადამიანი ცოდვით დაეცა, მან სამოთხე, სასუფეველში დამკვიდრების შესაძლებლობა დაკარგა. მაცხოვარმა საუთარი სისხლით გამოიხსნა კაცობრიობა და ადამიანებს სასუფეველი დასაბრუნებელი გზა გაუხსნა. „სახარება“ კი, სადაც მაცხოვრის გამომხსნელი მოღვაწეობის შესახებაა მოთხრობილი, გვაუწყებს, როგორ უნდა აღვასრულოთ ეს ყველაფერი, როგორ გავიაროთ ეს გზა. ყველა ქრისტიანული სწავლება, ყველა მამის სწავლება სახარებისეულია — ამოდის „სახარებიდან“ და ბრუნდება „სახარებაში“. ასევე ყველა ადამიანი „სახარებიდან“ უნდა ამოდიოდეს და „სახარებაშივე“ ბრუნდებოდეს, ყველაფერი სახარებისეულად გადაწყვიტოს.

— ქრისტიანობის პირველ წლებში, ვიდრე მსოფლიო საეკლესიო კრებებზე საეკლესიო წესები და კანონები ჩამოყალიბდებოდა, ტიპიკონები შეიქმნებოდა, ეკლესია ხომ მოციქულთა მიერ დადგენილი წესებითა და კანონებით ხელმძღვანელობდა?

— რა თქმა უნდა. როდესაც მოციქულები ამა თუ იმ ქალაქში საქადა-



აგებლად შედიოდნენ, ერთხანს იქვე რჩებოდნენ. შემდეგ იმ ქრისტიანებს, რომლებიც განისწავლებოდნენ საღმრთო ჭეშმარიტებაში, ხუცესებად და დიაკვნებად ასხამდნენ ხელს, დაუდგენდნენ მათ წესებს და ამის შემდეგ ტოვებდნენ ამა თუ იმ ადგილს. ქრისტიანული თემის ცხოვრებას ეპისკოპოსნი, ხუცესები და დიაკვნები წარმართავდნენ. საღმრთო ლიტურგიის აღსრულების წესი და ქრისტიანული სწავლებები ქრისტიანობის პირველ ხანებში ხელიდან ხელში გადადიოდა. მოციქულთა საქმეებში ხშირად არის აღნიშნული, რომ მოციქულებმა დაადგინეს ეპისკოპოსნი, ხუცესნი, დიაკონნი — ეს ნიშნავდა, რომ ამ ადამიანებმა უკვე იცოდნენ, როგორ უნდა წარმართათ საეკლესიო ცხოვრება — ქრისტიანთა სულიერი, სარწმუნოებრივი ცხოვრება.

— მოციქულების შემდგომ ვისზე გადავიდა ეკლესიის მმართველობა და ხელდასმის უფლება?

— მოციქულთა სიცოცხლეში, განსაკუთრებით, ქრისტიანობის პირველ წლებში ყველაფერს მოციქულები განაგებდნენ. შემდეგ — მღვდელმთავრები — ეპისკოპოსები. როდესაც მოციქულები სხვადასხვა ადგილას ქადაგებდნენ, ქრისტიანთა თემიდან გამოარჩევდნენ პიროვნებას და მას ხელს ასხამდნენ მღვდელმთავრად — ქალაქის ეპისკოპოსად. თუკი რომელიმე ქალაქის მღვდელმთავარი გარდაიცვალებოდა და ამ დროს მოციქული იქ არ იმყოფებოდა, ახლომდებარე რამდენიმე ქალაქის ეპისკოპოსი შეიკრიბებოდა და ხელს ასხამდა ახალ ეპისკოპოსს; ამგვარად, ხელდასმის უფლება მოციქულებიდან ეპისკოპოსებზე გადავიდა. ოღონდ ეპისკოპოსად ხელდასმისთვის რამდენიმე ეპისკოპოსი იყო საჭირო.

— როდესაც პავლე მოციქული ამა თუ იმ ქალაქში საქადაგებლად შედიოდა, ხალხს ეუბნებოდა — მე თქვენ სარწმუნოების რაქს გასმევთო. როგორ, რა სახით ხდებოდა პირველ წლებში ქრისტიანობის ქადაგება?

— როდესაც მოციქულები სხვადასხვა ქალაქში საქადაგებლად შედიოდნენ, პირველ რიგში, ადამიანებს ახარებდნენ, რომ მათ შეეძლოთ, თავიანთი სულები საუკუნო სატანჯველისგან ეხსნათ. იუდეველებისთვის, ებრაელებისთვის ეს გაცილებით ადვილი შესამეცნებელი იყო, რადგან მათ ჰქონდათ საფუძველი მოსეს სჯულიდან — ელოდნენ მსხნელს, მეჩას; წარმართებს კი საფუძველი არ ჰქონდათ. მოციქულთა ქადაგებას თან ახლდა აურაცხელი სასწაულიც, რაც მათ სიტყვას სარწმუნოს ხდიდა. ცხადია, ისინი ახალმოქცეულ ქრისტიანებს უმაღლეს ღვთისმეტყველებას ვერ მიაწვდიდნენ; ასწავლიდნენ და აწვდიდნენ მხოლოდ იმას, რაც მათ ადვილად შეიძლებოდა მიეღოთ და შემეცნებინათ. ფერისცვალებისადმი მიმართულ ტროპარში ვკითხულობთ: „უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი,

ძალისამებრ მათისა“... რაოდენი „ძალევათ“, რამდენის დატყვენაც შეეძლოთ, უფალმა იმ დოზით გაუმუქავა, გამოუცხადა მოციქულებს თავისი ღვთაებრივი დიდება და ბრწყინვალება, ნათელი და არა სრული სისასვით. მოციქულებიც ასევე უტყვებდნენ ქრისტიანობის პირველ წლებში ადამიანებს საღმრთო ჭეშმარიტებას იმ დოზით, რისი დატყვა და შემეცნებაც ახალფესადგმულ ქრისტიანებს შეეძლოთ.

— ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში განადა მწვალებლური, ცრუსწავლებები, მოძღვრებები, მიმდინარეობები. II საუკუნეში განსაკუთრებით გავრცელდა გნოსტიციზმი, ყველაზე მეტად მომრავლდნენ და მომძლავრდნენ გნოსტიკოსები. რამდენიმე სიტყვით მწვალებლური მიმდინარეობებისაზე შევეხოთ...

— ცრუ, მწვალებლური სწავლება-მოძღვრებები პირველი საუკუნიდანვე გაჩნდა, თუმცა მხოლოდ მცირე დაჯგუფებების სახით და ვერავითარ მნიშვნელოვან ზიანს ვერ აყენებდა ქრისტიანულ ეკლესიას. სხვადასხვა სექტასა და სქიზმაში მყოფი ჯგუფები თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანის მოძღვრებას საერთო არაფერი ჰქონდა ქრისტიანობასთან; იმგვარი კავშირიც კი, როგორც ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შემდგომ წარმოქმნილ ერეტიკულ, მწვალებლურ მიმდინარეობებს, — მაგალითად არიოზის მწვალებლური მოძღვრების მიმდევრებს — არიოზელებს. ერესები, მწვალებლური მიმდინარეობები უფრო მომრავლდა მას შემდეგ, რაც შეწყდა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა: მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა განდიდდა საერო ხელისუფლებისგან, ქრისტიანობა პატივად იქცა და უამრავი ადამიანი ხდებოდა ქრისტიანი, არა მხოლოდ სარწმუნოებით, არამედ გარეგნული ნიშნებით, რამაც ქრისტიანობაში განხეთქილებები და სხვადასხვა სექტის, ერესის ჩამოყალიბება წარმოშვა.

რაც შეეხება გნოსტიციზმს — იყო ნახევრად ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მრავალ მიმდინარეობას აერთიანებდა. გნოსტიკოსებმა თავიანთ ცრუსწავლებას უჩვეულოდ მრავალფეროვანი სახე მისცეს, ოღონდ — მხოლოდ გარეგნულად; არსებითად ყველა, სიცრუეზე იყო აგებული: გნოსტიკოსები უარყოფდნენ ქრისტეს ღმერთობრიობას, აღიარებდნენ ორ საწყისს — სიკეთესა და ბოროტებას და ყველაფერს გონებით განსაზღვრავდნენ — გონებით აყალიბებდნენ საღმრთო მცნებებს. მაგრამ ადამიანის გონებით საღმრთო ჭეშმარიტების ჩანვდომა შეუძლებელია — შეუძლებელია, მან ჩამოაყალიბოს ის, რამაც თავად ადამიანის გონება შექმნა. როგორც ვთქვით, გნოსტიციზმი, უამრავ მიმდინარეობას აერთიანებდა; ყველა გნოსტიკოს მასწავლებლებს თავისი მიმდინარეობა და მოძღვრება ჰქონდა; მათი სწავლებები ხშირად ერთმანეთსაც არ ეთანხმებოდა. გნოსტიკოსებმა საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად, მრავალი წიგნი დაწერეს, რომელთაც მოციქულთა და ძველი დროის მამათა თხზულებებზედ ასალებდნენ, არც ცრუ „სახარებათა“ შეთხზვას ერიდებოდნენ, სადაც ცრუ, გამოგონილ ამბებს მოუთხრობდნენ.

— როგორც ცნობილია, კიდევ რამდენიმე „სახარების“ სახელით ცნობილი წიგნი შეიქმნა, მაგრამ კანონიკურად მხოლოდ მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს „სახარებები“ მიიჩნევა, რატომ?

— ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან ცნობილია მხოლოდ ოთხი სახარება. შემდგომში გაჩენილი სწავლებები, აბსოლუტურად ნაყოლებია — არც ერთ მათგანს საერთო არაფერი აქვს მოციქულებთან და არც ქრისტიანობასთან. პირველივე საუკუნეებიდან არსებობს ჩამოყალიბებული საეკლესიო სწავლება იმის შესახებ, თუ რომელი წიგნია გამოსული მოციქულთა ხელიდან, რომელი წიგნია სულიწმიდის მიერ აღბეჭდილი, მისი მადლით დაწერილი. იმავე ხანებიდან კანონიკურად მიჩნეული და მიღებული იყო ის წიგნები, რომლებიც დღესაც შედის „ახალ აღთქმაში“.

— პირველ საუკუნეებში, ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის მიზნით, აპოლოგიები იწერებოდა. რამდენიმე სიტყვით ამ საკითხსაც შევეხოთ...

— აპოლოგია ქრისტიანული სარწმუნოების, სწავლების დაცვა გახლავთ. ქრისტიანთა დევნის შეწყვეტამდე, სახელმწიფო რელიგიად მის გამოცხადებამდე ქრისტიანული მწერლობა ძირითადად, აპოლოგეტური იყო. აპოლოგეტები — ქრისტიანი მწერლები სარწმუნოებას იმ საშინელი ბრალდებისგან იცავდნენ, რომელთაც მას წარმართები და იუდეველები უყენებდნენ და გადმოსცემდნენ — სინამდვილეში თუ რა სწავლებას წარმოადგენდა ქრისტიანობა, რა იყო ქრისტიანობის ჭეშმარიტი არსი. ■



იოანე

თავის ტკივილი

ალბათ, ქვეყანაზე ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც თავი არ სტკივებია. ზოგს წლების მანძილზე ტკივილი იმდენად აწუხებს, რომ სიცოცხლე არ უხარია, ზოგს კი მხოლოდ პეროდულად შეასვენებს თავს და ისიც, მცირე ხნით.

თავის ტკივილი დამოუკიდებელი დაავადება არ არის, ის მხოლოდ რომელიმე პათოლოგიის სიმპტომია. ცხელებით მიმდინარე დაავადებებს, განსაკუთრებით კი ტიფს, ტიფში ანთებით პროცესებს, დიფტერიასა და სხვა, ხშირად თან ახლავს თავის ტკივილი. ენ. ბატონები, როგორცაა: ქუნთრუშა, ნითელა, ნითურა თითქმის ყოველთვის თავის ტკივილით იწყება. ეს სიმპტომი ზემო სასუნთქ გზების კატარსაც ახლავს. თავის ტკივილი შეიძლება, თავის ტვინში სისხლის როგორც ქარბმა, ისე მწირმა მიდინებამ, ნერვულმა გადაძაბვამ, გონებრივმა გადაღვამ გამოიწვიოს. მას იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის აშლილობანი, სპირტიანი სასმელების ჭარბი გამოყენება, სიცხე, სიცხე და ათასი სხვა რამ. ერთი სიტყვით, თავის ტკივილი ქრონიკულად მიმდინარე მრავალი დაავადების თანმხლებია.



როცა ადამიანი თავის ტკივილით იღვიძებს, ეს ხშირად, მისივე დაუდევრობის ბრალია:

- * ღამით სპირტიანი სასმელების და ყავის მიღება არ შეიძლება;
- * ადამიანმა მსუბუქად უნდა ივანშმოს და თანაც, დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე;
- * არ შეიძლება მაგარი სიგარეტის მოწევა;
- * თუ ამინდი ხელს გეინწყობს, ფანჯარა მთელ ღამეს ღია უნდა დატოვოთ, მაგრამ უნდა ვერიდოთ ორპირ ქარს;
- * არ შეიძლება მოჭერილი ტანსაცმლით დაძინება;

* თავის ტკივილისადმი მიდრეკილი პირები ღამით გონებრივი სამუშაოს უნდა ერიდონ;

* არ შეიძლება დაწოლილი კითხვა, ეს თავის ტკივილის ხშირი მიზეზია.

თავის ტკივილის დასამარცხებლად, პირველ რიგში, მისი მიზეზის დადგენა საჭირო, ეს მიზეზი კი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ჩამოთვლაც შეუძლებელია. დღეს მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევხებით.

სისხლნაკლებობით

გამოწვეული თავის ტკივილი

სისხლნაკლებობის დროს თავის ტვინს სათანადო რაოდენობით სისხლი არ მიეწოდება და შესაბამისად, ვითარდება ჟანგბადის დეფიციტი, რაც განაპირობებს თავის ყრუ ან მოჭერილი ხასიათის ტკივილს, რომელიც ვრ-

ცელდება შუბლზე, საფეთქლებზე და შეიძლება, თავის შუა ნაწილი მოიცვას. მდგომარეობას ამძიმებს ფეხზე დიდხანს დგომა. ასეთი ავადმყოფი არის ფერმკრთალი, მას მსუბუქად ამცივებს და გამუდმებით უჩივის კიდურების გაცივებას. იგი მიდრეკილია თავბრუს ხვევისა და გულის წასვლისკენ. არცთუ იშვიათად აღენიშნება საკუთარი გულისცემის შეგრძნება, ჰაერის უკმარისობა და მუცელში სიმძიმე. ქალებში ხშირად შეიმჩნევა მენსტრუალური ციკლის დარღვევა.

ასეთმა ავადმყოფმა უნდა მიმართოს შემდეგ ღონისძიებებს:

* ყოველ დღით უნდა დაიზილოს ტანი, ზამთარში — თბილ წყალში, ზაფხულში კი ცივი წყალში დასველებული პირსახოცით.

* უნდა იკვებოს ნოყიერი, მაგრამ ადვილად გადასამუშავებელი პროდუქტებით. სასარგებლოა რძე, კვერცხი, ბოსტნეული (ჭარხალი, სტაფილო).

* სასარგებლოა დღეში ერთი ჭიქა ნითელი ღვინო.

ექიმმა სისხლის ანალიზის საშუალებით უნდა დაადგინოს ანემიის სახე და შეურჩიოს ავადმყოფს პრეპარატი.

საჭმლის მოგნელებული

სისხაჟის აშლილობით

გამოწვეული თავის ტკივილი

ზოგჯერ თავის ტკივილს საკვებით გადავსებული კუჭი (რაც შეიძლება ჭარბი რაოდენობის საკვების მიღებით ან

ქოლცისტიტის, კოლიტებისა და სხვათა გამო კუჭიდან საკვების გადასვლის შეფერხებით იყოს გამოწვეული) ან სპირტიანი სასმლის გადაჭარბებული მოხმარება იწვევს. მას თან ახლავს ბოცინი, გულისრევის შეგრძნება და ღებინებაც კი. ავადმყოფს აღენიშნება ყრუ ტკივილი შუბლის არეში, უშუალოდ ნარბების ზევით ან თვალბუბი.

„სუსტი კუჭის“ მქონე პირებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

* ერიდონ ძნელად გადასამუშავებელ პროდუქტებსა და სპირტიანი სასმელების მოხმარებას;

* ღამით მოერიდონ ბევრი საკვების მიღებას;

* ჭამონ აუჩქარებლად — ნებისმიერი პროდუქტი კარგად უნდა დაღეჭონ. ეს საკვების მოწელებას შეუწყობს ხელს;

* სასარგებლო იქნება მსუყე საკვების მიღების შემდეგ ჭიქა ყავის დაყოლება.

საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლილობით განპირობებული თავის ტკივილის დროს ეფექტიანია თბილი აბაზანის და შემდეგ, ცივი შხაპის მიღება. კარგია ფეხების ჯერ თბილ წყალში ჩაყოფა, შემდეგ კი ცივი წყლის გადავლება.

რევმატიული თავის ტკივილი

ხშირად, თავის ტკივილი გაცივების დროს აღმოცენდება ხოლმე. კერძოდ, მაშინ, როცა ოფლიან სხეულსა და თავს იშვიათად და გაგრილების მიზნით ინიავებენ. ვინც ადვილად ცივდება, ყურადღებით უნდა იყოს ამინდის ცვლებადობის დროს. ასეთ დროს, მეტწილად, აწუხებთ მოჭერილი ხასიათის ტკივილი შუბლის არეში. ამასთან ავადმყოფს თვალბუბი ცრემლიანი აქვს, ვერ იტანს სინათლეს და ცხვირიდან გამონადენიც აღენიშნება..

ვინც რევმატულ თავის ტკივილს უჩივის, თავი ნელთბილი წყლით უნდა დაიბანოს და უხეში პირსახოცით გაიმშრალოს, ეს შვებას მოუტანს.

პოდაგრული თავის ტკივილი

პოდაგრით დაავადებულებს ხშირად აწუხებთ ძლიერი თავის ტკივილი. ასეთი პაციენტები მხოლოდ მცენარეული საკვებით უნდა იკვებებოდნენ და თავი თბილად შეიხვიონ.

როგორ ვიხსნათ თავი სტრესისგან

სტრესი არის ორგანიზმის დაძაბული მდგომარეობა, რომელიც ადამიანს ძლიერ გამაღიზიანებელზე უფიქრდება. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ ის ორგანიზმის დამცველობითი რეაქციაა, რომელიც გარემომცველ სამყაროში მომხდარი არასასურველი ცვლილების საპასუხოდ აღმოცენდება.

ნებისმიერი სიტუაცია, რომელზეც ადამიანი ემოციურად რეაგირებს, შეიძლება სტრესის გაჩენის მიზეზი გახდეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მისი გამოწვევა შეუძლია როგორც დადებით (ბავშვის დაბადება, დაოჯახება, გამოცდაზე მაღალი ქულის მიღება და სხვა), ისე უარყოფით (ახლობელი ადამიანის სიკვდილი, სამსახურის დაკარგვა და ა.შ.) ემოციას. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლოა, სტრესი სრულიად უმნიშვნელო სიტუაციამაც კი განაპირობოს. მაგალითად, საცობში ან რიგში დიდხანს დგომა.

სტრესის მკურნალობის 4 ძირითადი მეთოდი არსებობს:

ყველაზე წარმატებული, მაგრამ ძნელად შესასრულებელია სტრესის მიზეზის მოხსნა.

შემდეგი მეთოდი გულისხმობს პრობლემის რაციონალიზაციას, რაც რამდენიმე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მეთოდის დახმარებით ხორციელდება. ერთ-ერთი მათგანია ლაპარაკი. იგი არის დაძა-



ბულობის მოხსნის არაჩვეულებრივი საშუალება. განიხილეთ თქვენი პრობლემა ისეთ ადამიანთან ერთად, ვისაც ენდობით. ყოველთვის უნდა გვხსოვდეს, რომ არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ შეიძლება.

ჩამოწერეთ პრობლემის ყველა, სრულიად უმნიშვნელო მხარეც კი — ეს სტრესიდან გათავისუფლების კიდევ ერთი არაჩვეულებრივი საშუალებაა. თუ ამ პრობლემიდან გამოსვლის შესაძლო ვარიანტებსაც

ჩამოწერთ და მით უმეტეს, ამას დიაგრამის სახეს მისცემთ, ეს თქვენ სიტუაციის ობიექტურად შეფასების საშუალებას მოგცემთ.

პრობლემიდან გამოსვლის პოვნაში დახმარებას გაგიწევთ მკურნალი ექიმი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. ბევრი უარს ამბობს ასეთ დახმარებაზე, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ანტიდეპრესანტივებზე უკეთესი საშუალებაა.

სტრესთან ბრძოლაში დაგეხმარებათ დამამშვიდებლები, ანტიდეპრესანტივები, მაგრამ მათი გამოყენება მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციაში და თანაც, ხანმოკლე დროით უნდა მოხდეს. ფსიქიკური დარღვევის სამკურნალო ზოგიერთი ანტიდეპრესანტი ხანგრძლივი დროით ინიშნება, მაგრამ ამ ჯგუფის პრეპარატის უმრავლესობა, რეგულარული მოხმარების შემთხვევაში, მათზე დამოკიდებულებას იწვევს. აღსანიშნავია, რომ სწორად შერჩეული და სწორად დოზირებული ანტიდეპრესანტი პაციენტს ძლიერი სტრესიდან გამოსვლის და შემდეგ, ზემოწამოთვლილი მეთოდებით პრობლემის გონივრულად გადანყვეტის საშუალებას აძლევს. ასე რომ, სტრესის დროს ნამაღლი მხოლოდ ექიმმა უნდა დანიშნოს.

ქალაქობრივ გარემოში გაზრდილ ბავშვს კიბოს განვითარების მაღალი რისკი აღნიშნება

კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძალადობრივ და შიშის ატმოსფეროში გაზრდილ ბავშვებში ონკოლოგიური დაავადების რისკი მეტია. ტორონტოს უნივერსიტეტის მკვლევრები იმ ფსიქოსოციალურ ფაქტორებს იკვლევდნენ, რომლებიც კიბოს განვითარების რისკის მატებას იწვევს. გაირკვა, რომ ისეთ ადამიანებს, ვისაც ბავშვობაში მკაცრად ეყარობოდნენ, ონკოლოგიური დაავადება უფრო ხშირად უფიქრდებათ — ამ შემთხვევაში, რისკი 49%-ით მატულობს. ყველა სხვა რისკ-ფაქტორის (სხვადასხვა სტრესი, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მონევა, ალკოჰოლის გამოყენება, არასწორი კვება და ჰიპოდინამია) შემთხვევაშიც კი, ამ დაავადების განვითარების რისკი ბევრად ნაკლებია.

„ჩვენი აზრით, ამ კავშირის გაგებას კორტიზოლის მოქმედების მექანიზმის შემდგომი შესწავლით შევძლებთ“, — აღნიშნავს სარა ბრენენსტალი. კორტიზოლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჰორმონია, რომელიც ადამიანს საფრთხეზე რეაგირებაში ეხმარება. კორტიზოლი მართავს ბიოქიმიური რეაქციების მთელ კასკადს და მთავარ როლს თამაშობს ორგანიზმის დამცველობით რეაქციაში სტრესისა და შიშის დროს. მეცნიერების ვარაუდით, სწორედ ამ ჰორმონის პროდუქციის დარღვევა ხდება იმ ბავშვებში, რომლებიც ძალადობის პირობებში იზრდებოდნენ, რაც კიბოს განვითარების



რისკის მატებას განაპირობებს. ფსიქოფიზიოლოგები მუდმივად ატარებენ კვლევებს ოჯახური ძალადობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების დასადგენად. ცნობილია, რომ ოჯახური ძალადობა იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკის საშუალოდ, 70%-ით მატებას. თუ ბავშვის ცემას სქესობრივი ძალადობა, ფსიქოლოგიური ტერორი, არასაკმარისი კვება და ა.შ. ემატება, მაშინ აღნიშნულმა რისკმა შეიძლება, 350%-ს მიაღწიოს. დამატებით, შესაძლოა, ფსიქიკური დარღვევების განვითარება, სოციალური კავშირების რღვევა, ფსიქოლოგიური პრობლემების გაჩენა. ასეთი ბავშვებისგან ხშირად ყალიბდებიან სოციალურად არადადაპტირებული ადამიანები, რომლებიც მიდრეკილნი არიან კანონდარღვევისკენ, თვითიზოლაციისკენ და ა.შ.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge

გამოცემის დასახელება	1 ტომი	2 ტომი	3 ტომი
1. GEO / GEO	8.00	27.99	
2. ЛМЭА	2.50	32.59	
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.99	
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.99	
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.59	
6. HELLO! ХЭЛЛО!	4.00	52.99	
7. ОДРОЖЕНИЕ	2.00	26.99	

არასრულ დაწვრილებული
ბავშვებისთვის
სააბაზრო
„ელვა.ჯი“
ქ. თბილისი
თბილისის ქ. 7048
ტელ: 26-26-73; 26-26-74
ფაქს: 26-26-74
E-mail: elva@kivrispali.ge

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელოვნების



2 ჩანართი მკურნალები



ბავშვი და შაქრიანი დიაბეტი


დიდი ხანია ცნობილია, რომ სიმსუქნის ფონზე იზრდება II ტიპის დიაბეტის განვითარების ალბათობა, მაგრამ ბოლოდროინდელ გამოკვლევათა შედეგები შოკის მომგვრელი აღმოჩნდა – დადგენილ იქნა, რომ სიმსუქნე I ტიპის დიაბეტის რისკსაც ზრდის.

სიფილისი – ვენერას განაჩენი

სიფილისის კლინიკური სურათისა და საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობის შეცვლის, მცირესიმპტომიანი და უსიმპტომო ფორმების ჩამოყალიბების ძირითადი მიზეზია წამლების, მათ შორის – ანტიბაქტერიული პრეპარატების ხშირი და მიზანშეუწონელი გამოყენება.

ყურადღება ვიღებთ

არ უნდა დაივიწყოთ ელემენტარული ჭეშმარიტება: ფოტოსესიისთვის ბავშვი არა მარტო უნდა გაართოთ, არამედ მის დასვენებასა და კვებაზეც უნდა იზრუნოთ. მშვიერ, დაღლილ და მოუხერხებლად ჩაცმულ პატარას ვერც გაახალისებთ და ვერც სურათებს გადაუღებთ.



ირმა სარშილაძე

ამ ლამაზ ოჯახს ახლობლებთან შევხვდი. ინტერვიუს ჩაწერაზე არც შევთანხმებივარ, და შესაბამისად, მეგობრულ ვახშამზე, გზადაგზა ვეცნობოდი მათ ემიგრანტულ ცხოვრებას. შევხაროდი სამშობლოდან შორს გაზრდილ ლიკასა და ნოდარს და ვემადლიერებოდი მათ მშობლებს, ასე ქართულად მოაზროვნე შეილებს აღზრდისათვის. ნოდარი 18 წლისაა, ლიკა — 21-ის. ცხოვრების ახალ ეტაპს ისინი საქართველოს გაცნობით იწყებენ...

ალექო ნაგალავილი, ნოდარისა და ლიკას მამა:

— უბედნიერესი ვარ, საქართველოს მიწაზე რომ ვდგავარ. გადავწყვიტე, ფეხსაცმელში ჩავიყარო ქართული მიწა და საფრანგეთში ეგრე ვიარო. 9 წელია, აქ არ ვყოფილვართ, მხოლოდ ჩემი მეუღლე ირა იყო 3 თვის წინ ჩამოსული. წარმოგიდგენიათ, რას განვიცდი?!
ლიკა:

— ბავშვობის დროინდელი ბევრი რამ მახსოვს. რომ ჩამოვედი, შინ ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე, დოქი ვიპოვე, ზედ ჩემი სახელი ეწერა და მახსოვს, მაგით ვცეკვავდი ხოლმე; კოლოფში ჩაყრილ ლილებს წავაწყდი და ის მაისურიც კი გამახსენდა, რომელსაც ეცეთა...

— **ძალიან მესიამოვნა, ალექო, რომ ბავშვები კარგი ქართულით ლაპარაკობენ — ბევრი 2 წლით მიემგზავრება საზღვარგარეთ და უცებ ივიწყებს.**

— მე თვითონ ძალიან მიყვარს კითხვა. საფრანგეთში ქართული ბიბლიოთეკაც მაქვს. ახლაც ვაპირებ წიგნების წაღებას — კონსტანტინე გამსახურდიას ატომოეული გვაჩუქეს და აქ როგორ დავტოვო?! ბავშვები ვიდრე სკოლაში სწავლობდნენ, ვახერხებდით, ყოველ შაბათს ან კვირას, „პოეზიის 5 წუთი“ მოგვეწყო. რა თქმა უნდა, 5 წუთი კი არა, 1-2 საათი გამოგედოდა, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო. ვაჟა-ფშაველას მოტრფიალე ვარ, სხვა პოეტების კრებულებიც გვექონდა; ჰოდა, ოჯახურ საღამოებზე ერთმანეთს ხელიდან ხელში გადავცემდით წიგნს და მონაცვლეობით ვკითხულობდით. ასევე ვკითხულობდით პროზაულ ნაწარმოებებსაც და შემ-

ადამიანი

ორად გახლეჩილი გულები



თბილისელ მეგობრებთან ერთად

ანუ „შუქი ჩაქრა“ თუ „შუქი მოვიდა“?!

დეგ ნაკითხულს ვანალიზებდით, ვმსჯელობდით.

ლიკა:
— დიდიდან საღამომდე ფრანგულად ვლაპარაკობდით; ხომ შეგვეძლო, შინაც ფრანგულად გვესაუბრა, მაგრამ რატომ?.. ძალიან საინტერესო იყო, ოთხივენი მთელი დღის შთაბეჭდილებებს ქართულად რომ ვუზიარებდით ერთმანეთს. ჩვენ თვითონ არ გვსურდა ქართულის დავიწყება. არის კატეგორია, ვინც ფიქრობს, — რადგან სხვა ქვეყანაში ვცხოვრობ, აუცილებლად იქაური უნდა გავხდე, ისე ვილაპარაკო და ვიზროვნო. ჩვენ ხომ ასეთები არ ვართ!..

— **როგორ მოხვდით საფრანგეთში?**

ალექო:
— ჩავსხედით თვითმფრინვაში და ჩავფრინდით (იკინის)... მანამდე, 2000 წელს მოსკოვში წავედით; იქიდან, რალაც დროის შემდეგ — საფრანგეთში. ძნელი გადასაწყვეტი იყო მშობლების, და-ძმის, დიდი ოჯახის და სამშობლოს მიტოვება და სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა...

— **ალბათ განსაკუთრებით, მშობლების მიტოვებაა ძნელი...**

— იმწუთას ამდენს არ ფიქრობ, თუმცა ფაქტია — ძალიან განვიცდიდით. მშობლებს კი ვაგუებდით, — შეიძლება, 10 წლის განმავლობაში ველარ ჩამოვიდეთ-თქო... მგონი, მაშინ ენამ მიყივლა (იკინის), 9 წლის შემდეგ ჩამოვედით!.. არადა, იოლად არ მოგივიპოვებია იქ ცხოვრების უფლება. მთავარია, მთელმა ოჯახმა ყველა სიძნელე ერთად გადავლახეთ. ახლა ფრანგი მეგობრებიც შევიძინეთ, მათ შორის, ნიკოლა სარკოზის პარტიისა და საფრანგეთის პარლამენტის წევრები არიან. სხვათა შორის, სარკოზის საარჩევნო კამპანიაში მე, ჩემი მეუღლე ირინა ტომარაძე და შვილებიც აქტიურად ვმონაწილეობდით: კარდაკარ, სოფელ-სოფელ, წვიმაშიც კი დავდიოდით და ამომრჩევლებს ბიულეტენებს ვურიგებდით.

— **ბატონ სარკოზის პირადად იცნობთ?**

— პირადად არავის წარვუდგენივარ მისთვის, ხელი არ ჩამომირთმევია და არ მილაპარაკია, მაგრამ ხომ გითხარით, მისი პარტიის წევრებთან ძალიან ვახლობლობ.

იონა:

— ...იქ რომ ცხოვრობ, გამუდმებით ელოდები მომენტს, როცა უკან დაბრუნებას შეძლებ.

ლიკა:

— მე და ნოდარი ძალიან ვმეგობრობთ და ერთად, იცით, რამდენჯერ გვიფიქრია ამაზე?! საღამოობით დავსხდებოდით და ათასნაირად წარმოვიდგენდით ჩვენებთან შესვედრას. დამსიზმრებია კიდეც ეს ყველაფერი. წარმოიდგინეთ ჩემი განცდა — თოთო მამიდაშვილები დავტოვე და 9-10 წლისანი დამხვდნენ! წინასწარ იმდენს ვფიქრობდი, ნერვიულობას თუ არ ჩავთვლით, მათი დანახვისას მეგონა, არც არასდროს დავმორებებარ.

— იქ როგორ ცხოვრობ?

ალეკო:

— რაც ჩვეულებრივ ოჯახს სჭირდება, ყველაფერი გვაქვს. ვმრობობთ, გვაქვს მთავრობისგან მოცემული პატარა სახლი: გახსოვთ, კომუნისტების დროს საქართველოში ბინის მისაღებად რიგში რომ

იდექი? იქაც ჩავდექით რიგში და მოგვცეს. თუ სხვაგან გადასვლა გსურს, კიდეც ჩადგები რიგში და ახალ ბინას მიიღებ, — ასეთი სისტემაა. რა თქმა უნდა, სამომავლოდ, საკუთარი სახლის შექმნასაც ვგეგმავთ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ეს შევძელით. ახლა დროებით უმუშევრები, უფრო სწორად — შეგნებულად უმუშევრები ვართ, მაგრამ ეს პრობლემა არ არის. კონტრაქტები რომ დაგვიმთავრდა, ახალი აღარ დავდეთ, სერიოზულ შემოთავაზებებზე ვთქვით უარი, რადგან ასეთ შემთხვევაში, კიდეც ერთი წლით გადაგვედგებოდა ჩამოსვლა. რომ დავგრუნდებით, უეჭველად ვიმოვიტ სამსახურს.

— მოდი, თქვენს „ფრანგულ“ ცხოვრებაზე უფრო დანერგებით მიაბებთ.

ლიკა:

— პარიზზე ბევრად პატარა ქალაქ ბენანსონში ვცხოვრობთ. ფრანგულს დედაქალაქი გახლავთ. თვითონ ფრანგულს დედაქალაქი გახლავთ, ქართლ-კახეთისხელაა. ბენანსონი სტუდენტური ქალაქია და შესაბამისად, იქ ბევრი უნივერსიტეტია. სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდის სასწავლებლად. მე იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე ვსწავლობ. სწავლება ხუთწლიანია, აქედან 3 — „გენერალური“ — ყველაფერს გვასწავლიან, — შემდეგ ირჩევ სპეციალობას. მე ადვოკატობას ვაპირებ და როცა დიპლომს ავიღებ, მერე 3 წელი მაგისტრატურაში ვისწავლი და სხვა ქვეყნებშიც შემიძლება მუშაობა. ძალიან საინტერესო სტუდენტური ცხოვრება მაქვს. ლექციას სამჯერ თუ გააცდენ, გამოცდაზე არ დაგიშვებენ.

— სწავლა ფასიანია?

— უნივერსიტეტში სწავლა უფასოა. სკოლას რომ დაამთავრებ, დიპლომს თუ მიიღებ, რომელ უნივერსიტეტსაც დაადებ ხელს, იქ დაგსვამენ უგამოცდოდ, ოღონდ წინასწარ წერ განცხადებას, უნივერსიტეტს კი უარის თქმის უფლება არა აქვს.

— შეზღუდული არ არის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა?

— თუ შენს ქალაქში რჩები სასწავლებლად, ჯერ შენ მიგიღებენ, მერე — ჩამოსულს. ჩვენთან არ არის გამოცდები, მაგრამ დიდი ქალაქების უნივერსიტეტებში — ვთქვათ, პარიზში, სტრასბურგსა და ლიონში გასაუბრებლად მაინც ატარებენ.

— ვიცი, ბენდში მღერო, არტისტული მონაცემებიც გაქვს. თეატრალური რატომ არ აირჩიე?

— ძალიან მინდოდა, მაგრამ დიპლომის მიღების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად და სამსახურის საშოვნელად, დიდ ქალაქებში „სირობილი“ მომიწევდა. ეს იოლი არ არის. ამიტომ ავირჩიე იურიდიული, მით უმეტეს — კრიმინალისტიკაც ძალიან მაინტერესებდა. რაც შეეხება ჩემს თეატრალურ „მოღვაწეობას“, სკოლის დამამთავრებელ წელს მასწავლებელმა — რეჟისორმა მარი-ფრანსმა რუსული ზღაპრის, „ბაბა იაგას“ მიხედვით საბავშვო სპექტაკლის თამაში შემოგვთავაზა მე და ჩემს მეგობარ კლემონს.

— ბაბა იაგა ვინ იყო?

— ხან კლემონი, ხან — მე (იკინის). მერე კიდეც ორი მეგობარიც შემოგვიერთდა. ასე დავდგით „ბაბა იაგა“ და დიდი წარმატებითაც ვთამაშობთ დღესაც. ჯგუფსაც „ბაბა იაგა“ დავარქვით (იკინის). მიუხედავად იმისა, რომ ერთად აღარ ვსწავლობთ, კვირაში ერთხელ ვიკრიბებით და ახალ-ახალ რეპერტუარზე მაინც ვმუშაობთ. გარდა ამისა, ბენდში ვარ — 5 ბიჭი სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავს, მე ვმღერო. ისე, გიტარაზეც უკრავ.

ალეკო:

— თბილისში საციკო-საესტრადო სასწავლებელი დავამთავრე, ფრიდონ სულაბერიძესთან ქართულ ცეკვაზეც დავდიოდი; მერე სკოლაში მუსიკას ვასწავლიდი, თეატრალურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ვემზადებოდი და პარალელურად, კინომსახიობის თეატრშიც ვმუშაობდი დეკორატორად. მთავარი იყო, სცენის მტვერი ჩამეყლაპა, ეროსი მანჯგალაძისთვის და გოგი გეგეჭკორისთვის მომესმინა და ასე შედეგ... სამწუხაროდ, თეატრალურში ვეღარ ჩავაბარე და პროფესიაც შევიცვალე, მაგრამ ხომ ხედავთ, უკვალოდ არაფერი ქრება! ახლა ჩემს შვილში იცივლა გემმა.

ლიკა:

— პატარაობისას თბილისში ცეკვაზეც დავდიოდი და ფორტეპიანოზეც. საფრანგეთში რომ ჩავედი, მაშამ მუსიკალური სასწავლებლის საოპერო კლასში მიმიყვანა.

ალეკო:

— მერე მოენონათ ლიკას ხმა და რამდენიმე ბავშვთან ერთად, საოპერო თეატრის სპექტაკლებში ბავშვის პარტიის შესასრულებლად ინვევდნენ ხოლმე. საკმაოდ სერიოზულ მომღერლებთან მღეროდა; მხოლოდ ფრანგები კი არა, იტალიელებიც იყვნენ. პარიზიდან მოწვეულ ქართველებთან — ხათუნა გადელიასთან და ელენე გაბურთან ერთადაც იმღერა.

ლიკა:

— მათთან თამაშისას სპექტაკლში 2-3 ქართული ფრაზაც მქონდა: „შუქი ჩაქრა“ თუ „შუქი მოვიდა“ და ა.შ. მერე დრამატულმა თეატრმა უფრო გამიტაცა; ხათუნას და ელენეს კი ძალიან დაუუახლოვდით, ხინკალიც მოვახვიეთ ერთად (იკინის).

— ხინკლის მომზადება რომელმა იცით?

— მაშამ და დედამ.

იონა:

— რაც თბილისში არ მიკეთებია, საფრანგეთში ვაკეთებ — ფაქტობრივად, ქართული კერძების მომზადებაში იქ დავოსტატი. ფრანგები რომ გესტუმრობენ, ფრანგულად იშვიათად ვუმასპინძლებდი — ქართული კერძები რომ გასინჯეს, ისე მოენონათ, სხვა რა გზა მაქვს (იკინის)? პირველად გადასვებული სუფრა რომ დავახვედრე, შოკში ჩაცვივდნენ — ეს ყველაფერი დღეს უნდა ვჭამოთო!?

ალეკო:

— ახლა, იცით, როგორ არიან?.. დღის 12 საათზე რომ იწყებენ ჩვენთან ერთად ჭამას, საღამოს 8 საათამდე ჭამენ, მერე შე-



ლიკა და ნოდარი ნიყანი



ლიკა ბენდთან

მომჩივლებზე ხოლმე: მეტი აღარ შეგვიძლია, ალექსანდრ, უნდა წავიდეთო (იკინის).

ლიბა:
— ჩვენს ქალაქში ქართველი მეგობრებიც გყავიან, ოჯახებით ვმეგობრობთ. ერთ-ერთი მათგანის, გვანცას 200-კაციან დაბადების დღეზე (5 მარტს 18 წლის გახდა) იუბილარის თხოვნით, ვიმღერე.

— 200 ადამიანის გასტუმრება არ გინდა?!

— იქ იცით, როგორ ხდება? დიდ დარბაზს ქირაობ, ბევრ თანატოლს იწვევ და ყველას რაღაც ნუგბარი მოაქვს — მხოლოდ შენ კი არ უმასპინძლები! მოკლედ, რომ ვიმღერე, ერთი ბიჭი მოვიდა და მითხრა: ჯგუფი მყავს, მომღერალი გვჭირდება და ჯერ ვერაფერ შევარჩიე; ძალიან მომეწონე და იქნებ შემოგვიერთდო? მაშამ მიმიყვანა ბიჭებთან და აღმოჩნდა, რომ ერთმანეთს იცნობდნენ. ესეც კარგი დამთხვევა იყო. ახლა მეც ვწერ სიმღერებს — ისინი მელოდიას წერენ, მე — ტექსტს. სხვათა შორის, ახლა თბილისშიც დავენერე სიმღერები: ამხელა ემოცია რადიოთ ხომ უნდა გამოიქვამა?!

ირინა:

— საფრანგეთში 21 ივნისი — მუსიკის დღეა: ქუჩებში ყველა ჯგუფი გამოდის და თავის რეპერტუარს ასრულებს. ასე გამოვიდა ლიკას ჯგუფიც — „სტივოტ ოვ ბლის“, რაც დაახლოებით, ნიშნავს — „უბედურესი ვარ“.

ალბო:

— აქ წამოსვლამდე ლიკას ჯგუფის გიტარისტი რიშარი შემხვდა და მომხანარა, — სპონსორი ვიპოვე; ახლა გერმანიაში მივდივარ რაღაც საკითხების მოსაგვარებლად და ლიას გადაეცით, ევროპაში მაგარი გასტროლები გველოდებათ.

ლიბა:

— სხვათა შორის, ახლაც საინტერესო მინევა გვექონდა, მაგრამ მე აქეთ მოვდიოდი.

— მოკლედ, საქართველომ ყველას შეგიცვალათ გეგმები, არა?



ბავშვობის ფოტო ალექსთან და ირასთან ერთად

ირინა:

— ამ დღეს ისე ველოდით... მე 3 თვის წინ მაინც ვიყავი, ესენი კი დაიხოცნენ ნერვიულობით. მაშინ რომ დავბრუნდი, დავამზიდე: ნუ დარდობთ, ყველაფერი და ყველა ძველებურად დაგვდებთ-მეთქი, — მაგრამ სათქმელად იოლი იყო, გულს კი რას უზამდი?..

ლიბა:

— ინტერნეტით ჩვენებს სულ ვესაუბრებოდი, ეკრანზე ვხედავდი, მაგრამ შეხვედრა მაინც სხვაა. პაპა ძალიან ენერგიული დავტოვებ და განვიცადე, მოსუცი რომ დამხვდა — ძლივს დადის, პარკინსონის დაავადება აქვს... საერთოდ, ყველამ ბევრი ვიტირეთ შეხვედრისას...

— მამაც?

ალბო:

— ვერ შევიკავე თავი...

ირინა:

— ქუჩებში რომ გავიარეთ და ნოდარმა ამდენი უძვირფასესი მანქანა დაინახა, აღმოხდა: არ შეიძლება, ერთს 150.000-იანი მანქანა ჰქონდეს და მეორემ სუფრასთან ორი ერთნაირი თევზი ვერ დაგიდოსო!.. ჩემს შეილებს უსამართლობისადმი ასეთ დამოკიდებულებას, ადამიანებისადმი თანაგრძობის უნარს რომ ვამჩნევ, მისაჩივრ...

ამ დროს ნოდარიც შემოგვიერთდა და დაგვიანებისთვის მოგვიბოდიშა: გვერდით ოთახში ახალდამეგობრებულ მასპინძელ თანატოლებთან ერთად საუბარს შევეყვით.

ნოდარი:

— ბავშვობის დროინდელი ბევრი არაფერი მახსოვდა, მაგრამ ვფიქრობდი, აქ ჩამოსვლისას ყველაფერს აღვიდგენდი. რაღაცები რომ ვერ გავისხენე, გული დამწყდა.

— ყველაზე მეტად ვისი ნახვა გაინტერესებდათ?

ლიბა:

— (ჩაფიქრდა) საქართველოს ნახვა. საქართველოსთან კი ყველა ის ადამიანი ასოცირდებოდა, ვისთანაც დედასა და მამას საუკეთესო მოგონებები აკავშირებდათ, ვისზეც გამუდმებით გვიყვებოდნენ.

— ჩვენში ცხოვრების დონე თუ შეიცვალა, შეძლებთ აქ ყოფნას?

— საფრანგეთში ჩამოვყალიბდი პიროვნებად, გამიჩნდა საკუთარი შეხედულებები, ინტერესები, გემოვნება. დღეს საფრანგეთიც საქართველოსავით მიყვარს; თითქოს შუაში მოყვები, მაგრამ... რისთვის ვსწავლობ?.. იმდენს უნდა მივალწიო, გაუბედურებული, გაჭირვებული ქართველების დანახვისას ცრემლი რომ მომერია, იმ ქართველებს შევუმსუბუქო ცხოვრება,



თფანსი



ბეზანსონის მთები

თუნდაც, რაღაც ორგანიზაცია შეექმნა, მაგრამ... აქ ცხოვრებას შევძლებ თუ არა, დაბეჯითებით ახლა ვერ გეტყვით. როგორც აქედან გამიჭირდა წასვლა — ლამებს ტირილში ვათენებდი, — დღეს ისევე გამიჭირდება იქიდან წამოსვლა.

ნოდარი:

— აქედან 9 წლის ასაკში წავედი; 9 წელი საქართველოში გავატარე, 9 — საფრანგეთში. ასე რომ, ჩემი გულიც ორადაა გახლეჩილი: საფრანგეთი ძალიან მიყვარს, საქართველოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... მაგრამ აქაური ცხოვრების წესი რადიკალურად განსხვავდება იქაურისგან... ნეტავ, ისე გამოსწორდეს მდგომარეობა, ფრანგები გამოიბრუნდნენ აქეთ (იკინის)!.. და მაინც, თუ საქართველოს დავჭირდები, აუცილებლად მასთან ვიქნები.

ლიბა:

— იცით, როგორ არის?.. მართალია, იქ გავიზარდე, სამეგობროც იქ გყავს, რაც გვსურს, ყველაფერი გვაქვს, ჩვენ თვითონაც რაღაცას ვქმნით და დღეს ასეთები რომ ვართ, დედ-მამის დიდი დამსახურებაა, მაგრამ ყოველთვის გვექონდა პატარა რაღაც, რასაც თავიდან ვერ ვხსნიდი, რაც მაკლდასავით... და ერთხელ ჩემმა იქაურმა დაქალმა (ვერ წარმოვიდგინე, ჩვენს მეგობრებს როგორ უყვართ საქართველო და როგორ ოცნებობენ აქ ჩამოსვლაზე!) მარტივად მითხრა: ფესვებო. განა ასე არ არის?!



ავადმყოფობის გამო თბილისში დარჩენილები და ოცნება, როგორც ოდესმე აუსილახლად ახდება

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, დედაქალაქი თანდათანობით ცარიელდება: ზოგმა მცხუნვარე თბილისურ მზეს თავი აარიდა და დროებით, რომელიღაც ზღვისპირა ქალაქში გადაიხიზნა, სხვებმა კი მთასა თუ სოფელს მიაშურეს; ბევრმა ნაცნობებისგან „გაქცევა“ და ზაფხულის საზღვარგარეთ გატარება გადანიშნა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც თბილისიდან ვერ გააღწიეს: ზოგი სამსახურმა „დააბა“ ქალაქში, ზოგი კი უფულობის ან ავადმყოფობის გამო დაიჩაგრა. რამდენიმე თვეა, სწორედ ასეთი ადამიანები მეკონტაქტებიან და მთხოვენ, მათ შესახებაც დაწერო რაიმე. „დაე, ყველამ გაიგოს, რომ ამ ქვეყანაში მხოლოდ ბედნიერი ადამიანები არ ცხოვრობენ“, — მითხრა თეამ, რომელიც ძალიან სევდიანი და ამავდროულად, საოცრად ჯუჯულუნა გოგონაა.

ლიკა ქაჯაია

— არა მგონია, ჩემი ამბავი ვინმეს აინტერესებდეს, მაგრამ მინდა, გული მოვიოხო და იმედი, ჩემს მოსმენას არ დაიზარებ. მე სიმსივნით ვარ დაავადებული და ქალაქიდან ამიტომაც ვერ გავედი. ამ ზაფხულში სხივებს ვიკეთებდი და სად წავიდოდი?! ჩემი მეგობრები ახლა ალბათ, ზღვაში ცურავენ და მხიარულობენ, მე კი აქ ცოცხალი ლეშივით ვაგდევარ და თითქოს, ღმერთსაც დავავინწყდი.

— მგონი, უფალს სულ ტყუოდ საყვედურობ... — ჰო, დედაჩემიც ამას მეუბნება, რადგან უფლის წყალობით, სიკვდილს გადავურჩი... იცი, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მეგობრები მღალატობენ. აბა, როგორ მიმატოვეს აქ მარტო? ჩემზე რატომ არ იფიქრა არც ერთმა?

— არ გეხმარებოდა? — როგორ არა, მეხშიანებიან, მაგრამ ჩემთვის მათი სიხსლოვე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთან ტელეფონზე ლაპარაკი.

— შენს ადგილას რომელიმე შენი მეგობარი რომ ყოფილიყო, მის გამო გართობასა და დასვენებაზე უარს იტყობდი და მთელი ზაფხული მეგობრის გვერდით იქნებოდი? — (ფიქრობს) არ ვიცი, ასეთ სიტუაციაში როგორ მოვიქცეოდი. მე შევეჩვიე იმას, რომ ჩემს სანახავად მოდიან... ძენ-

ლია მარტოობა.

— დავიჯერო, მშობლები მართლს გტოვებენ?

— არა, არ მტოვებენ, მაგრამ მეგობრების გარეშე ყოფნა მომბეზრებელია. იმედი, მალე ჩამოვლენ და როცა ეს მოხდება, ყველას ვეჩხუბები.

— ჩემი აზრით, არასწორადც მოიქცევი!

— შეიძლება, მართალი ხარ, მაგრამ ასეთი ვარ — რომ არ ვიჩხუბო, მოვკვდები... ვალიარებ, ადრე ასეთი არ ვიყავი, ავადმყოფობის შემდეგ შევიცვალე და ერთხელ ჩემმა ძმამ ისიც კი მითხრა, რომ ეგოისტი გავხდი. იმ ღამით ისე ვინერგიულე, ღამის ინფარქტი დამემართა. ამის გამო ჩემი ძმა სამაგალითოდ დაისაჯა. ისე, რაღა დასჯა უნდოდა, ჩემთან რომ შემოვიდა, მკვდრისფერი ეღო და პატიება მუხლებზე დაჩოქილმა მთხოვა.

— მასთან მართალი იყავი? დავიჯერო, არაფერი დაგიშავებია და მიუხედავად ამისა, ძმამ შეურაცხყოფა მოგაყენა?

— ეს სხვა თემაა და ამაზე ლაპარაკი არ მინდა!

— კარგი, მითხარი, სად გინდა, რომ მომავალ წელს მაინც ნახვიდე დასასვენებლად?

— რა თქმა უნდა, ზღვაზე სიამოვნებით წავიდოდი. მიყვარს ლურჯი ზღვა, ცურვა, პლაჟი და მწვანეთვალება ბიჭები. ისე, ასეთი თვალების მქონე ტიპი არასდროს შემხვედრია და მაინტერესებს, არსებობენ

კი?.. შარშანწინ მშობლებმა ქობულეთში, დედაშვილთან ერთად გამიშვეს. მაგარი დრო ვატარებ. დიასახლისის შვილმა, რომელიც ჩემი ტოლა გახლდათ, თავისი „სასტავი“ გამაცნო და დაემეგობრდით. ჩვენ სულ ერთად დავდიოდით და ბოლოს, მის მეგობარს თავიც შევაყვარე. ნატუკა ყოველთვის მირეკავს და თავისთან მეპატიჟება, მაგრამ იქ ჩასვლას ვერ ვახერხებ. თუ კარგად გავხდები, მას აუცილებლად ვესტუმრები. ნატუკას დედა, ქალბატონი ასმათი შესანიშნავი ქალია. იცით, რა მაგარ ნამცხვარს აცხობს? — თითებს ჩაიკვნეტ. სხვათა შორის, ჩემს სანახავად ქობულეთიდან რამდენჯერმე ჩამოვიდნენ და მინახულეს... ისე, სვანეთში ყოფნაც ძალიან მიყვარს. დედაჩემი სვანია და იმ კუთხის ხალხზე მაგრად ვხალისობ. არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. მართალია, მათ ხისთავიანებს უძახიან, მაგრამ უნდა ნახოთ, ეს დევივით კაცები როგორი გულბრწყვილოები არიან. მამაჩემის ტოლა კაცებს ისე გავაცურებ, რომ



გაგრძელება იხ. გვ. 67



ის ცაში დარჩა...

ლალი ფასია

ნინო ზაალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე:

— ნათელა ნიკონოვა თბილისში, მარიამ გეგეჭკორისა და ილია ნიკონოვის ოჯახში დაიბადა. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, წლების მანძილზე მუშაობდა: თბილისის მხატვრის სახლში, ეროვნულ გალერეაში; მონაწილეობდა თანამედროვე ქართველი მხატვრების კატალოგის შექმნაში, მისი ინიციატივით არაერთი საინტერესო და არასტანდარტული გამოფენა-ვერსინისაჟი მოწყობილა. ჭეშმარიტი პროფესიონალი გახლდათ. ის თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიაში ლექციებსაც კითხულობდა. ბოლო რამდენიმე წელი ირანში კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. საქართველოდან ჩასულ ყველა ხელოვანს გვერდით ედგა, გამოფენების მოწყობაში ესმარებოდა... იყო მოსიყვარულე მეუღლე და უბედნიერესი ქალბატონი... დაუჯერებელია, რომ სიცოცხლით საესე ადამიანი დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის და მას ასეთი ტრაგიკული ხვედრი არგუნა განგებამ...

ნანა ჭურღულია, მხატვარი:

— ნათელა წლების წინ მხატვრის სახლში გავიცანი. იყო — უშუალო, მხიარული, ლამაზი, კეთილი, ენერგიული, საქმის მცოდნე ადამიანი. სერიოზული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში... წელს, თეირანში მან ჩემი ნამუშევრების გამოფენაც მოაწყო... თუმცა უამრავი საინტერესო გეგმა და პროექტი განუხორციელებელი დარჩა...

ლიპა ვაგაცაშვილი:

— ჩვენ ვმეგობრობდით. ერთმა-

ნეთს ხშირად ვერნისაჟებზე ვხვდებოდით. ის ყოველთვის დადებითი ენერგიით გმუხტავდა; ადამიანების მიმართ კეთილად იყო განწყობილი... ამ ტრაგიკულ დღეებში, თვალწინ მიდგას, რამდენიმე წლის წინ, ნათელას გაბრწყინებული თვალები, 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, საფრანგეთის ყოფილი ელჩის, ქალბატონი მირეი მიუსოს მიერ მოწყობილი ტრადიციული მიღება. წელს, როდესაც იმავე ღონისძიებაზე მისულმა ნათელა ვერ ვნახე, გავიფიქრე, ალბათ ირანიდან ჯერ არ ჩამოსულა-მეთქი... მეორე დღეს კი მისი ტრაგიკული გარდაცვალების შესახებ სულისშემძვრელი ცნობა გავიგე. წარმოვიდგინე, რას განიცდიდა მისი მეუღლე, რომელმაც ის აეროპორტში თავადვე მიაცილა და თვითმფრინავის აფრენიდან 15 წუთში შეიტყო იმის შესახებ, რომ ნათელა უბრალოდ აღარ იყო...

ზაია ნიჟორიძე, ხელოვნებათმცოდნე,

„ბაია-გალერეის“ ხელმძღვანელი:

— ნათელას დაღუპვის ამბავს ვერაფრით ვიჯერებ. მუდმივად თვალწინ მიდგას მისი სახე. ქართველებს კარგი სიტყვა გვაქვს, ის კი არ მოკვდა — გარდაიცვა-

სრეამლიანი „დაბრუნება ირანიდან“


აფრენიდან 15 წუთში, ირანში, 15 ივლისს, თვითმფრინავი ჩამოვარდა, რომელიც რეისს — თეირან-ერევანი ასრულებდა. დაიღუპა ყველა მგზავრი (153 ადამიანი) და ეკიპაჟის — 15 წევრი. ავტოკატასტროფის მსხვერპლი ჩვენი თანამოქალაქე, ხელოვნებათმცოდნე, გალერისტი — ნათელა ნიკონოვაც აღმოჩნდა. ეს ქალბატონი ირანში საქართველოს კონსულის, ნიკოლოზ ნახუცრიშვილის მეუღლე გახლდათ... გასულ კვირას კი — გარდაცვალებიდან მე-40 დღეს, თბილისში, შარდენის ქუჩაზე, „ბაია-გალერეაში“ ნათელა ნიკონოვას ფოტოგამოფენა — „დაბრუნება ირანიდან“ გაიხსნა... იქ უამრავმა საინტერესო ადამიანმა მოიყარა თავი, ძირითადად, კულტურის მუშაკებმა, მისმა მეგობრებმა, რომლებიც დიდი სიბოთითი იხსენებდნენ ადამიანს, რომლის ნეშტი, ფაქტობრივად, სრულად არც არსებობს (მხოლოდ სიმბოლური საფლავი). იგი სამწუხაროდ, ცაში დარჩა...



ლა... წლების მანძილზე ჩვენ ერთმანეთთან მეგობრობა გვაკავშირებდა. თეირანიდან როგორც კი ჩამოვიდოდა, მაშინვე ჩემს მოსახსენებლად მოდიოდა. ირანსა და მის კულტურაზე ბევრს მიყვებოდა. გაცივებული და აღფრთოვანებული გახლდათ ამ ქვეყნის ძველი ხელოვნებით, რომელსაც სწავლობდა კიდევ. როგორც წმინდა ბარბარეს ეკლესიაში (მისი სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე), აქაც, „ბაია-გალერეაში“ უამრავი მისი ახლობელი, მეგობარი და ხელოვანი მოვიდა, ნათელას ფოტოგამოფენა რომ ენახათ. ფოტოებზე ის დარჩა როგორც მხიარული, ასევე სევდიანი, მოღიმარი და კეთილი...

სოფიკო ხაბიაშვილი, ხელოვნებათმცოდნე:

— ნათელა ნიკონოვა იყო არაჩვეულებრივად განვითარებული და დახვეწილი ხელოვნებათმცოდნე, რომელთანაც ყველანი ვმეგობრობ-



...ნათელას ორმოცამდე დღეებში თეირანში მალე გაირბინა

დით. ბოლო დროს (ოთხი წელი ირანში იმყოფებოდა), სპარსული კულტურა შეისწავლა, მუზეუმებთან თანამშრომლობდა, იქ ქართველი მხატვრების გამოფენებს აწყობდა და ამასთან, ძალზე ბედნიერი ქალბატონი იყო. ეს ამ ფოტოგამოფენის ფონზეც კარგად ჩანს, რომელიც ახლა „ბაია-გალერეაში“ მოეწყო... ფოტოებზე ვკითხულობთ, თუ როგორ საინტერესო მოღვაწეობას ეწეოდნენ საქართველოს კონსული ირანში და მისი მეუღლე. ნათელას სიცოცხლე სწორედ მაშინ შეწყდა, როდესაც ის ბედნიერების მწვერვალზე იყო; ის ჩვენს გულეში დარჩა, როგორც შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნე, არაჩვეულებრივი პიროვნება და ბედნიერი ადამიანი.

ნაიკო ნახუცრიშვილი, ირანში საქართველოს კონსული, ნათელას მეუღლე:

— დილით, თეირანის, იმამ ჰომეინის საერთაშორისო აეროპორტში საუბედუროდ, მეუღლე და სომხეთსა და ირანში საქართველოს საელჩოების ფინანსური მენეჯერი გივი ჭკადუა, რომელიც თეირანში მესამედ (თურმე უკანასკნელად) იყო ჩამოსული, პირადად მივაცილე...

ნათელას დაღუპვის შემდეგ გადავფურცლე მისი დღიური; ის 2005 წლის 29 დეკემბერს, თეირანში ჩასვლის პირველსავე დღეს დაუნერია. ბოლო ჩანაწერი კი 2006 წლის 24 ივნისით თარიღდება (მეორე დღეს პირველად წამოვედით თბილისში შვებულებით). მერე რატომ-

დაც ნათელას დღიური არ გაუგრძელებია, ალბათ იმიტომ, რომ დღიურის მაგივრობას ფოტოაპარატი ორივეს ერთად გვიწევდა, რომელიც ყველგან თან დაგვქონდა... წელს, 26 ივნისს, თეირანის პოპულარულ გალერეა „შირინში“, ნათელას მეგობარ ნანა ჭურღულიას გრაფიკის გამოფენა გავხსენით. ნათელა ძალიან ღელავდა. ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი დაძაბული ვითარების გამო გამოფენის გახსნისთვის ჩვეულებრივი და შესაფერისი ატმოსფერო არ იყო, მაგრამ მნახველი, მაინც საკმაოდ მოვიდა. 1-ელი ივლისის ჩათვლით, იქ ყოველდღე მივდიოდით. ნათელა კიდევ უფრო დაუახლოვდა იქაურ გალერისტებს. მათთან

უკანასკნელად 11 ივლისს, მორიგი გამოფენის სანახავად, შევიარეთ... გამომშვიდობებისას ირანელ მეგობრებს დაჰპირდა თბილისიდან რომ დავბრუნდები, ქართულ ეროვნულ კერძებს გაგასინჯებთო... გამოფენის წინაღვეს ნანა ჭურღულიას ნახატები აკურატულად დაახვია და მეორე დილას, საკუთარი ხელით თვითმფრინავში შეიტანა... მისი დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 31 ივლისს, თეირანში დილაუთენია დავბრუნდი. ჩემს ინტერნეტფოსტაზე ზაფხულის სეზონის ბოლო გამოფენებზე რამდენიმე მონკვევა დამხვდა.

„შირინიდანაც“ იყო მოსაწვევი. მივხვდი, რომ მათ ვერ გავგოთ ნათელას დაღუპვის ამბავი. თავს ძალა დავატანე და „ირანის კალიგრაფისტთა ასოციაციის“ შენობას მანქანით მივადექი, რომელშიც ის გალერეა მდებარეობს. რკინის ჭიშკრით ბაღში ცრემლმორიული შევედი, სადაც მანამდე ორნი შევდიოდით... ძლივს ავედი მეორე სართულზე. ღიმილით შემომეგებნენ გალერეის თანამშრომლები, მაშინვე ნათელა მოიკითხეს. როდესაც ჩემგან მისი დაღუპვის შესახებ შეიტყვეს, აქვითინდნენ. ატირდა იქ სტუმრად მყო-

ვი გალერისტი, ჩვენი მეგობარი და იქვე სკამზე დაეცა. უცხო ხალხიც შემოგვეხვია. გამოფენის გახსნა პანაშვიდად გადაიქცა...

იმ თვითმფრინავში მყოფი 168 ადამიანის საერთო საფლავი 7 მეტრი სიღრმის, 10 მეტრი სიგანისა და 30 მეტრი სიგრძისაა, რომელიც ყაზვინის პროვინციის სოფელ ჯანნათაბადთანაა. „ჯანნათ“ არაბულად და სპარსულად „სამოთხეს“ ნიშნავს. ჯანნათაბადიც „სამოთხის დასახლება“ შეიძლება ითარგმნოს. გამოდის, რომ „სწორ ადგილას“ დაშვებულან... სპეციალური კომისიის წინასწარი დასკვნით, 8 კოლომეტრის სიმაღლიდან თვითმფრინავის ვარდნა, დაახლოებით 70 წამს გრძელდებოდა. 168 ადამიანმა ამ „სამოთხის დასახლებაში“ მოსახვედრად ჯოჯოხეთური 70 წამი გაიარა... 11 აგვისტოს, თეირანში გამომავალ სახვითი ხელოვნების ყოველკვირეულ ჟურნალ „თანდის“ პირველ გვერდზე ნათელას ხსოვნისადმი მიძღვნილი სარედაქციო წერილი, სათაურით — „თანამგზავრის დაკარგვის გამო“ დაიბეჭდა, რომელშიც ეწერა: „ქალბატონი ნათელა ჩვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი და თანამგზავრი იყო“...

...ნათელას ორმოცამდე დღეებმა



ნათელა მეუღლესთან ერთად

თეირანში მალე გაირბინა. კომპიუტერში საგანგებოდ ამოვარჩიე და თბილისში „ბაია-გალერეის“ ხელმძღვანელ ბაია ციკორიძესთან შევათანხმე დღეს აქ გამოფენილი ნამუშევრების ყველა დეტალი... ეს ნათელას მიერ ირანში გადაღებული ფოტოები გახლავთ ანუ ჩვენი ფოტოაპარატით დანახული ირანი... თუმცა გამოფენის სათაურის მოფიქრება გამიჭირდა. საბოლოოდ კი ასე ვუწოდეთ — „დაბრუნება ირანიდან“. დიას, მას ასეთი ლამაზი და ცრემლიანი დაბრუნება გამოუვიდა... ■

ჯაბა ანანიძე

მინა — მინა, მაგრამ ხანდახან ხომ ხდება, როცა გგონია, რომ ყველაზე ახლოს ხარ ზეცასთან?! — ასეთი გრძნობა გიპყრობს აჭარის ყველაზე მაღალი მთის — ჩირუხის დანახვისას... სახე — სახეა, მაგრამ ხანდახან ხომ ასეც ხდება — უყურებ თავშალეებიდან გამოპარებულ თვალებს და უშველებელ სევდასთან ერთად, უზარმაზარ სიხარულსაც გრძნობ, რომელსაც ისინი ინახავენ. ასეთი სახეები დაგხვდებათ ჩირუხში, სადაც ქრისტიანული, სისხლით მორწყული წარსული მხოლოდ ანკარა წყაროს წყლებთან შემომდგარ სანახელებში გადარჩა; სადაც ჭუჭრუტანები აქვს სახლებს ფანჯრების ნაცვლად, სადაც პოლიტიკაზე მართლა არავინ ფიქრობს და სადაც ადამიანებს ბევრი დრო რჩებათ — ცხოვრების ფილოსოფიის ამოსახელებად...

ჩირუხი საკურორტო ადგილადაა მიჩნეული, მაგრამ იქ ტურისტი ჯერ არ გამოჩენილა. ულამაზესი ბუნებით, ნაძვნარებითა და სალოცავებით გამორჩეულ მთაზე დასვენებას არაფერი სჯობს, მაგრამ ტურისტის კომფორტულად მისაღებად, ჯერჯერობით არც სახელმწიფოა მზად, არც — ჩირუხელი კაცი... იქ შემოდგომას თოვლი მოჰყვება, ამიტომ იქაურები ზაფხულობით არსებობის ერთადერთ წყაროს — საქონელს აძოვებენ, თივის ზვინებს აბუღულებენ და შუამთობისას დღესასწაულს ელიან.

აჭარული ოდა



მოდო, ჯერ ეს საქართველო ნახეთ!

ჩირუხი



ზილფო ბებიას სანახა ბარანილი ბავშვობა...

ზილფო ბებია კარგა ხანია, ჭალარაა. მის თმას ვერ დანახავ, მაგრამ თუკი საუბარზე დაითანხმე, საუბრითვე მიხვდები — მთას თავისი სიბრძნე ჩაუტევია ზილფოს თბილ გულში. ქალს შვილებიც ჰყავს, შვილიშვილებიც, შვილთაშვილებიც, მაგრამ ზაფხულობით ჩირუხში გამოჩენას მაინც ვერავინ ასწრებს... სისხამ დილით ხოჯის ხმამალალი ლოცვა გააღვიძებს, ღმერთს თავადაც შესთხოვს სიკეთეს და სიყვარულს, შეშის ღუმელს გააღვიძებს (მთაში ზაფხულშიც ცივა) და ნავა ძროხების მოსანველად... ჩირუხის სახლებში პირველ სართულზე ბოსელია მოწყობილი, მეორეზე — საცხოვრებელი. აი, მაშინ, თუკი ხმამალალ ეზანს (დილის მუსლიმანური ლოცვა) გადაურჩება თქვენი ძილი, ზილფო ბებიის მიერ აშხაპუნებული რძის ხმა და სურნელი ნამდვილად გამოგაღვიძებთ; თქვენც წამოდგებით და მთიელის სულში ჩაძვრომას მონიდომებთ... თუმცა ეს გემრიელი რძის დაღვევა არ გეგონოთ.

— აბა, გადმიღე სურათი! — როგორც იქნა, ხმას იღებს ზილფო ბებია. რძით სავსე ვედროები ხელში უჭირავს და სანამ ფოტოაპარატს არ ვაჩხაკუნებ, ფეხსაც არ იცვლის. მერე რძეს დიდ ქვაბში ასხამს, ქვაბს ღუმელზე დგამს და აჭარული ყველის ამოყვანას ცდილობს, ტრადიციულად, ქალის ნანწავის ფორმისას...

— მიმე ბავშვობა მქონდა, მაგრამ სიმძიმე არ მოკლავს კაცს. ადამიანს შრომა, მთა, ზეცა და ადამიანი უნდა უყვარდეს. შეხედე, რა სილამაზე მოჩანს აქედან, — ჭუჭრუტანისკენ იშვერს ზილფო ბებია ხელს, — ჩვენი ღმერთი ალაჰია. ქართველების ღმერთი ქრისტია, მაგრამ მე რომ მუსლიმანად დავიბადე?.. ხან ეს რომ იყო და ხან — ის, აბა, რა მოსანონი საქციელია?! ეს იმას ჰგავს, ქალს ჯერ ერთი რომ შეუყვარდება, მერე — მეორე...

— თქვენ როგორ შეგიყვარდათ?

— ვაი მას, მაი რაფერ მოგიყვებ!

— ზილფო ბებიას სახეზე ბავშვობა დარბის, ელიმილება, მაინც განაგრძობს: — საქმროს, რა თქმა უნდა, არ ვიცნობდი. რომ მეიყვანეს ჩემს დასანახებლად, წყაროს წყლის ამოსატანად გიმიშვეს სპეციალურად. წყალი ამოვტანე, მაგრამ საქმროს თავი დახრილი ჰქონდა, ვერ დევნახე... ევედი სახლში,



ნაზიმე ვაშაყმაძე

წყალი გადავაქციე და ხელმეორედ წვევდი წყაროზე... მიკვირს, რა ანგრევს ამდენ ოჯახს? ჩემი ქმარი მწელია, გარდაცვლილია, მარა საფლავშიც მიყვარს... — ზილფო ბებია ყველის ამოყვანას ასრულებს, დიდ თასზე აწყობს და უკვე აჭარულ სამზარეულოსაც მაცნობს: ერიშტა, გევრეჭი, ბიშები, ბორანი... ყოლიფერში რძე ან კაიმალია (რძის კერძი) საჭიროო, — მეუბნება, მერე ფაციფუცით გადის აივანზე, მზისკენ იჩრდილავს ხელს, ძროხებს ელოდება — ისევ რომ აავსოს იაილა (საცხოვრებელი სახლი) მწვანებალ-ახიანი რძის სურნელით...

„ქე ჭადრის სხვა პეპლი, ის — ნაქვია... სიტყვა არ უთქვამს, ისა აიხსნა სიყვარული“

მწვანე ბალახი ისეა მოფენილი ირგვლივ, გეგონება, ხასხასა ხალიჩა ყველგან ფიანდაზად დაგებულ იყო... დიდგორობ მთებში რძისფერი ნისლი იღვრება, იაილების ვიწრო სარკმლებიდან ბავშვები ქურდულ მზერას მაგებებენ... ერთგან, ქალბატონებს შუადღის შესვენება გაუმართავთ. სხედან და მატყლს რთავენ...

— ჩვენს დროს ჩეთინი გათხვება იყო, — ამბობს ნაზიმე ვაშაყმაძე ღიმილით, — 15 წლისა ვიყავ, ძლივს გევეთხვე (ქალბატონები მოკრძალებულად იცინიან). ჩვენს დროს კაცი — კაცი იყო, ქალი — ქალი. ქალი ამას წინათ ავტობუსზე ვერ ამოვდა, იმხელა მოკლე, საცოდავი კაბა ეცვა. ენიკა და ენიკა,

მარა თავიდან რომ მოკლეს შეიკერავ, მემრე დაგრძელდება თუ?!

— მე ფურცელზე დავწერე, სიყვარული აფრენილი ორბია-მეთქი, კალოში დავმაღე და ისე გუუგზაი მალულად შეყვარებულს წერილი — საიდუმლოს ამჟღავნებს მატყლის გაჩეჩით დაკავებული ქალბატონი.

— აბა, ჩვენ სიტყვაც არ დაგვჭირვებია, ისე შეყვარეთ ერთმანეთი, — იცინის მესამე, — მე ჭადრის ხეზე ევედი ტყეში, ის — ნაძვზე, სიტყვაც არ უთქვამს, ისე ამისხნა სიყვარული. გვეშინოდა, ვინმეს არ დევნახეთ, მარა სხვა რას მიხდებოდა, რაფერ ეხათქუნებოდა ჩვენი გულები?!

იმ დღეს ჩირუხის ღელის პირას ჩაფიქრებული პატარა ბიჭის ასეთ



აწი, აქ რომ ამოვალ, ვიგირებ

ღიღინსაც მოვკარი ყური: „პატარა გოგო დაძეკარგა, წითელპერანგა“...

„ანი, აქ რომ ამოვალ, ვიტიკა“

— შეხედეთ „ჰაჯეთ ნამაზს“, აქიდან ყოლიფერი ჩანს, მთელი მემლექეთი... იმ მთაზე კი ყველა ოცნება სრულდება, — მეუბნება ვიწრო ჭუჭრუტანასთან მჯდომი მოხუცი, მეყბულე ფუტკარაძე.

...სალოცავისკენ მივიღივართ. „ჰაჯეთ ნამაზი“ ქართულად, „ლოცვების სამქედლოს“ ნიშნავს. უმაღლეს მწვერვალზე ჩირუხელებს ქვის ნატხეები ააქვთ და ოცნებებს ჩუმად უზიარებენ სამყაროს შემოქმედს, მაგრამ „ნამაზი“ არც მუსლიმანური სალოცავია, არც — ქრისტიანული,

მას უფრო წარმართულად მიიჩნევენ ისტორიკოსები.

— ასე აშუებით მზეზე, — მეუბნება ჩემი მეგზური, ნათელა ფუტკარაძე და ქვის ნატხეს ჩურჩულით, სალოცავ მთაზე მდგომარე ქვის კაცებთან ტოვებს... მთაზე ჩირუხელებიც ამოგყვინ, სხვა სტუმრებიც... არავის უნდა უკან დაბრუნება — არ გინდა, სილამაზეს მოსწყვიტო თვალი?!

— წვევით ახლა, თორემ გლები დეგვესსრიკებიან (გამოგვეკიდებიან), — ჩვენს შეშინებას ცდილობს ქალბატონი ნათელა და დაღმართს ჩირუხის ტბისკენ, გასაღიანისკენ მივუყვებით... ჩირუხელი მოხუცები დარდით გაჰყურებენ ქალაქში ცხოვრების გასაგრძელებლად მიმავალ ახალგაზრდებს: ყველას ქალაქი მუუნდა, რა ვქნათ, რით შევაკავათო?..

მთებს შორის მოქცეული ტბის პირას ქალბატონი ნათელა ჯერ აჭარულ სევდიან სიმღერას მღერის, შემდეგ შვილიშვილებს სთხოვს, „განდაგანა“ იცეკვეთო... ბიჭები — ნიკა და გიორგი ფუტკარაძეები ლაზათიან ცეკვას ახურებენ ტბის პირას... მხიარულდება ყველა, თითქოს იღიმიან მთებშიც...

ჯერ სინათლე უკრთება სახეზე ქალბატონ ნათელას, შემდეგ — ცრემლს ველარ აკავებს და ვერც წრფელი გულიდან ამოხეთქილ სიტყვებს:

— რო ნახვალთ და დავრჩები ისევ მარტო, აშუალ ისევ აქ, ისევ ძროხების ამოსადენად, გამახსენდება თქვენი ცეკვა და... ვიტირებ! ■



ნათელა ფუტკარაძე



ბიზლუსი

ანუ პაპირუსი — წიგნის სინონიმი

დაუფინანსებელი სტუმრები

მარი ჯაფარიძე

მაიკო საუკეთესო მეგობარია. ამას მაშინ უფრო შეიგრძნობ, როცა უკვე 30 წელს ხარ გადაცილებული; როცა ყოველ დაბადების დღეს ჩვეულებრივ, ძველ მეგობრებთან ერთად ხვდები; როცა სახლში სიმყუდროვე გაქვს, მაგრამ მარტოხელობის სევდა შემოგანვება ხოლმე; როცა ყველა საღამო ერთმანეთს ჰგავს — ცარიელი და უსასრულო; დივანთან მიდგმულ სადგარზე ტელეფონი მშვიდად დევს და დუმს; ოთახში კი სულ უფრო და უფრო მეტი ფაიფურის ფიგურა ჩნდება; როცა გულახდილობის გუნებაზე ხარ, მაგრამ პირველ შემხვედრს გულს ვერ გადაუშლი; აღარც სიზმარში დაფრინავ და უბრალოდ, დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს კიდევ ერთხელ მიჰყვები ფიქრით; როცა უკვე ტირ-

ილი და სისულელების ჩადენაც კი გეზარება; როცა არც ძალა შეგნევს და არც სიცოცხლის სურვილი...

სწორედ ასეთ დროს გამოჩნდება მაიკო, რომლისთვისაც ცხოვრება მუდამ მშვენიერია. ხალისიანი, უდარდელი, ჩაკვტილ სივრცეს ვერ ეგუება. ის არის ადამიანი, რომელიც დროზე იმარჯვებს... და ის შენი მეგობარია. მისი გაძლება მსოფლიოში ერთადერთ მამაკაცს შეუძლია — ეს მაიკოს 13 წლის ვაჟია. ის სკოლის მოსწავლეა, ფრიადოსანი, 3 ენას ფლობს და დედა ძალიან უყვარს.

მაიკოს უამრავი მეგობარი ჰყავს, რომელიც ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ეხმარება. ამ ქალის გარშემო მუდამ კომფორტია. ხანდახან მისი მშურს კიდევ და ვცდილობ, მასავით ვიცხოვრო, მაგრამ არ გამომდის. დიდხანს ვერ ვუ-



ძლებ ასეთ რიტმს. მე მასავით ენერგიული არ ვარ.

მაიკოს დღე-ღამე 28 საათს მოიცავს, ორიგინალური და დამოუკიდებელი ადამიანია, თავი მუდამ ახალი იდეებით აქვს გამოტენილი. მის ზურგს უკან ცხოვრებისეული გამოცდილება, იმედგაცრუება, წაგება და მოგებაა. ასეთი „შენადნობი“ კი მძლავრია და თითქმის დაურღვეველი.

მაიკო პროფესიით მხატვარია. დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა სამსახურს და უამრავი ადგილი გამოიცვალა კიდევ, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, საკუთარი ბიზნესი წამოეწყო. მისი „კარიერის“

„გზის“ შედეგი ნობრიდან

გორა მანველიძის ახალი დეტექტივი

ძმეშები





დასაწყისი — „გზა“, №38-35

მარი ჯაფარიძე

მომდევნო 1 საათის განმავლობაში ვასიკოს ჩემი წარსულის შესახებ ვუყვებოდი. ჩემი დაბადებიდან, გაშვილებიდან მოყოლებული, ყველაფერი ვუამბე. ისიც ვუთხარი, მელანო როგორ მიყვარდა, რომ დედამისი ჯერ თავის საყვარელს ურიგებდა და მერე, როცა იმ კაცს მელანო მოჰპებრდებოდა, თავის შვილზე გაათხოვებდა.

ვასიკო თვალგაფართოებული მიყურებდა. ასეთი რამ ვერ წარმოედგინა. წარამარა იფურთხებოდა და იგინებოდა.

— მერე, ეს ყველაფერი რა შუაშია დღევანდელ ამბებთან? — მკითხა ბოლოს გაოგნებულმა.

— ეგ კაცი იყო დედამისის საყვარელი, ვინც ჩვენ დღეს ვნახეთ, — დავასრულე სათქმელი.

— გაგიჟება შეიძლება, მაინც რა პატარაა ეს ქვეყანა, საიდან — სად?!

— მაშინ მილიციის უფროსად მუშაობდა, — დავამატე.

— ახლა კი წამლის ბარიგაა, ხედავ? ასე იცვლება ცხოვრება...

— საქმე ისაა, რა საერთო აქვს ამ ყველაფერთან.

— მაგას დავადგენთ, თანაც, ხვალვე. მივიდეთ და დაველაპარაკოთ. თუ გაჯიუტდება, მერე გაჩვენებ, რა ემართებათ მაგისტანებს.

დილით უთენია ავდექით და

პირდაპირ ქალაქარეთ გავწიეთ. მანქანა მოფარებულ ადგილზე გავაჩერეთ და დაველოდეთ, როდის მოვიდოდა ყოფილი მილიციის უფროსი. ცოტა ხანში გამოჩნდა და თავისი მანქანიანად ეზოში გაუჩინარდა.

— შევიდეთ? — წასასვლელად მოვემზადე.

— არა, მოიცა, ვინმე მოვა და ჯერ იმას ვკითხოთ რაღაცები.

კარგა ხანს ველოდით, როდის გამოჩნდებოდა „ვინმე“, რომ გამოგვეკითხა, რა ხდებოდა რკინის ჭიშკარს მიღმა.

— გაგვიმართლა, — იდაყვი გამკრა ვასიკომ და მარჯვნივ გამახედა. ჭიშკართან მანქანა გაჩერდა.

— თან, მაგრად გაგვიმართლა... — ვოვა! — ხმამალა დაუძახა ვილაცას.

მანქანიდან გადმოსულმა მამაკაცმა მოიხედა და ვასიკოს ხელი აუწია მისალმების ნიშნად. თან ჩვენკენ წამოვიდა.

— იცნობ? — გამიკვირდა.

— კი, ვიცნობ და იმიტომ ვთქვი, მაგრად გაგვიმართლა-მეთქი, — ვასიკომ მამაკაცს ხელი ჩამოართვა, მოიკითხა და მეც გამაცნო.

— აქ ვისთან მიდიხარ? — ჰკითხა მერე.

— ჟორასთან.

— წამალზე?

— ჰო.

— ყველას უშვებენ შიგნით?

— არა, 2 მოკლე, 2 გრძელი და კიდევ ერთი მოკლე ზარი უნდა დარეკო და მაშინ შეგიშვებენ. შენც ხომ არ დაინწყე?

— არა, ღმერთმა დამიფაროს! რაღაც მაინტერესებს და შიგნით მიინდა, მოვხვდე. კიდევ ვინაა იქ?

— არ ვიცი, მე მარტო ჟორას ვნახულობ ხოლმე, სხვა არავინ მინახავს.

— კარგი, წადი ახლა და ნუ ეტყვი, რომ აქ ვინმე ნახე. სხვა დროს შევხვდეთ და ყველაფერს მოგიყვები.

ცოტა ხანს კიდევ გავჩერდით და როცა ჟორასგან გამოსული ვოვას მანქანა თვალს მიეფარა, მაშინ დავიძარით ჭიშკრისკენ.

ზარი ისე დავრეკეთ, როგორც ვოვამ დაგვარბია. კარი მაშინვე გაიღო. ეზოში არავინ იყო. სახლისკენ დავიძარით და ის იყო, კიბეზე ფეხი შევდგით, რომ ვილაც გადაგველობა.

ახმახი იყო, მოკრივეს ჰგავდა.

— სად მიდიხართ?

— ჟორასთან, — ვასიკომ სხარტად უპასუხა.

— რა გინდათ?

— რაც სხვებს.

— ვინ მოგასწავლათ?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ მოვედით. გაგვატარე, თუ კაცი ხარ, — ვასიკომ გვერდის ავლა სცადა, მაგრამ ახმახმა არ დაანება.

— ჟორა! — ვასიკომ ხმამალა

შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმერ ხარკოვის ნიგნიდან „გენერალისიბუსი“



1990 წელს დავენერე ნიგნი — „დახვრეტილი მარშლები“, სადაც მიხაილ ტუხაჩევსკისაც მივუძღვენი ნარკვევი. ის „გამამართლებელ“ სტილში იყო დაწერილი — იმ პუბლიკაციების შესაბამისად, რომლებიც 90-იან წლებში ქვეყნდებოდა. „გენერალისიბუსზე“ მუშაობისას, უფრო საფუძვლიანად გავერკვიე რეპრესიების მიზეზებში, რადგან ახალგაზსნულ საარტივო მასალებს გავეცანი. ამიტომ, განსხვავებული დასკვნები გამოვიტანე.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-35

სთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არ მქონია. მათ, როგორც ტროცკის დამქაშებს, ისე ვიცნობდი, მის მიერ აღზრდილი კადრები იყვნენ. ტროცკი მათ იმთავითვე, შორს მიმავალი მიზნებისთვის ანინაურებდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სახელმწიფოს მეთაურის პოსტისთვის ბრძოლას იწყებდა. საბედნიეროდ, მათი მხილება ომის დაწყებამდე მოვახერხეთ; ეს რომ არ გაგვეკეთებინა, წარმოუდგენელ შედეგებს მივიღებდით, ხოლო მსხვერპლი 20 მილიონ კაცზე გაცილებით მეტი იქნებოდა — ამაში ეჭვი არ მეპარება. ტუხაჩევსკის ყოველთვის, როგორც შავნელ ფიგურას, ისე ვიცნობდი...

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ტროცკის აზრი, რომელიც მან თავის ნიგნიში — „სტალინი“ გამოთქვა (ის საკუთარ თავს ყველგან მესამე პირში იხსენიებს):

„ყველა, ვინც სტალინის პერიოდში წითელ არმიას მეთაურობდა, — ტუხაჩევსკი, ეგოროვი, ბლიუხერი, იაკირი — საპასუხისმგებლო პოსტებზე მაშინ დაინიშნენ, როცა სამხედრო უწყებას ტროცკი თავკაცობდა; ეს ხშირად მაშინ ხდებოდა, როცა ტროცკი ფრონტზე დადიოდა და მათ ნამოქმედარს პირადად ამოწმებდა. მაგრამ სამოქალაქო ომის ყველა მხედართმთავარი და რამის შემქმნელი შემდგომ, „მოლაღატი“ და „შპიონი“ აღმოჩნდა. არადა,

სწორედ მათ გადაარჩინეს ქვეყანა და რევოლუცია. და თუ 1933 წელს დადგინდა, რომ სტალინი და სხვა არავინ აშენებდა წითელ არმიას, მაშინ სწორედ მას ეკისრება სამეთაურო შემადგენლობის შერჩევის მთელი პასუხისმგებლობა. ოფიციალური ისტორიკოსები ამ ერთობ მძიმე წინააღმდეგობის ახსნას მაინც ღირსეულად ახერხებენ: მეთაურებად მოლაღატეთა დანიშვნის პასუხისმგებლობა ტროცკის კისერზეა; აი, ამავდემოლაღატეების მიერ მიღწეული გამარჯვებები კი სტალინის დამსახურებად ცხადდება“.

უნდა ვალიაროთ — ლოგიკა ტროცკის მხარესაა. მაგრამ მოლოტოვის ნათქვამსაც — მოლაღატეებს ტროცკი ანინაურებდაო, — თავად ტროცკი ადასტურებს.

საკმაო ძალისხმევა დამჭირდა, ე.წ. „ტუხაჩევსკის შეთქმულების“ საქმის საგამოძიებო და სასამართლო მასალების მოსაპოვებლად: ყველა, ვისაც ამ საკითხზე მივმართავდი, თავაზიანი უარით მისტუმრებდა.

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სხდომა 1937 წლის 11 ივნისს დილის 9 საათზე დაიწყო. „განიხილება სამშობლოს ღალატის, ჯაშუშობისა და ტერორისტული აქტების მომზადების საქმე, — ნათქვამია სტენოგრაფიაში. — საქმე დახურული სასამართლო სხდომის წესით განიხილება... ბრალდებულთა სკამზე სხედან: ტუხაჩევსკი, იაკირი, უბორევიჩი, კორკი, ეიდემანი, ფელდმანი, პრიმაკოვი, პუტნა“.

მათ განემართათ: საქმე განიხილება იმ წესის მიხედვით, რომელიც 1934 წლის 1-ელ დეკემბერს მიღებულ კანონს ეყრდნობა (რაც ითვალისწინებდა, რომ ბრალდ-



ვიახესლავ მოლოტოვი

სახელოვანი შეთქმულება

1937 წელს ამ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის მასალების შესწავლისას, უნინდებურად ვცდილობდი, პირველწყაროს — იმ ადამიანების ნაამბობს დავყრდნობოდი, ვისაც მომხდართან უშუალო კავშირი ჰქონდათ.

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან მოწმეთაგანი, ვისაც მსჯავრდადებულებთან ერთად უმუშავია და ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან იცნობდა, მთავრობის იმდროინდელი თავმჯდომარე ვიაჩესლავ მოლოტოვი გახლდათ. ამიტომ, ამ საქმესთან დაკავშირებით, ხშირად ვუსვამდი კითხვებს, როცა ამის შესაძლებლობა მეძლეოდა და საკუთარ მოსაზრებებსაც ვუზიარებდი. ერთხელ ასე მივმართე:

— სამოქალაქო ომის დროს ამ დიდ მხედართმთავრებს არაერთი გმირობა ჩაუდენიათ. თქვენ მათ კარგად იცნობდით, ნუთუ არ შეგპარვიათ ეჭვი, რომ „მტრულ საქმიანობას“ ეწეოდნენ?

მოლოტოვიმა ძალზე მტკიცედ, მე ვიტყვოდი, ხისტადაც კი მიპასუხა: — ამ სამხედრო მოღვაწეთა არ-

მიხაილ ტუხაჩევსკი პროცესზე



ბულებს არ ეყოლებოდათ დაცვა, ხოლო განაჩენი საბოლოო იქნებოდა და გასაჩივრებას არ დაექვემდებარებოდა). სხდომის დაწყებამდე, კოლეგიის წევრებს შს სახკომის თანამშრომლებმა გააცნეს ყალბი დოკუმენტები, რომლებიც გესტაპომ შეთხზა. და მათ დაიჯერეს, რომ ხელთ ჰქონდათ ტუხაჩევსკის მიერ დაწერილი წერილები, რომლებშიც ხელისუფლების დამხობის მიზნით ჩაფიქრებული შეთქმულების გეგმა იყო წარმოდგენილი.

როგორც სასამართლოს სტენოგრაფიდან ჩანს, აგენტურული ცნობების შემცველი მასალები პროცესზე არ გამოუყენებიათ; ისინი არც საქმეშია ჩაკერებული, რადგან კონტრდაზვერვის ორგანოთა კანონის შესაბამისად, მათი გამომზეურება აკრძალული იყო.

მაშ, რა ხდება — ბრალდებულებს დანაშაული არ ჩაუდენიათ?.. ჩემი აზრით, ჯაშუშობის ბრალდება მოგონილია; ბრალდებულები არ იყვნენ არც გერმანიის, არც იაპონიის ჯაშუშები. ტუხაჩევსკის წინააღმდეგ კომპრომატის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი — გერმანიის პოლიტიკური დაზვერვის შეფი ვალტერ შელენბერგი თავის მემაურებში — „ლაბირინთი“ (ისინი რუსეთში 1991 წელს გამოიცა) წერდა:

„თავის დროზე ამტკიცებდნენ — ტუხაჩევსკის დაბნევის მიზნით, ჰაიდრიხის მიერ მოგროვილი მასალა უმეტესად, შეთითხნილი დოკუმენტებისგან შედგებოდაო. სინამდვილეში, შეთითხნილი მხოლოდ მცირე ნაწილი იყო — მხოლოდ ის წილი, რაც ცალკეული „თეთრი ლაქების“ შესავსებად იყო საჭირო. ამას ისიც ადასტურებს, რომ საკმაოდ სქელტანიანი დოსიეს მოსამზადებლად და ჰიტლერისთვის ჩასაბარებლად, ძალზე მცირე დროის მონაკვეთი — სულ 4 დღე აღმოჩნდა საკმარისი.

გადანყდა — ერთ-ერთი ჩვენი აგენტი დიპლომატის მეშვეობით (რომელიც შტანდარტენფიურერ ბემეს — პრალაში მცხოვრები გერმანელი ემიგრანტის ხელქვეითი გახლდათ), დაგვემყარებინა კონტაქტი სტალინთან. შემდგომ ბემე ჩეხოსლოვაკიის მაშინდელი პრეზიდენტის, დოქტორ ბენეშის მეგობარს დაეკონტაქტა. ბენეშმა უმალ მისწერა სტალინს, რომელმაც იმავე არსებით გაუზზავნა პასუხი ჰაიდრიხს და შესთავაზა, ბერლინში საბჭოთა საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს დაეკონტაქტებოდათ. ასეც მოვიქცეთ. რუსი აგენტი დაუყოვნებლივ გადაფრინდა მოსკოვში და დაბრუნდა სტალინის პირადი წარმომადგენლის თანხლებით,

რომელმაც მაშინდელი „გეპეუს“ (სამხედრო პოლიტიკური სამმართველოს) უფროსის, ეუოვის მიერ გაცემული საგანგებო უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინა.

სტალინი კითხულობდა — რას ვაფასებდით, მათ მიერ ნაგროვებ მასალას? არც ჰიტლერს და არც ჰაიდრიხს აზრადაც არ მოსვლიათ საქმის ფინანსურ მხარეზე ლაპარაკი. მაგრამ ჰაიდრიხს გაკვირვება არ გამოუხატავს და თვალის დაუხამხამებლად, 3 მლნ ოქროს რუბლი მოითხოვა. სტალინის ემისარმა, მიღებული დოკუმენტებისთვის თვალის ერთი გადავლების შემდეგ, ხმის ამოუღებლად გადაიხადა დასახელებული თანხა.

ტუხაჩევსკის მამხილებელი დოკუმენტების მასალა რუსებს 1937 წლის მაისის შუა პერიოდში გადაეცემა.

სომხეთში მითითებული 2 პოსტარტი 3 საქმეებრიდან

შედეგადი თანამშრომლის პასუხისმგებელი იაპონიის რეზიდენტის კანკანო ჯაშუანის ხარაბის...

არსენალი

სომხეთისა და სომხეთისაში, ისტორია

თანამშრომლები მთავარი პირები

კომუნისტური წყალობა ნაპირი

სომხეთის სტალინის რეჟიმის დასაწყისი

გზა ვნიღლები

მარი ჯაფარიძე

მოგესალმებით, ჩემო ძვირფასებო! ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, მე უკვე შვებულებაში ვარ, მეც თქვენსავით ვიყიდე „გზა“ და ვკითხულობ. როგორ ხართ? ჩემი ტელეფონი ჩვეულებრივად მუშაობს და მესიჯების გამოგ ზავნას იმედიც, არ დაიზარებთ. მანამდე კი — მესიჯი, რომელიც ფურნალში წაკითხულიც ისევე გამიფუჭებს გუნებას, როგორც ტელეფონის ეკრანზე წაკითხულმა გამიფუჭა: „განასლებულმა „გზამ“ მაგრად გაასწორა, მაგრამ მთლად უკეთესი იქნებოდა, ცოტა გვერდები რომ „გაგეპრიალებინათ“. მარ, რა ვქნა? ბევრჯერ ვცადე, შეგვუბოდი, მაგრამ არ გამომდის. შენი შესავალი ყოველთვის ნერვებზე მთხრის. ლიკა ქაჯაიას და ხათუ ბასტურაძეს შემოვევლე, რა ხასიათი აქვთ?! მაგრად მიყვარს. აბა, ჰე, წავე. EKO BOY. არა, მე მესმის, რომ არ შეიძლება, ყველას უყვარდეს, მაგრამ მაინც გულდასაწყვეტია, რომ ვილაც „ვერ შეგეგუა“. ან რას ვწერ ისეთს შესავალში, რომ თუნდაც ერთ ადამიანს ნერვებს უშლის? მოკლედ, რაც არის, არის... მე შევეგუები იმას, რომ ვილაცას არ ვუყვარვარ და თქვენ მიერ გამოგ ზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.



სიფათი

ვინ რას გადაურჩა ანუ იღბლიანები

ფოტო, რომელსაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61

ჩემი პირადი ან სხვა:

„სადაც მიწა, იქ დავისვენებ“



ტაიმ-აუტი



დააკვირდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაიმასხოვრე საკუთარი ფიქრები ამ სურათთან დაკავშირებით, შემდეგ ეი ფოტოტესტის ჰასუხები იხილე.

1. თუ ფოტოზე, პირველ რიგში, ზღვა შენიშნე, სავარაუდოდ კი არა, 99%-ით დარწმუნებული ვარ, რომ რომანტიკული ადამიანი და სილამაზის მოყვარული ქალი ხარ; თუ მამაკაცი ხარ, როგორც ჩანს, შევბუღებაში გასვლა ვერ მოახერხე, გადაიღალე და ახლა ზღვის თვალწარმტაცი ხედით ტკებები. მესმის შენი... როცა დასვენებას მოახერხებ, გირჩევ, ხელახლა ჩაატარო ეს ტესტი.

2. თუ ფოტოზე მამაკაცი შენიშნე, დაკვირვებული ადამიანი ხარ, ცოტა მეწვრილმანე, მაგრამ სამართლიანი. შენს თვალს არაფერი გამოეპარება, თითოეულ წვრილმანს ინიშნავ, აკვირდები და ვიდრე საინტერესო დეტალს ბოლომდე არ ჩასწვდები, ვერ მოისვენებ.

3. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს გაიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა, ეს ფოტო

შენი გადაღებული ყოფილიყო, სავარაუდოდ, მექალთანე მამაკაცი ხარ და დარწმუნებული ვარ, „ფოტოგრაფი“ რომ ყოფილიყავი, ეს „ფოტოტესტი“ ვერ შედგებოდა. რატომ? დავიჯერო, ასეთი „სუსტი გულის“ პატრონი ფოტოების გადაღებას დაინწყებდი?

4. თუ სურათზე, პირველ რიგში, ქალები შენიშნე, დარწმუნებული ვარ, მამაკაცი ხარ და შენი მზერა მათზე კარგა ხანს შეჩერდა. გეთანხმები, ნამდვილად თვალწარმტაცი ქალები არიან, მაგრამ ნუ დაგაინწყდება ერთი ანეკდოტი: მისო და მარო ზღვაზე არიან. მისო თვალგამტერებული უყურებს შიშველ ლამაზმანებს და ნერწყვს ყლაპავს. მარომ უყურა, უყურა და უთხრა: მიდი, მიდი, მადა გააღვიძე, ჭამა მაინც სახლში მოგიწევს.



- რამდენი ხართ?
- ორნი!
- ერთმანეთს ელაპარაკეთ!

* * *

უმაღლეს სასწავლებელში დიდი მხიარულებაა, მხოლოდ ერთი სტუდენტი ტირის.

- რა იყო, რა გიხარიათ?
- დეკანი ფანჯრიდან გადავარდა.
- შენ რაღა გატირებს?
- ვერ დავინახე, როგორ გადავარდააა!..

* * *

მშობელი პროფესორს შესჩივის:
 — ჩემს შვილს ხვალ გამოცდა აქვს და წინასწარ ვიცი, ჩაიჭრება.
 — მოდი, დაენაძლევედეთ 500 დოლარზე, რომ არ ჩაიჭრება!

* * *

- მიხო, რას აჭმევ შენს ღორებსა?
- რაში გაინტერესებს?
- მეც მინდა ეგრე გახდომა.

* * *

- კრივი სპორტის შესანიშნავი სახეობაა.
- მოკრივე ბრძანდებით?
- ღმერთმა დამიფაროს!.. ყბასახის ქირურგი ვარ!

* * *

სვანი დაასობს ბოძს, აძვრება ზედ და ზომავს. ბოძი წაიქცევა და სვანი ძირს ჩამოვარდება. ისევ დაასობს, ისევ აძვრება და ისევ ჩამოვარდება.

- რას აკეთებ, თუ ძმა ხარ? — ეკითხება გამველელი.
- ბოძის სიმაღლე უნდა გავზომო.
- მერე დაანვინე და ისე გაზომე.
- მე სიგრძე კი არა, სიმაღლე მაინტერესებს!

* * *

- მიხა, რათ არ მხიარულობ?
- ეკითხება საცოლე მიხოს.
- ექვსი ნაჭერი ხაშლამა შეეჭამე და მეტი რაღა ვქნა?!

* * *

ცოლ-ქმარი პლაჟზეა. ქმარი ქალებს ათვალეირებს.

— ხომ არ გავიწყდება, ცოლიანი რომ ხარ? — ეკითხება ცოლი.
 — მერე რა, შენც ხარ დიეტაზე, მაგრამ მე ხომ არ გიშლი მენიუს ნაკითხვას?!.

* * *

ოთხი წლის მიხო წყალში ჩავარდა და იხრჩობა. მამა ეკითხება:
 — მე უფრო გიყვარვარ თუ დედა?
 — დედააა! — ღრიალებს ბავშვი.
 — ჰოდა, დაელოდე, ის ამოგიყვანს წყლიდან.



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „მოსუცი და ზღვის“ მთავარი გმირი — მოსუცი სანტიაგო.
2. მეძავის პროფესია.
3. საფეთქელთან ამოსული თმა.
4. ვინრო, ღრმა ხევი.
5. ჭრელ (შავ-თეთრ-ყვითელ) კატას.
6. ვინსენტ ვან გოგი.
7. კომპასი და დენთი.
8. საკუთარ ძმაცაცებს ჰპარავს (მისი ძმაცაცები სადღა შოულობენ, ნამდვილად არ ვიცი).
9. მაღალბალახიანი კორდი.
10. სახორცედ.
11. „...შენყვიტო“.
12. მას ნობელის პრემია მიანიჭეს.

რეანიმაციის მანქანა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიანერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

ՀԱՆՏԱՆԱԿԱՆ ԵՐԱՇՈՒՄ

ՄԱՍԻՆՈՒՆ ԵՐԱՇՈՒՄ
Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...

ԵՐԱՇՈՒՄ

Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...


ԵՐԱՇՈՒՄ



ՄԱՍԻՆՈՒՆ ԵՐԱՇՈՒՄ
Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...



ՄԱՍԻՆՈՒՆ ԵՐԱՇՈՒՄ
Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...



ՄԱՍԻՆՈՒՆ ԵՐԱՇՈՒՄ
Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...

ՀԱՆՏԱՆԱԿԱՆ ԵՐԱՇՈՒՄ

Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...



Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...



Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...

ՀԱՆՏԱՆԱԿԱՆ ԵՐԱՇՈՒՄ

Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...

ԵՐԱՇՈՒՄ

Վերջին քաղաքացիական պատերազմի օրերի հիշատակը հիշողները հիշում են իրենց հայրերի և մայրերի օրերը...

ԵՐԱՇՈՒՄ



ՀԱՆՏԱՆԱԿԱՆ ԵՐԱՇՈՒՄ

ԵՐԱՇՈՒՄ

ԵՐԱՇՈՒՄ

ԵՐԱՇՈՒՄ

ფოტოკუჩიონები



„კვირის პალიტრა“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

შეიძინეთ

„კვირის პალიტრა“ ეროვნული

ნიგნების სერია
რჩეულ ფერმწერებზე -
მუდევრები და ისტორიები

21 სექტემბრიდან!



ბ 15/34

არ გამორჩეთ! ყოველთვე თქვენს ბიბლიოთეკას ერთი ტომი შეემატება! გან გოგი პირველია!



მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის! სპეციალური ფასი - 15 ლარი!